PRIME Time

N11 (261) ორშაბათი, 24 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები
Tepe Akfen
TAV
Georgia

EXCLUSIVE

სოფო ტოროშელიძე „X Factor“-ის ჟიურის წევრია



ნუ შეავსებთ ვაკანსიას, თუ რესპუბლიკელი არ ხართ!

EXCLUSIVE

ჟვანიას საქმე გახსნილია?!

- რა უნდოდა მოდულში რაულ უსუპოვს გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე?
- ვისი ტელეფონის ნომრიდან განხორციელებული ზარით გაოიძახეს ის კუდ-ში?
- რატომ დაიჭირეს სანიტარი, რომელმაც ჟვანიას ცხედარი გაკვეთა?
- რატომ დაიკითხა პროკურატურაში ლევან სამხარაულის მკვლელის დედა?

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

დღეიდან ბიონარკოტიკის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია იწყება

როგორ აფასებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს მთავრობის ნარკოპოლიტიკას?

EXCLUSIVE

ალასანიას ჯარისკაცები ისევ მოეწამლნენ

მე-4 ბრიგადაში 150-მდე სამხედრო მოსამსახურე მოიწამლა - თავდაცვის სამინისტრო ფაქტს არ ახმაურებს

EXCLUSIVE

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში უკვე 33 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი დამუშავდა

გიორგი ჩხეიძე: „დღეისთვის, ბარათი დაახლოებით 180 ათას ბენეფიციარს აქვს აღებული. რა თქმა უნდა, ბარათების გაცემის პროცესი გრძელდება“

SCANDAL

ახალი სკანდალი მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას გარშემო

„სააკაშვილს ყველა კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. სააკაშვილმა ჟვანიას მკვლელობას წინასწარ გაუკეთა ორგანიზება, რადგან ბიძამისისგან ჰქონდა დავალებული მისი ლიკვიდაცია. თვითონ ხელმძღვანელობდა გამოძიების მიმდინარეობასაც, ექსპერტიზასაც, ვერსიის შეთხზვასაც და თითქმის ყველა დეტალს“

EXCLUSIVE

როდის დაიკითხა ვანო მერაბიშვილი ჟვანიას საქმეზე და რატომ გაჟღერდა ის 21 მარტს?

რას წერდა საკუთარ უბის წიგნაკში 15 წლის თინათინ მელაძე?

EXCLUSIVE

ვინ აიძულა თვითმკვლელობა არასრულწლოვანს?

EXCLUSIVE

გახმაურებული და გაუხმაურებელი ფაქტები, რის გამოც სოდ-ის ყოფილ შეფს შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს

დავით უსუფაშვილი: „კოლიზიის შედეგად, პარლამენტის წევრს პრაქტიკულად აბსოლუტური იმუნიტეტი ენიჭება“

EXCLUSIVE

დავით უსუფაშვილს საია დაუპირისპირდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზურაბ ჟვანიასა და გარდაცვალების ს

ჩაჩუა, ძაძამია, ხარშილაძე... ვინ იქნება შემდეგი დაკავებული?

მარიამ ნადირაძე

„პრაიმტაიმს“ შეატყობინეს, რომ ჟვანიას გარდაცვალების რეალური სურათი პროკურატურას უკვე სახეზე აქვს. ახლა მხოლოდ პროცესებს მიყვება და მტკიცებულებებს ამყარებს.

როდესაც ჩვენმა მკითხველმა უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში მასობრივი საშუალებებით უკვე უამრავი ინფორმაცია მიიღო ამ თემასთან დაკავშირებით, რაკი ახლა, ამ წუთას ჩვენს გაზეთს ეცნობა, ცხადია, მას ახალი ამბის მოლოდინი აქვს. ეს მოლოდინი მას არ გაუცრუვდება, ვინაიდან ერთად გავივლით ქრონოლოგიას და განვიხილავთ იმ ინფორმაციებსაც, რომელიც ამ თემაზე მუშაობისას შევიტყვეთ.

შესრულებული დაპირება

ხელისუფლებას ოპონენტები ხშირად ადანაშაულებენ, რომ ჟვანიას თემით არჩევნებამდე, ან არჩევნების შემდეგ, ან კიდევ რაიმე პრობლემის გადასაფარად სპეკულირებენ. ხელისუფლების ადვოკატებად მართალია, ვერ გამოვდგებით, მაგრამ სანამ ამ საქმეზე საბრალდებო დასკვნა არ დაიდება ყოველთვის იქნება „არჩევნებამდე სამი თვე, 7 თვე, ან თუნდაც 2 წელი“, პრობლემებს კი ამ ქვეყანაში რა გამოლევს? ასე რომ, ეს თემა გავიარეთ და გადავიდეთ პროკურატურის ე.წ. გეგმაზე, რომლის შესახებაც პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა განაცხადა, „პროკურატურას აქვს სამოქმედო გეგმა და მას თანმიმდევრულად მიყვება“.

რა გეგმაზეა საუბარი, ამის გაანალიზება რთული სულაც არ იქნება, თუ მივყვებით ქრონოლოგიას, როგორ ვითარდებოდა მოვლენები:

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბაჩანა ახალაია დაიჭირეს, გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ მისი მიმალვაში მყოფი ძმა ამ ხელისუფლებას უფრო დიდი „თევზის“, ვანო მერაბიშვილის ბადეში გასახვევად დაეხმარებოდა. რამდენიმე თვეში ვანო მერაბიშვილიც აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. დროთა განმავლობაში მოხერხდა ისე, რომ სააკაშვილისა და მისი დისტანცირება მოხდა, რაც საბოლოოდ დადასტურდა კიდეც. ამასობაში კი მერაბიშვილმა ორმაგი თამაში დაიწყო – ერთი მხრივ, პოლიტიკურად რეპრესირებულის, მეორე მხრივ კი, როგორც კულუარულად ყვებიან, ის თანამშრომლობდა გამოძიებასთან. ეს ეჭვი სულაც არ მოგვეჩვენება ალოგიკურად, თუ ბოლო ინფორმაციას გავიაზრებთ: სამი დღის წინ ის ოფიციალურად დაიკითხა ჟვანიას საქმეზე და ჩვენთვის ცნობილი გახდა მისი ოფიციალური ჩვენების ნაწილის შინაარსი – თურმე 2005 წლის 3 თებერვალს მისი განცხადების საფუძველი, რომ პრემიერ-მინისტრი თურმე „CO“-თი გარდაიცვალა, არც მეტი, არც ნაკლები, მისი ყნოსვითი აღქმა გამხდარა, რაკი შემთხვევის ადგილზე მისულმა ნამწვავის სუნი შეიგრძნო. ლოგიკურად ველოდით, რომ ამის გამო ჟვანიას საქმეში მერაბიშვილს ბრალს წაუყენებდნენ თუნდაც სამსახურებრივი მუხლით, მით უმეტეს, რომ ამგვარი კვალიფიკაცია ბრალში სწორედ წინა დღეს გამოიყენეს ექსპერტ ლევან ჩაჩუას შემთხვევაში. მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა... შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ სააკაშვილისგან მიტოვებული მერაბიშვილი უკვე დიდი ხანია, აღარ ზრუნავს მისი ყოფილი ბოსის ტყავის გადარჩენაზე...

დღეს ნაციონალებს უჩნდებათ პრეტენზია იმის თაობაზე, რატომ არ დაიკითხა აქამდე გია ბარამიძე, რომელიც უკვე წელნად-ნახევარია ამას საჯაროდ მოითხოვს, არც მიშა მაჭავარიანი, არც ხათუნა გოგორიშვილი და კიდევ სხვები... როგორც ჩანს, ხელისუფლების გეგმის ნაწილში შედის როლანდ ახალაიას საქმეზე პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის გადაწყვეტილება, საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც გაუქმდება დეპუტატის იმუნიტეტი მისთვის ბრალის წაყენების ნაწილში. ამ გადაწყვეტილებას როლად ახალაიას სახელი დაერქვა, თორემ, ბუნებრივია, ის ყველა დეპუტატზე ერთნაირად გავრცელდება...

ვის ტელეფონის ნომრიდან განხორციელებული ზარით გამოიძახეს ის კუდ-ში?

რა უნდოდა მოდულში რაულ უსუპოვს გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე?

რაულ უსუპოვი

გეგმის ნაწილში შევიდა, როგორც ჩანს, სოციალურ ქსელში სკანდალური ფოტოს ატვირთვაც. სააკაშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ ეს ხელისუფლებამ გააკეთა. პრინციპში, არც არის გამორიცხული, თუ გავიხსენებთ შემთხვევას, როდესაც თავის დროზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გელა ხვედელიძე სწორედ ასეთი საქციელის გამო მიეცა პასუხისგებაში. თუმცა, ამ ფოტოებისგან საზოგადოებამ იმხელა შოკი მიიღო, რომ მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მათი ავთენტურობა დაადასტურა, ნაციონალების გარდა, თითქმის აღარავის ახსოვს, რომ პროცედურა „ჰაკიმ ფაშას“ ვინაობის დადგენასაც მოითხოვს...

თუმცა, რამდენიმე დღით ადრე იყო სხვა პროვოკაციაც, პრემიერ-მინისტრმა ანკესზე თემურ ალასანია წამოაგო, როდესაც მას საჯაროდ „კაგებეს“ თანამშრომელი უწოდა. ამან სააკაშვილის ბიძა კულისებიდან გამოიყვანა და ბევრი შეცდომა დააშვებინა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ის დუღილი, რომლის ტემპერატურა ყოველდღიურად მაღლა იწევს...

ერთი სიტყვით, სამართალდამცველებმა ჟვანიას საქმეზე წელინადნახევრიანი მოთელვითი სამუშაო დაასრულეს და ახლა ქმედით ნაბიჯებზე გადავიდნენ. ამ ეტაპზე დაჭერილია ექსპერტი ლევან ჩაჩუა და ჟვანიას დაცვის ორი წევრი – მიხეილ ძაძამია და კობა ხარშილაძე. დაკითხვაზეა დაბარებული მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, გამოძიების ბოლო კვირის ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, რომ სანამ ეს სტატია ავტორის კომპიუტერიდან გაზეთის ფურცლებზე გადაინაცვლებს, ამ ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე გვარი მიემატოს.

როგორც ჩანს, ამ გეგმის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ გარდაცვლილების ოჯახების წევრები. 28 დეკემბერს „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში იაძარ უსუპოვის მამა აცხადებდა: „მკვლელობის საქმე ძალიან მალე, 2-3 თვეში გაიხსნებაო.

როგორც ჩანს, ხელისუფლების გეგმა ამ ეტაპამდე ყოველგვარი გადახვევის გარეშე ხორციელდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ა რაულ უსუპოვის აქმე გახსნილია?!

რატომ დაიჭირეს სანიტარი, რომელმაც ჟვანიას ცხედარი გაკვეთა?

გამოძიების ვერსია

დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება პრემიერ-მინისტრის მკვლელობის მოტივაციად მასა და თემურ ალასანიას შორის არსებულ დაპირისპირებას განიხილავს. ამ განცხადების საფუძველს, კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, რამდენიმე დეტალის გაანალიზება გვაძლევს: 3 თვის წინ გამოძიებამ დაკითხა ირაკლი კაკაბაძე, რომელიც ჟვანიას გარდაცვალების დღიდან სწორედ ამ ორი ადამიანის კონფლიქტის შესახებ დაჟინებით აცხადებდა. სწორედ მაშინ, ინგა გრიგოლიასთან პირდაპირ ეთერში გოგლა ჟვანიამაც დაასახელა თემურ ალასანია...

მეტიც, როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, პროკურატურა მკვლელობის საქმეში კუდ-ის თანამშრომლების მონაწილეობის დადასტურებაზეც მუშაობს, კონკრეტულად კი იმ ადამიანების, ვინც გირგვლიანის საქმეში ფიგურირებენ. ჩვენი ინფორმაციით, ამ ნაწილში ცნობილი ყოფილი პატიმარი, გია ალავიძეც დაიკითხა. ეს ის ადამიანია, რომელმაც კოლონიაში გირგვლიანის მკვლელების კომფორტული ცხოვრების შესახებ კადრები გაასაჯაროა. გია ალავიძე გვიდასტურებს ამ ინფორმაციას, თუმცა დაკითხვის დეტალებზე საუბრისგან თავს იკავებს.

დაკითხულია ჟვანიას ცხედრის გამკვეთი სანიტარიც, რომელმაც გამოძიებას დეტალურად მიანოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რა ნახა სასექციოში, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთხანს დაჭერილიც იყო, ალბათ, იმის გამო, რომ სამუდამოდ დაეკარგებინა ნანახის შესახებ. ამ ნაწილში ერთი მეტად უცნაური ამბავიც შევიტყვეთ. როგორც სანიტრის ნაამბობიდან ირკვევა, სასექციოში გაკვეთას გია ბარამიძეც ესწრებოდა. ამის შესახებ ინფორმაცია აქამდე არ გაჟღერებულა... „პრაიმტაიმი“ შეეცადა, ეს ინფორმაცია თავად ბარამიძესთან გადაემოწმებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. მან ჩვენს სატელეფონო ზარს არ უპასუხა.

არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: როდესაც საზოგადოებამ გარდაცვლილების ფოტოები ნახა, რაულ უსუპოვის სხეულზე მკერდის არეში ორი სიმეტრიული ნაჩხვლეტი აღმოაჩინა. როგორც „პრაიმტაიმმა“ სანდო წყაროსგან შეიტყო, მასზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო მაპარალიზებელი ნემსები. გვიამბობენ, რომ ის გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოიძახეს კუდ-ში. სატელეფონო ზარი კი განხორციელდა ზურაბ ნოღაიდელზე გაფორმებული სატელეფონო ნომრიდან. ამით სულაც არ ვამტკიცებთ იმას, რომ შესაძლოა, ნოღაიდელს ამ საქმესთან რამე კავშირი ჰქონდეს, ვინაიდან ასეთ ნომრებს სპეცსამსახურები ხშირად იყენებენ მსგავსი ოპერაციისთვის. მოდულის შენობაში უსუპოვი საღ-სალამათი შევიდა. ის მაშინაც ცოცხალი იყო, როდესაც ჟვანია გარდაიცვალა. ჩვენი კონფიდენციალური წყაროს ცნობით, საქმეში მესამე ნანემსარიც ფიგურირებს ზურგის არეში, რაზეც ვარაუდობენ, რომ სწორედ იქ გაკეთებული ინექციით დადგა სიკვდილი.

ექსპერტიზის გაუხმაურებელი დეტალი

გამოძიება რომ ექსპერტიზას არ ენდობოდა, ჯერ კიდევ სამი თვის წინ გახდა ცნობილი, როცა პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ექსჰუმაციის საკითხზე ისაუბრა და ისიც აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებს შვეიცარიისა და ისრაელის ლაბორატორიებთან აწარმოებენ. დღეს კი ექსჰუმაცია გამოძიების პირდაპირი ვალდებულება გახდა, ვინაიდან ექსპერტ ლევან ჩაჩუას ტიზის მიკროსკოპული კვლევის ნაწილში აღმოვაჩინე დაზიანების აღწერა. ახლა, როცა ეს ფოტოები ვნახე, ჩემთვის სრული სურათი აღდგა – ეს იყო ის ჰემატომა ტვინის მაგარ გარსზე, რომელიც ფოტოებზე თვალსაჩინო იყო. სამწუხაროდ, ეს თვალსაჩინო არ აღმოჩნდა ექსპერტისთვის, რადგან ამ აღწერილი დაზიანებისთვის შეფასება არ მიუცია.

– აბა, ვინ აღწერა ის?

– პათანატომებმა. მათ დაწერეს ნამუსიანად, რაც ნახეს. სიცოცხლისდროინდელია ეს ჩაქცევა. ჩაჩუა კი ამას არ წერს იმ დროს, როდესაც შეფასებული აქვს ჟვანიას სხეულზე ოპერაციის შემდგომდროინდელი ნაწიბური. დასკვნა თქვენთვის მომინდვია... გულწრფელად მიხარია, რომ პრემიერმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სიცოცხლისდროინდელია დაზიანებები. მაშინვე გამახსენდა მერაბიშვილის განცხადება 2005 წლის 3 თებერვალს, დილის 8 საათზე. მერაბიშვილმა შედეგი თქვა მაშინ, როდესაც არაფერი არ არსებობდა, ღარიბაშვილმა კი თქვა ის, რაც ამდენ ხანს იდო და არავის შეუმჩნევია. ორი განცხადება ერთი ადამიანის გარდაცვალებაზე – ერთი აბსოლუტურად არაარგუმენტირებული და მიმართულების მიმცემი, ყოვლად თავხედური თავის სითამამით და დაუსაბუთებლობით, მეორე – არგუმენტირებული.

– ეს დაზიანებები ექსჰუმაციის დროს არ გამოჩნდება, ალბათ...

– ექსჰუმაცია ახლა ამ გამოძიების ვალდებულებაა უკვე, რადგან ამ საქმეს ექსპერტიზის დასკვნა უკვე აღარ აქვს. ამ დასკვნიდან რაღაცების შენარჩუნება შეიძლება. თუ მართლა არსებობს ექსპერტიზის ვიდეოვერსია. ამ შემთხვევაში, თუნდაც ეს მიკროსკოპული აღწერილობა შეიძლება შეინარჩუნო. როდესაც ფოტოზე არის სხვა და ექსპერტმა დაწერა სხვა, დაჭერის გამო, საქმე საექსპერტო დასკვნის გარეშე დარჩა.

მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ სკანდალურ ფოტოებზე აღნიშნული დაზიანებების განხილვით, ვინაიდან საინფორმაციო საშუალებებმა ეს კვირის განმავლობაში ისედაც ყაირათიანად მოახერხეს. თქვენს ყურადღებას მხოლოდ ორ დეტალზე გავამახვილებთ:

თუ ფოტოები ავთენტურია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის თვალხილული დაზიანებებიც, რომლებიც ექსპერტისთვის უხილავი აღმოჩნდა, რეალურია. თუმცა გოგორიშვილი შეეცადა, დავერწმუნებინეთ, რომ ის გაკვეთის დროს წარმოიქმნა...

თუ აქამდე არსებულ ექსპერტიზის მასალებს გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ ცხედრების გარეგნულ აღწერას, სადაც ზუსტად ის სამოსია დეტალურად განხილული, რომელიც ჩვენ ფოტოებზე ვიხილეთ. გარემოც, სადაც ჟვანია და უსუპოვი წვანან, სულაც არ ჰგავს სასექციოს. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფოტოები გაკვეთამდეა გადაღებული, რადგან, როგორც წესი, გაკვეთის შემდეგ ტანსაცმელი მტკიცებულებად რჩება, ხოლო ცხედრებს სხვა სამოსით მოსავენ ხოლმე.

ახლა კი, რაც შეეხება ყველაზე საგულისხმო დეტალს, ამის შესახებ „პრაიმტაიმის“ მკითხველს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი უამბობს:

– ნლების წინათ, როდესაც ვახო კომახიძემ ეს მასალები მომიტანა, ექსპერტიზის მიკროსკოპული კვლევის ნაწილში აღმოვაჩინე დაზიანების აღწერა. ახლა, როცა ეს ფოტოები ვნახე, ჩემთვის სრული სურათი აღდგა – ეს იყო ის ჰემატომა ტვინის მაგარ გარსზე, რომელიც ფოტოებზე თვალსაჩინო იყო. სამწუხაროდ, ეს თვალსაჩინო არ აღმოჩნდა ექსპერტისთვის, რადგან ამ აღწერილი დაზიანებისთვის შეფასება არ მიუცია.

– აბა, ვინ აღწერა ის?

– პათანატომებმა. მათ დაწერეს ნამუსიანად, რაც ნახეს. სიცოცხლისდროინდელია ეს ჩაქცევა. ჩაჩუა კი ამას არ წერს იმ დროს, როდესაც შეფასებული აქვს ჟვანიას სხეულზე ოპერაციის შემდგომდროინდელი ნაწიბური. დასკვნა თქვენთვის მომინდვია... გულწრფელად მიხარია, რომ პრემიერმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ სიცოცხლისდროინდელია დაზიანებები. მაშინვე გამახსენდა მერაბიშვილის განცხადება 2005 წლის 3 თებერვალს, დილის 8 საათზე. მერაბიშვილმა შედეგი თქვა მაშინ, როდესაც არაფერი არ არსებობდა, ღარიბაშვილმა კი თქვა ის, რაც ამდენ ხანს იდო და არავის შეუმჩნევია. ორი განცხადება ერთი ადამიანის გარდაცვალებაზე – ერთი აბსოლუტურად არაარგუმენტირებული და მიმართულების მიმცემი, ყოვლად თავხედური თავის სითამამით და დაუსაბუთებლობით, მეორე – არგუმენტირებული.

– ეს დაზიანებები ექსჰუმაციის დროს არ გამოჩნდება, ალბათ...

– ექსჰუმაცია ახლა ამ გამოძიების ვალდებულებაა უკვე, რადგან ამ საქმეს ექსპერტიზის დასკვნა უკვე აღარ აქვს. ამ დასკვნიდან რაღაცების შენარჩუნება შეიძლება. თუ მართლა არსებობს ექსპერტიზის ვიდეოვერსია. ამ შემთხვევაში, თუნდაც ეს მიკროსკოპული აღწერილობა შეიძლება შეინარჩუნო. როდესაც ფოტოზე არის სხვა და ექსპერტმა დაწერა სხვა, ყოველთვის უპირატესობა ეძლევა ექსპერტის დასკვნას. ხშირად მინახავს, რომ ფოტოზე დევს დეფორმირებული ტყვია, დასკვნაში კი ნაჩვენებია იდეალური ტყვია. ამ დროს ექსპერტის დასკვნას ანიჭებენ უპირატესობას მაშინ, როცა გაყალბდა მტკიცებულება. სასამართლო დღესაც კი ამას არაფრად დაგიდევს. ეს იქნება პრეცედენტი, სადაც გამოჩნდება, რომ ტყუილად არ ტარდება ეს ვიდეოგადაღება და ფოტოგადაღება და თუ ექსპერტი რამეს გამოტოვებს, სწორედ ეს გადაღებული კადრები ამხელს მას. ჩემთვის ძალიან საინტერესოა ეს თემა – როგორ უნდა შეინარჩუნო ამ ექსპერტიზის ნაწილი, რომ არ დაიკარგოს. ეს მართლა პრეცედენტი იქნება პროცედურულად. ისიც, რომ ვიდეომ და ფოტომ ექსპერტის მინუსი აჩვენა და ეს დასტურდება, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. მართალი გითხრათ, მე ასეთ რამეს არ ველოდი. ეს არის სერიოზული გაბედულება და მტკიცებულებითი სამართლის ძალიან გაძლიერება.

პრემიერის სექსუალური ორიენტაცია და ნაციონალების გულწრფელი შანტაჟი

მართალია, სააკაშვილი გვიმტკიცებს, რომ მისთვის ზურას სახელი წმიდათაწმიდა იყო და მან, უბრალოდ ნამუსი შეუნახა მას, მაგრამ მის ამ განცხადებაში ეჭვის შეტანის საფუძველი ნამდვილად არსებობს, ვინაიდან შემთხვევიდან 9 წლის განმავლობაში მოსმენილი ე.წ. დანდობითი საუბრების წყალობით საქართველოში ყველა დაეჭვდა გარდაცვლილი პრემიერის ორიენტაციაზე. და მერე რა?.. თუ საზოგადოება უბრალოდ დასვამს ამ ძალიან მარტივ კითხვას, ალბათ, უფრო ადვილი გახდება ნაციონალების იმ გულწრფელ შანტაჟთან გამკლავება, რომელსაც უკვე რახანია გვამადლიან სრულიად საქართველოს...

თუმცა, არაშანტაჟური გულწრფელობით შეიძლება მოვითხოვოთ გრიფის ახსნა ფედერალური ბიუროს იმ ყბადაღებულ გასაიდუმლოებულ ნაწილზე, რომლის არსებობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ნამდვილად არსებობს, რასაც თავის დროზე „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტი ვახო კომახიძეც ადასტურებდა: „თუ მართლა არსებობს „ეფბიაის“ ასეთი დასკვნა, გვაჩვენონ. მისი განცხადებიდან გამოდის, რომ ყველასთვის ცნობილი დასკვნის საწინააღმდეგო სხვა დასკვნა დადო ფედერალური ბიურომ? ასეთი რამ წარმოუდგენელია. როდესაც მის მთავარ დოკუმენტზე ფილმი გავაკეთე, მაშინ ამერიკის საელჩოში შევხვდი ფედერალური ბიუროს წარმომადგენელს და მისგან ვიცი, რომ ეს არის ერთადერთი დასკვნა და სხვა არ არსებობს. ვთქვათ, რომ მაინც არსებობს სხვა დასკვნა, რომელზეც სააკაშვილი მიგვანიშნებს, რისთვის სჭირდებოდათ ის, რომ სააკაშვილს საფლავში ჩაეტანა, როცა ის ამის გაკეთებას ამკარად არ აპირებს? როცა ფედერალური ბიურო საქართველოში ჩამოვიდა, მაშინ ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი უკვე დაკრძალულები იყვნენ. ამიტომ, რაც ასეთი კვლევისთვის არის საჭირო, ამისთვის მასალას ვერ აიღებდნენ“.

თუ აქვე სააკაშვილის თვისებასაც გავითვალისწინებთ, „ფეხზე დაიკიდოს“ საკუთარი იმიჯი და გავიხსენებთ, როგორ აგინებდა უცხოური ტელეკამერების წინ საკუთარ დაცვას, რომელმაც დროზე ვერ გაიყვანა გორში დაბომბილი ტერიტორიიდან, ან კიდევ ჩართული კამერის წინაშე ღეჭავდა ჰალსტუხს, რთული წარმოსადგენია, რომ ის საკუთარი თავისუფლების საფრთხის ფასად ჟვანიას სახელს უფრთხილდება, მით უმეტეს, რომ მათი არაკეთილსაიმედო ურთიერთობის შესახებ ყველასთვის ისედაც კარგად იყო ცნობილი.

რატომ დაიკითხა ლევან სამხარაულის მკვლელის დედა?

თუმცა, რთული წარმოსადგენია ეჭვი შეიტანო მიშა მაჭავარიანის, ან ხათუნა გოგორიშვილის ემოციურ გულწრფელობაში. ამიტომაც, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მათთვის მართლაც ის არის ცნობილი, რაც ცნობილია და როგორც ჩანს, მიზანმიმართულადაც...

სადამდე მივა ჯაჭვი?

როგორც კი ჟვანიასა და უსუპოვის თემაზე იწყება საუბარი, ლოგიკურად თითქმის ყოველთვის გრძელდება ექსპერტიზის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელის, ლევან სამხარაულის მკვლელობით და მისი მკვლელის, დავით მჭედლიშვილის საეჭვო, ორი იარაღით თვითმკვლელობით. დღეს თამამად გაისმის ვერსია იმის შესახებ, რომ სპეცსამსახურებმა ჯერ სამხარაული მოიშორეს, რომელიც ერთადერთი რგოლი იყო ადეიშვილსა და ექსპერტებს შორის, რომელიც საქმეებს ამ გზით იუსტიციის მინისტრის დაკვეთით აყალბებდნენ და არსებობდა საფრთხე, რომ შესაძლოა მისგან ინფორმაცია გაჟონილიყო, ამის შემდეგ კი მოკლეს მისი მკვლელი.

ერთი წლის წინათ „პრაიმტაიმმა“ ერთგვარი გამოძიება გამოაქვეყნა ამ თემაზე, თუმცა მაშინაც დაგვრჩა კითხვები, მაგრამ ახლა, როდესაც შევიტყვეთ ამბავი, რომელსაც, რა თქმა უნდა, მკითხველსაც შევატყობინებთ, ამ კითხვებს თავისი ლოგიკური ახსნაც შეიძლება მოეძებნოს.

კონფიდენციალური წყარო გვატყობინებს, რომ დაახლოებით 2 კვირის წინ პროკურატურამ დავით მჭედლიშვილის დედა, ქალბატონი მზია მჭედლიშვილი დაკითხა, ვინაიდან ის აქამდე არსებულ საქმეში ერთ-ერთი მთავარი მონმე იყო, ვინც აცხადებდა, რომ გაიგო კიბეებზე არბენის, მალევე კი ერთი გასროლის ხმა და მისი შვილი მეორე სართულზე ოთახში ორი იარაღით თავმოკლული აღმოაჩინა. ამ ამბის მერე ცხრა წელი გავიდა და მაშინვე გაგვაკვირვა შიშმა, რომელიც ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, ამ ქალბატონში ისევ არსებობდა...

ჩვენი წყარო დავით მჭედლიშვილის გარდაცვალებას სულ სხვაგვარად აღწერს და აცხადებს, რომ როდესაც ის სახლში დაბრუნდა, მას ჭიშკართან ესროლეს, თანაც ორი ტყვია. ამ აღწერილობაში ლოგიკურად ველარ ჯდება დედის ჩვენება, რომელმაც გარდაცვლილი შვილი მეორე სართულზე აღმოაჩინა. თუმცა ინფორმირებული წყარო გვარწმუნებს, რომ ქალბატონი მაშინ იძულებული გახადეს ასეთი ჩვენება დაედო, დღეს კი ის უკვე ახალი გამოძიების მოწმეა.

„პრაიმტაიმი“ ქალბატონ მზია მჭედლიშვილს ამჯერადაც დაუკავშირდა და ახლაც ემოციური პასუხი მიიღო: „არ მაინტერესებს არაფერი. თქვენ ქულებს იწერთ, ჩემთვის კი ეს მომაკვდინებელია. არ მინდა, ხალხო, დამანებეთ თავი. იტყვიან სიმართლეს? – თქვას გამოძიებამ. ჩვენ ჩამორთმეული გვაქვს ჩვენება და დამანებეთ თავი. თქვენთვის ეს სეირია...

– იმედია, როცა ამას ამბობთ, ჩვენ არ გვგულისხმობთ კონკრეტულად... ქალბატონო მზია, პროკურატურაში დაგკითხეს ორი კვირის წინ?

– ეს არავის საქმე არ არის, მე დამკითხეს, თუ გადამკითხეს.

...და კავშირი გაწყდა.

სამწუხაროდ, ახლა საშუალება არ გვეძლევა, დავით მჭედლიშვილის ექსპერტიზის დეტალები კიდევ ერთხელ გავაცნოთ ჩვენს მკითხველს, თუმცა, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამ საკითხებთან დაბრუნება მომავალშიც მოგვინევს.

მანამდე კი შეგვიძლია გითხრათ, რომ ჟვანიას საქმის გახსნის შემთხვევაში ეს არ იქნება ერთადერთი საქმე, რომელსაც ნათელი მოეფინება. სავარაუდოდ, სწორედ ამ საქმეზეა მიბმული გია კრილაშვილის სპეცოპერაციის დროს მკვლელობა და 2005 წელს საზღვაო ძალების ყოფილი სარდლის, ზურა ირემაძის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი სკანდალი მი
და თემურ ალას

რა გზებით გადიოდა ამერიკული ავტომატები ვენესუელაში?

მარიამ ნადირაძე

რასაც ამ ინტერვიუში გაიგებთ, ეს კიდევ ერთი სკანდალია, რომლის შესახებაც აქამდე ჯერ არაფერი გვსმენია. ჩვენი რესპონდენტი ის სამხედრო ექსპერტია, რომელმაც საზოგადოებას თემურ ალასანიასა და დავით კეზერაშვილის საერთო ბიზნესი – იარაღით ვაჭრობა გაუშიფრა, გამოძიებას კი საკუთარი მასალებით დაეხმარა, რომ ჟვანიას გარდაცვალების საქმესა და სააკაშვილის ბიძის შესაძლო ბიზნესს შორის ერთგვარი კავშირი დაენახა.

„პრაიმტაიმი“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ სამხედრო ექსპერტების ეს ჯგუფი კვლავაც განაგრძობდა მუშაობას ამ თემაზე და ახალ გარემოებებს მკითხველი სწორედ ჩვენი გაზეთის საშუალებით გაეცნობოდა.

მაშ ასე, ტრისტან წითელაშვილი ექსკლუზიურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის აქამდე უცნობ გარემოებებს ახდის ფარდას და როგორც კი თქვენ ამის შესახებ შეიტყობთ, ის ამავდროულად პროკურატურაში წარადგენს მის ხელთ არსებულ მასალებს:

– ეს ამბავი, რასაც ახლა გეტყვით, ჯერ არსად გაჟღერებულა. პირველად თქვენთან ვამბობ: მიხეილ სააკაშვილი და მისი ბიძა, თემურ ალასანია იარაღს მარტო სირიაში არ ყიდდნენ. 2006 წელს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და ტყვიამფრქვევების დიდ პარტიებს ყიდდნენ ქურთ მეამბოხეებზე. ისინი მოქმედებდნენ ერაყის ტერიტორიაზე ამერიკული ქვედანაყოფების წინააღმდეგ. მათ მარნეულში ჰქონდათ გასაყიდი იარაღის სამალავი. ეს საკმაოდ დიდი საცავი იყო და მის მოწყობაზე თითქმის 6 თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

– მარნეულში რატომ იყო ეს საცავი?

– მარნეულიდან გადადიოდა იარაღი თურქეთში. იქ ხვდებოდა ქურთების ხელში, რომლებიც მოქმედებდნენ ერაყის ტერიტორიაზე. როდესაც იარაღის გარკვეული რაოდენობის რეალიზაცია მოხდა, კვალის დაფარვის მიზნით, ეს საცავი დაწვეს. ამის შესახებ ინფორმაცია გავიდა კიდეც, რომ მარნეულში იარაღის საწყობი დაიწვა.

– როდის გაჟღერდა ეს ინფორმაცია?

– 2006 წელს. სწორედ ეს იარაღის საცავი იყო, სადაც გასაყიდად გამზადებული ავტომატები და ტყვიამფრქვევები ინახებოდა.

– თუ ეს ყველაფერი სააკაშვილის ხელდასხმით ხდებოდა, ვის შეიძლებოდა მისი ხელისუფლების პირობებში მოსვლოდა აზრად, რომ მისი „ლობირებული ბიზნესის“ კვალი წაეშალა?

– რა ძალაუფლებაც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, ის ყოველთვის ცდილობს, დანაშაულის კვალი წაშალოს. ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია ადამიანთა გარკვეულმა წრემ უკვე იცოდა. შესაბამისად, მტკიცებულება გარკვეულ ეტაპზე უნდა განადგურებულიყო.

– რა ტიპის საცავები იყო? 6 თვე რას აშენებდნენ?

– მასშტაბები დიდი არ ჰქონდა.

– ეს ერთადერთი საცავი იყო, თუ ერთ-ერთი?

– ერთ-ერთი საცავი იყო, რომელიც გასაიდუმლოებული ჰქონდათ. ამ მიმართულების კურატორობა დავალებული ჰქონდა ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის პირს, რომელიც ახლა საქართველოში იმყოფება. დღეს ის აღარ არის თანამდებობაზე. მის ვინაობას დეტალების უფრო მეტად დაზუსტების შემდეგ გაგიმხელთ. მას უშუალოდ ჰქონდა დავალებული, იარაღი თურქეთის მიმართულებით გადაეტანა.

– სამართალდამცველები თუ ჩაყენეთ საქმის კურსში ამ პიროვნების თაობაზე?

– იციან სამართალდამცველებმა და ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით... არის კიდევ ერთი დანაშაული, რომელიც ხმამაღლა ვიტყვი, რომ ჩაიდინა მიხეილ სააკაშვილმა. პროკურატურამ მას კითხვები ამ დანაშაულის გარშემოც უნდა დაუსვას.

– რა დანაშაულს გულისხმობთ?

– 2007 წელს თავდაცვის სამინისტრომ ამერიკიდან შეისყიდა 40 ათასი ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „M-4“. ამ შესყიდვის შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს ყველა მასალა და დღეს თქვენთან რომ ვიტყვით, ხვალ ამ მასალებს პროკურატურაში მივიტანთ.

– რა მასალებს გულისხმობთ?

– როცა ეს იარაღი ჩამოვიდა ამერიკიდან, მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 5000 ცალი დაურიგდა ჯარს. დანარჩენი 2008 წლის მაისში წაიღეს გორში. იქ საცავებში იყო შენახული. 2008 წლის 9 აგვისტოს, როდესაც საბრძოლო მოქმედებები უკვე მიმდინარეობდა, გორის საცავებს მიადგა რამდენიმე სატვირთო ავტომანქანა, ჩაიტვირთა ეს ავტომატები. მანქანები წამოვიდა თბილისის მიმართულებით და შევიდა ტერმინალში „საჰაერო კარიბჭე“.

– ეს ის ტერმინალია, რომლის ძველი მეპატრონე მოგვიანებით დაიჭირეს და კეზერაშვილმა მიისაკუთრა? ამის შესახებ თქვენ წინა ინტერვიუებში გვიამბობდით (ამ ინტერვიუების მიხედვით, ზურა ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა აეროპორტის გასხვისებას პირდაპირი მიყიდვის წესით, რასაც თემურ ალასანია ლობირებდა, ამ ჯგუფს სჭირდებოდა ტერმინალი. ასეთი უკვე არსებობდა აეროპორტის ტერიტორიაზე – „საჰაერო კარიბჭე“. – მ.ნ.)

– დიახ, ეს სწორედ ის ტერმინალია. საქართველოში დატოვეს მხოლოდ 4000 ცალი ავტომატი. დანარჩენი გაიტანეს ვენესუელის მიმართულებით. ჩვენთვის ცნობილია, ვინ ხელმძღვანელობდა ამ იარაღის ჯერ გორიდან თბილისის მიმართულებით წამოღებას და შემდეგ საქართველოდან გატანას.

– არ შეგიძლიათ, დაასახელოთ მისი ვინაობა?

– ამას მომავალ ნომერში მოგახსენებთ. მეტსაც გეტყვით: პირველი პარტია უპრობლემოდ გაიყიდა ვენესუელაში. მაგრამ მაშინ, ეტყობა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა და მეორე პარტია იქ დააკავეს. მაშინ



როდის დაიკითხა ვანო მერაბიშვილი ჟვანიას საქმეზე და რატომ გაჟღერდა ეს 21 მარტს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხეილ სააკაშვილისა ანიას გარშემო

ვინ გაიტანა იარაღი გორის საცავებიდან 2008 წლის 9 აგვისტოს თბილისის აეროპორტის მიმართულებით?

რამდენიმე თვის წინ, თქვენ განაცხადეთ, რომ კეზერაშვილმაც და მერაბიშვილმაც თანამშრომლობა დაიწყეს სამართალდამცველებთან. ოფიციალურად გაჟღერდა, რომ ჟვანიას საქმეზე მერაბიშვილმა 21 მარტს მისცა ჩვენება...

– ეს ასე იყო საჭირო. 21 მარტს ამას, უბრალოდ, ოფიციალური სახე მიეცა. თუმცა მოგეხსენებათ, არსებობს გამოძიების მუშაობის სპეციფიკაც, როდესაც ადამიანი არაოფიციალურად აწოდებს ინფორმაციას გამოძიებას და შემდეგ ის იწყებს ამ მიმართულებაზე მუშაობას.

– გინდათ თქვათ, რომ მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა გამოძიებას გაცილებით ადრე მიაწოდეს ინფორმაცია?

– რა თქმა უნდა. კეზერაშვილმა გარკვეული ინფორმაციები გასცა პატიმრობის დროს. აბა, თქვენ როგორ გგონიათ, ასე ადვილად უშვებს „შეცდომებს“ პროკურატურა ასეთი მნიშვნელობის საქმეებზე, რომლის „დამსახურებითაც“ კეზერაშვილი საქართველოს არ გადმოსცეს? ან მერაბიშვილს 5 წელი რომ მიუსაჯეს, ეს არ არის მისთვის შეღავათი?

– თავის დროზე, როდესაც მერაბიშვილმა განაცხადა, ფარცხალაძემ გამიტაცაო, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს განაცხადი მან საკუთარი ნამოქმედარის შესანიღბად გააკეთა. გულისხმობთ, რომ მაშინ შედგა ეს გარიგება?

– რა თქმა უნდა. ასეთი გარიგებები არაოფიციალურად ხდება და არ ფიქსირდება რაიმე სახის დოკუმენტზე.

– მაშინ ამ ლოგიკით მალე „ნაციონალური მოძრაობის“ საზღვარგარეთული ანგარიშებიც უნდა გაიშიფროს. მერაბიშვილი აცხადებდა, რომ ფარცხალაძე მისგან ინფორმაციებს ჟვანიაზე და ამ ანგარიშებზე ითხოვდა...

– ამ თემაზე პროკურატურა ინტენსიურად მუშაობს და უკვე იციან ოფშორულ ზონებში, კონკრეტულად რომელ ქვეყნებში რა ანგარიშები აქვთ გახსნილი. ამას მოკლე ხანში გააჟღერებს პროკურატურა.

რა ინფორმაციებს ფასად განთავისუფლდა დავით კეზერაშვილი?

რამდენიმე სააგენტოში გაჟღერდა, როგორ დააკავეს საქართველოდან წაღებული ტვირთი, „M-4“-ები ვენესუელის უშიშროების სამსახურებმა. ინფორმაციის გასვლისთანავე ეს ჯგუფი ამუშავდა და მოახერხეს ამ ინფორმაციის ლოკალიზება და ჩაფარცხვა.

– იმ დროს, როცა საქართველო თავად ომობდა, რატომ უნდა დასჭირვებოდათ ამ იარაღის სხვა ქვეყანაში გატანა? ეს რა სქემა იყო?

– ომი საუკეთესო საშუალება იყო მათთვის, რომ გაყიდული იარაღი ჩამონერილებად, ომის დანაკარგად აღრიცხულიყო. რუსებმა კონფლიქტის რეგიონიდან გაიტანეს ეს ავტომატები, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რა რაოდენობა მოხვდა მათ ხელში რეალურად. შესაბამისად, ადვილად დასადგენია, რა რაოდენობა გავიდა საჰაერო ტერმინალიდან. ასე რომ, ეს ყველაფერი დაფიქსირდა საბრძოლო დანაკარგად და მათი რაოდენობა 4000-ის ნაცვლად 35 ათასი დაიწერა. ეს მხოლოდ ავტომატებზე მოხდა, თორემ სხვა ტიპის შეიარაღებაც გასამმაგებულად არის აღრიცხული დანაკარგში.

– თქვენ „საჰაერო კარიბჭიდან“ მხოლოდ ამ ავტომატების გატანა გაქვთ გამოკვლეული, თუ სხვა ტიპის შეიარაღებისაც?

– როდესაც ისინი ამ ტერმინალს დაეპატრონნენ, მათ გარშემო აღარ იყვნენ ზედმეტი ადამიანები, რომლებისგანაც შეიძლებოდა გაეჟონა ინფორმაციას. ამიტომაც, თითქმის ყველა სახის შეიარაღება საქართველოდან ამ გზით გადიოდა.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილს ამ თემაზეც დაუსვამენ კითხვებს? ან, საერთოდ, გასცემს პროკურატურის რამე კითხვას ის პასუხს?

– დაზუსტებით ვიცი, რომ სააკაშვილი ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს. სააკაშვილმა ჟვანიას მკვლელობას წინასწარ გაუკეთა ორგანიზება, რადგან ბიძამისისგან ჰქონდა დავალებული მისი ლიკვიდაცია. თვითონ ხელმძღვანელობდა გამოძიების მიმდინარეობასაც, ექსპერტიზასაც, ვერსიის შეთხზვასაც და თითქმის ყველა დეტალს.

– სანამ 19 დეკემბერს სოციალურ ქსელში სკანდალური ფოტოები გამოქვეყნდებოდა, რასაც პროკურატურის მხრიდან ჟვანიას საქმის გამოძიების თვალშისაცემი ტემპი მოჰყვა, ზუსტად 4 დღით ადრე თემურ ალასანია პირველად გამოჩნდა ქართველი საზოგადოების წინაშე, პირდაპირ სატელევიზიო ეთერში. ეს უბრალო დამთხვევაა?

– იმ ეთერზე მეკითხებით, სადაც დაიწყო იმის მტკიცება, რომ მან გადაარჩინა მსოფლიო და განიარაღების ყველა ოპერაციის სათავეში იდგა?.. არავითარი დამთხვევა არ ყოფილა. პროკურატურა კარგა ხანია მუშაობს ჟვანიას საქმეზეც და იარაღით ვაჭრობის საქმეზეც. მაგრამ მათ ეს თემები განცალკევებულ საქმეებად ჰქონდათ. როდესაც მათ ჩვენ მივაწოდეთ მასალები ჟვანიას დამოკიდებულებაზე თბილისის აეროპორტის გასხვისების შესახებ, თემურ ალასანიასა და კეზერაშვილის საერთო ინტერესებზე, „საჰაერო კარიბჭის“ მითვისებაზე, პროკურატურამ ამ ორ საქმეს შორის პირდაპირი კავშირი დაინახა.

– გინდათ თქვათ, რომ დღეს პროკურატურაში ეს ორი საქმე ერთ კონტექსტში განიხილება? ჟვანიას მკვლელობის ერთ-ერთ მოტივაციად არის წარმოდგენილი იარაღის საქმე?

– რა თქმა უნდა, რადგან ჟვანია წინააღმდეგი იყო აეროპორტის ამ გუნდისთვის გადაცემის...

– ეს თქვენი მოსაზრებაა, თუ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებაზე ფლობთ ინფორმაციას?

– ეს არ არის ჩემი მოსაზრება. ამაზე უკვე არსებობენ მოწმეები, ჩვენებებია მიცემული და ამ მიმართულებით მუშაობს პროკურატურა. ამის შესახებ თემურ ალასანიას ინფორმაციები ჰქონდა. უნდა ვთქვათ, რომ პროკურატურაშიც ჰყავთ მათ თავისი ხალხი. ამიტომ მან მიიღო ინფორმაცია, რომ ეს საკითხი ძალიან მალე გაჟღერდებოდა და სერიოზულ დარტყმას მიიღებდა. ამიტომაც დაასწრო იმის გამო, რომ პრაქტიკულად, მისი ლუსტრაცია მოხდა. ამის გარდა, მას სერიოზული პრობლემები გაუჩნდა იმ ქვეყნის სპეცსამსახურში, რომელსაც ის ემსახურება და რომლის გენერალიც არის.

– რომელ ქვეყანას გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, რუსეთს. ის გამოცდილი ჩეკისტია. თანაც რუსეთის მოქალაქეა...

– ერთ-ერთ წინა ინტერვიუში,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

მირიან ბოქოლიშვილი

სკანდალური საქმეების ფინიში – დაიჭერენ თუ არა სააკაშვილს?

გასულ კვირას მთავარმა პროკურატურამ გიული ალასანიას მიხეილ სააკაშვილის მონმის სახით დაკითხვის შესახებ ოფიციალური უწყება ჩააბარა. სპეციალურ ბრიფინგზე კი საგამოძიებო ორგანომ იმ გახმაურებული საქმეების სია გამოაქვეყნა, რომლის ირგვლივაც ყოფილ პრეზიდენტს კითხვებს დაუსვამენ. ამ საქმეებს დეტალურად ოდნავ ქვემოთ მიმოვიხილავთ, მანამდე კი კიდევ ერთხელ აგიხსნით, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი სააკაშვილი 27 მარტს პროკურატურაში არ გამოცხადდება. ღარიბაშვილი ამბობს, რომ, თუ ექსპრეზიდენტი გამოძიებასთან არ ითანამშრომლებს, მასზე კანონის შესაბამისად ძებნა გამოცხადდება.

„მან ყველა კითხვას უნდა გასცეს ამომწურავი პასუხები. თუნდაც გაფანტოს ეჭვები, დაეხმაროს გამოძიებას, სწორად წარმართოს აღნიშნული პროცესი. თუ მას აქვს შენარჩუნებული გარკვეული გონიერება, უნდა ჩამოვიდეს. ის უბრალოდ, ვალდებულია, ჩამოვიდეს, ვინაიდან ამ ქვეყნის პრეზიდენტი იყო 9 წლის განმავლობაში და ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ მთავრობას, პროკურატურას ვგულისხმობ, აქვს კითხვები. მეორე საკითხია, ჩამოვა თუ არ ჩამოვა, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა ჩამოვიდეს, თუ ჯერ კიდევ აქვს საღი აზრი შენარჩუნებული... თუ არ ჩამოვიდა, მასზე, კანონის შესაბამისად, ძებნა გამოცხადდება“, – ავრცელებს პრემიერ-მინისტრის სიტყვებს „ინტერპრესნიუსი“.

ღარიბაშვილის ლოგიკა გასაგებია, თუმცა სხვა საკითხია რამდენად მოახერხებს ქართული მხარე ექსპრეზიდენტის საერთაშორისო ძებნაზე გადაცემას, იმ ფონზე, როდესაც ინტერპოლის ცენტრალური ბიურო დავით კეზერაშვილსაც კი არ სვამდა წითელ ცირკულარში.

პროკურატურაში დაბარების შესახებ კომენტარი მიხეილ სააკაშვილმა ჰოლანდიაში გააკეთა.

„თუ პუტინი თვლის რომ წყნარად ჩავბარდები, ეს დიდი სისულელეა, მე ვაპირებ გავაგრძელო ბრძოლა საქართველოს და მთელი რეგიონის გათავისუფლებისთვის. საქართველოში ჩამოვალ არა პუტინის ოცნების ასახდენად, არამედ პუტინის დავალებების შემსრულებლებისგან საქართველოს გასათავისუფლებად, ეს დრო იმაზე ადრე დადგება, ვიდრე ივანიშვილს წარმოუდგენია“ – განაცხადა ექსპრეზიდენტმა,

სააკაშვილის ირგვლივ არსებულ საქმეებზე, საზოგადოების დიდი ნაწილი და მათ შორის ქართული მედია, უკვე წლებია, საუბრობს, ამჟამინდელი ხელისუფლება კი, რომელიც ქვეყნის სათავეში სამართლიანობის აღდგენის იდეით მოვიდა, ცდილობს, ამ სახით უპასუხოს საზოგადოების დაკვეთას.

ჟვანიას საქმე

ეს ის თემაა, რომელიც გასულ კვირას პროკურატურაში არაერთი ბრიფინგის საფუძველი გახდა. გაჩნდა მოსაზრება, რომ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე, საგამოძიებო ორგანო დასკვნით ფაზაში გადავიდა და სწორედ ამას მოჰყვა მიხეილ სააკაშვილის მონმის სახით დაბარებაც. მანამდე კი ამ თემის ირგვლივ გამოძიებამ არაერთი პირი დაკითხა, მათ შორის პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე, რომელმაც, მისივე კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენება სწორედ ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ მისცა. ჟვანიას გარდაცვალებას კაკაბაძე სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიასა და ზურაბ ჟვანიას ინტერესების გადაკვეთას ასახელებს.

„მე მაქვს ინფორმაცია, რომ თემურ ალასანიასა და ჟვანიას ურთიერთობა გაფუჭდა მაშინ, როდესაც მან მოინდომა თბილისის აეროპორტის მითვისება. ამის წინააღმდეგი იყო ზურაბ ჟვანია. ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ალასანია ახლა ჭაობიდან ამოძრომას ცდილობს, მაგრამ ის ამას ვერ მოახერხებს, ვინაიდან მას მიუძღვის დიდი წვლილი კონტრაბანდული იარაღის ბიზნესშიც და 2008 წლის ომთან დაკავშირებითაც... ზურაბ ჟვანია წინააღმდეგი იყო, მათთვის აეროპორტი გადაეცა, რადგან იცოდა, რომ მისი გამოყენება ალასანიასა და მის ჯგუფს შავბნელი საქმეებისთვის უნდოდა. პრემიერ-მინისტრს მათი სქემა გაშიფრული ჰქონდა... როცა თემურ ალასანიაზე ვსაუბრობ, მასთან ერთად იგულისხმება მიხეილ სააკაშვილიც... ფაქტია, რომ ჟვანიას საქმეზე ექსპერტიზა გაყალბდა. უფრო მეტიც, პრემიერის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მის საფლავს სპეციალური დაცვა ჰყავდა მიჩენილი. ეშინოდათ, რომ ოჯახს დამოუკიდებლად არ ჩაეტარებინა მისთვის ექსპერტიზა. ეს დაცვა მე თავად მყავს ნანახი საფლავზე... სააკაშვილი და თემურ ალასანია ყველგან ერთად მოქმედებდნენ. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ინტერესებშიც შედიოდა ჟვანიას მოცილება, რადგან იარაღით ვაჭრობის საქმეში ისიც ჩართული იყო უკრაინის ნაწილში. ამ ბიზნესში, თბილისის აეროპორტის გარდა, ფოთისა და ბათუმის პორტებიც გამოიყენებოდა და ასევე, თბილისში არსებული ტერმინალი „საჰაერო კარიბჭე“.

„ბეზეკის“ საქმე

ჟვანიას გარდაცვალების საქმე ერთადერთი არაა, სადაც მიხეილ სააკაშვილთან ერთად თემურ ალასანიას სახელმაც გაიჟღერა. პროკურატურაში განმარტავენ, რომ გამოძიება მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას შპს „ბეზეკის“ უკანონო პრივატიზების ფაქტზეც გეგმავს. ეკონომიკურ პორტალ BPN-თან საუბრისას კომპანია „ბეზეკის“ დირექტორი, თემურ გაგნიძე ამბობს, რომ პროკურატურა მიხეილ სააკაშვილს ბიძისთვის, თემურ ალასანიასთვის თბილისში 5,5 ჰა ფართობის მიწის დაბალ ფასში გადაცემას ედავება.

როგორც გაგნიძემ აღნიშნა, წისქვილკომბინატი „ბეზეკი“ 2007 წლიდან მუშაობს, გაფართოების მიზნით განაცხადი ობიექტის გვერდით არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეიტანეს, თუმცა, საბოლოო ჯამში, მისი დაკანონება სამი წლის შემდეგ შეძლეს.

როგორც გაგნიძე აცხადებს, მიწის ფართობში ოთხმა მფლობელმა, რომელთა შორის, ერთ-ერთი თემურ ალასანიაა, 1 მილიონ 825 ათასი ლარი გადაიხადეს.

კომპანია „ბეზეკი“ უკვე ერთი წელია, არ მუშაობს. როგორც მენეჯმენტი აცხადებს, მიზეზი იაფფასიანი უცხოური ფქვილია, რომელსაც კონკურენციას ვერ უწევენ.

გირგვლიანის საქმე

ამ საქმეს თამამად შეიძლება ეწოდოს სააკაშვილის მთავრობის ყველაზე დიდი სკანდალი... სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს წლების განმავლობაში საზოგადოების ინტერესი არ მოჰკლებია. ამ საქმეზე არაერთი მაღალჩინოსანს წაუყენეს ბრალი, მათ შორის ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას... ახლა კი, როგორც ჩანს, გამოძიება სააკაშვილის კვალზე გასვლას ცდილობს. საუბარია იმაზე, რამდენად კანონიერად მოხდა გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული კუდ-ის ოთხი მაღალჩინოსნის შეწყალება, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. „პრაიმტაიმის“ არქივში ამ თემაზე არაერთი სტატია იძებნება, მათ შორის თავად გასამართლებული კუდ-ის მაღალჩინოსნების ჩვენებები. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ალექსანდრე ღაჭავა დეტალურად აღწერს, როგორ დაიგეგმა მათი დაპატიმრება იმ გარანტიით, რომ სულ მალე პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე გაათავისუფლებდნენ.

„2007 წლის 6 მარტს დათა ახალაიამ შეგვკრიბა მე, ავთანდილ აფციაური, გია ალანია და მიხეილ ბიბილურიძე. გვითხრა, – დღეს უნდა მოხდეს თქვენი დაკავებაო, რის შემდეგაც დათა ახალაია თვითონ ჩამოგვყვა მოდულის შენობის პირველ სართულზე, იზოლატორის შესასვლელთან ჟურნალისტების თანდასწრებით დაგვადო ხელბორკილები, გაგვიყვანეს გარეთ და წაგვიყვანეს გენერალურ პროკურატურაში. საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ, საღამო ხანს გადაგვიყვანეს ისევ მოდულის შენობაში. იმავე საღამოს გაგვიყვანეს დაკითხვების ოთახში, სადაც შემოვიდნენ დათა ახალაია, ვასილ სანოძე და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი. ვანო მერაბიშვილი თითოეულს მოგვესალმა და ვასილ სანოძესა და დათა ახალაიას უთხრა, – იცოდეთ, ამ ბიჭების ადგილას თქვენ უნდა იყოთო. შემდეგ ჩვენ მოგვმართა და გვითხრა, – თქვენ არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო“, – იხსენებს კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი.

ამის შემდეგ იყო სასამართლო პროცესები, რომელიც დასრულდა ასეთი განაჩენით: გია ალანია – 7 წელი, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური – 6-6 წელი. ბრალდებულები სასჯელის მოსახდელად ზაჰესის მე-10 ზონაში გადაიყვანეს, საიდანაც 2008 წლის 5 სექტემბერს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე განთავისუფლდნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელ ქვეყანას სთხოვს ექსპრეზიდენტი პოლიტიკურ თავშესაფარს?

ტელეკომპანიების საქმე

სანამ პროკურატურა მიხეილ სააკაშვილს დაკითხვაზე ოფიციალურად მიიწვევდა, მანამდე საგამოძიებო ორგანოს სტუმრობდა მისი ყოფილი თანაგუნდელი ირაკლი ოქრუაშვილი. ოქრუაშვილი ჟურნალისტებთან მცირე კომენტარით შემოიფარგლა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ჩვენებას ერთ-ერთი ტელეკომპანიის მითვისების საქმეზე აძლევდა. ლოგიკურია, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი „რუსთავი 2“-ს წილების გადანაწილების საქმეზე დაკითხულიყო, ვინაიდან საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ იმ პერიოდში ამ არხზე ოქრუაშვილს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა. „რუსთავი 2“-ს მფლობელი გახლდათ ოქრუაშვილის უახლოესი მეგობარი, ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში, რომელმაც ქვეყანა ოქრუაშვილის კვალდაკვალ დატოვა. დღეს ისიც სააკაშვილს ადანაშაულებს ტელეკომპანიის მითვისებაში და არაერთხელ განაცხადა, რომ „რუსთავი 2“-თვის ბრძოლას გეგმავს, თუმცა, თავის მხრივ, ამ ტელეკომპანიაზე პრეტენზიას აცხადებს მისი წინა მფლობელი ეროსი კიწმარიშვილი, მას კი არხის პირველადი მეპატრონეები ედავებიან. ყველა ერთად კი მთელ ამ პროცესში სააკაშვილს ადანაშაულებს.

მოკლედ, ყველა ლოგიკით პროკურატურაში მისული ირაკლი ოქრუაშვილი „რუსთავი 2“-ის თემაზე უნდა დაკითხულიყო, თუმცა იქვე თავადვე განმარტა, რომ „ბევრი რამ იცის ტელეკომპანია „იმედის“ მითვისების საქმეზე“. „იმედი“ კი მართლაც არის ის თემა, რომლის ირგვლივაც პროკურატურას მიხეილ სააკაშვილთან არაერთი შეკითხვა აქვს. როგორც უწყებაში განმარტეს, ექსპრეზიდენტმა უნდა უპასუხოს კითხვებს „2008 წლის თებერვალში, მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის, დარბევის, უკანონოდ დაუფლებისა და გარდაცვლილი არკადი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედებების ფაქტებზე, რაც დასრულდა 2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს ხელისუფლებასა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის მემორანდუმის გაფორმებით“. ჩვენ თავს აღარ მოგაწყენთ იმ დეტალებით, რომელიც ტელეკოპანია „იმედის“ ირგვლივ განვითარდა, თუმცა შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინ, ანუ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობასა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის დადებული საიდუმლო მემორანდუმი გასაჯაროვდა, მმართველი გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენელი ეკა ბესელია ირწმუნებოდა, რომ ამ საქმეში კვალი სწორედ მიხეილ სააკაშვილთან მიდის. „პრაიმტაიმთან“ საუბარში, ბესელიამ განაცხადა: „პატარკაციშვილების ოჯახის მიმართ განხორციელებული ძალადობის კვალი სწორედ სააკაშვილთან მიდის. ბუნებრივია, მის გარეშე ასეთი მასშტაბის ქმედებები არ ხორციელდებოდა. ეს იყო ადამიანი რომელიც უმნიშვნელო დეტალებსაც კი აკონტროლებდა, როგორც მინიმუმ დაკითხვა უნდა მოხდეს, მისი დაკითხვა ბევრ სხვა საქმეზეც აუცილებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს ცალსახად... ჩვენ თვალს ვერ დავხუჭავთ კონკრეტულ დანაშაულებზე. უბრალოდ, შემზარავია ის მასშტაბი, როდესაც ხედავ, რაოდენ დიდი წრეა იმ უწყებებისა, რომლებსაც სააკაშვილი ძალადობრივ ინსტრუმენტად იყენებდა“, – აღნიშნა ბესელიამ.

დაბოლოს, „ტელეკომპანიების საქმეებში“ მოხვდა აჭარაში მოქმედი ტელეკომპანია „ტვ 25“-იც. მმართველ გუნდში ვარაუდობენ, რომ 2012 წლის თებერვალში, „ტვ 25“-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისთვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაცემა, სააკაშვილის უშუალო მითითებით მოხდა.

აგრუნის საქმე

ეს თემაც ბოლო დღეების ერთ-ერთი ხმაურიანი თემა გახდა და საზოგადოების ნანილისთვის მოულოდნელი არც ყოფილა, რომ სააკაშვილს ამ საქმის ირგვლივაც დაუსვამდნენ კითხვებს. მანამდე კი ამ კითხვებს ეკონომიკის ყოფილ მინისტრსა და აგარარული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, კახა ბენდუქიძეს 11 საათის განმავლობაში უსვამდნენ. დეტალურად რა ჩვენება მისცა ბენდუქიძემ და ფიგურირებს თუ არა მისი დაკითხვის ოქმში მიხეილ სააკაშვილი, უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ გამოძიება ამ მიმართულებითაც დაინტერესდა ექსპრეზიდენტის პერსონით.

საქმე ეხება აგრარული უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით უძრავი ქონების პრივატიზებისას კანონის მოთხოვნების გვერდის ავლით, სსიპ „სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის“ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეორგანიზაციას. ასევე, მასთან შერწყმული საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული 14 კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შპს „აგრომეტის“ კაპიტალში წინასწარ შემცირებული ღირებულებით შეტანას, შემდეგ კი შპს „აგრომეტის“ 100% წილის 5 150 000 აშშ დოლარად პრივატიზებას 8 000 000 ლარის საინვესტიციო ვალდებულებით.

„მაშინ, როდესაც შპს „აგრომეტის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავ-მოძრავი ქონების მხოლოდ საბალანსო ღირებულება 65 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო საბაზრო ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ ლარზე მეტია. ცნობისთვის, პრივატიზებული ქონების მხოლოდ ერთი ნანილი თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე განთავსებული 59 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასებულია 10 790 000 ლარად, რომელიც კაპიტალში შეიტანეს 59 000 ლარად (1 კვადრატული მეტრი 10 თეთრად), ანალოგიური გზით შემცირდა სხვა ქონების ღირებულებებიც“, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

„ქართუ ბანკის“ საქმე

დასაკითხ პირთა ფართო წრით თუ ვიმსჯელებთ, ეს საქმე ნამდვილად უპრეცედენტოა. „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმის განხილვა ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს, თუმცა მანამდე გამოძიებას ჩვენება არაერთმა მინისტრა, დეპუტატმა, ბიზნესმენმა თუ სხვა მაღალჩინოსანმა მისცა. ბიძინა ივანიშვილმა ამ საქმეზე რამდენჯერმე განაცხადა, რომ გაკოტრების სქემა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის დაგეგმილი იყო, რათა მაქსიმალურად შეეზღუდა მთავარი ოპოზიციური გაერთიანების ფინანსური რესურსი.

სამართლებრივი ბრძოლა კი ჯერ კიდევ 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დაახლოებით 2 თვით ადრე დაიწყო, როდესაც ივანიშვილმა მსოფლიო ბანკთან არსებულ საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ საარბიტრაჟო განაცხადი შეიტანა, სადაც ნათქვამია, რომ მაშინდელი ოპოზიციონერი ლიდერის ინვესტიციები, ძირითადად „ქართუ ბანკში“, „საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს კოორდინირებული და უხეში პოლიტიკური თავდასხმის სამიზნე გახდა“ მას შემდეგ, რაც მან 2011 წლის ოქტომბერში პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა.

ივანიშვილი აცხადებდა, რომ 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მიღებული სადავო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც საგადასახადო ორგანოებს უპირატესობას ანიჭებდა და რომლის თანახმადაც, პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილებულიყო სახელმწიფოს მიმართ აღებული ვალდებულებები და მხოლოდ შემდგომ დაფარულიყო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, სპეციალურად „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ იქნა მიმართული, რის შედეგადაც ბანკმა 114.6 მილიონი აშშ დოლარით იზარალა. სადავო საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოში მოქმედი დანარჩენი 18 კომერციული ბანკის მიმართ არ იქნა გამოყენებული. ეს რეგულაციები 2012 წლის აპრილის ბოლომდე მოქმედებდა. პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავების შემდეგ, ივანიშვილმა საარბიტრაჟო განაცხადი უკან გამოიტანა, მაგრამ საქმის გამოძიება კვლავაც გრძელდება. სწორედ ამ გამოძიების ფარგლებში აქვს კითხვები პროკურატურას მიხეილ სააკაშვილთან.

პრეზიდენტის საჩუქრები

ამ თემით საგამოძიებო ორგანო ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაინტერესდა, ეს მას შემდეგ, რაც ყოფილმა დეპუტატმა ირინა იმერლიშვილმა პირდაპირ საკანონმდებლო ორგანოში გამოაქვეყნა დოკუმენტები, რითაც ირკვევა, რომ „მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა ცნობილ სახეებს სახელმწიფო დაცვის სამსახურის ბიუჯეტიდან ასაჩუქრებდა“. ეს დოკუმენტაცია იმერლიშვილმა პროკურატურას გადასცა, სადაც განმარტავენ, რომ საერთო ჯამში 8 მილიონი ლარის გაფლანგვასთან გვაქვს საქმე.

დეპუტატ იმერლიშვილის მიერ გასული წლის 17 აპრილს გამოქვეყნებული დოკუმენტით ცნობილი ხდება, რომ 3 500 ლარად შეძენილი ოქროს სამაჯური პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მარიამ საჯაიას 2011 წელს გადასცა, რომელიც თბილისში, შპს „გალერეა შარდენში“ იქნა შეძენილი. გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან შეძენილი ნივთის სასაქონლო ზედნადებს ასევე ახლავს აქტი, სადაც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები ადასტურებენ, რომ შეძენილი სამაჯური გადაეცა პრეზიდენტის სტუმარს მარიამ საჯაიას. მარიამ საჯაია იმ დროისთვის 20 წლის იყო და, სავარაუდოდ, არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა. პრეზიდენტის დასაჩუქრებიდან მალევე, 2012 წლის თებერვლიდან ის სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტია. 2012 წლის მაისში კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც არჩევნებში კენჭისყრის უფლება მიეცა საქართველოს მოქალაქეებს 21 წლის ასაკიდან. 21 წლის მარიამ საჯაია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ სიის მეათე ნომერი იყო და დეპუტატი გახდა.

2012 წლის 10 იანვარს შეძენილია iPhone 4s16Gb Black 1599 ლარად ბიუჯეტის სახსრებით, რომელიც გადაეცა თიკა ბოკუჩავას. ბოკუჩავა ამჟამად არის პარლამენტის წევრი, იმ დროისთვის იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე.

გამოქვეყნებული დოკუმენტებით, 2011 წლის 13 აპრილს შეძენილია ძენკვი და კულონი 982 ლარად, რომელიც გადაეცა უკრაინელ მომღერალ ივანა მელაის. ამას გარდა, სახელმწიფო დაცვის სამსახურის მიერ არის დაფინანსებული ივანა მელაის სასტუმროს მომსახურების ხარჯი „რედისონ ბლუ ივერიაში“ 2011 წლის მარტში და აპრილში, ჯამში, 1311 ლარი.

2011 წლის ოქტომბერში დაფინანსებულია სოფო ნიჟარაძის ავიაბილეთი (245 ლარი) თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით. 2011 წლის მარტში დაფინანსებულია 1125 ლარით 15-კაციანი დელეგაციის ფრენა მესტიაში, დელეგაციაშია სოფო ნიჟარაძე, ნიკა ალასანია და მისი მეუღლე ლიკა ევგენიძე.

სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა გადაიხადა 2010 წლის 3-4 ოქტომბერს ქსენია სოკოლოვას სასტუმროს ხარჯი – 9598 ლარი, ხოლო ზარაფხანაში უყიდეს 2765 ლარის ღირებულების ყელსაბამი.

P. S. ეს არის იმ საქმეების ჩამონათვალი, რომლის ირგვლივაც მთავარი პროკურატურა მიხეილ სააკაშვილის დაკითხვას ითხოვს, ჯერჯერობით მოწმის სახით. „ნაციონალურ მოძრაობაში“ კი აცხადებენ, რომ ხელისუფლება ექსპრეზიდენტს პოლიტიკური ნიშნით დევნის, რამაც ქვეყანა შესაძლოა, სერიოზულ კონფრონტაციამდე მიიყვანოს. თანაგუნდელები საკაშვილს ურჩევენ, არ დაბრუნდეს საქართველოში და, სავარაუდოდ, ის ამ რჩევას გაითვალისწინებს. არსებობს ინფორმაცია, რომ უკვე მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე ქვეყანასთან პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭების თაობაზე. არ გამორიცხავენ, რომ სააკაშვილს ასეთი თავშესაფარი შეერთებულმა შტატებმა, ან უკრაინამ მისცეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კოდუა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას, პროკურატურამ სოდ-ის ყოფილ უფროსს, ერეკლე კოდუას ბრალი წაუყენა. საგამოძიებო ორგანო ცდილობს, მტკიცებულებებით გაამყაროს ის სქემა, რაზეც წლების განმავლობაში საზოგადოების ნაწილი აქტიურად საუბრობდა. საქმე ეხება კონკრეტული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეჩერების, ან საპროცესო გარიგების სანაცვლოდ ძვირადღირებული ავტომობილების ჩუქებას. „პრაიმტაიმისთვის" ცნობილი გახდა, რომ გარდა გასულ კვირას გახმაურებული საქმისა, ერეკლე კოდუასა და სოდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ პროკურატურაში კიდევ ერთი ანალოგიური საქმე დევს, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ, თავად დაზარალებული მოგვიყვება, მანამდე კი მკითხველს განვუმარტავ, რას ედავება ამ ეტაპზე საგამოძიებო ორგანო სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს.

მოკლედ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ერეკლე კოდუას ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მუხლით წაუყენა. გამოძიების ვერსიით, 2008 წლის 29 აგვისტოს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორი თავის სამუშაო ოთახში შეხვდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ მერაბ რობაქიძეს, რომელსაც შეჰპირდა არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

„ეს აშკარად სცილდებოდა კოდუას უფლებამოსილების ფარგლებს. მან სანაცვლოდ მოსთხოვა ორი ავტომანქანის ყიდვა სახელმწიფოსთვის გადასაცემად. მერაბ რობაქიძე დასთანხმდა და მეგობრების მეშვეობით შეიძინა 90 000 აშშ დოლარის საერთო ღირებულების ორი ავტომანქანა, რომელთაგანაც ერთ-ერთი „LEXUS GX 470" მოდელის 45 000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა, ერეკლე კოდუამ ნაცვლად დაპირებისამებრ სახელმწიფოზე გადაცემისა, თაღლითური გზით, მოტყუებით გადააფორმა თავისი არასრულწლოვანი შვილის – ნოდარ კოდუას სახელზე, რითაც სარგებლობდნენ თვით ერეკლე კოდუა და მისი ოჯახის წევრები. მოგვიანებით, ა/მანქანა 20 000 აშშ დოლარად გაასხვისეს სხვა პირზე. გარდა ამისა, 2008 წლის 18 დეკემბერს ერეკლე კოდუამ დედის, ლაურა ღაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან", შემდგომი გადახდის პირობით, შეიძინა 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის" მარკის ავტომობილი", – აცხადებს მთავარი პროკურატურა.

უწყების მტკიცებით, ამის შემდეგ, 2009 წლის თებერვალში, ერეკლე კოდუა თავის სამუშაო ოთახში შეხვდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვის ფაქტზე დაკავებულ ბრალდებულ გიორგი გურჩიანს და მის ძმას შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის" დირექტორს ერეკლე გურჩიანს, რომლებსაც დაჰპირდა არასაპატიმრო სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

„რაც, ასევე, ამ შემთხვევაშიც აშკარად სცილდებოდა მისი უფლებამოსილების ფარგლებს, სანაცვლოდ კი მოითხოვა თავისი დედის, ლაურა ღაჭავასთვის შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისიდან" გამოყვანილი, 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „LEXUS"-ის მარკის ავტომობილის საფასურის გაქვითვა და დამატებით „ტოიოტა ჰაი-ლუქსის" ავტომანქანის ყიდვა სახელმწიფოსთვის გადასაცემად. ამას ერეკლე გურჩიანი დასთანხმდა და უარი თქვა 92 000 აშშ დოლარის ღირებულების „ლექსუსის" მარკის ავტომანქანის ღირებულების ლაურა ღაჭავასთვის მოთხოვნაზე, რომლის თანხა თვითონ შეიტანა შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის" ანგარიშზე და, აგრეთვე, შეიძინა 41 500 ლარის ღირებულების „ტოიოტა ჰაი-ლუქსის" ავტომანქანა, რომელიც ნაცვლად, დაპირებისამებრ, სახელმწიფოსთვის გადაცემისა, მოტყუებით დარეგისტრირდა ერეკლე კოდუას მიერ შერჩეულ პირზე, ხოლო მოგვიანებით თავის სახელზე, რომელიც 2011 წლის 22 ივნისს 27 000 აშშ დოლარად გაასხვისა სხვა პირზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურამ ერეკლე კოდუა ამხილა და წარუდგინა ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და თაღლითობის ორ ეპიზოდში", – **აცხადებს მთავარი პროკურატურა.**

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ერეკლე კოდუას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. თავად სოდ-ის ყოფილი შეფი ბრალს არ აღიარებს, თუმცა მისი ადვოკატების თქმით, ის გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს.

„მოგეხსენებათ, გამოძიება დაწყებულია 2013 წლის მარტში, დაახლოებით ერთი წელია, გამოძიება მიმდინარეობს და შეიძლებოდა, როგორც მინიმუმ, რამდენიმე დღით ადრე ერეკლე კოდუასთვის მიემართა გამოძიებას და ეთქვა, რომ მისი დაკითხვა უნდოდა, ან ბრალის წაყენებას აპირებდა. ჩვენ გვქონდა კონსულტაციები ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, მან განაცხადა, რომ არანაირი უკანონო ქმედება არ ჩაუდენია იმ ბრალთან მიმართებაში, რასაც მას დღეს პროკურატურა ედავება. მან განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, გამოძიებასთან ითანამშრომლოს", – **აცხადებს კოდუას ადვოკატი გიორგი გელხაური.**

ჩვენთვის ცნობილია, რომ სოდ-ის ყოფილ მაღალჩინოსნებზე პროკურატურაში კიდევ ერთი საჩივარი დევს... სქემა დაახლოებით იგივეა, რაც პროკურატურის მიერ ოფიციალურად გაჟღერებულ ბრალდებაშია ასახული. ამ შემთხვევაში საგამოძიებო ორგანოს მიმართა ქედის რაიონში მცხოვრებმა სოფიო კახიძემ, რომელიც სოდ-ის ხელმძღვანელობას მისი მეუღლის წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებებში ადანაშაულებს.

სოფიო კახიძის მეუღლე, 35 წლის რამაზ სალაძე ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით 14-წლიან სასჯელს ამჟამადაც იხდის. ის ოთხი წლის წინათ სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით დააკავა. მსჯავრდადებულის მეუღლე ამტკიცებს, რომ სალაძეს რეალიზაციის ბრალდება უკანონოდ წაუყენეს, ვინაიდან ის მხოლოდ მომხმარებელი გახლდათ.

„ჩემს მეუღლეს უკანონოდ წაუყენეს გასაღების ბრალდება, ვინაიდან მას ნარკოტიკული საშუალება არ გაუსაღებია, არ გაუყიდია – ის იყო მხოლოდ მომხმარებელი. ჩემი მეუღლე მუშაობდა შორეული ნაოსნობის გემზე. იმდროინდელ სამართალდამცველ ორგანოებს ეგონათ, რომ ფლობდა დიდ ფულს, რეალურად კი ჩვენი ოჯახი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. ფული არ გვქონდა, მანქანაც განვადებით გამოვიყვანეთ, სადაც შუამდგომლობა გაგვწია „საქართველოს ბანკმა", – ყვება სოფიო კახიძე „პრაიმტაიმთან" საუბრისას.

„სპეცოპერაცია, რომელიც კოდუამ ჩაატარა, შინაარსობრივად გირგვლიანის საქმის ანალოგიური იყო"

„უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ წლების განმავლობაში საკმაოდ შეხმატკბილებულად მუშაობდა პროკურატურა, სასამართლო და შსს-ს სპეციალური დანაყოფები"

გახმაურებული და გაუხმაურებელი ფაქტები, რის გამოც სოდ-ის ყოფილ შეფს შესაძლოა, ბრალი დაუმძიმონ

თუმცა ეს ყველაფერი არ არის... ის სოდ-ის მაღალჩინოსნებს ქონების ხელყოფაშიც ადანაშაულებს... საქმეში უშუალოდ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმდროინდელი ხელმძღვანელი, ერეკლე კოდუა ფიგურირებს.

სოფიო კახიძე, მსჯავრდადებულის მეუღლე:

– საქმის დამთავრებამდე ჰქონდათ იმედი, რომ ფულს მივიტანდი და საპროცესო შეთანხმებას მოვითხოვდი, მაგრამ როგორ და რანაირად, როცა ჩემი მეუღლე ყველა ნათესავს ეხმარებოდა ფინანსურად და ე.წ. შავი დღისთვის ფული არ გვქონდა გადანახული.

– როგორ მოხდა მისი აყვანა?

– როცა აიყვანეს, წაიყვანეს ჩხრეკაზე ბინაში. იცინოდნენ და მასხრად გვიგდებდნენ, ვილაცებს ურეკავდნენ, – „იცი, ბიჭო, კაპიტანი დავიჭირეთო". რამაზის საკმაოდ ძვირადღირებული საათი სოდ-ის მაღალჩინოსანმა გიორგი კახიძემ, იგივე გოგიტამ, აიღო და დაცინვით მიმართა: „გიყვარს, ბიჭო, კაი ცხოვრებაო"?! მას შემდეგ ის საათი აღარ მინახავს. სხვა ნივთებიც, რაც მოეწონათ, წაიღეს, შემდეგ ჩემი ხელჩანთა ამოატრიალეს და ბოლო თეთრამდე წაიღეს, რაც მქონდა. რას შვრებით, მგზავრობის ფული მაინც დამიტოვეთ-მეთქი, ვუთხარი. „ფულის მეტი რა გაქვთ, დაახურდავე და გექნებაო". ამის შემდეგ წაგვიყვანეს სოდ-ის შენობაში დაკითხვაზე, მე უფროსის კაბინეტში შემიყვანეს, იქ გამომიცხადა გიორგი კახიძემ, რომ უნდა მიმეტანა 200 ათასი დოლარი და ჩემს მეუღლეს გამოუშვებდნენ. შემდეგ შემომთავაზეს, 100 ათასი მოიტანე და ერთ წელზე მეტს არ ჩავსვამთო. შემდეგ მირჩია, მისი ახლობელი დავით ჩავლეიშვილი ამეყვანა ადვოკატად, ის დაგეხმარებაო. მეც წავედი, მაგრამ, აბა, როგორ დამეხმარებოდა, როდესაც მასაც ფული უნდოდა, რაც უკვე საერთოდ აღარ მქონდა.

– თქვენს მეუღლეზე რაიმე ზეწოლა ხორციელდებოდა?

– კი, ემუქრებოდნენ, რომ ხელი მოეწერა ჩვენებაზე და ელიარებინა, თორემ მეც დამიჭერდნენ და ჩვენი შვილი, რომელსაც ველოდებოდი, ციხეში დაიბადებოდა. ასევე, მუქარით აღიარებინეს მონმე რუსლან გორგილაძეს ჩვენება, დანარჩენი მოწმეები სოდ-ის თანამშრომლები არიან და იმას ამბობდნენ, რაც უნდოდათ.

– უშუალოდ ერეკლე კოდუა რა ფორმით ფიგურირებს თქვენს საქმეში?

– მანქანა, რომელიც ჩემს მეუღლეს ჩამოართვეს, საკმაოდ ძვირადღირებული იყო, ერთი დადიოდა თბილისში და მეორე ჩვენ გვყავდა. 2009 წელს ავტოსესხით გამოვიყვანეთ მაღაზიიდან. მანქანა არც დალუქულა, არც საჯარიმო ავტოსადგომაზე გაუჩერებიათ, ისე გადაიყვანეს თბილისში, გააფორმეს სხვა მფლობელსა და ნომერზე. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ეს მანქანა ერეკლე კოდუას ჰყავდა წაყვანილი პირად საკუთრებაში. მისი ოჯახიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ეს იყო სრული აბსურდი და რომ არანაირი მანქანა მათ არ ჰყოლიათ. მაშინ დამიმტკიცონ ეს, მე არანაირი პირადი ზრახვები არ მამოძრავებს კოდუების მიმართ.

– თქვენი ინფორმაციით, მანქანა ამჟამადაც ერეკლე კოდუას ჰყავს?

– არა, განვადების დაგვიანებით გადახდაზე დამიბარეს, მივიტანე საბუთები, რომ ჩემი მეუღლე პატიმრობაში იმყოფებოდა, მაგრამ ბანკში პროცენტი არ შეგვიჩერეს. სასამართლო ორი წლის შემდეგ ჩატარდა, დაგვაკისრეს 34 ათასი ევროს გადახდა, შემდეგ მოაკლეს და 22 ათას ევრომდე დაიყვანეს. მანქანას შსს არ აბრუნებდა, – სამართლიანად ჩამოვართვითო. 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ვიგებთ, რომ მანქანა ბანკს დაუბრუნდა. ცნობა ამის შესახებ ჩემს მეუღლეს ციხეში მიუვიდა. აი, ასეთი უკანონობა განხორციელდა ჩვენ მიმართ. ამჟამად ვზრდი 2 მცირენლოვან შვილს, ვარ უმუშევარი. ჩემი მეუღლე იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ვერ ვუმკურნალეთ მის დედას, რომელიც შვილის პატიმრობის გამო დარდით გარდაიცვალა ერთი წლის შემდეგ. თვითონ ჩემი მეუღლე კი უკვე 4 წელია, უსამართლო ბრალდებით იტანჯება.

თავის დროზე, სახალხო დამცველის აპარატმა სოდ-ის მაღალჩინოსნების შესახებ არაერთი განცხადება გააკეთა. რა რეაგირებები მოჰყვებოდა ხოლმე ომბუდსმენის რეკომენდაციებს, ამის გასარკვევად ჩვენ სახალხო დამცველის ყოფილ მოადგილეს, სოფო ხორგუანს ვესაუბრეთ, რომელმაც რამდენიმე კონკრეტული მაგალითიც შეგვახსენა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადვოკატი: „კოდუას არანაირი უკანონო ქმედება არ ჩაუდენია იმ ბრალდებულ მიმართებაში, რასაც მას დღეს პროკურატურა ედავება. მან განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, გამოძიებასთან ითანამშრომლოს“



EXCLUSIVE

სოფო ხორგუანი, ომბუდსმენის ყოფილი მოადგილე:

– უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ წლების განმავლობაში საკმაოდ შეხმატკბილებულად მუშაობდა პროკურატურა, სასამართლო და შსს-ს სპეციალური დანაყოფები – სოდ-ი იქნება ეს თუ კუდ-ი. ის, რაც გაახმაურა პროკურატურამ, ნამდვილად არაა გამონაკლისი, ასეთი პრაქტიკა იყო დანერგილი და, სამწუხაროდ, ამაზე მუშაობდა მთელი სისტემა და არა მხოლოდ სოდ-ი და კონკრეტულად ერეკლე კოდუა. სახალხო დამცველის აპარატში მუშაობის დროს, ბევრი ასეთი შემთხვევა ფიქსირდებოდა. მახსოვს, ბათუმში დააკავეს ბიჭი, ჩაუდეს ნარკოტიკი, მაგრამ სასაცილო იყო ის, რომ შარვალი, რომელიც მტკიცებულებად წარადგინეს, თითქოს იქ ედო ნარკოტიკი, რეალურად მას არ ეკუთვნოდა. ასევე, მახსოვს, როცა ერთ-ერთ აუქციონში უნდოდა მონაწილეობა პიროვნებას, აღმოჩნდა, რომ იქ ერთ-ერთი ჩინოსნის ინტერესები იყო. დაიბარეს ეს ადამიანი მოდულის შენობაში, დაალევინეს კოკა-კოლა, რომელშიც ნარკოტიკი აღმოჩნდა გაზავებული, წაიყვანეს შემდეგ ექსპერტიზაზე და ბრალი დასდეს ნარკოტიკების მოხმარებაში.

– უშუალოდ ავტომობილების ჩამორთმევის შემთხვევები თუ გახსენდებათ?

– ავტომობილების თემა ძალიან აქტუალური იყო. ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც პიროვნებამ იბრძოლა და ბოლომდე გაიტანა თავისი სიმართლე. ამ ადამიანმა საკმაოდ ძვირადღირებული მანქანა ბანკის დახმარებით იყიდა. ერთ მშვენიერ დღეს ეს ბიჭი გადმოსვეს მანქანიდან. მოგვიანებით, აღმოაჩინა, რომ მისი მანქანით დადიოდა ერეკლე კოდუას მეუღლე. ტელეფონით ვიდეოც კი გადაულო. როდესაც ჩვენ ამაზე ხმაური ავტეხეთ, მახსოვს, ნანუკა ჟორჟოლიანი იყო მოსული ჩვენთან და გვითხრა, რომ, ის აბსოლუტურად არაფერ შუაში არ არის. ამის შემდეგ სულ იყო მცდელობა, რომ ამ ბიჭისთვის ნარკოტიკი ჩაედოთ ან რამე პროვოკაცია მოეწყოთ. ფაქტობრივად, ჩვენი წარმომადგენლები დაჰყვებოდნენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ეს ბიჭი არ გაჩერდა, არ დათმო პოზიცია და საბოლოოდ სახელმწიფომ კომპენსაცია გადაუხადა. ეს იყო გამონაკლისი. ეს ერთადერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნება მოახერხა მოქალაქემ.

– მახსოვს, თავის დროზე სახალხო დამცველის აპარატი საკმაოდ აქტიურობდა სვანეთში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებითაც, თუმცა პროკურატურამ კოდუას წინააღმდეგ „ავტომობილების საქმე“ ამოსწია... რამდენად საფუძვლიანია ეჭვი, რომ საგამოძიებო ორგანოს სვანეთის საქმეზე, რეალურად მტკიცებულები არ გააჩნია?

– სვანეთის სპეცოპერაცია, რომელიც კოდუამ ჩაატარა, შინაარსობრივად გირგვლიანის საქმის ანალოგიური იყო. იმის გამო, რომ ვიღაცამ შენს მეგობარ გოგონას, მეუღლესა თუ ოჯახის წევრს რაღაც შეურაცხყოფა მიაყენა, ან თუნდაც ზედმეტი მოუვიდა, ამის გამო, ანგარიშსწორების მიზნით არ უნდა ჩართო მთელი სახელმწიფო მანქანა. შეიძლება ამ ადამიანს კანონის გზით მოსთხოვო პასუხი, ან თუნდაც მუშტი გაარტყა საყვარელი ადამიანის შეურაცხყოფისთვის, მაგრამ წარმოუდგენელია, როცა ანგარიშის გასასწორებლად იყენებ მთელ სახელმწიფო რესურსს, ატარებ მასშტაბურ სპეცოპერაციას და გაუგონარ ზეწოლას ახდენ მეორე მხარეზე. ისევე როგორც გირგვლიანის საქმეში, აქაც მთელი სახელმწიფო ინსტიტუტები იყო ჩართული, რომ როგორმე საქმე ჩაეფარცხათ. ანუ საუბარია სვანეთში მცხოვრებ ახალგაზრდა ბიჭზე, რომელმაც შემთხვევით თუ გამიზნულად, ამას არა აქვს მნიშვნელობა, დაურეკა ნანუკა ჟორჟოლიანს, რაღაც ისე არ უთხრა და ამას მოჰყვა მთელი სპეცოპერაცია, რათა ამ ახალგაზრდას გასწორებოდნენ. არანაირი კავშირი იმ ბიჭებს ნარკოტიკებთან არ ჰქონიათ, ჩაუდეს და მორალურად გაანადგურეს. როდესაც ისინი სახალხო დამცველის ოფისში დახმარებისთვის მოვიდნენ, ვცდილობდი, პირადად მე არ მეაქტიურა, რადგან ერთ-ერთი ჩემი მოგვარე იყო და ამ ფაქტს რამე სპეკულაცია არ მოჰყოლოდა. შემდეგ ეს ადამიანები ისე დააშინეს, რომ ხმას ვეღარ იღებდნენ. საქმეში ჩართეს კრიმინალები, რომ არ ეაქტიურათ. ეს არ იყო არც პოლიტიკური, არც ფინანსური ინტერესები. ეს იყო თავიდან ბოლომდე მისი პირადი ანგარიშსწორება.

– და თუკი ეს მართლაც ასეა, რატომ არ ხდება გამოძიება... პროკურატურამ ერეკლე კოდუას ბრალი წაუყენა ლაურა ღაჭავას მიერ „ტოიტა ცენტრიდან“ გამოყვანილ ავტომანქანაზე, რომელზეც აღმოჩნდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები არსებობს...

– ვერ გეტყვი, შესაძლოა, ყურადღებიდან გამორჩათ. ვნახოთ, თუ დაიწყება გამოძიება. შესაძლოა, „ტოიტა ცენტრის“ წარმომადგენელი მივიდა და იჩივლა პროკურატურაში. საგამოძიებო ორგანო ვერ ეტყვის დაზარალებულს, რომ ახლა შენთვის არ მცალია და უფრო რეზონანსული საქმეები უნდა გამოვიძიო. ვნახოთ, რას იზამს პროკურატურის ახალი ხელმძღვანელობა. წინა ხელმძღვანელობასთან მეც და საზოგადოების ნაწილსაც გვაქვს პრეტენზიები, რომ ბევრი საქმე ჩაიფარცხა. რა იყო მიზანი, ამას ვერ გეტყვით. შესაძლოა, ეს ყოფილიყო პოლიტიკური, ან ფინანსური დაინტერესება. თუმცა ეს ეჭვის დონეზე შეიძლება ითქვას. ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების დროს თუ ჰქონდათ დაინტერესება კონკრეტული პირის მიმართ, პროკურატურა სთავაზობდა ქონების დათმობას და თუ ვინმე წინააღმდეგი წავიდოდა, ხდებოდა ნარკოტიკის, ან იარაღის ჩადება. და ვინ ჩადებდა ამ ნარკოტიკს? პროკურატურა ამას ვერ გააკეთებდა. სწორედ ამისთვის იყენებდნენ სოდ-ს.

– გამოდის, რომ კოდუა შემსრულებელი იყო, რომელიც პოლიტიკურ ნებას ემორჩილებოდა. მახსოვს, როდესაც პროკურორების მიმართ ისმოდა პრეტენზიები კბილაშვილმა განმარტა, რომ ისინი იყვნენ რეჟიმის მსხვერპლნი, უბრალო შემსრულებლები და ამიტომ ყველას პასუხისმგებლობა ვერ დადგებოდა... ეს მიდგომა სოდ-ზე არ ვრცელდება?

– ჩემი აზრით, შემსრულებელიც დამნაშავეა, მაგრამ სიტუაციას ამძიმებს, როდესაც შენ ხარ ხელმძღვანელი პირი. ერეკლე კოდუა უშუალოდ ხელმძღვანელი იყო და ცხადია, ის ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. ადამიანებს, ვინც ამ სისტემის სათავეში იდგნენ, გაცილებით მეტი მოეთხოვებათ, ვიდრე შემსრულებლებს, თუმცა კიდევ ვიმეორებ, არ ვფიქრობ, რომ შემსრულებლებზე ინდულგენცია უნდა გაიცეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

რა ნიშნით საქმდებიან პარლამენტში?



ნუ შეავსებთ ვაკანსიას, თუ რესპუბლიკელი არ ხართ

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, პარლამენტის თანამშრომელთა დიდი ნაწილი სწორედ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრებით არის დაკომპლექტებული. აპარატის ხელმძღვანელის, ზურაბ მარაქველიძის განცხადებით, პარლამენტში დაახლოებით 800-მდე თანამშრომელია და მათი კვოტებიც პარტიებზე დაახლოებით ისეა გადანაწილებული, როგორც, ზოგადად, კოალიციურ ერთობაში ხდება ხოლმე. შესაბამისად, არაფერია გასაკვირი იმაში, თუ აპარატის თანამშრომლები, მით უფრო თავმჯდომარის კაბინეტის თანამშრომელთა უდიდესი ნაწილი, სწორედ „რესპუბლიკური პარტიიდან“ იქნებიან.

ზურაბ მარაქველიძე, საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი:

– მთლიანობაში 800-მდე თანამშრომელია, მაგრამ წამიკითხეთ ვისზე საუბრობთ...

– მაგალითად, ბექა მიქაუტაძე, მაია გოგიძე, ნინო გედევანიშვილი, გიორგი რაზმაძე...

– საკმარისია, სია, რომელსაც ახლა თქვენ კითხულობთ, დიახ, ყველა არის რესპუბლიკელი და აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან ყველა მათგანი არის პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის თანამშრომელი, ასევე, მისი სამდივნოს თანამშრომელი და რა გიკვირთ? მაგალითად, გოკა გაბაშვილი, რომელიც არის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე და მას ფრაქციის აპარატში, როგორ ფიქრობთ, რომელი პარტიის თანამშრომლები ჰყავს? ეს არის ჩვეულებრივი საპატრონაჟო სამსახური.

– თუმცა არის სხვა თანამდებობებიც, მაგალითად, პარლამენტის ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის, საშშენებლო სარემონტო სამუშაოების და საინჟინრო განყოფილების უფროსის, ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც, ასევე, რესპუბლიკელები არიან...

– სიმართლე გითხრათ, ბიბლიოთეკაში ასეთი არ ვიცი. დროებით საგამოძიებო კომისიაში შეიძლება ვინმე იყოს რესპუბლიკელი, არ ვიცი. ისევ გეუბნებით, დაახლოებით 800 თანამშრომელია. 800 კაცში შეიძლება 5 კაცი რესპუბლიკელი იყოს, 5 – ნაციონალი, 5 – „ქართული ოცნებიდან“, 10 – „თავისუფალი დემოკრატებიდან“ და ასე შემდეგ. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

– გადანაწილების რაიმე მექანიზმი არსებობს?

– სამდივნოები, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწეები, ვიცე-სპიკერების თანაშემწეები, ფრაქციების აპარატები – ეს არის საპატრონაჟო სამსახურები, სადაც შესაბამისი სტრუქტურის ხელმძღვანელი წყვეტს, ვინ მოიყვანოს და ადამიანები ინიშნებიან მისი უფლებამოსილების ვადით. რაც შეეხება დანარჩენ თანამშრომლებს, კომიტეტების აპარატებში, ძირითად აპარატში – ისინი ან ჩვენს მისვლამდეც მუშაობდნენ იქ, ან კონკურსის შედეგად მოსული თანამშრომლები არიან. კონკურსებმა როგორ ჩაიარა, ეს შეგიძლიათ თავადაც ნახოთ, ყველაფერი საჯაროა, საჩივარიც კი არ დანერილა, ისე ობიექტურად ჩატარდა.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, აპარატისა და თავმჯდომარის კაბინეტის

ზურაბ მარაქველიძე

ზურაბ მარაქველიძე:

„დიახ ყველა არის რესპუბლიკელი და აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან ყველა მათგანი არის პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის თანამშრომელი“

თანამშრომელთა გარდა, „რესპუბლიკელები“ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან თანამდებობებსაც იკავებენ. სია, რომელიც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ასე გამოიყურება: ზურაბ მარაქველიძე – პარლამენტის აპარატის უფროსი, ბექა მიქაუტაძე – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, მაია გოგიძე – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე, ნინო გედევანიშვილი – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის თანაშემწე, გიორგი რაზმაძე – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის თანაშემწე, ნატო ქათამაძე – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის თანაშემწე, ნათია ქობალია – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის მთავარი სპეციალისტი, ნინო ბაჩილავა – პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის მთავარი სპეციალისტი, თინათინ ძნელაძე – პარლამენტის აპარატის სამდივნოს უფროსი, ნინო ქობალია – პარლამენტის აპარატის სამდივნოს წამყვანი სპეციალისტი, ელეონორა კაპანაძე – პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე, იპოლიტე ამბროლაძე – პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის მთავარი სპეციალისტი, მარიამ კაციტაძე – პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ღონისძიებათა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მაია ზანგალაძე – პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის ბუღალტერიის წამყვანი სპეციალისტი, ნუგზარ მაღრაძე – პარლამენტის აპარატის ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, მალხაზ წერეთელი – პარლამენტის აპარატის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, სალომე ლონდარიძე – პარლამენტის აპარატი, მაია გელაშვილი – პარლამენტის აპარატი, მარინა გორდელაძე – პარლამენტის აპარატის ბიბლიოთეკა, ლევან სალამანიშვილი – პარლამენტის აპარატი, ნათელა ოდიშელიძე – პარლამენტის აპარატი, კახა ნაქაძე – პარლამენტის აპარატი, ირინე გელაშვილი – პარლამენტის აპარატი, ნინო სამადაშვილი – პარლამენტის აპარატი, ლელა ჯანჯალიშვილი – პარლამენტის აპარატი.

ჩამოთვლილი თანამდებობებიდან უმრავლესობაზე ვაკანსია იყო გამოცხადებული, თუმცა აღმოჩნდა, რომ იქ „გარედან“ არც ერთი ადამიანი არ მოხვედრილა. ზოგადად, ვაკანსიების გამოცხადების პრობლემებზე „პრაიმტაიმი“ ადრეც წერდა. ბევრი კონკრეტული ისტორიის მოსმენის შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილი ერთ დასკვნამდე მიდის, რომ სამსახურის ძებნა ისევ და ისევ საახლობლო წრეებშია ბევრად შედეგიანი, ვიდრე ოფიციალურად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობა და გამოცდების ჩაბარება.

თამუნა გორდეზიანი, 25 წლის: „გასაუბრება გავიარე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში. სულ 80 კონკურსანტი ვიყავით. ჟურნალისტი ვარ, შესაბამისად, პრესასთან ურთიერთობის განხრით შევავსე აპლიკაცია. კონკურსი ვერ გადავლახე. ჩემგან განსხვავებით, სხვებმა წერილობით მიიღეს უარი, მე კი წერილიც ვერ მივიღე. კონკურსიდან ორი კვირის შემდეგ, სამინისტროს მივაკითხე და მითხრეს, თქვენი წერილი გზაშიაო. საოცარი ის იყო, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსად დაინიშნა მინისტრის მრჩეველი, რომელიც კომისიის წევრი იყო. ეს ხომ დაცინვაა? პირდაპირ ვკითხე, თუ თქვენ უნდა დაგეკავებინათ ეს პოზიცია, კონკურსი რატომ გამოაცხადეთ-მეთქი. ჩემი მოთხოვნა იყო, რომ კონკურსის გავლის გარეშე თანამდებობაზე არ დავენიშნეთო, მიპასუხა. გამოდის, ეს ყველაფერი ბლეფია, რეალურად ვაკანსიები არ არსებობს და გასაუბრება მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს. მიჩნდება კითხვა, რისთვის დაგვიბარეს 80 კაცი და რატომ გაგვამასხარავეს? დანამდვილებით ვიცი, რომ სამინისტროში სტაჟიორად, გამოსაცდელი ვადით აიყვანეს პატარა ბიჭი, ჟურნალისტი. ალბათ, იმიტომ, რომ დედამისი პარლამენტარია. ამ ბიჭის ვინაობას შეგნებულად არ დავასახელებ“.

ქეთევან დობორჯგინიძე: „ვხუმრობ, სამინისტრო არ დარჩენილა, სადაც გასაუბრებაზე არ ვყოფილვარ. ვიცი, რომ ყველაფერი ფორმალურია და კადრები წინასწარ ჰყავთ აყვანილი, მაგრამ მაინც მივდივარ. ბოლოს მანდატურის სამსახურში ვიყავი მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურზე. ჩემი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კომისიის წევრების კომპეტენტურობა. მანდატურის სამსახურში კომისიაში დამხვდნენ პატარა გოგო-ბიჭები. მათ დანახვაზე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა, ამათ რა გასაუბრება უნდა ჩამიტარონ-მეთქი. ერთი ტელეფონზე ჭორაობდა, მეორე ლეპტოპს ჩაჰკირკიტებდა. ერთმა კი ნასვლის წინ რიტორიკული შეკითხვა დამისვა, ცხოვრებაში მთავარ მიღწევად რა მიგაჩნიაო. აგდებული დამოკიდებულება თავიდანვე იგრძნობოდა. ჩემს თავზე ვბრაზობდი, საერთოდ რატომ მოვედი-მეთქი. საქართველო ძალიან პატარაა, მით უმეტეს თბილისი. ამიტომ, ნეპოტიზმი აქ ყოველთვის იქნება. შესაძლოა, ათეულობით წლების შემდეგ, რაიმე შეიცვალოს, მაგრამ არა ახლო მომავალში. დასანანია, რომ ჩვენთან კვალიფიციური კადრები არ უნდათ და საქმე მეგობრობის დონეზე წყდება“.

როგორც ირკვევა, ერთ გამოცხადებულ ვაკანსიაზე ხშირად 100 და მაქსიმუმ 500 განაცხადიც კი ფიქსირდება. თითოეულ მონაწილეს იმედი აქვს, რომ ამჯერად მაინც გაუმართლებს და დაუსაქმებელთა სიიდან დასაქმებულებში გადაინაცვლებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათი იმედები წინასწარვე განწირულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადამიანი, რომელმაც გამოცხადებულ კონკურსში უნდა გაიმარჯვოს, წინასწარვეა ცნობილი. შესაბამისად, ოფიციალურად გამოცხადებული კონკურსიც ფორმალურ ხასიათს ატარებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამუკა ღლონტი: „დიდი ხანია ა ეჭვები, ამ ეჭვების შესახე

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

კომპანია „თი-ვი ემ-არ“-ის შემოწმების ინიციატივა თითქმის ათწლიანი მოღვაწეობის პერიოდში არავის გასჩენია. პირველად საკითხი გასული წლის სექტემბერში დადგა. მაშინ შემოსავლების სამსახურმა ბოლო 7 წლის საქმიანობის აუდიტი ჩაატარა და დარღვევებიც აღმოაჩინა. დღეს კი, როდესაც პრობლემა სერიოზულად დადგა, მიზეზად ანგარიშსწორება დაასახელეს. „ვი-თი ემ-არ“-ის მონოპოლისტობაზე საუბრისას სხვადასხვა ტელევიზიებმაც აღიარეს, რომ კითხვის ნიშნები ადრეც ჰქონდათ და მეტიც, პერიოდულად თურმე დამოუკიდებელი კვლევებიც ტარდებოდა, რომ აღნიშნული კომპანიის ადეკვატურობა გადამოწმებულიყო. მართალია, ამას გადამოწმების ნაცვლად დეტალების გარკვევის სახელს არქმევენ, მაგრამ ფაქტია – სატელევიზიო რეიტინგების კვლევის ბაზარზე მონოპოლისტის მუშაობა ყველასთვის მიუღებელი იყო. დაინტერესებული მხარისთვის გასამართლებელი პოზიცია, ბუნებრივია, აქაც მოიპოვება – ყველა განვითარებულ ქვეყანაში მსგავს რეიტინგებს მხოლოდ ერთი კომპანია ატარებსო.

საქართველოშიც „ვი-თი ემ-არ“-ი, პრინციპში, თავიდანვე ერთადერთი იყო. ტელევიზიებსა და სარეკლამო სააგენტოებს სხვა არჩევანი არც ჰქონიათ. ამიტომ მოქმედი ტელევიზიების დიდი ნაწილი და დაახლოებით თვრამეტი სარეკლამო სააგენტო სწორედ გოჩა ცქიტიშვილის კომპანიის მომსახურებით სარგებლობდა. 2005 წლიდან მოყოლებული. კომპანიის ერთადერთი მიმართულება სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვაა. კომპანია შვეიცარიული სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვების კომპანიის „ნილსენის“ ერთადერთი ლიცენზირებული წარმომადგენელია საქართველოში. შესაბამისად, ბოლო ათი წლის განმავლობაში სწორედ ის აწვდის ყოველდღიურ მონაცემებს ტელევიზიებს, სარეკლამო სააგენტოებსა და დაინტერესებულ ბიზნესპარტნიორებს.

ევროპაში არ არსებობს ქვეყანა, სადაც სატელევიზიო რეიტინგების გაზომვა არ ხდება. თავისთავად განვითარებული ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად მსგავსი მომსახურება უკვე მნიშვნელოვანი ფაქტორია. მით უფრო, მნიშვნელოვანია ციფრები ბიზნესმენებისთვის, რომლებიც სწორედ აღნიშნული რეიტინგების შესწავლის შედეგად წყვეტენ, სად, რომელ ტელევიზიაში, რომელ გადაცემაში და რომელ კონკრეტულ დროს ჩასვან საკუთარი პროდუქტის რეკლამა. სწორედ ამიტომაც ტელევიზიები, თავის მხრივ, მილიონებს ხარჯავენ ხარისხიანი გადაცემების მოსამზადებლად.

ზურაბ გუმბარიძე, „ინტერ მედიის“ გენერალური დირექტორი:

– „ვი-თი ემ-არ“-ი სატელევიზიო რეიტინგების კვლევის მსოფლიო დონის უცხოური კომპანიის აფილირებული კომპანიაა, შესაბამისად, მაღალი ნდობის კოეფიციენტი აქვს. ბუნებრივია, ნებისმიერი კვლევა აბსოლუტურად ზუსტ მონაცემს არ იძლევა და სწორედ ამიტომაც უწოდებენ კვლევას და არა რეალურ სურათს. თუმცა ძალიან მაღალი ალბათობა იყო იმისა, რომ ზუსტ ინფორმაციას იძლეოდა. რაც შეეხება პრეტენზიას, როგორც წესი, ყოველთვის ყველა მაუწყებელს აქვს ხოლმე პრეტენზია რეიტინგთან დაკავშირებით. ყველას ჰგონია, რომ მეტი ეკუთვნის, ან ბევრად მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ TV MR-ი საკმაოდ სანდო კომპანია იყო. ბუნებრივია, შეიძლება იყოს მეორე მსგავსი ორგანიზაციაც, ამაში ცუდი არაფერი არ არის. თუმცა საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, როგორც წესი, თითო ქვეყანაში თითო ორგანიზაცია ახდენს ხოლმე სატელევიზიო რეიტინგების კვლევას. მაგალითად, ამერიკაშიც ერთი კომპანია აწარმოებს ამ კვლევას. ამერიკა კი, ტელევიზიების თვალსაზრისით, ნომერ პირველი ქვეყანაა. თავად ის ფაქტი, რომ რეიტინგების შემოწმება ამ ეტაპზე არ ხდება, ეს არის 10 წლის წინანდელ რეალობაში დაბრუნება, რადგან მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელი ქვეყნებია დარჩენილი, მით უმეტეს ევროპაში, სადაც რეიტინგების გაზომვა არ ხდება. ბუნებრივია, სარეკლამო სექტორისთვის ეს არის ძალიან დიდი დარტყმა, რადგან მაშინ, როდესაც არ იცის დამკვეთმა, ფულს რაში ხარჯავს, ყოველთვის ცდილობს, სარეკლამო დანახარჯები შეამციროს. სარეკლამო დანახარჯების შემცირება კი თავისთავად ნიშნავს სარეკლამო სააგენტოების შემოსავლების შემცირებას და ტელევიზიების სარეკლამო შემოსავლების შემცირებასაც. ყველა იმ ტელევიზიისთვის, ვინც რეკლამით არსებობს, ბუნებრივია, სერიოზული პრობლემაა რეიტინგების არარსებობა.

ფიფლმეტრები რეიტინგების გასაზომად აპრობირებული მეთოდია. თუმცა ნაკლებად, თუ ვინმემ იცის, კონკრეტულად რამდენი ოჯახის მონაცემების მიხედვით დგება საბოლოო სურათი, ან საკმარისია თუ არა ის რაოდენობა, რომლითაც ამდენი ტელევიზია და დაინტერესებული კომპანია სარგებლობს. გოჩა ცქიტიშვილის კომპანიამ ფიფლმეტრების გამოყენება 2005 წლიდან დაიწყო. თავდაპირველად კვლევის სპეციალური პანელი 150 ოჯახში დამონტაჟდა მხოლოდ თბილისის მასშტაბით. ბუნებრივია, ოჯახის წევრების თანხმობით. იმავე წელს მოცულობა გაიზარდა და დედაქალაქსაც გასცდა. რიცხვმა 300 ოჯახამდე მიაღწია, აქედან 180 ოჯახი თბილისის მასშტაბით შეირჩა, ხოლო 120 – რეგიონებში. თბილისის გარდა, კვლევის პანელი დამონტაჟდა ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, გორში, ზუგდიდსა და ფოთში. 2010 წელს კომპანიამ დამატებით 30 კვლევის პანელი დააყენა, ანუ მთლიანობაში 330 ოჯახი ჩაერთო ფიფლმეტრების „აქციაში“. თუმცა კომპანიამ მალევე გადაწყვიტა, რომ კვლევითი პანელების გაზრდილი რაოდენობა შედეგებს არ ცვლიდა და 2011 წელს ისინი კვლავ შეამცირა. შესასწავლი ობიექტების ასაკი 4 წლიდან იწყება. მარტივად რომ ავხსნათ, ეს არის ტელევიზორის პულტი, რომელიც აბსოლუტურად ყოველ ქმედებას აფიქსირებს: ერთი არხიდან მეორე არხზე გადართვის მომენტს, დროს, მომხმარებლის ვინაობას, ხმის აწევას, შესაბამისად, დაინტერესების გაზრდას... კვლევის პანელების ოჯახებში დამონტაჟების დროს პულტზე ოჯახის ყველა წევრის სახელის დაფიქსირება ხდება. შესაბამისად, როდესაც, მაგალითად, სკოლის მოსწავლე სასურველ საბავშვო არხზე რთავს ტელევიზორს, მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება, ბავშვი რა დროს რომელ არხს უყურებდა და რამდენ ხანს. ოჯახის წევრების გარდა, შესაძლებელია ოჯახის სტუმრის დაფიქსირებაც. მაგალითად პულტზე შეიძლება, ოჯახის სტუმრის ვინაობის დაფიქსირება და უკვე შემდეგ თავად პულტი არეგულირებს, როგორ შეინახოს უცხო პირის მიერ კონკრეტული არხის, გადაცემის ან სარეკლამო რგოლის ყურების ისტორია...

ნოე სულაბერიძე: „იმდენად მიჩვეული ვიყავი აღნიშნულ საზომს, რომ კითხვები არ მიჩნდებოდა, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ სხვა ალტერნატივა, პრინციპში, არც არსებობდა“

„პრაიმტაიმი“ დაუკავშირდა ერთ-ერთ ადამიანს, რომლის ოჯახშიც ფიფლმეტრია დამონტაჟებული. ნანა ჩოკორაია სოლოლაკში ცხოვრობს და არ თვლის პრობლემად საკუთარი ვინაობის გამხელას. შესაბამისად, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა – სიების გადაცემა – დაკმაყოფილდეს, ის ამ გადაწყვეტილებას არ გააპროტესტებს.

ნანა ჩოკორაია:

– ორ წელზე მეტია, ამ მომსახურებით ვსარგებლობ. როგორც ვიცი, შემთხვევითობის პრინციპით მოხდა ჩემი ოჯახის შერჩევა. მოვიდნენ ოჯახში, გაგვესაუბრნენ და ძალიან მარტივად დავთანხმდი. არ ვიცი, რამდენმა ოჯახმა თქვა უარი, სანამ ჩემამდე მოვიდოდნენ, თუმცა უარის შემთხვევაშიც, ალბათ, მთავარი მიზეზი ის იქნებოდა, რომ ეს მოწყობილობა ყურადღებას საჭიროებს. ყოველ გადართვა-გადმორთვაზე პულტით უნდა იმართებოდეს, ანუ თუ მოხდება რომელიმე არხზე გადართვა, უნდა დაფიქსირდეს ოჯახის რომელი წევრი რთავს, ან იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ვინ უყურებს ტელევიზორს.

– ანუ პროგრამაში ოჯახის ყველა წევრია შეყვანილი?

– ეს არის ჩვეულებრივი მართვის პულტი, ისეთივე, როგორიც აქვს ტელევიზორს. განაცხადის შევსების დროს, სანამ აპარატი დამონტაჟდებოდა, შევავსეთ ოჯახის წევრების ვინაობა, მითითებულია ასაკი და პულტზე აწერია ყველას სახელი. როდესაც ერთი არხიდან მეორე არხზე რთავ, ფიქსირდება, ვინ რთავს, მაგალითად, ჩემს ოჯახში ბავშვებიც არიან და როდესაც ისინი რთავენ, მაგალითად, „ნიკოლოდეონზე“, ფიქსირდება, რომ ამ შემთხვევაში, მაგალითად, ანდრო უყურებს ამ კონკრეტულ არხს.

„თავად ის ფაქტი, რომ რეიტინგების შემოწმება ამ ეტაპზე არ ხდება, ეს არის 10 წლის წინანდელ რეალობაში დაბრუნება“

– თქვენ ახლაც სარგებლობთ ამ პულტით, ანუ მაშინ როდესაც კომპანიას პრობლემები აქვს, დაგიკავშირდნენ, ან მოხდა თქვენი გაფრთხილება?

– ვერაფერს გეტყვით, ჩვენც ტელევიზიიდან გავიგეთ ეს კომპანიიდან არავინ დაგვკავშირებია. ახლაც ჩვეულებრივად ვსარგებლობთ ამ აპარატურით. საერთოდ, შემიძლია, გითხრათ, რომ, მას შემდეგ, რაც ეს აპარატი დამიყენეს, არანაირი მინიშნება ან დირექტივაც კი არ ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად გავახმაურებდი ამას. მინიშნებაც კი არ ყოფილა, რომ რომელიმე არხი უნდა დავაფიქსირო. ჩემს მაგალითზე ნამდვილად არ ყოფილა მსგავსი რამ, თუმცა სხვა ოჯახებზე ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება სხვა შემთხვევებში შეთანხმება არსებობდა კიდეც, ამასაც არ გამოვრიცხავ.

– ძირითადი ბრძოლა სწორედ თქვენი სიის გადაცემამ გამოიწვია. წინააღმდეგი ხართ, რომ ეს სია საჯარო გახდეს?

– საჯაროობა პრობლემა არ არის, მე არც ვმალავ, რომ ამ აპარატით ვსარგებლობ.

სხვადასხვა ტელევიზიებს სხვადასხვა შეხედულებები აქვთ. მაგალითად, „მაესტროს“ დამფუძნებელი, მამუკა ღლონტი მიიჩნევს, რომ „ვი-თი ემ-არ“-ი არ უნდა იყოს მონოპოლისტი კომპანია, რადგან ტელევიზიებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, მიღებული მონაცემები სხვა კომპანიის მიერ ჩატარებულ კვლევებს შეადარონ. ასეთ შემთხვევაში არც უნდობლობა გაჩნდება და არც კითხვები. მით უფრო მაშინ, რომ თითოეული ოჯახის მონაცემები მხოლოდ და მხოლოდ ამ ერთ ორგანიზაციაში მიდის და დიდი შანსია,

გოჩა ცქიტიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მ კომპანიის მიმართ არსებობს ბ მეც მქონდა გაგებული“

გეგა ფალავანდიშვილი:

„მართალია, სხვა არჩევანი არ იყო, მაგრამ ჩვენ, გარდა იმისა, რომ ვენდობოდით, შეგვიმოწმებია კიდეც მათი მონაცემები. პარალელური კვლევებიც ჩაგვიტარებია და გადაგვიმოწმებია ინფორმაცია, რომლის შესახებაც შეიძლებოდა, რომ სხვა აზრი გვქონოდა“



„მოვლენებმა აჩვენა ის, რომ კომპანია ვერარ შეძლებს სრულფასოვნად მუშაობის გაგრძელებას, რადგან მისი სახელი შეილახა“

მისით მანიპულირება ან სულაც შეცვლა ხდებოდეს... „მაესტროს“ გენერალური დირექტორის, ბაჩო კიკაბიძის განცხადებით, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა აბსოლუტურად კანონიერია. კიკაბიძე გამოსავალს სპეციალური კვლევითი პანელების როტაციაში ხედავს. ანუ მას მიაჩნია, რომ რეიტინგების მთვლელმა კომპანიამ საკუთარი იმიჯის გადასარჩენად ფიფლმეტრების სია შემოსავლების სამსახურს უნდა გადასცეს, თავის მხრივ კი, პანელების სხვა ოჯახებში დამონტაჟების ხარჯები თავიდან უნდა გასწიოს.

მამუკა ღლონტი, „მაესტროს“ დამფუძნებელი:

– გარდა იმისა, რომ აღნიშნული მონაცემებით, ბიზნესმენები ხელმძღვანელობენ და ეს მონაცემები რეკლამისთვის არის საჭირო, ტელევიზიების შიდა სამუშაოებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საჭიროა, იცოდე, შენი გაკეთებული პროდუქტი რამდენად მოსწონს ან არ მოსწონს მაყურებელს. ბუნებრივია, მონაცემების არმიღება ძალიან ცუდად აისახება სატელევიზიო ბაზარზე. რაც შეეხება ნდობას, მე ვენდობოდი თუ არა, ამის თქმა ემოციური იქნებოდა ჩემი მხრიდან, ბოლოს კომპანია შეამოწმა ბრიტანულმა აუდიტმა და თქვა, რომ იქ ყველაფერი წესრიგში იყო. თუმცა დიდი ხანია ამ კომპანიის მიმართ არსებობს ეჭვები, ამ ეჭვების შესახებ მეც მქონდა გაგებული.

– როგორ უნდა იმუშაოს მსგავსმა ორგანიზაციამ, რომ კითხვები არ გაჩნდეს?

– აქ ერთადერთი ვარიანტია – შემოვიდეს მეორე სერიოზული კომპანია და როდესაც მონოპოლისტი აღარ იარსებებს ბაზარზე, ძალიან მარტივად მოხდება მონაცემების გადამოწმება. თავისთავად ის, რომ აღნიშნული კომპანია წლების განმავლობაში იყო მონოპოლისტი, ძალიან ცუდი ფაქტია. მოვლენებმა აჩვენა ის, რომ კომპანია ვეღარ შეძლებს სრულფასოვნად მუშაობის გაგრძელებას, რადგან მისი სახელი შეილახა. შესაბამისად, ამ კომპანიის გადასარჩენადაც არსებობს ერთადერთი გზა – შემოვიდეს მეორე კომპანია. ეს როგორ უნდა მოხდეს, ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, თუმცა მიმაჩნია, რომ მისი მონოპოლისტობა მაშინ როდესაც ქვეყანაში წარმოიშვება ამხელა დისკუსია ამ კომპანიის გარშემო, იმას ნიშნავს, რომ მომავალში ყოველთვის გამოჩნდებიან ორგანიზაციები, რომლებიც ნდობას არ გამოუცხადებენ მას. მისთვის ღირსების აღმდგენი იქნება ის, რომ მონოპოლისტი აღარ იყოს.

„რუსთავი 2“-ის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ გოჩა ცქიტიშვილის კომპანია სანდოობის მაღალი კოეფიციენტით სარგებლობდა და სწორედ ამიტომაც სარგებლობდნენ მისი მონაცემებით. თუმცა აქ მარტივი კითხვა ჩნდება: სხვა არჩევანი არსებობდა?

გეგა ფალავანდიშვილი:

– ნდობა რომ არ გვქონოდა, არც ვისარგებლებდით ამ მონაცემებით, ბუნებრივია ხომ? კითხვები ყოველთვის გვაქვს, ჩვენ რეიტინგებს ვიყენებთ იმისთვის, რომ გადავამოწმოთ ჩვენი ნამუშევარი და შესაბამისად, ჩვენი კონკურენტების, შედეგიანობა, რამდენად კარგად ვმუშაობთ, სად ვართ ძლიერები და სად სუსტები. მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი ამ რეიტინგების, არის გაყიდვები, ანუ ტელევიზიის მიერ შექმნილი პროდუქტის ფასისთვის და რეკლამის მოზიდვისთვის. კითხვები ყოველთვის არსებობს, მაგრამ ჩვენ ამ კითხვებზე პასუხს ვიღებდით.

– თქვით, ნდობა რომ არ გვქონოდა, არც ვისარგებლებდით მონაცემებითო... სხვა არჩევანი არ იყო...

– მართალია, სხვა არჩევანი არ იყო, მაგრამ ჩვენ, გარდა იმისა, რომ ვენდობოდით, შეგვიმოწმებია კიდეც მათი მონაცემები. პარალელური კვლევებიც ჩაგვიტარებია და გადაგვიმოწმებია ინფორმაცია, რომლის შესახებაც შეიძლებოდა, რომ სხვა აზრი გვქონოდა.

– გადამოწმების დროს იყო სხვაობები, თუ ემთხვეოდა მონაცემები?

– კი, კი, ყოველთვის ემთხვეოდა. უბრალოდ, ეს ჩვენთვის გვინდოდა, უფრო ვიწრო, სპეციფიკური დეტალების გასარკვევად რომ დავრწმუნებულიყავით და არა კომპანიის გადასამოწმებლად.

სანდოობაზე საუბრისას ტელეკომპანია „იმედის“ წარმომადგენლის, ნოე სულაბერიძის განცხადებით, „ვითი ემ-არ“-ის სანდოობაზე იმ მარტივი მიზეზის გამო არ უფიქრია, რომ სხვა არჩევანი არც არსებობდა...

ნოე სულაბერიძე:

– ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ რეიტინგების გაზომვის შეწყვეტა კარგია. ძალიან ცუდია, რა თქმა უნდა, რადგან ყველა გადაცემას აინტერესებს საკუთარი ნამუშევარი, რამდენად ყურებადი იყო. მე პირადად ძალიან ველოდები, როდის აღდგება, რადგან ძალიან დიდი აზარტი და ინტერესია. ყველაფერს რომ თავი დაანებო, ყოველ დილით ამოწმებ საკუთარი ნამუშევრების შედეგებს. მართალი გითხრათ, არ დავფიქრებულვარ, იყო თუ არა სანდო აღნიშნული ორგანიზაცია, კითხვები არ გამჩენია, იმდენად მიჩვეული ვიყავი აღნიშნულ საზომს, რომ კითხვები არ მიჩნდებოდა, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ალტერნატივა, პრინციპში, არც არსებობდა. გინდა-არ გინდა, უნდა დაგეჯერებინა. ტექნოლოგიურად არ ვიცი, როგორ ხდებოდა, ამიტომ მე უფრო დინებას მივყვებოდი.

ბოლო მონაცემებით, „თი-ვი არემ“-ის ადვოკატის, ქეთევან ქვარცხავას განცხადებით, კომპანია შემოსავლების სამსახურს ფიფლმეტრების ოჯახებიდან გამოტანას და ასე შემოწმებას სთავაზობს. ანუ მათთვის კონფიდენციალობა კვლავ უმნიშვნელოვანესია. პასუხს კომპანია შემოსავლების სამსახურიდან ამ დრომდე ელოდება. ადვოკატის განცხადებით, პასუხის მიღების ვადები არ არსებობს. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ვადებს ჩვენ არ ვაწესებთო...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ORBELI ორბელი

ერისთავის ქ. N1

ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13

ORBELI ORBELI GROUP ORBELI ORBELI GROUP

100 ლარიანი

ვაუჩერი ორბელისგან

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით უსუფაშვილს საია დაუპირისპირდა

დავით უსუფაშვილი:

„კოლიზიის შედეგად, პარლამენტის წევრს პრაქტიკულად აბსოლუტური იმუნიტეტი ენიჭება“

საია:
„აბსოლუტური არ შეიძლება ეწოდოს იმუნიტეტს, რომლის მოხსნაც შესაძლებელია პარლამენტის თანხმობით“

ქეთი ხატიაშვილი

ასეთი პრეცედენტი პარლამენტში ჯერ არ ყოფილა. დავით უსუფაშვილი მზად არის, პროკურატურას შრომა შეუმსუბუქოს და დეპუტატებისთვის ბრალის წაყენების საშუალება მისცეს. და აქ საქმე მხოლოდ როლანდ ახალაიაში არ არის, ნებისმიერი დეპუტატი შეიძლება ბრალდებული გახდეს და, ამ მხრივ, მათ კანონი აღარ დაიცავთ.

ექსპერტები ამბობენ, რომ დავით უსუფაშვილს ძალიან კარგად ესმის, რას ნიშნავს პროკურატურისთვის დევნის უფლების მინიჭება, ამიტომაც მან დავალება ბიუროს მისცა, თუმცა თავადაც შეეძლო, ინიციატივა გამოეჩინა. ამით პარლამენტის თავმჯდომარემ, ფაქტობრივად, პასუხისმგებლობა აიცილა.

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:

– შექმნილ ვითარებაში გადავწყვიტე, მივმართო პარლამენტის ბიუროს, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს კანონპროექტის ინიცირება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წელს შეტანილი კონსტიტუციის საწინააღმდეგო ცვლილების დაჩქარებული წესით გასაუქმებლად, რაც საქართველოს მთავარ პროკურორს საშუალებას მისცემს, ხელოვნური და არაკონსტიტუციური სამართლებრივი დაბრკოლებების გარეშე, განახორციელოს თავისი უფლებამოსილება; მათ შორის, როლანდ ახალაიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხში...

საქმე ის გახლავთ, რომ მთავარი პროკურორი არის ის ერთადერთი პირი, ვისაც შეუძლია, დეპუტატს ბრალი წაუყენოს. თუმცა, დავით უსუფაშვილის განმარტებით, 2010 წელს თითქმის დახურულ რეჟიმში, მოულოდნელად სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანეს ცვლილებები და დეპუტატს აბსოლუტური იმუნიტეტი მიენიჭა – პროკურატურას აღარ აქვს უფლებამოსილება, დეპუტატს ბრალი წაუყენოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები 2010 წლის სექტემბერში შევიდა. ცვლილებების ავტორები არიან პალიკო კუბლაშვილი და ლაშა თორდია, რომელიც ამჟამად აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელია. დავით უსუფაშვილის განმარტებით, სწორედ მათი ინიციატივით განხორციელდა ცვლილებები კანონში, რამაც „კანონის დონეზე აღადგინა ის ინსტიტუტი, რომელიც 2004 წლიდან გაუქმებული იყო კონსტიტუციის დონეზე“.

– ირკვევა ისიც, რომ აღნიშნული საკითხი არანაირი ფორმით არ ფიგურირებდა კანონპროექტში არც ინიცირების და არც პირველი მოსმენით მიღების დროს და პროექტს ჩაემატა მეორე მოსმენის დროს, რაც საკანონმდებლო პროცესის უხეში დარღვევაცაა, – განმარტა უსუფაშვილმა.

იურისტების თქმით, დეპუტატისთვის ბრალის წაყენებას პარლამენტის ნებართვა სჭირდება, ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. თუმცა, მეორე მხრივ, კონსტიტუცია, პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონი და პარლამენტის რეგლამენტი ასეთ ნებართვას არ ითხოვს. ამ „სამართლებრივი კოლიზიის“ გასწორება სთხოვა უსუფაშვილმა ბიუროს.

– ამგვარი სამართლებრივი კოლიზიის შედეგად, პარლამენტის წევრს პრაქტიკულად აბსოლუტური იმუნიტეტი ენიჭება – შეუძლებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა და მტკიცებულებათა უტყუარობისა, – ეს უსუფაშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

ანუ უსუფაშვილი, თავისი დავალებით, დეპუტატისთვის ბრალის წაყენების შესაძლებლობას უშვებს, თუმცა მისი დაკავება ან დაპატიმრება, ჩხრეკა ან სხვა რაიმე ქმედება პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელი იქნება. ამ ნაწილში, იმუნიტეტი დეპუტატებს დაიცავს.

საია უსუფაშვილის ამ მოსაზრებას არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ არაკონსტიტუციურობის მოტივით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა, – რაც პროკურატურას დეპუტატის მიმართ დევნის დაწყების უფლებას მისცემს პარლამენტის თანხმობის გარეშე, – არასწორია.

ცნობისთვის: საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია პარლამენტის წევრის დაკავება, დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა, პარლამენტის თანხმობის გარეშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე და 169-ე მუხლი კი კრძალავს დეპუტატისათვის ბრალის წაყენებას პარლამენტის თანხმობის გარეშე.

ანუ კონსტიტუცია დეპუტატის დაკავებას კრძალავს პარლამენტის თანხმობის გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი კრძალავს დეპუტატის ბრალდებულად ცნობას. საია მიიჩნევს, რომ არავითარ კოლიზიასთან საქმე არ გვაქვს:

– ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილი არ აქვს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის ნორმათა კოლიზიას (წინააღმდეგობას), რადგან ნათელია, რომ ეს ნორმები სხვადასხვა საკითხს არეგულირებს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიძლება არაკონსტიტუციურად მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დეპუტატის იმუნიტეტის დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს და საიას სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ მაღალი უფლებრივი სტანდარტის დამდგენი კანონმდებლობა არ შეიძლება საქართველოს კონსტიტუციასთან მოდიოდეს წინააღმდეგობაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა მხოლოდ მაშინ, კოდექსს განსხვავებული რეგულირება რომ დაედგინა იმ საკითხზე, რაც პირდაპირ არის კონსტიტუციით გათვალისწინებული. მაგრამ, რადგან კონსტიტუცია არ არეგულირებს დაკავების გარეშე პირისთვის ბრალის წაყენების შემთხვევას, კანონმდებლის მიერ ამ საკითხის ნებისმიერი შინაარსით რეგულირება არ წარმოშობს კონსტიტუციურობის პრობლემას (არაკონსტიტუციური იქნებოდა, მაგალითად, პროკურატურას პარლამენტის თანხმობის გარეშე რომ ჰქონოდა დეპუტატის დაკავების შესაძლებლობა), – განმარტავენ საია-ში.

საია-მ დავით უსუფაშვილის შეფასებები არც აბსოლუტურ იმუნიტეტთან დაკავშირებით არ გაიზიარა:

– საია, ასევე, ვერ დაეთანხმება პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აბსოლუტურ იმუნიტეტს ანიჭებს დეპუტატს. აბსოლუტური არ შეიძლება ეწოდოს იმუნიტეტს, რომლის მოხსნაც შესაძლებელია პარლამენტის თანხმობით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია პარლამენტის თავმჯდომარის შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს მოცემული საკითხის მარეგულირებელი ცალკეული რეგულაციები (მაგალითად, არ არის განსაზღვრული, რა ვადაში უნდა განიხილოს პარლამენტმა პროკურატურის მიმართვა დევნის დაწყებაზე თანხმობის მიღების შესახებ და ა.შ.). შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება პარლამენტის ძალისხმევა ამ რეგულაციების ნათლად დადგენისკენ იყოს მიმართული და არა დეპუტატის დაცვის მაღალი სტანდარტის შემცველი ნორმების გაუქმებისკენ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რაში ეხმარება ნინო ბურჯანაძე პუტინს

ქეთი ხატიაშვილი

უკრაინის გაწითლებული რუკა, ვინ არის შემდეგი?

საქართველოში პრორუსული ორიენტაცია არ არსებობს, არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური ფიგურა, ვისაც შეუძლია, დაასახელოს ის ღირებულებები, რომელსაც კრემლი მხარს უჭერს. დასავლეთისგან განსხვავებით, სადაც ადამიანის უფლებები, დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ის ფასეულობებია, რომელიც სავალდებულოა თითოეულისთვის. შესაბამისად, როცა ამბობენ პროდასავლელი, იცი რასთან არის ეს ორიენტაცია დაკავშირებული. იცი, რომ ეს ნიშნავს რეფორმებს, უსაფრთხო გარემოს, თითოეულის უფლებების დაცვას, სამართლიანობას.

მაგრამ, მაგალითად, რას გულისხმობენ პრორუსობაში? საინტერესოა, როცა ნინო ბურჯანაძე ჭეშმარიტ პოლიტიკაზე გვესაუბრება, რას გულისხმობს, რა ფასეულობებსა და ღირებულებებს ქადაგებს?

ამიტომაც ნინო ბურჯანაძის იდეოლოგია არის – რატომ უნდა ვიყო პუტინზე გაბრაზებული? ამ იდეოლოგიის გამო, სხვათა შორის, არასაპარლამენტო პარტიების უმრავლესობამ მასთან გაერთიანება არ მოისურვა. განსაკუთრებით მათ, ვისთვისაც პოლიტიკა ბიზნესსა და ფულს კი არა, ფასეულობებს ნიშნავს.

განსაკუთრებით მძიმე უნდა იყოს ბურჯანაძის გვერდით დგომა, ყირიმის კრიზისის შემდეგ. ანუ მას შემდეგ, რაც დასავლეთმა პუტინი ჰიტლერს შეადარა. თუმცა ქართულ პოლიტიკაში ბურჯანაძის მხარდაჭერა 2008 წლის ომის შემდეგ სამარცხვინო გახდა, ამიტომაც ის 26 მაისს მარტო დატოვეს...

აგვისტოს ომის შემდეგ, როცა რუსეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა, მშვიდობიან მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნა, ქართველი ჯარისკაცები კი 5-დღიან ომს შეეწირნენ, ბურჯანაძემ გაოცებული თვალებით იკითხა: რატომ უნდა ვიყო პუტინზე გაბრაზებული?

ახლა ყირიმის აღიარების შემდეგ ბურჯანაძემ ისევ გაოცებულმა იკითხა: კი მაგრამ, სად დაინახეთ პუტინის არაადეკვატურობაო.

მეტი დემონსტრირებისთვის ბურჯანაძემ უკრაინის რუკა აიღო, რუსული გავლენები წითლად გააფერადა და თვალებზე აგვაფარა ყველას, ვისაც ყირიმი უკრაინა „გვეგონა“.

ნინო ბურჯანაძე:

– არ ვიცი, ვინ იდგა იმ პროცესების უკან, რომელიც უკრაინაში ასე გამწვავდა. ნამდვილად იყო შანსი იმისა, რომ უკრაინაში ვითარება დარეგულირებულიყო, ამის შანსი იყო თუნდაც 21 თებერვალს, როდესაც იანუკოვიჩი ისეთ დათმობებზე წავიდა, რომელიც გასაოცარიც კი იყო. ამით დაზარალდა უკრაინელი ხალხი და უკრაინის სახელმწიფო და ისე ვითარდება მოვლენები, რომ მოგებული ამით შეიძლება სწორედ რუსეთი აღმოჩნდეს... წითლად შეღებილია უკრაინის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოსახლეობის 70% არის რუსი. ეს არ არის რუსულენოვანი ან პრორუსული მოსახლეობა. ეს მოსახლეობა ეთნიკურად რუსია, თავს თვლიან რუსებად და თავის სამშობლოდ მიაჩნიათ, საუკეთესო შემთხვევაში, უკრაინა-რუსეთი ერთად... – განაცხადა ნინომ „პოლიტიკის დროში“.

ნეტა, საქართველოს რუკას როდის გამოიტანს ბურჯანაძე და როდის გვამცნობს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი რუსეთია და რომ არაადეკვატური აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის აღიარებაში არაფერია.

ბურჯანაძე ამტკიცებს, რომ რადგანაც, უკრაინის დიდ ნაწილში ეთნიკურად რუსი მოსახლეობა ცხოვრობს, მათ რუსეთის შემადგენლობაში უნდათ ცხოვრება.

ამიტომაც არის ეს ქალი პოლიტიკისთვის არაადეკვატური. ანუ ამ ლოგიკით ნინო მალე გამოიტანს ლატვიის რუკას, იქ წითელად მოგვიხაზავს ადგილებს და გვეტყვის: აი, ამ ტერიტორიებზე რუსულად ლაპარაკობენ, შესაბამისად, მათ სურთ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნაო. შემდეგ მოლდოვის რუკას გამოაფრიალებს, შემდეგ ყველა იმ ქვეყნისა, ვინც პუტინზე გაბრაზდება ან ჩათვლის, რომ ის არაადეკვატურად იქცევა. ბურჯანაძე მზად არის, ყველა გააწითლოს.

ადგილობრივ არჩევნებში ის პირველად მიიღებს მონაწილეობას. დიდი კოალიცია ვერ გააკეთა, ამბობენ, რომ მან თავად არ მოისურვა. თუმცა, პარტიები საგულდაგულოდ მალავდნენ მის ოფისში სტუმრობას და მასთან კონსულტაციებს. ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ბურჯანაძის ოფისთან მხოლოდ ჩაიარა და შიგნით არ შესულა. როგორც ჩანს, საქართველოში პუტინისტობა ჯერ მაინც სირცხვილია. ასე რომ, ჯერჯერობით ის მარტოა. მართალია „ქდმ“ შეიერთა, მაგრამ არც გიორგი თარგამაძე აპირებს მის გვერდით დადგომას და არც ლევან ვეფხვაძე. მათ პოლიტიკა საერთოდაც დატოვეს, ამ ეტაპზე ასეა.

ნინო ბურჯანაძე ჯაშუშის ავტორიტეტით სარგებლობს რუსულ მედიაშიც, უფრო სწორად კრემლისგან არაკონტროლირებად მედიაში.

იულია ლატინინამ, 26 მაისის შემდეგ, მას სწორედ რუსეთის ჯაშუში უწოდა:

– ნინო ბურჯანაძე ისეთივე რევოლუციონერია, როგორიც ჯაშუში. ის ისე მოქმედებდა, როგორც რუსები მოიქცეოდნენ.

„ეხო მოსკვის“ ჟურნალისტის თქმით, ბურჯანაძეს რუსეთი უჭერდა მხარს და კრემლშიც ჰქონდათ მისი „გამბედაობის“ იმედი.

ამ ფონზე მუდმივად იყო საუბარი იმ რუსულ დაფინანსებაზე, რომელსაც ბურჯანაძე ყოველთვის იღებდა. რა თქმა უნდა, არა არჩევნების მოსაგებად, ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც პრორუსულ ფიგურებს მხარდაჭერა საქართველოში არ აქვთ, არამედ „რევოლუციისა“ და არეულობის მოსაწყობად, როგორც, მაგალითად, ყირგიზეთში.

რადგანაც ბურჯანაძემ რუკა გამოაფრიალა და პუტინის „გათეთრებას“ შეუდგა, როგორც ჩანს, ამ არჩევნებშიც არ დატოვებენ მას ყურადღების გარეშე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელი მინისტრები შეიცვლებიან ადგილობრივი არჩევნების შემდეგ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ჯერ მინისტრებისთვის არ სცალიათ. სავარაუდოდ, მათთვის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მოიცლიან, ანუ მაშინ, როდესაც დედაქალაქს ახალი მერი, ახალი საკრებულო და ახალი ხელმძღვანელობა ეყოლება. სამთავრობო ცვლილებებს, ბუნებრივია, საზოგადოებაზე მეტად თავად გუნდში ელოდებიან. პრინციპში, ყოფილმა პრემიერმა საკუთარი მინიშნება უკვე გააკეთა. საზოგადოებამაც განცხადება ადეკვატურად აღიქვა და მოლოდინი, რომ კულტურის მინისტრი შეიცვლება, კითხვის ნიშნის ქვეშ აღარც დგას.

„შეიძლება ალასანიას ჰქონდა მენეჯმენტის შეცვლის სურვილი, მაგრამ ის ვერ ერკვევა შეიარაღებულ ძალებში, საერთოდ არ ესმის, რა არის შეიარაღებული ძალების პრობლემატიკა“

ბიძინა ივანიშვილი:

– მე შემიძლია გითხრათ ძალიან თამამად, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი არ გადის ძალიან კარგ მინისტრებს შორის. კულტურის მინისტრი გადის იმ მინისტრებში, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. მე დავყავი მინისტრები „ძალიან კარგ“ და „კარგ“ მინისტრებად, ცუდს არ ვეძახი, რადგან მათ გულწრფელად აქვთ სურვილი, დაეხმარონ ქვეყანას და განახორციელონ, რაც ევალებათ, საკუთარი პოსტიდან გამომდინარე, მაგრამ არ გამოსდით და ამიტომ ბევრი საჭიროებს განვითარებას. გურამ ოდიშარიას ძალიან დიდ პატივს ვცემ, ძალიან კარგი ადამიანია, ძალიან გულწრფელი, მაგრამ ეს არ ჰყოფნის ყველაფერ იმას, რომ იყო პროფესიონალი და კარგად გამოგივიდეს ყველაფერი. აკლია მას გამოცდილება, აკლია გადაწყვეტილების მიღების დროულობა. საერთო ჯამში, მთავრობა დღეს ნორმალურად მუშაობს. რა თქმა უნდა, გადაცდომებიც არის.

ივანიშვილის განცხადება არავის გაჰკვირვებია, რადგან კულტურის მინისტრის შეცვლის საკითხი უკვე დიდი ხანია განიხილება. პოლიტიკური კულუარებიდან ოდიშარიას შემცვლელების გვარებმაც კი გამოჟონა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს რეაქცია მსგავს კითხვებზე ყოველ ჯერზე ერთნაირია ხოლმე. წარმომადგენლები გვპასუხობენ, რომ მინისტრი არსად წასვლას არ აპირებს და ის ამ წუთებშიც თავის სამუშაო კაბინეტში ზის და თათბირს მართავს. არ აქვს მნიშვნელობა დღისა და კვირის დროს. მინისტრი, მისივე თანამშრომლების განცხადებით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობს. მიუხედავად ამისა, მისით მაინც უკმაყოფილოები არიან. ერთადერთი მინიშნება თავად ოდიშარიამ საკუთარ წასვლაზე საახალწლოდ გააკეთა, როდესაც სამინისტროში საკმაოდ პომპეზური მიღება მოაწყო იმის საჩვენებლად, თუ რა სამუშაოები გაატარა 2013 წელს. მაშინ მინისტრმა სამომავლო გეგმებზე საუბრისას განაცხადა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ უხელმძღვანელებს უწყებას, მთავარია, დაგეგმილი მიზნები განხორციელდეს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ იმ პერიოდში იყო მოლოდინი, რომ 2014 წლის დასაწყისში სამთავრობო ცვლილებები სწორედ ოდიშარიათი დაიწყებოდა, თუმცა პროცესი არც მაშინ დაძრულა. თუმცა ოდიშარიას მუშაობის პარალელურად მაინც აქტიურად განიხილებოდა რატი ამაღლობელის, ჯაბა სამუშიასა და კიდევ რამდენიმე ცნობილი ადამიანის სახელი და გვარი კულტურის მომავალ მინისტრად. ბუნებრივია, სავარაუდო კანდიდატების რეაქცია მოზომილი იყო. თავის დროზე არც რატი ამაღლობელმა და არც ჯაბა სამუშიამ ინფორმაციები არ დაადასტურეს. თუმცა, როგორც ამბობენ, კულუარებში მსგავსი საკითხი ნამდვილად განიხილებოდა. მეტიც, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი ჯაბა სამუშიამ კულტურის მოღვაწეებთან რამდენიმე დახურული შეხვედრაც კი გამართა. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას ცნობილი ქორეოგრაფი ომარ მხეიძეც ესწრებოდა. ჩვენთან საუბრისას, მან დაადასტურა, რომ ჯაბა სამუშიასთან შეხვედრა ნამდვილად შედგა, თუმცა კულტურის მინისტრობის თემა იქ არ განხილულა. ომარ მხეიძე: „დიახ, შეხვედრა ნამდვილად შედგა, თუმცა საუბარი ეხებოდა ფილარმონიის ორგანიზაციის დაფუძნებას. მსგავსი ორგანიზაცია ბევრ ქვეყანაში არსებობს და ვმსჯელობდით საქართველოში ორგანიზაციის აღდგენის შესახებ“. ბუნებრივია, სამუშია მაშინაც უარყოფდა შესაძლო გამინისტრებას, ისევე როგორც თავის დროზე რატი ამაღლობელი. მისი ოჯახის წევრების განცხადებით, არა თუ შეთავაზება არამედ ინფორმაციაც კი არ მიულიათ რატის შესაძლო გამინისტრების შესახებ. დღეს კი უკვე ნათლად ჩანს, რომ ოდიშარიას შემცვლელზე ხელისუფლება დიდი ხანია მუშაობს. თავად ოდიშარია ივანიშვილს „facebook“-ის მეშვეობით ეხმიანება და მისი შეფასების თითოეულ პუნქტს ეთანხმება. შეიძლება ითქვას, რომ ოდიშარია უკვე მზად არის, პოსტი დატოვოს და უწყება საკუთარ შემცვლელს გადააბაროს.

ვინ გახდება საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი და რა პოსტს სთავაზობენ მაია ფანჯიკიძეს

რიგით მეორე „კარგი“ მინისტრი, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანია იქნება. სხვათა შორის, ალასანიას ირგვლივაც უკვე დიდი ხანია, კონკრეტული ინფორმაციები ტრიალებს. ბევრჯერ ითქვა, რომ ის პოსტს მალე დატოვებდა, ან დაატოვებინებდნენ. მსგავსი დასკვნის გაკეთების მიზეზი მინისტრების რეიტინგების გამოქვეყნება გახდა. რეიტინგში ნომერ პირველი მართალია, ირაკლი ალასანია იყო, მაგრამ თავდაცვის სფერო ალასანიას მინისტრობის პერიოდში საკმაოდ ბევრ სკანდალში გაეხვია. სკანდალების უმეტესობა ჯარში არსებულ პრობლემებს უკავშირდებოდა. არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯარისკაცები უხარისხო პროდუქტების გამო იწამლებოდნენ. მინისტრის პოზიცია ყოველ ჯერზე ფაქტის უარყოფის მცდელობა იყო, მოგვიანებით კი ის სხვადასხვა მიზეზით იხსნებოდა. ზუსტად ასე მოხდა წინა კვირაშიც. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მეოთხე ბრიგადაში 150-მდე, ხოლო ალგეთის პოლიგონის 23-ე ბატალიონში 100-მდე ჯარისკაცი მოიწამლა. ინფორმაციის საპასუხოდ თავდაცვის უწყებამ ინფორმაცია უარყო. ექსპერტების განცხადებით, ალასანია თავდაცვის სფეროში მაინცდამაინც ძლიერი არ არის, შესაბამისად, ის არსებული პრობლემების მოგვარებასაც ვერ ახერხებს...

გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი:

– ჯანმრთელობის უზრუნველყოფა შეიარაღებულ ძალებში ყველაზე მარტივი საქმეა, ტექნიკურად ყველაზე ადვილი გასაკეთებელია. დასავლეთის ნებისმიერი ქვეყნის გამოცდილება იძლევა საშუალებას, ეს საქმე მარტივად დალაგდეს. შეიძლება ალასანიას ჰქონდა მენეჯმენტის შეცვლის სურვილი, მაგრამ ის ვერ ერკვევა შეიარაღებულ ძალებში, საერთოდ არ ესმის, რა არის შეიარაღებული ძალების პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, მის ბრძანებას შეიძლება არ მოჰყოლოდა კონკრეტული საქმე. ხშირად ხდება ხოლმე მსგავსი რამ. შეიძლება მენეჯმენტი ქაღალდზე ლამაზი სიტყვებით შეიცვალა, მაგრამ რეალურად ის არ შეცვლილა.

როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ირაკლი ალასანიას თავდაცვის მინისტრის პოსტიდან საგარეო უწყებაში გადაიყვანენ. პრინციპში, ეს მისი სფეროა, სადაც გამოცდილებაც უფრო მეტი აქვს, ვიდრე თავდაცვაში და ბევრად უფრო ნაცნობია. ალასანიასთვის საგარეო უწყების ხელმძღვანელობა ყოველთვის მიმზიდველი იყო. სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ალასანიას „დასაკუთრებაზე“ სწორედ მისი კავშირების გამო იბრძოდნენ. მისი პირადი პარტიაც, „თავისუფალი დემოკრატები“ საკუთარ ლიდერზე საუბრისას ხაზგასმას ყოველთვის საერთაშორისო ასპარეზზე მიღებულ გამოცდილებაზე აკეთებდნენ. რაც შეეხება პოსტის გარეშე დარჩენილ მაია ფანჯიკიძეს, როგორც ამბობენ, საგარეო უწყებაში დატოვებენ. არ არის გამორიცხული, მას ელჩის პოსტიც შესთავაზონ. როგორც ჩანს, სიძე-ცოლისდის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და მხოლოდ 15 ივნისის გასვლას ელოდებიან...

ექსპერტები აცხადებენ, რომ ალასანიას საგარეო უწყებაში გადასვლა მასზე დადებითად იმოქმედებს, რადგან ეს სფერო მისთვის ბევრად ნაცნობია.

თორნიკე შარაშენიძე, ექსპერტი:

– სწორია, რადგან ეს არის ადამიანი, რომელსაც დიდი დიპლომატიური გამოცდილება აქვს. პრინციპში, მას დიპლომატიაში ბევრად დიდი გამოცდილება აქვს, ვიდრე თავდაცვის სფეროში. ალასანიას ბევრად მნიშვნელოვანი კონტაქტები აქვს საგარეო სფეროში, შეუძლია კარგად საუბარი რამდენიმე ენაზე, არის სასიამოვნო მოსაუბრე. ბუნებრივია, ეს მნიშვნელოვანი ფაქტორებია. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ირაკლი ალასანია უფრო გამოჩნდება, თუმცა თავდაცვის სფეროშიც ჰქონდა მას ამის შანსი განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ნატოსთან თანამშრომლობას ეხება. თუმცა ვფიქრობ, მისი გამოცდილებიდან, მისი ბეგრაუნდიდან, მისი ტიპაჟიდან გამომდინარე დიპლომატობა უფრო შეჰფერის.

– როგორ ფიქრობთ, საგარეო უწყებაში გადაყვანით არ მოხდება მისი ჩამოქვეითება, რადგან თავდაცვის უწყების ხელმძღვანელობა პოლიტიკურად ბევრად მნიშვნელოვან პოსტად ითვლება...

– გააჩნია, რისთვის იყენებ ძალოვანი სტრუქტურის კონტროლს, გარდა ამისა, გააჩნია პოლიტიკურ მიზნებსაც, თუ პრეზიდენტობას აპირებს პოლიტიკოსი, მაშინ მისთვის ჯარში პოპულარობის მიღწევა მნიშვნელოვანია, ბუნებრივია. როგორც ვიცით, ალასანიას ასეთი გეგმები ჰქონდა.

კულტურისა და თავდაცვის უწყებების გარდა, ცვლილებებს ელოდებიან განათლების სამინისტროშიც. უფრო კონკრეტულად კი ცნობილი ხდება, რომ მარგველაშვილის კრიტიკას შედეგად აუცილებლად მოჰყვება მისი კადრის, თამარ სანიკიძის ჩანაცვლება.

სანიკიძე განათლების მინისტრად მარგველაშვილმა შეარჩია. მაშინდელ პრემიერთან შეთანხმებით, გადაწყვეტილებაც დადებითად მიიღეს და სანიკიძემაც მინისტრის პოსტზე მუშაობა 2013 წლის ივლისიდან დაიწყო. მანამდე, 2010-2012 წლებში, ის გიორგი მარგველაშვილთან საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში („ჯიპაში“) ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. მოგვიანებით, როდესაც მარგველაშვილი განათლების მინისტრად დაინიშნა, პირველი მოადგილის პოსტზე ერთ-ერთი პირველი შეთავაზება სწორედ საკუთარ კოლეგას გაუკეთა. მინისტრის პოსტზე ოფიციალურად დანიშვნისთანავე სანიკიძემ, პირველივე გადაწყვეტილებით, რესპუბლიკელებს დაარტყა და მინისტრის მოადგილედ მომუშავე დავით ზურაბიშვილი გაათავისუფლა. მოგვიანებით ზურაბიშვილი საკუთარ განთავისუფლებაზე ხუმრობდა, ჭკვიანებს ყველგან ებრძვიანო.

უმრავლესობაში საკადრო ცვლილებებზე ჯერჯერობით ხმამაღლა არ საუბრობენ. ბუნებრივია, ჯერჯერობით დეტალების გახმაურება არც შედის მათ ინტერესებში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამა გაბრიელის სასწაული - 8 წლის ნანუკა სიმსივნისგან განიკურნა

სალომე გოგოხია

8 წლის ნანუკა მარგველაშვილი სიმსივნით დაავადებული იყო. მამა გაბრიელის წმინდა ნაწილების მოლოცვის შემდეგ იგი სავსებით განიკურნა. 5 თვის წინ მედიკოსებმა გოგონას ბერკიტის სიმსივნე არახოჩკინის ლიმფომას დიაგნოზი დაუსვეს. მკურნალობის კურსის დასრულების შემდეგ, საკონტროლო გამოკვლევისას, ექიმებმა ქიმიოთერაპიის განმეორებითი კურსი დაუნიშნეს. საავადმყოფოში დაწოლამდე ნანუკამ დედასთან ერთად სამების ტაძარში დაბრძანებული მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები მოილოცა.

ნანუკას დედის თქმით, დედა პარასკევამ გოგონა მამა გაბრიელის უხრწნელი სისხლით დალოცა. შემდეგ კი დედას ტომოგრაფიის ჩატარება ურჩია.

„ერთსულოვნების“ მიერ მომზადებულ სიუჟეტში ნანუკას დედა მის შვილზე გადახდენილ სასწაულზე საუბრობს.

„ნაწლავში გაუვალობის ფონზე ნაწლავზე ოპერაცია გაუკეთდა. წვრილი ნაწლავიდან წანაზარი ამოკვეთეს, რომელიც დაითესა და მორფოლოგიური კვლევის შედეგად ბერკიტის სიმსივნე არახოჩკინის ლიმფომა დაუდგინეს. პარალელურად, გერმანიაშიც გავგზავნეთ და იქიდანაც ანალოგიური პასუხი მივიღეთ. იაშვილის ონკო-ჰემატოლოგიურ განყოფილებაში დავაწვინეთ, სადაც ორი თვე გავატარეთ. ქიმიოთერაპიის ორი კურსი დაენიშნა. მკურნალობის შემდეგ გადავუღეთ საკონტროლო ტომოგრაფია. ექიმებს რაღაც არ მოეწონათ, მენჯის ღრუში სითხე იყო დარჩენილი, ლიმფური კვანძების ზომაც არ მოეწონათ. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ქიმიოთერაპიის კიდევ ორი კურსი ჩაეტარებინათ. ამ პერიოდში სამების ტაძარში მამა გაბრიელის წმინდა ნაწილები იყო დაბრძანებული. სამების ტაძარში წავედით, მოვილოცეთ. იქვე იჯდა დედა პარასკევა, მან ნანუკა დალოცა, უთხრა ყველაფერი კარგად იქნებაო. შეეკითხა, რწმენით ხარო, კიო - უპასუხა ნანუკამ. მამა გაბრიელი აუცილებლად შეგისრულებს სურვილსო. წამოსვლის წინ გვითხრა, რომ ბავშვს ტომოგრაფია აუცილებლად გადაუღეთო. არადა, ქიმიოთერაპიის დღე უკვე დანიშნული იყო. დავიბენი, მაგრამ ზუსტად ვიცოდი, რომ ტომოგრაფია აუცილებლად უნდა გადამეღო. თან მამა გაბრიელის ძალიან მჯერა. ექიმმა რადიოლოგმა გია წივწივაძემ ჩვენი ისტორია იცოდა, ძველი ტომოგრაფიის დისკებიც ნახა, გვითხრა, კი, ბატონო გადაიღეთო. გახარებული მოვიდა, განცვიფრებულმა გვითხრა, რომ არაფერი არ არის. დასკვნაში ვწერ ნორმასო. ასეთი სასწაული დაგვემართა. სასწაულები არსებობს, მამა გაბრიელთან რწმენით უნდა მიხვიდე და გულით შესთხოვო, ის აუცილებლად უსმენს გაჭირვებულ ადამიანებს“, - ამბობს ნანუკას დედა, ნათია სოლუაშვილი.

სიუჟეტში ნანუკა ჰყვება, რომ მამა გაბრიელს ქიმიოთერაპიის კურსის იოლად გადალახვა შესთხოვა. – „მთავარია რწმენით შესთხოვო და აუცილებლად შეგისრულებს. მიხარია, რომ ეს კურსები არ უნდა ჩავიტარო“,- ამბობს გოგონა.

„პრაიმტაიმი“ რადიოლოგ გიორგი წივწივაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ნანუკას ტომოგრაფია გადაუღო.

გიორგი წივწივაძე მედიცინის დოქტორი, თოდუას კლინიკის კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი: „ეს ბავშვი ჩემთან გამოგზავნეს, სიმსივნის გამო ნაოპერაციევი იყო. სიმსივნე მუცლის ღრუში ჰქონდა. თუ არ ვცდები ქიმიოთერაპიაც ჩაუტარეს. მკურნალობის ფონზე დაკვირვების მიზნით გამოგზავნეს. ეს ბავშვი ჩვენთან ორი კვირის წინ იყო.

როცა ტომოგრაფია გადავუღე, მახსოვს, ყველაფერი ნორმაში აღმოაჩნდა და სიმსივნე აღარ იყო. დიაგნოზში დავწერე - სრული ნორმა.

- პრაქტიკაში ანალოგიური შემთხვევა თუ გქონიათ?

- მქონია და ძალიან კარგი შედეგებით. ჩვენ ვართ დიაგნოსტები და ჩვენთან მკურნალობის მერე, შემოწმებაზე მოდიან. საბედნიეროდ, კარგ შედეგებს ხშირად ვნახულობთ, ზოგი ქირურგიული მკურნალობის შედეგად, ზოგი სხივური.

„პრაიმტაიმი“ ასევე დაუკავშირდა ნანუკას მკურნალ ექიმს, ქალბატონ მანანა ჯაიანს.

„ეს ბავშვი განიკურნა და ძალიან კარგად არის. პრაქტიკაში განკურნების შემთხვევები უამრავია და ეს არ არის დაფარული. ეს ყველამ იცის. ბავშვს ჩაუტარდა ქიმიოთერაპია და მორჩა. განმეორებითი სხივური თერაპია არ დაგვინიშნავს“,- განაცხადა ჯაიანმა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რაც მამა გაბრიელის წმინდა ნაწილების მოლოცვის შემდეგ მრევლი სიმსივნისგან განკურნებაზე საუბრობს. დაახლოებით ორი კვირის წინ, „იუთუბზე“ გავრცელდა სიუჟეტი, სადაც ქობულეთელი დები ჰყვებიან, რომ მათი მამა წმინდანის ნაწილების მოლოცვის შემდეგ სიმსივნისგან განიკურნა.

ვინ აიძულა თ

my View

მირიან ბოქოლიშვილი

ეს ტრაგიკული ისტორია ჩვენს მკითხველს ნათლად დაანახებს, რა შედეგით შეიძლება დასრულდეს საზოგადოების დამოკიდებულება, როდესაც შენ არ ხარ ყველას მსგავსი, გაცვია განსხვავებულად და ამის გამო საყოველთაო კრიტიკის ობიექტი ხდები. ამ სტატიით შევეცდებით, დაგანახოთ საზოგადოების სახე, რომელიც მზად არის, ლინჩის წესით გაგასამართლოს, თუ შენ მათ მიერ დადგენილ ყველა წესს არ ემორჩილები.

ეს ამბავი სულ რამდენიმე დღის წინ, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში მოხდა. პრესაში აქტიურად გაშუქდა ნიუსები, რომ 15 წლის გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამ სევდიანი ნიუსის იქით კი საკმაოდ სერიოზული პრობლემა იმალება.

მოკლედ, 18 მარტს წყალტუბოს რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სოფელ ფარცხანაყანებში 15 წლის თინათინ მელაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. გოგონა საკუთარი სახლის ეზოში, ხეზე ჩამომხრჩვალი ოჯახის წევრებმა და მეზობლებმა იპოვეს. ის ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა უშედეგოდ. გოგონა უკვე გარდაცვლილი იყო.

„პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ თინათინ მელაძეს ბებია ზრდიდა. სოციალური პრობლემების გამო დედა საზღვარგარეთ, კერძოდ იტალიაში იყო სამუშაოდ წასული. ქუთაისის #7 საჯარო სკოლაში მას დადებით და მოწესრიგებულ მოსწავლედ ახასიათებენ, რომელსაც სკოლაში სერიოზული პრობლემები არასდროს ჰქონია, თუმცა ჩვენთან საუბრისას მისი მეგობრები ყვებიან, რომ თინათინს პრობლემები ჰქონდა სოფელში, რის გამოც ერთხელ ვენების გადაჭრაც კი სცადა. ირკვევა, რომ 15 წლის მოზარდი თანასოფლელების გაკიცხვის ობიექტად მხოლოდ იმიტომ იქცა, რომ მისი ჩაცმულობა არ მოსწონდათ. როგორც ჩანს, ადგილობრივების ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ თინათინიც ზუსტად ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც სხვა მისი თანატოლები.

ჩვენ, მათი ასაკის გამო, არ დავასახელებთ თინათინის იმ მეგობრების ვინაობას, რომლებიც მომხდარის შესახებ გვესაუბრნენ, თუმცა გეტყვით, რომ თითქმის ყველა მათგანი საგამოძიებო ორგანომაც დაკითხა, რომელიც ცდილობს, პასუხი გასცეს კითხვას – ვინ მიიყვანა 15 წლის მოზარდი თვითმკვლელობამდე?

ერთ-ერთი მეგობარი, რომელთან ერთადაც თინათინი პირველი კლასიდანვე სწავლობდა გვიყვება, რომ „თიკას დაახლოებით ხუთი თვის წინ ჰყავდა შეყვარებული, რომელიც მან ინტერნეტით გაიცნო და რამდენჯერმე შეხვდა კიდეც. მათ თავიდან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა დაახლოებით ერთ თვეში დაშორდა და აღარ შეხვედრია. იანვრის ბოლოს თინათინი სკოლაში მოვიდა და მას ხელზე ვენები ჰქონდა დასერილი. როდესაც მეგობრებმა ჰკითხეს მიზეზი, მან უპასუხა, რომ სოფელში წასვლა არ უნდოდა და სძულდა იქაურობა, რადგან მასზე ჭორაობდნენ მისი ჩაცმულობის გამო“.

ამ ფაქტის გამო, თინათინს მეგობრებმა უსაყვედურეს და სთხოვეს, მსგავსი „სისულელე აღარასოდეს გაეკეთებინა“. გარდაცვლილის კიდევ ერთი მეგობარი კი გვიყვება იმ დღიურის შესახებ, რომელსაც თინათინი აწარმოებდა. უბის წიგნაკი ამჟამად გამოძიებას აქვს ამოღებული მტკიცებულების სახით. ამ წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერების შინაარსი მისი მეგობრებისთვისაც მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი.

„დღიური რომ ჰქონდა, ვიცოდით, მაგრამ რას წერდა ამ დღიურში ჩვენც ახლა გავიგეთ. იქ იყო პირადი ჩანაწერები, რომელშიც ჩახატულია სახრჩობელაზე დაკიდებული გოგონა და გაკეთებულია მინაწერები: „თავს მოვიკლავ, მერე რა, მე არავის შევუშლი ამით ხელს, უფრო კარგიც იქნება, რადგან უფრო მოაკლდება ჩემნაირი რეგვენი ამ ქვეყანას“; „სიკვდილიიიიი“ „რა საზიზღრობაა“; „მე მოვიკლავ თავს, რადგან სიკვდილია ჩემი ხსნა“; „სიკვდილი მინდა“... „იცი, როგორ ჩამიჯდა თავში ეს ჩამოხრჩობა, აი, არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მავიწყდება თუ არ ვაკეთებ, არ ვიცი. აუ, როგორ მინდა, ძალიან მინდა სიკვდილი“, – გადმოგვცემს დღიურში გაკეთებულ ჩანაწერებს თინათინის ბავშვობის მეგობარი.

„პრაიმტაიმი“ დაუკავშირდა ქუთაისის #7 საჯარო სკოლის პედაგოგს ნატო ფორჩხიძესაც, რომელიც თინათინის კლასის დამრიგებელი გახლავთ. მისი თქმით, თინათინი იმდენად მშვიდი და გაწონასწორებული ბავშვი იყო, რომ სუიციდისკენ მიდრეკილება მისთვის არასდროს შეუმჩნევია.

„თინათინი იყო სკოლაში მშვიდი გოგონა, საკმაოდ გაწონასწორებული, კლასელებთან და მეგობრებთან ჰქონდა კარგი დამოკიდებულება. ის იყო საშუალო აკადემიური მოსწრების ბავშვი. ძალიან იშვიათად, თუ თიკო სკოლაში არ მოვიდოდა. მას ყურადღებას აქცევდა ბებო, რომელიც ხშირად დადიოდა ყოველ კრებაზე და იგებდა მის ამბავს. კრება ტარდება, საშუალოდ, ორ თვეში ერთხელ, შეიძლება თვეში ერთხელ, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვების აკადემიური მოსწრება არ არის სასურველი“, – გვიყვება სკოლის პედაგოგი.

კლასის დამრიგებლის თქმით, მარიამისთვის იმ დღესაც საეჭვო არაფერი შეუნიშნავს, თუმცა ცოტა ხნის წინ მან გოგონა ატირებული ნახა. როდესაც დამრიგებელი მიზეზით დაინტერესდა, თინათინმა უპასუხა, რომ დედა ენატრება.

„18 მარტს თიკო ჩვეულებისამებრ იყო სკოლაში დილიდან, მისთვის რაიმე პრობლემა არ შემინიშნავს. მე-6 გაკვეთილზე, რომელიც ჰქონდათ ფიზკ-

რას წერდა საკუთარ უბის წიგნაკში 15 წლის თინათინ მელაძე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვითმკვლელობა არასრულწლოვანს?

თინათინ მელაძე

სალომე გვასალია

თაკო ყურშავიშვილი

„სოფელში წასვლა არ უნდოდა და სძულდა იქაურობა, რადგან მასზე ჭორაობდნენ, მისი ჩაცმულობის გამო“

პირადი ჩანაწერები, რომელშიც ჩახატულია სახრჩობელაზე დაკიდებული გოგონა წარწერებით: „მე მოვიკლავ თავს, რადგან სიკვდილია ჩემი ხსნა“; „სიკვდილი მინდა“... „იცი როგორ ჩამიჯდა თავში ეს ჩამოხრჩობა, აი, არ ვიცი, მაგრამ რატომღაც მავიწყდება თუ არ ვაკეთებ, არ ვიცი. აუ, როგორ მინდა, ძალიან მინდა სიკვდილი“

ულტურა, მივაკითხე მათ და რატომღაც თიკოს შევეკითხე, ხომ ხარ კარგად-მეთქი, მიპასუხა: კი, ნატო მასწავლებელო, კარგად ვარო და თან გაიცინა. დაახლოებით თვე-ნახევრის წინ თიკო დილით მოვიდა სკოლაში. კლასში რომ შევედი, დავინახე, თვალები ჰქონდა ცრემლიანი, შევეკითხე, რატომ ტირიმეთქი, შეყვარებული ხომ არ ხარ ან რამე სხვა პრობლემა ხომ არ გაქვს-მეთქი? მიპასუხა, არა, შეყვარებული არ ვარ, ნატო მასწავლებელო, დედა მენატრებაო. მას სკოლაში ვინმესთან კონფლიქტური ურთიერთობა არ ჰქონდა“, – ამბობს ნატო ფორჩხიძე.

თინათინ მელაძის ცხედარს სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა, რომლის დასკვნაც რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, მანამდე კი „პრაიმტაიმი“ შეეცადა, ფსიქოლოგთან გაერკვია, რასთან გვაქვს საქმე, როდესაც არასრულწლოვანი მოულოდნელად სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს, მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში არაერთი მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა.

ჩვენ ამ თემაზე ფსიქოლოგ რუსუდან ფხაკაძეს ვთხოვეთ განმარტება:

– რთულია აქ ერთ მიზეზზე საუბარი. საქმე გვაქვს კომპლექსურ პრობლემასთან. ზოგადად, თუ ბავშვს აქვს არასრულფასოვნების კომპლექსი, მხოლოდ ამან არ შეიძლება თვითმკვლელობამდე მიიყვანოს, მისი ეს თვისება ძლიერდება კონკრეტულ გარემოში. მე თუ არასრულფასოვნების კომპლექსი მაქვს და ამავე დროს გარემოც არ დამინდობს და დამცინის, გამოდის, რომ ყველგან უარყოფილი ვარ. მიჩნდება და თანდათან მიძლიერდება აზრი, რომ მე ვარ აბსოლუტურად მიუღებელი. ამ ყველაფერს შემდეგ თან ახლავს დეპრესია. ეს შემთხვევა მაინც არ შეიძლება განვიხილოთ აფექტად.

– მას მეგობრებთან ჰქონდა საუბარი, რომ სოფელში მასზე ჭორაობენ და კიცხავენ მისი ჩაცმულობის გამო... რამდენად დგას ამ შემთხვევაში სოფლის, ანუ გარშემომყოფი საზოგადოების პასუხისმგებლობის საკითხი?

– არ შეიძლება გამორიცხული იყოს ფსიქიკური ფაქტორებიც. შეიძლება მთელი სოფელი მასზე არ ჭორაობდა, მაგრამ მას ასე ეჩვენებოდა. ძალიან რთული შინაგანი პროცესები შეიძლება მიმდინარეობდა ამ ბავშვში. რასაკვირველია, დგას სოფლის პასუხისმგებლობა, როდესაც ხედავ, რომ ადამიანი მოწყლადია, და ამ ფონზე მას კიდევ აღიზიანებენ. მით უმეტეს, ეს ბავშვი იზრდებოდა ბებიასთან. ცხადია, მას ექნებოდა შინაგანი პრობლემები. სავარაუდოდ, დედა რასაც უგზავნიდა, თვლიდა, რომ ეს ლამაზი და კარგი ტანსაცმელია და დედის ნოსტალგიას ამით იკმაყოფილებდა. ამაში ვერ გაუგეს თანასოფლელებმა, რადგან განსხვავებული იყო. და როგორც წესი, რაც განსხვავებულია, ჩვენთვის მიუღებელია. როდესაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობისთვის ძალადობრივ ფორმებს იყენებენ და სხვა ალტერნატივაზე არც კი ფიქრობენ, ამ დროს მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები ხშირად ხდებიან მსხვერპლნი. მით უმეტეს როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვანთან. ეს არის ყველაზე მწვავე ასაკი. გარდატეხის ასაკში ხდება მთელი ფსიქო-ფიზიოლოგიური ცვლილებები და ამ დროს ყველაფერი შეიძლება გახდეს ფატალური შედეგის მიზეზი. ამიტომ, განსაკუთრებით ამ ასაკში, ადამიანს სჭირდება მხარდაჭერა და არა გარიყვა, ან გაკიცხვა იმის გამო, რომ ის არ არის შენნაირი.

– ჩვენ ვესაუბრეთ მის პედაგოგს, რომელმაც გვითხრა, რომ თინათინისთვის ფსიქიკური პრობლემები არასდროს შეუნიშნავს და რომ ის ძალიან გაწონასწორებული, მშვიდი ბავშვი იყო...

– მშვიდი და გაწონასწორებული შეიძლება იყო გარეგნულად, თუმცა ჩვენ არ ვიცით მისი შინაგანი მდგომარეობა. რას გრძნობდა და რა პრობლემები ჰქონდა ბავშვს. შესაძლოა, ჰქონოდა ფარული დეპრესია, რომელიც გარეგნულად არ გამოიხატებოდა.

– არსებობს გოგონას დღიური, სადაც აკეთებდა სიუციდთან დაკავშირებულ ჩანახატებსა და თვითმკვლელობის შესახებ ჩანაწერებს...

– ეს ადასტურებს, რომ ბავშვს ნამდვილად ჰქონდა ფარული დეპრესია. გარეგნული სიმშვიდე და გაწონასწორებულობა სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მის ფსიქიკაში ყველაფერი რიგზეა. როგორც ჩანს, ამას არ მიექცა სათანადო ყურადღება, როგორც პედაგოგების მხრიდან, ასევე ახლობლებისგან.

– ზოგადად, არასრულწლოვნებში გახშირებული თვითმკვლელობების მაპროვოცირებელი რამდენად შეიძლება იყოს სეზონური ფაქტორი... ამბობენ, რომ გაზაფხულზე თვითმკვლელობის რიცხვი საგრძნობლად მატულობს...

– ეს არის ყოფითი აზრი, თუმცა ცხადია, არსებობს საგაზაფხულო და საშემოდგომო დეპრესიები. ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებში გამწვავების პერიოდები სწორედ გაზაფხული და შემოდგომაა, როდესაც ბუნებაში ირღვევა ე.წ. ჰომეოსტაზი, ანუ გადავდივართ ერთი მდგომარეობიდან, მეორეში.

15 წლის თინათინ მელაძის ტრაგიკული ისტორია ერთადერთი არ გახლავთ... გასულ კვირას კიდევ ერთი მძიმე ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი. თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში 16 წლის გოგონამ სანადირო თოფით მოიკლა თავი. ვერსია, რომელიც სოფელში იმავე დღეს გავრცელდა, კიდევ უფრო შოკისმომგვრელია. ირკვევა, რომ მუსლიმანურ ოჯახში გაზრდილ არასრულწლოვანს ახლობლები, რელიგიური ტრადიციების თანახმად, მათთვის სასურველ მამაკაცზე ათხოვებდნენ, გოგონას კი სხვა უყვარდა. სოფლის რწმუნებულის ბახოლდინ სეიდოვუს თქმით, მშობლებმა გოგონას სხვა მამაკაცზე გათხოვება გადაწყვიტეს, მას კი შეყვარებული ჰყავდა.

„გოგონას მამამ დარეკა, რომ მისი შვილი დაეინიშნათ. ამ გოგონას უკვე შეყვარებული ჰყოლია და რადგან მშობლებმა იმ ბიჭზე უარი თქვეს, თავი მოიკლა. ნათესავის ორმოცი ჰქონდათ გუშინ და მთელი ოჯახი იქ იყო წასული, ბავშვმა ამ მომენტით ისარგებლა. სახლში დაბრუნებულებს გოგონა მკვდარი დახვდათ“, – ამბობს ბახოლდინ სეიდოვი.

გოგონას ახლობლები გამოძიებამ დაკითხა, თუმცა მათთვის გაუგებარია, რატომ დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით 16 წლის სამირა ბახტუროვამ. ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს (თვითმკვლელობამდე მიყვანა).

რამდენიმე კვირის წინ, ოჯახში არსებული ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა თავი 18 წლის თაკო ყურშავიშვილმაც. გოგონას ჭრილობა თავში აქვს მიყენებული. შემთხვევა ყურშავიშვილების საცხოვრებელ სახლში მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, 18 წლის გოგონამ თავი შეყვარებულის გამო მოიკლა, მიზეზი კი ის გახდა, რომ ყოფილმა შეყვარებულმა ცოლი მოიყვანა. თაკო ყურშავიშვილის გარდაცვალების ფაქტზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ამავე მუხლით მიმდინარეობდა ძიება კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც სალომე გვასალიას თვითმკვლელობას ეხება. რამდენიმედღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ, გოგონა მუხათგვერდის ტყეში ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ თითოეული ასეთი შემთხვევა საზოგადოებისთვის უნდა იყოს გაფრთხილება, რათა უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდონ ადამიანები სხვის, მით უმეტეს არასრულწლოვნის პრობლემებს. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ არასრულწლოვნებში გახშირებულმა სიუციდის შემთხვევებმა სკოლებში ფსიქოლოგიის მიმართულების გაძლიერების აუცილებლობა დაადასტურა.

ფსიქოლოგი: „რასაკვირველია, დგას სოფლის პასუხისმგებლობა... განსაკუთრებით ამ ასაკში, ადამიანს სჭირდება მხარდაჭერა და არა გარიყვა, ან გაკიცხვა იმის გამო, რომ ის არ არის შენნაირი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის, რაც ივანიშვილმა არ თქვა!

პრეზიდენტი პარტიას „ქმნის“ და „არეულობისთვის“ ემზადება?

my View

მირიან გოქოლიშვილი

მარგველაშვილმა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ კულუარული ბრძოლა წამოიწყო, ყოფილმა პრემიერმა კი მოქმედ პრეზიდენტს პირდაპირი დარტყმა მიაყენა. გასულ კვირას სატელევიზიო ეთერში ბიძინა ივანიშვილმა დაუფარავად განაცხადა, რომ მარგველაშვილით იმედგაცრუებულია. რამ გაანაწყენა მილიარდერი „მოქალაქე“ და რა კულუარული დაპირისპირება მიმდინარეობს მთავრობასა და პრეზიდენტს შორის? სანამ ამ დეტალებს გავშიფრავთ, მანამდე მკითხველს შევახსენებ ივანიშვილის სკანდალურ განცხადებას:

„მალე 60 წლის გავხდები, კაცი დავბერდი და არასოდეს მინახავს, მოკლე დროში ასე შეცვლილიყოს ადამიანი. მარგველაშვილმა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სულ სხვა ხასიათი გამოავლინა. მე მისით იმედგაცრუებული ვარ. კანონი წაკითხული არ ჰქონდა, რაც მითხრა კიდეც და ვეტოს დადებას აპირებდა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

კანონი, რომელზეც ივანიშვილი საუბრობს, მოწმეთა დაკითხვის წესს უკავშირდება. პირდაპირ სასამართლოში მოწმის დაკითხვის შესახებ კანონის ამოქმედება საქართველოს პარლამენტმა ორი წლით გადაავადა. ამ პროცესს კი წინ უძღოდა კულუარული მოლაპარაკებები „ნაციონალურ მოძრაობას“, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარესა და რიგ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. როგორც ჩვენი წყარო ყვება, ნაციონალებისა და მარგველაშვილის შეხედულებები ამ კანონთან მიმართებაში პრაქტიკულად იდენტური იყო და გასაიდუმლოებული კონსულტაციების შედეგად, რომელიც პრეზიდენტის მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის ინიციატივით შედგა და რომელსაც, პრეზიდენტთან ერთად, მიხეილ მაჭავარიანი და პალიკო კუბლაშვილი ესწრებოდნენ, გადაწყდა, რომ ამ კანონისთვის პრეზიდენტს ვეტო უნდა დაედო. ამის შემდეგ კი პარლამენტს პალიკო კუბლაშვილი შესთავაზებდა მოწმეთა დაკითხვის ახალ მოდელს, რომელიც 2009 წელს მიღებული ნორმისგან არსებითად არ განსხვავდება, თუმცა გათვალისწინებული იქნებოდა რესპუბლიკელთა ინტერესები. კულუარულ შეთანხმებაში ჩართული იყო დავით უსუფაშვილი, თუმცა საბოლოოდ მან მაინც მთავრობის პოზიციას დაუჭირა მხარი. აი, მარგველაშვილი კი, როგორც ჩანს, კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციაზე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ კანონზე ვეტოს დადების გადაწყვეტილება მაინც ვერ გაბედა.

საბოლოოდ, მარგველაშვილმა ვეტოზე უარი თქვა, თუმცა მთავრობის ზეწოლას საკმაოდ დემონსტრაციული გადაწყვეტილებით უპასუხა და ავლაბრის რეზიდენციაში დაიდო ბინა. ეს ის თემაა, რომელიც ასევე გახდა ივანიშვილის მკაცრი კრიტიკის საფუძველი.

„ავლაბრის რეზიდენციაზე ამბობდა, ძალადობის, გარყვნილებისა და უსამართლობის სიმბოლოაო და იმ სასახლეში შევიდა. გუნდიდან ავლაბრის სასახლეში შესვლის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ის იყო“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მარგველაშვილმა პრეზიდენტის სასახლეში გადასვლის მოტივად დაასახელა ის, რომ კანცელარიაში გამოყოფილ ორ ოთხში, მის აპარატს მუშაობა ძალიან უჭირდა. მისი ოპონენტები კი მიანიშნებენ, რომ პრეზიდენტმა „ნაციონალური მოძრაობის“ ზეწოლას ვერ გაუძლო, რომელიც მუდმივად უკიჟინებდა, რომ მიეღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და სამუშაოდ ავლაბრის რეზიდენციაში გადასულიყო. ითქვა, რომ ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე მისი მრჩევლის, ვანო მაჭავარიანის აზრი გახდა გადამწყვეტი. თავად ვანო მაჭავარიანი კი ექსპრემიერმა ასევე მწვავედ გააკრიტიკა. მკითხველს შევახსენებ, რომ პრეზიდენტის მრჩეველი ვანო მაჭავარიანი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ მაჭავარიანის ძმაა.

ივანიშვილს არ უხსენებია, თუმცა მარგველაშვილის მიმართ საზოგადოებაში კითხვები გაჩნდა შეწყალების საქმეებთან დაკავშირებითაც. პრესა წერდა, რომ პრეზიდენტმა ციხიდან გამოუშვა მისი მეგობარი ქალბატონის, მაკა ჩიჩუას ძმა, რომელიც სამჯერაა გასამართლებული. მათ შორის ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის. მას 17 წელი ჰქონდა მისჯილი. თუმცა იმავე პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა შეწყალების კომისიის ერთსულოვან გადაწყვეტილებას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, რომან გვენცაძის დისშვილის, რევაზ ლალიაშვილის განთავისუფლებაზე. ლალიაშვილის დედა, ნანა გვენცაძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მარგველაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ზეგავლენის ქვეშ მოექცა, ვინაიდან მის ვაჟს ნაციონალების ლიდერთან მწვავე დაპირისპირება ჰქონდა.

„პრაიმტაიმი“ ნანა გვენცაძეს ესაუბრა.

– რეზოს დაკავება მოხდა 2003 წელს, როდესაც ნაციონალები მოვიდნენ, ზუსტად 10 დღეში დააპატიმრეს. ნარკოტიკის შეძენა-შენახვაში წაუყენეს ბრალი. მასზე პრაქტიკულად შური იძიეს, რადგან თავიდანვე ვერ ძოვდა ნაციონალებთან. რევოლუციის დროს არ დაუდგათ გვერდში, პირიქით, კახეთიდან რომ შემოჰყავდათ კოლონა, ეს ხელს უშლიდათ. კონფლიქტი ჰქონდა ძმებ რურუებთან, ბარამიძესთან და გაბაშვილთან. ამიტომ, როგორც კი მოვიდნენ, ბარამიძის შს მინისტრად დანიშვნისთანავე დაიჭირეს. დღემდე მოჰყვებიან. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, როგორ ჩაუდეს წამალი და რა უკანონობაც ჩაიდინეს. მეთოდები ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამაზე არ ვდაობ. მან ეს სასჯელი მოიხადა. როცა იფიქრეს, რომ უკვე მალე დატოვებდა საპყრობილეს, ციხეში პროვოკაცია მოუწყვეს და 11 წელი დაუმატეს. 2007 წელს გაუფორმეს ისე, თითქოს თავს დაესხა ციხის ბადრაგს. ამაზე სტრასბურგში მაქვს შეტანილი საჩივარი. 2007 წლის მერე ვარ ამ ბრძოლაში.

– თავიდან, ნარკოტიკებზე რომ დააკავეს, რამდენი მიუსაჯეს?

– თავიდან 8-წლიანი პატიმრობა ჰქონდა, 4 წლის შემდეგ დაუმატეს 11 წელი. შემოწმებაზე შევიდა 4 ბადრაგი. ერთ-ერთი, ბუთლიაშვილი, ახლა დაიჭირეს პატიმრების წამებისთვის. მეორე ბადრაგი კურტანიძე ამბობს, – ვუთხარი, ხელები დაიდე თავზეო და არ დამემორჩილაო. თვითონვე ამბობს, რომ არანაირ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია. ამის მიუხედავად, მაინც თავდასხმის ბრალდება წაუყენეს. როგორ დაესხმებოდა საკანში შესულ 4 ბადრაგს თავს? შეწყალებაზე არ მინდოდა დაწერა, მაგრამ სხვა გზა აღარ მქონდა. 9 წელი კრიტში ამყოფეს ჩემი შვილი. გამცენ პასუხი, რა დააშავა ასეთი. მხოლოდ ერთი წლის წინათ გადმოიყვანეს ღია ზონაზე. პრაქტიკულად წინა ხელისუფლება ისე აკეთებდა, რომ ცოცხალი ვერ გამოსულიყო ციხიდან. ახლაც ასე გრძელდება. ერთმანეთთან ძალიან მეგობრულად არიან და გავლენას ახდენენ. რეზოს 2 წელი აქვს დარჩენილი, მაგასთან ერთად ვინც შეიტანა შეწყალების კომისიაზე და დარჩენილი ჰქონდათ 25 წელი და ზოგს კიდევ უფრო მეტიც, ისინი გამოუშვეს, ჩემს შვილზე კატეგორიული უარი მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის ყველა წევრი ერთსულოვნად იყო შეწყალების მომხრე. მე ვიყავი კომისიის ერთ-ერთ წევრთან, მან მანახა ყველა წევრის ხელმოწერილი ფურცელი, რომლებიც დადებით რეკომენდაციას იძლეოდნენ რეზოს შეწყალებაზე... პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დაიბლოკა ეს საქმე. ორი აზრი არ არსებობს, რომ მარგველაშვილი წინა მთავრობის გავლენის ქვეშ იმყოფება. ისინი იყვნენ რეზოს ციხეში ყოფნით დაინტერესებულნი და მარგველაშვილთან თავიანთი მეგობრული კავშირებით ახლაც ახერხებენ მისი საქმის დაბლოკვას. ამასობაში ჩემს შვილს ცხოვრების საუკეთესო წლები ე.წ. კრიტში გამოატარეს. 33 წლის დაიჭირეს და ახლა 43 წლისაა.

პრეზიდენტის პიარსამსახურის ხელმძღვანელი შალვა რამიშვილი კი განმარტავს, რომ „ზოგადად, პრეზიდენტის პრეროგატივა და დისკრეციაა, შეიწყალოს ან არ შეიწყალოს მოქალაქეები. კონკრეტულად ამ შემთხვევაზე კომენტარს არ ვაკეთებთ“.

რა ინფორმაციები ვრცელდება კულისებში

ქეთი ხატიაშვილი

ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირების შემდეგ სოციალურ ქსელებში უკვე რადიკალებმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნა წამოაყენეს. ქართველი რადიკალებისთვის ასეთი „გამოხტომები“ ლამის ჰობად იქცეს.

ანუ რადიკალებისთვის მათი დაპირისპირება აუცილებლად ვადამდელი არჩევნებით უნდა დასრულდეს.

თუმცა, საქართველოში ბევრი მითოლოგიისკენ არის მიდრეკილი, ამიტომაც მათ სასწრაფოდ ჩააქრეს შუქი და შავი ხელების ძებნა დაიწყეს. ვისთვის მარგველაშვილია დიდი შეთქმულების მონაწილე, ვისთვის – ივანიშვილი. მეზღაპრეების სიუჟეტებში ხან ერთია ნაცებთან ერთად მოთამაშე და ხანაც – მეორე.

არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიორგი მარგველაშვილი პარტიას ქმნის და მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას იწყებს. მის ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ ადვოკატი დავით ერისთავი განიხილება და რა თქმა უნდა, ნაცები. უფრო კონკრეტულად კი – მიხეილ მაჭავარიანი.

დავით ერისთავი ამბობს, რომ მარგველაშვილთან მას არავითარი შეხება არ აქვს. „ამჯერად უფლებადაცვით სფეროში არასამთავრობოს ვქმნი, სხვა გეგმები არ მაქვს“, – უთხრა მან „პრაიმტაიმს“. თუმცა, იქვე ისიც დასძინა, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას არ გამორიცხავს.

ნაციონალებშიც მარგველაშვილის პარტიის თაობაზე ჯერ არაფერი იციან. მიხეილ მაჭავარიანი პრეზიდენტის პარტიაში გადასვლას გამორიცხავს და ამ ვერსიას სისულელეს უწოდებს.

თუმცა, გიორგი მარგველაშვილის გააქტიურებას პოლიტიკის მიმართულებით არც „ქართულ ოცნებაში“ გამორიცხავენ. ექსპერტების მოსაზრებით, ეს ის ხალხია, ვინც კოალიციაში თავს გარიყულად გრძნობს და სადმე ეპიცენტრში მოხვედრაზე ოცნებობს. სწორედ მათთვის შეიძლება მარგველაშვილი პოლიტიკურ მაგნიტად იქცეს.

ასე რომ, ახლა ყველამ ამ დაპირისპირებაში თავის ინტერესს.

თბილისი – მაიდანი

საინტერესოა, რატომ ჩათვალა ბიძინა ივანიშვილმა საჭიროდ, პრეზიდენტთან „გაყრაზე“ ადგილობრივი არჩევნების წინ ესაუბრა?

ძნელია, რა ანალიზს ეფუძნებოდა ყოფილი პრემიერის გამოსვლა, თუმცა იგივე კულისებში ბევრს საუბრობენ ახალი კოალიციის შექმნაზე, სადაც შევლენ გიორგი მარგველაშვილი, ირაკლი ალასანია, რესპუბლიკელები და ნაციონალები. მარგველაშვილი უკვე გამოიკვეთა დამოუკიდებელ ფიგურად და „გუნდს“ განუდგა. ეს იმ გუნდზეა საუბარი, რომელმაც მას პარლამენტში არ მოუსმინა. ისევ რესპუბლიკელები და ნაციონალები აქტიურობდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, კოალიცია მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება. თუმცა, არის სხვა ვერსიაც – მაიდანის თბილისში მოწყობა. ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას ციხიდან გამოშვება და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ამ მესიჯებს ძირითადად რადიკალი პრორუსები აქტიურებენ.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

– მოგეხსენებათ რა პროცესებიც მიმდინარეობს უკრაინაში, მაგრამ ის, რომ „ნაციონალები“ სჭირდებათ საქართველოში და შესაძლოა, მომავალში ეს ძალა გაზავდეს, გავჯერდეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებში და მართოს გარკვეული პროცესები, თუნდაც ამავე მმართველ გუნდში (და ეს დღეს ნაწილობრივ ასეც არის), ეს საფრთხე ძალიან რეალურია... თუკი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება განაგრძობს უნიათობას და, ასე ვთქვათ, უფორმო რაღაც წარმონაქმნი იქნება, არ ექნება გამბედაობა თამამი გადაწყვეტილებების მიღებისა, არეულობის საფრთხე კიდევ უფრო რეალური გახდება. აი, ტელევიზიებიც რომ აჭრელებულია „ნაცების“ სიფათებით, ეს თუ არ შეჩერდა, რა თქმა უნდა, არის იმის საფრთხე, რომ „ნაცები“ მობრუნდნენ ხელისუფლებაში. ხომ ხედავთ, სხვადასხვა ორგანიზაციები შექმნეს, ვითომ ახალგაზრდული, რომელთაც არ აქვთ პირდაპირი კავშირი „ნაცმოძრაობასთან“, მაგრამ ესენი ხომ მათი ყოფილი უერთგულესი წევრები არიან. აი, ეს არის ახალი საფრთხე, რომლის წინააღმდეგაც კონსოლიდაცია უნდა მოხდეს საზოგადოებისა და ხელისუფლების, მაგრამ ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება.

ვახტანგ მაისაია კიდევ უფრო შორს წავიდა და განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობა“ იარაღსაც გამოიყენებსო.

– „ნაცები“ შეეცდებიან, გაღვივონ სამოქალაქო დაპირისპირება, მოითხოვონ ვანო მერაბიშვილისა და სხვა დაპატიმრებულების პოლიტპატიმრებად გამოცხადება... არ მგონია, რომ ისინი წავიდნენ შეიარაღებულ პროვოკაციაზე, თუმცა მე ბოლომდე ამასაც არ გამოვრიცხავ, რადგან სასიკვდილოდ განწირული ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელია, ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებში დღემდე არიან ძალოვნებიც. მათ აქვთ შექმნილი „ძალოვანთა ლიგა“, რომელშიც განვრიანებული არიან ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები, – განაცხადა მაისაიამ „პაიმტაიმთან“ საუბარში.

შეთქმულებების თეორიებით ქართული პოლიტიკა სავსეა. ახლა ნაციონალების მხრიდან რევანშზე საუბრობენ. გეგმა – მაიდანის განმეორება. რა როლი უნდა ითამაშოს ამ „დიდ შეთქმულებაში“ მარგველაშვილმა?

თუკი პოლიტიკური კრიზისი შეიქმნება, მაშინ კონსტიტუციის მიხედვით სწორედ პრეზიდენტს მოუწევს მისი განმუხტვა. ვის სასარგებლოდ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კვოტების განაწილების პროცესი ხმაურიანი იქნება

როგორ უნდა გაიყოს ხუთმა პარტიამ საარჩევნო სიებში ადგილები

ქეთი ხატიაშვილი

კვოტების განაწილების სქემა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ცნობილია. 50% – „ქართულ ოცნებას“, 50% – დანარჩენებს. ანუ ნახევარი ერთ პარტიას და ნახევარი 5 პარტიას. გაყოფის პროცესი იმდენად რთული და მტკივნეული შეიძლება იყოს, რომ პროცესი ჯერაც არ დაწყებულა.

მარტივი არითმეტიკით: საარჩევნო სიების პირველ ათეულში ყოველი მეორე პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იქნება. თუ სიის სათავეში ნეიტრალურ პირს ჩასვამენ, მაშინ პარტიას 5-ის ნაცვლად, 6 კაცი ეყოლება ათეულში, დანარჩენი 4 ადგილი კი 5 სუბიექტს ექნება გადასანაწილებელი.

თბილისის საკრებულოში პარტიული სიით 25 ადგილია გამოყოფილი. თუ დავუშვებთ, რომ ყველა ადგილს

ვალერი გელბახიანი: „კოალიციაში შემავალ პარტიებს ან თავმოყვარეობა არ აქვთ, ან იმის ეშინიათ, რომ კოალიციიდან გასვლის შემთხვევაში არჩევნებს წააგებენ“

მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიკავებს, მაშინ კოალიციაში შემავალ სხვა სუბიექტებს მხოლოდ ორი ან სამი ადამიანის გაყვანის შანსი ეძლევათ, პარტია „ქართულ ოცნებას“ კი – თორმეტის. მაგრამ კოალიცია სრული უმრავლესობით ვერ შევა საკრებულოში. შესაბამისად, დანარჩენმა სუბიექტებმა საკრებულოში შესაძლოა, მხოლოდ ერთი კანდიდატი გაიყვანონ.

ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ კვოტების განაწილების პრინციპი კოალიციის სუბიექტებს არათანაბარ პირობებში აყენებს. მისი ვარაუდით, 5 პარტია დარჩენილი კვოტის გადანაწილებას, უბრალოდ, ვერ შეძლებს.

– კოალიციაში შემავალ პარტიებს ან თავმოყვარეობა არ აქვთ, ან იმის ეშინიათ, რომ კოალიციიდან გასვლის შემთხვევაში არჩევნებს წააგებენ“, – ამბობს გელბახიანი.

მისივე განმარტებით, არჩევნების შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება სწორედ ამ კვოტის შესაბამისად დაკომპლექტდება: „ძალაუფლების უდიდესი ნაწილი გადავა პარტია „ქართული ოცნების“ ხელში. კოალიციის დანარჩენი პარტიები კი, ფაქტობრივად, ქაღალდზეღა დარჩებიან“, – აცხადებს ის.

5 სუბიექტი, რომელსაც ერთ მაგიდასთან დაჯდომა და მოლაპარაკებების გამართვა მოუწევს, არის: რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, „ეროვნული ფორუმი“, მრეწველები და კონსერვატორები.

ანუ დავით უსუფაშვილი, ირაკლი ალასანია, კახა შარტავა, გოგი თოფაძე და ზვიად ძიძიგური ადგილების გაყოფისთვის იბრძოლებენ. როგორი იქნება რიგითობა, ძნელი სათქმელია. წესით, უპირატეს მდგომარეობაში რესპუბლიკელები უნდა იყვნენ, შემდეგ ალასანია და მერე დანარჩენები.

სხვათა შორის, გუბაზ სანიკიძის ბოლოდროინდელ გააქტიურებას სწორედ კვოტების განაწილებას უკავშირებენ. სანიკიძემ „ფორუმის“ დახურულ შეკრებაზე კოალიციიდან გამოსვლაც ახსენა, რუსეთის მხრიდან

მოსალოდნელ რისკებზეც ისაუბრა... ყველაფერ ამას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, **მერაბ შათირიშვილი** სწორედ კვოტებს უკავშირებს:

– როგორც ჩანს, გუბაზი ამ განცხადებით ცდილობს, მაქსიმალური კვოტა მიიღოს, რათა საკუთარი, უკმაყოფილო თანაპარტიელები დაამშვიდოს და „ფორუმშივე“ შენელებული მუხტი ასწიოს. დღეს ბევრია ნაწყენი, არამარტო „ფორუმელი“, პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ ისინი აღმოჩნდნენ ყველაფრის მიღმა, არ არიან დასაქმებულები... გუბაზი, მობილიზება რომ მეტი იყოს მომავალი არჩევნებისთვის, მეტად გულახდილია და სამომავლო იმედს პოლიტიკური ბლეფობით არ ცდილობს. ასეთი უკმაყოფილება კოალიციის თითქმის ყველა პარტიის რიგებშია. ირაკლისა და კახის ფაქტორი კარგი რამაა. თუმცა არჩევნების შემდეგ საპარლამენტომდე საკმაო დროა და პარტია უნდა გაიწმინდოს როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში.... გუბაზი ამბობს, „ოცნებაში“ უამრავი „ნაცბანდელიაო“... რას იზამ? ყოფილი „მოქკავშირელები“ და სხვადასხვა პარტიიდან წამოსულები სადღაც ეძებდნენ თავშესაფარს, ეს საქართველოში გასაკვირი არცაა... ჩემი ინფორმაციით, ახალი გენერალური მდივანი, კახი კალაძე, ძალიან ერიდება ასეთი მრავალპარტიაგამოვლილი პერსონების რეაბილიტაციასა და დასაქმებას, თუმცა დარწმუნებული ვარ, კახი არჩევნების შემდეგ დაიწყებს ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად „ქართული ოცნების“ სრულ გამოჯანსაღებას... ადგილობრივი არჩევნების სავარაუდო წარმატების შემდეგ, რა თქმა უნდა, კოალიცია უნდა დაიშალოს... კოალიცია გარეთ დაიშლება, პარლამენტი შენარჩუნდება... პარტიები საკუთარი გზით წავლენ, მაგრამ პარლამენტში უმრავლესობას შეინარჩუნებენ. „ფორუმმა“ უბრალოდ, ყველას დაასწრო და წინასწარი, სავარაუდო, პოლიტიკური ნება გამოავლინა“. ეს განმარტებები მან ალიასთან გააკეთა.

რესპუბლიკელების „დატკბობასაც“ ბოლო დროს სწორედ კვოტებს უკავშირებენ. ამბობენ, რომ ისინიც მზად არიან, გაიღონ მსხვერპლი ადგილობრივ არჩევებში პოზიციების მოძლიერებისთვის.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, მასთან საქმე უფრო რთულად არის. მინისტრ ალასანიას ლამის ყველა უფლება ჩამოართვეს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ თავდაცვის სამინისტროდან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. გარდა ამისა, თუ აქამდე ქართული ჯარის კვების ადმინისტრირების სათავეში თავდაცვის მინისტრი იყო, ახლა მას ეკონომიკის მინისტრი შეცვლის. რამდენად იმოქმედებს ეს განწყობები კვოტების განაწილებაზე ძნელი სათქმელია.

თუმცა, როგორც ჩანს, პარტია „ქართული ოცნება“, ამ დავაში არ ჩაერევა. საინტერესოა, რამდენად მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ შეძლებენ განსხვავებული შეხედულებების, რეიტინგისა და პოპულარობის პარტიები სართო ენის გამონახვას. ამ პროცესს როგორც ჩანს, პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ დააკვირდებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერ

სალი კიპაროიძე



„ჩემი სულ პირველი სტუმარი იყო კოტე ყუბანეიშვილი და აი, ერთ წინადადებაში ავუხსენი რა მინდოდა“

საზოგადოებისთვის ცნობილი „მძიმე კაცი“, პუბლიცისტი და ჟურნალისტი დავით კოვზირიძეა. ის, უკვე 15 წელია ჟურნალისტად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაოდ საინტერესო პუბლიცისტური წერილები აქვს დაწერილი, საზოგადოებამ ეს „მძიმე კაცი“, მაინც, ბოლო პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საავტორო გადაცემით გაიცნო. ბლიც ინტერვიუს ფორმატის თოქ შოუს საშუალებით ავტორი ცდილობს საზოგადოებას უფრო ახლოს გააცნოს და სხვა კუთხით წარუდგინოს სხვადასხვა პროფესიის, შეხედულებების და ღირებულებების საინტერესო სტუმრები. დღეს კი მე შევეცდები უფრო ახლოს გაგაცნოთ ბოლო დროს ასე პოპულარული გადაცემის ავტორი და წამყვანი „მძიმე კაცი“.

- ქართული თოქ-შოუებიდან თუ მოგწონთ რომელიმე და თავად რატომ გადაწყვიტეთ დღეს ამ ფორმატის თოქ-შოუს გაკეთება?

დავით კოვზირიძე:

- არა, არც ერთი არ მომწონს. იცი რა, ეს ამბავი სრულიად შემთხვევით მოხდა. ისე არ ყოფილა, რომ დავჯექი და დიდხანს ვიფიქრე. მე და ჩემი მეგობრები ვლაპარაკობდით და უცბად გაჩნდა ეს იდეა, მითხრეს, რომ შენ შენი დამპალი სახით წაიყვანე გადაცემაო. მერე ცოტა ვიხუმრეთ, ბოლოს მართლა სერიოზულად გავაკეთე და გამოვიდა.

- თვლით თუ არა, რომ შეგიძლიათ რესპონდენტი გახსნათ და განსხვავებული კუთხით დაანახოთ მაყურებელს?

- მგონი ზუსტად ეგრე გამოვიდა ჩემი გადაცემა. ყველა მაგას იძახის, რომ ჩემი რესპონდენტები ნახეს ისე, როგორც არასდროს არ ჰყავდათ ნანახი. ამას ხელოვნურად არ ვაკეთებ, უბრალოდ, ასე, ალბათ, კითხვებიდან გამომდინარე ხდება, ისეთ კითხვებზე უწევთ პასუხების გაცემა, რომლებზეც აქამდე არ ლაპარაკობდნენ და ამიტომ ჩარჩოების მტვრევა უკვე კარგად ჩანს.

- როცა თქვენთან სტუმრად იყო მაია ასათიანი, მას ჰკითხეთ მოსწონდა თუ არა „პროფილი“, თქვენ თავად მოგწონთ თუ არა თქვენი გადაცემა? და იმ შემთხვევაში თუ მოგეწონებოდათ, თქვენ რომ არ იყოთ წამყვანი.

- კი, მომეწონებოდა, უბრალოდ, გაგიჟებით, ალბათ, არ გავგიჟდებოდი, იმიტომ, რომ ახლა ობიექტურად ვერ ვაფასებ. ჩემი თავი, ალბათ, არ მომეწონებოდა, არ ვიცი, რატომ. საერთოდ, ასეთი დამოკიდებულება მაქვს, ჩემი ხმაც რომ მესმის ხოლმე, სულ მჭრის ყურს. ზოგადად, რომ მენახა ასეთი ფორმატის გადაცემა ვუყურებდი, მაგრამ შენიშვნებიც მექნებოდა.

- რატომ არ უყურებთ არასდროს სტუმარს, როცა ის კითხვაზე გპასუხობთ?

- კონცენტრაციას ვახდენ, ალბათ. მაგ დროს ვფიქრობ, რაღაცებზე, უბრალოდ კი არ ვხატავ, როგორც ბევრს ჰგონია, რაღაცებს ვინიშნავ, კითხვებს ვუცვლი ადგილს. გადაცემაში ისე არ ხდება, რომ რაღაცა ჩამოწერო და მიჰყვე რობოტივით, რიგის მიხედვით. შეიძლება რესპონდენტმა ისეთ თემაზე დაიწყოს ლაპარაკი, რომ ბოლოში დასმული კითხვის გადატანა მიწევს ხოლმე უფრო ზემოთ. ამიტომ სულ ვაკონტროლებ ხოლმე კითხვებს. ნუ ხანდახან რაღაცებსაც ვხატავ კიდევაც.

- გადაცემაში თამაშობთ თუ მართლა ასეთი „მძიმე“ ხართ? „მძიმე კაცთან“ ერთგვარი პერფორმანსი ხომ არაა თქვენთვის?

- არა, არა, არანაირად, ზუსტად ასეთი ვარ რეალურ ცხოვრებაშიც.

- თვლით თუ არა, რომ თქვენს გადაცემაში ხშირად გაჟღერებულ ჯანსაღ კრიტიკას ქართველი ერი ერთგვარ შეურაცხყოფად აღიქვამს? ზოგადად თქვენს გადაცემას, როგორი რეაქციები მოჰყვება ხოლმე?

- ბევრნაირი რეაქციები მოჰყვება ხოლმე. სხვათა შორის, თავიდან უფრო მკვეთრად რეაგირებდნენ, მერე ეტყობა მიხვდნენ, რომ რაღაცებზე ღირს ლაპარაკი. ზოგადად ჩვენთან ხომ კრიტიკა არ არსებობს, ჩვენთან არის ლანძღვა, კრიტიკასაც ნიჭი და ცოდნა უნდა. მგონი ყველაზე მეტი ნიჭი უნდა ჰქონდეს კრიტიკოსს, რადგან როცა ადამიანი რაღაცას აკრიტიკებ, ესე იგი შენ უფრო მეტი ხარ. აქ კიდევ იცით როგორაა, მეტი და ნაკლები კი არა, უბრალოდ, ნერვებს იფხანენ ხოლმე ამ ლანძღვა-გინებით.

- როგორ შეაფასებთ საზოგადოების რეაქციას, თქვენს გადაცემაში თინა მახარაძის სტუმრობასთან დაკავშირებით?

- ოოო. ეგ გადაცემა, რომ გავიდა, უკრაინა ყველას დაავიწყდა. არავის აღარ ახსოვდა, არც უკრაინა, არც ამერიკა და არც საქართველო. მე, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე რატომ მოხდა ასე. რადგან თინამ სულ სხვა რაღაცა თქვა და გადმოიტანეს სხვანაირად. ჩვენთვის ეს ორალური სექსი იმხელა ტკივილია, რომ კი მოგვწონს, უბრალოდ, არ ვაღიარებთ. ამ გადაცემის მერე ლანძღვა-გინების გარდა, ტელევიზიაში ვნახე ვილაც გოგო, სრულიად გამჭვირვალე მაისურით, კიდევ რაღაც ინტერნეტგამოცემებში წავიკითხე, რომ ვილაცებს ცხოველებთან ჰყვარებიათ სექსი. ანუ, აქედან გამომდინარე, ვილაცებმა „აიშვეს“, ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაც სტერეოტიპი დაიმსხვრა და გავარკვიეთ, რომ თურმე საქართველოში სექსი არის, თან მრავალფეროვანი.

- ისე, როგორ ფიქრობთ, თინა მახარაძე შესრულებული როლებით უფრო პოპულარული იქნებოდა თუ ამ სკანდალური განცხადებით, ორალურ სექსთან დაკავშირებით?

- რა ვიცი, მე მგონია, რომ ასე მშვენივრად გაიცნო საზოგადოებამ. ისე, მე არ ვფიქრობ, რომ მან ეს სპეციალურად გააკეთა. თინამ უბრალოდ თქვა ის, რასაც ფიქრობს, პატარა გოგოა და ეგრე აზროვნებს. არა მგონია, წინასწარ დაეგეგმა, რომ მოდი მე ახლა იქ მივალ და სკანდალს ავტეხავ. მე თინა, როგორც მსახიობი ძალიან მომწონს, ამ როლში რომ ვუყურებ, ძალიან კარგია.

- ისე, ზოგადად, რატომ მიმართავენ ხოლმე დღეს ქართველები პოპულარობისთვის სკანდალს და რატომ არ ცდილობენ საზოგადოებას თავი პროფესიული კუთხით გააცნონ?

- საქართველოში არაა მარტო ეგრე, ყველგან ასეა თითქმის. ენდი ვორჰოლი იძახდა, რომ ძალიან ადვილია 15 წუთით იყო პოპულარული. აი, მაგალითად, მე რომ გავიხადო და გავვარდე ახლა სპორტის სასახლესთან, მთელი საქართველო და შეიძლება მთელი მსოფლიოც, ილაპარაკებს როგორ გაგიჟდა ვილაც ჟურნალისტი და გავარდა გარეთ ტიტველი. მაგრამ 15 წუთის მერე, ხომ არავის აღარ ეხსომება ეს. როცა რაღაცას აკეთებ მართლა, როცა კარგ სიმღერას მღერი და მაგით იმკვიდრებ ადგილს, ეგ უკვე 15 წუთი კი არა, შეიძლება 15 წელი გაგრძელდეს, ანუ უნდა შევქმნათ ყველამ რაღაც პროდუქტი და იმით გავხდეთ ცნობილები. ახლა, თინა რომ იმაზე გაჩერდეს რითიც გახმაურდა და არსად აღარ ითამაშოს, დაავიწყდება ყველას, ბევრს რომ მიაღწიოს კიდევ გადასარევი იქნება.

- ინტერნეტ აგრესიაზე რას იტყვით, რატომ ილანძღება ქართველი საზოგადოების უმეტესი ნაწილი ასე ხშირად, განსაკუთრებით კი მოზარდი ბიჭები?

- ხო, ესეც რაღაცა უცნაური ფენომენია. აი, მაგალითად, არსად შევხვედრივარ ვთქვათ „იუთუბი“- ზე, სიმღერის ქვემოთ ეგრევე გინებას. სხვაგან წერენ ხოლმე, რომ აი, მე ეს მომწონს, მე ამ კონცერტზე ვიყავი, უი, რა კარგი იყო, ან ეს მე არ მომწონს და უბრალოდ, ვთვლი, რომ ცუდია. აქ კიდევ ეგრევე იწყება, რომ შენი დედა, შენი მამა, მერე ვინც ამ სიმღერას აგინებს, იმას აგინებს შემდეგი კომენტარის ავტორი და ასე იმართება ხოლმე პატარა ომები. ეს არის რაღაც კომპლექსი ადამიანის, რომელიც ვერ ახდენს თვითრეალიზაციას. წარმოიდგინეთ პატარა ბიჭი, რომელიც ზის სახლში, ვერ წყდება ამ ეკრანს, ვერც გოგოს ვერ ურეკავს და ვერც კონცერტზე მიდის. მოკლედ, არ აქვს არაფერი გასართობი ამ ბიჭს, მაქსიმუმ სადმე კლუბში წავიდეს. არც მუზეუმების და ზოგადად ხელოვნების კულტურა გვაქვს. უნდა წახვიდე საღამოს კლუბში ან იარო რესტორნებში, სადაც ეს სადღეგრძელოების და ყანწების მარაზმი აღარ გათავდა. ანუ ეს ბიჭი ზის და არის ცუდ ხასიათზე. ახლა 17 წლის ბიჭს რა უნდა? უნდა, რომ გოგოსთან ერთად იყოს, სექსი ჰქონდეს, (იმას უნდა ჰქონდეს, 70 წლის კაცს ხომ არ ექნება აბა) უნდა გაერთოს, უნდა მარიხუანას მოწევა? მონიოს, დალევა უნდა? დალიოს. ადამიანი ხომ თავისუფალი არსებაა, რაც უნდა ის უნდა გააკეთოს, მთავარია კანონიერად გააკეთოს. ჰოდა, ეს ტიპი არის შეზღუდული ამ ყველაფრით, ვერც მუშაობს და ვერც ვერაფერს აკეთებს, ანუ საშუალება არ აქვს, რომ გამოხატოს თავისი თავისუფლება, ამიტომ არის გაბრაზებული, ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური მომენტია. ჰოდა, გაბრაზებული რომაა და ვილაც გოგო, რომ გამოდის და ორალური სექსი კარგიაო ამბობს, ეშლება ნერვები და იწყებს ლანძღვას. მერე ამას ლანძღავს ვიღმე, მერე ჩხუბობენ და რაღაცა კატასტროფა ხდება. ეს პრობლემა ასე ვერ გადაწყდება, რომ აი, მოდი ახლა ჩვენ, დღეიდან ნუღა გავლანძღავთ ერთმანეთს, ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს ისე, რომ ნებისმიერ ადამიანს ჰქონდეს თავისუფლება.

- ყველა ქალს ეკითხებით თუ რას ფიქრობენ ქართველ კაცებზე, ამ კითხვის დასმის დროს თქვენს ხმაში ყოველთვის იგრძნობა მსუბუქი ირონია. ქართველი ქალის დახასიათების დროს თქვით, რომ ამჯერად ისინი სამ კატეგორიად იყოფიან: ქალები, რომლებსაც უნდათ, რომ კარგი ტიპები იყვნენ, მაგრამ არ არიან; ქალები, რომლებსაც უნდათ, კარგი ტიპები იყვნენ და არიან კიდეც, თუმცა ამას ისე უსვამენ ხაზს, რომ ყველაფერს წყალში ყრიან და ბოლოს, ქალები, რომლებიც საზოგადოებას საკუთარ რეალურ სახეს აჩვენებენ და არ თამაშობენ. ზუსტად იგივე კატეგორიად დაყავით მამაკაცებიც, თქვენ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით, თქვენც ხომ ქართველი მამაკაცი ხართ.

- არ ვიცი, აბა რა გითხრათ, მე ჩემს თავზე როგორ ვთქვა. შემიძლია ვთქვა, რა მინდა მე. როგორები მინდა, რომ იყვნენ ქართველი კაცები.

- როგორები გინდათ, რომ იყვნენ? აი, მაგალითად, მთელ მსოფლიოში ყველაზე მოვლილ მამაკაცებად გეები ითვლებიან, თუმცა ჩვენთან ასეთებიც კი არ უვლიან თავს და არ ცდილობენ სავარჯიშო დარბაზებში სიარულს, თქვენი აზრით, რატომ არ ვარჯიშობენ ქართველი ბიჭები და ზოგადად რაში ვარჯიშობენ ქართველი მამაკაცები?

- ქართველ მამაკაცებს ვარჯიში არ უყვართ, იმიტომ, რომ ზარმაცები ვართ. ზოგადად სამხრეთელები გამოირჩევიან სიზარმაცით. ჰოდა, ზარმაცები რომ ვართ, შესაბამისად, არ გაინტერესებს, რომ აი, მაგალითად, ღიპი რომ გადევს, ქალებს აღარ მოსწონხარ, ჰოდა, რადგან ეს ქართველ კაცს არ აინტერესებს, იმით კი არ ცდილობს, რომ ღიპის დაგდებით მოაწონოს ქალს თავი, შეიძლება მივიდეს და დაარტყას, მიდი ქალო, შენ ხაჭაპური გამოაცხვე. უკუღმა ხდება ხოლმე ყველაფერი, მერე იწყება ძალადობა. აი, სუფრა არის ხოლმე ეგეთი ტიპების თავშესაფარი, როცა ზიხარ, ჭამ და რაღაც სისულელეებს ლაპარაკობ, სულ დაუსრულებლად ერთი და იგივე - სამშობლო, ქალებს გაუმარჯოთ, იმას გაუმარჯოს, ამას გაუმარჯოს. აი, მანდ გამოიხატება ზუსტად ეს სიზარმაცე და ამან წარმოშვა ეს ვითომ პატრიოტიზმიც. ჩემი დიდი სურვილია, რომ ამდენი დროის ხარჯვას ამ სისულელეებში ჯობს ივარჯიშონ. მე, სხვათა შორის მიყვარს ვარჯიში და სულ ვცდილობ, რომ ვივარჯიშო. მინდა, რომ თავს მოუარონ, იარონ კოსმეტოლოგებთან, რატომაც არა და ასე მოაწონონ ქალებს თავი. ქალებს, რომ თავს მოაწონებენ, მერე უკვე იხსნება ეს ურთიერთობები, როცა ურთიერთობა გაქვს ერთ ქალთან, მეორე ქალთან. იქ უკვე აღარაა შენთვის საინტერესო სამშობლოს სადღეგრძელო, ისევ მივედით თავისუფლებასთან, გააკეთონ ის, რაც სიამოვნებთ.

- ევროპაში, თითქმის ნებისმიერ ოჯახში, ქალები და კაცები ინაწილებენ საოჯახო საქმეებს, ჩვენთან რატომ არსებობს ცნება ქალის და კაცის საქმე? ოჯახში რატომ არასდროს არაფერი არაა კაცის საქმე და თქვენ თავად თუ ეხმარებით ცოლს ბავშვის მოვლასა და ჭურჭლის გარეცხვაში?

- ბავშვი თითქმის მე გავზარდე, ნუ ნახევრად მაინც მე გავზარდე, საჭმელსაც ვაკეთებ ხოლმე, უბრალოდ, რეცხვა არ მიყვარს, არ მეთაკილება საერთოდ, გავრეცხავდი სიამოვნებით, უბრალოდ, არ მიყვარს. საჭმელსაც ვაკეთებ, სახლსაც ვალაგებ, მე თვითონ მსიამოვნებს ხოლმე, რომ ვიყო სუფთად და ყველაფერი იყოს ჩემ გემოზე. ქალის და კაცის საქმეს რაც შეეხება, ეს პატრიარქალური მომენტია, კომუნისტურმა წყობამაც იქონია გავლენა, იქ ხომ ქალის როლი საერთოდ ჩაჩოჩებული იყო და ამას მივეჩვიეთ. თან მთის ხალხი ვართ, ცოტა აზიატები. ქართველ კაცებს აქვთ კომპლექსი, ცოცხი რომ დაიჭიროს და ამ დროს ვიღაცამ დაინახოს, ან ეგ ამბავი რომ გავიდეს გარეთ, მორჩა, დამთავრებულია იმ კაცის ამბავი. ესეც ისტორიულად მოგვდგამს, მაგრამ, მგონი იცვლება ეს რაღაცები, პატარა ბიჭებთან, ვისთანაც მაქვს ურთიერთობა, სულ სხვანაირად, სწორად აზროვნებენ და ძალიან მიხარია ეს, იმიტომ რომ არ შეიძლება რა ასეთი რაღაცები. ნელ-ნელა უნდა გამოვიდეთ იმ ნაგვიდან სადაც ვიყავით და რაც უფრო სწრაფად ვიზამთ ამას, მით უკეთესი.

- ძალიან ბევრი ადამიანისთვის ქართლის დედა დღესაც არის ქართველი ქალის სიმბოლო, თასი სიმბოლურად ქართულ სტუმართმოყვარეობაზე მიანიშნებს, რომელზეც თქვენ ხინკლები შემოაწყვეთ, ხოლო ხმალი მტრის დასახვედრად მუდმივი მზადყოფნის მაუწყებელია, მტრისთვის კი მწვადი გაგიმზადებიათ. იქნებ უფრო დეტალურად გვესაუბროთ ქართლის დედის ამ ფენომენზე, რის თქმას ცდილობთ ერთგვარი ჟესტით?

- აქ ქართლის დედაზე აქვს ყველას აქცენტი. მე, უბრალოდ, ეს ქართლის დედა მგონია თითიდან გამოწოვილი უაზრო რკინის კონსტრუქცია, რომელსაც არანაირი დატვირთვა არ აქვს. ქართლის დედა რას ნიშნავს? ვინ არის ქართლის დედა? თანაც უაზრო რაღაცები უჭირავს ხელში. ხინკალს და მწვადს რაც შეეხება, ჩვენი ცხოვრება ხომ ხინკალი და მწვადია. ყველაზე ხშირად ამაზე ვლაპარაკობთ, მაგაზე ვოცნებობთ, მაგაზე ვფიქრობთ, რომ, აი, ნეტავ ხვალ ხინკალს სად შევჭამ? ჩვენი მთავარი გამოვაჩინე და ყველაზე კარგად დააჯდა ამ ქართლის დედას. თუმცა ყველამ პირიქით გაიგო, რომ თითქოს მე ქართლის დედას დავცინი. მაგაზე „ასავალ-დასავალმაც“ გამლანძღა ძალიან, ერთი დიდი გვერდი მომიძღვნეს, რადგან ჩვენ თურმე ქართლის დედა ვაქციეთ ოფიციანტად. მაგრამ ამ ყველაფერში მთავარია ხინკალი და მწვადი, რაც ჩვენს გერბზე აუცილებლად უნდა ეხატოს.

- თქვენ ნანობთ, რომ საქართველოში დაიბადეთ? თუ ნანობთ, რატომ?

- კი ვნანობ, ვნანობ იმის გამო რაზეც ვილაპარაკეთ, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხდება გარშემო.

- სხვაგან რომ დაბადებულიყავით, სად ისურვებდით დაბადებას და იქ როგორ მოახდენდით საკუთარი თავის რეალიზაციას?

- სიამოვნებით დავიბადებოდი ბრაზილიაში და ვითამაშებდი ფეხბურთს.

- თქვენი საყვარელი რესპონდენტი ვინაა, ვისთან შედგა თქვენთვის ყველაზე საინტერესო გადაცემა.

- ჩემი სულ პირველი სტუმარი იყო კოტე ყუბანეიშვილი და აი, ერთ წინადადებაში ავუხსენი რა მინდოდა. მაშინ ეს პირველი გადაცემა იყო და არავის ჰქონდა ნანახი, არავინ არ იყო აზრზე. კოტემ რომ მკითხა, რას ვაკეთებთო, ერთი წინადადებით გაიგო რა მინდოდა და ზუსტად მიხვდა ყველაფერს. ძალიან ნიჭიერი ადამიანია და ძალიან მიყვარს ამ კაცთან ლაპარაკი, იმიტომ, ძალიან ჭკვიანია, თან ხისტია და ყველაფერს პირდაპირ ამბობს.

- თქვენ დანარჩენ რესპონდენტებთან უფრო, ვინ იყო შედარებით ზედაპირული სტუმარი? და თვლით თუ

„ოოო. ეგ გადაცემა, რომ გავიდა, უკრაინა ყველას დაავიწყდა. არავის აღარ ახსოვდა, არც უკრაინა, არც ამერიკა და არც საქართველო... რადგან თინამ სულ სხვა რაღაცა თქვა და გადმოიტანეს სხვანაირად. ჩვენთვის ეს ორალური სექსი იმხელა ტკივილია, რომ კი მოგვწონს, უბრალოდ, არ ვაღიარებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვიუ „მძიმე კაცთან“

„უცბად გაჩნდა ეს იდეა, მითხრეს, რომ შენ შენი დამპალი სახით წაიყვანე გადაცემაო. მერე ცოტა ვიხუმრეთ, ბოლოს მართლა სერიოზულად გავაკეთე და გამოვიდა“

„თინამ უბრალოდ თქვა ის, რასაც ფიქრობს, პატარა გოგოა და ეგრე აზროვნებს. არა მგონია, წინასწარ დაეგეგმა, რომ მოდი მე ახლა იქ მივალ და სკანდალს ავტეხავ“

„სიამოვნებით დავიბადებოდი ბრაზილიაში და ვითამაშებდი ფეხბურთს“

„ვინც ირინა შეიკზე გაბრაზებული იყო და ლანძღავდა, ხომ ყველა ოცნებობს ირინა შეიკზე. ეს არის იცით რა, მიუწვდომელს, რომ ვერ წვდები, აი, ბალს რომ ვერ წყვეტ და რომ შეაგინებ და წახვალ“

„აქედან გამომდინარე, ვიღაცებმა „აიშვეს“, ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაც სტერეოტიპი დაიმსხვრა და გავარკვიეთ, რომ თურმე საქართველოში სექსი არის, თან მრავალფეროვანი“

EXCLUSIVE

არა რომელიმეს თქვენმა კითხვებმა არ მისცა საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება.

- ზედაპირული რესპონდენტები ბევრნი არიან. ძირითადად ესენი უფრო პოლიტიკოსები არიან, რადგან ქართველი პოლიტიკოსები სულ ზრუნავენ იმაზე, რომ მათი ნათქვამი ვინმემ ცუდად არ გაიგოს ზემოთ. რიგითი ქართველი პოლიტიკოსის ერთადერთი ფუნქცია ხომ ისაა, რომ არ აწყენინოს თავის ზემდგომს, ამიტომ სულ ზომავენ ხოლმე რას იძახიან; ჰოდა, როცა რაღაცებს ზომავ, უკვე მშრალად ლაპარაკი გინევს. ზედაპირულები არიან კიდევ შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები, ეგენი საერთოდ ძალიან მოიკოჭლებენ მაგ კუთხით, მანდ არ ვიცი რა ხდება, ზემდგომი ვინ ჰყავთ და რა ჰყავთ საერთოდ, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან სტანდარტულები არიან, რაც მათ ხელოვნებას (თუ ხელოვნება ჰქვია მაგას) და ნამღერს ეტყობა კიდეც.

- პოლიტიკოსები ახსენეთ ახლა. თქვენ რომელი პოლიტიკოსი მოგწონთ? და რატომ?

- მე მომწონს გიგა ბოკერია. იმიტომ, რომ მას აქვს ინტელექტი და გამოცდილება. მგონია, რომ ამ ადამიანს და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდას შეუძლიათ ჩამოაყალიბონ პოლიტიკური კლასი, რომელიც იფიქრებს სახელმწიფოზე და არა იმაზე რაზეც ფიქრობენ დღეს პოლიტიკოსები.

- ხშირად სვამთ კითხვას ნარკოტიკებთან დაკავშირებით, თქვენ თავად თუ გაგისინჯავთ, ზოგადად, რა დამოკიდებულება გაქვთ ნარკოტიკული საშუალებების მიმართ და თქვენი აზრით, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია გამოიღებს თუ არა შედეგს, რადგან უკანასკნელი მონაცემებით, რამდენიმე დღის წინ, კიდევ 2 ადამიანი გარდაიცვალა ე.წ. ბიოს მოხმარებით.

- კი, გამისინჯავს. მგონია, რომ ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საქართველოში, რადგან სახელმწიფოს ჰყავს ტერორში ადამიანები, რომლებიც ეწევიან ბალახს, ბალახს, რომელიც ამოდის მიწიდან. ბიოს მოხმარებისგან რომ იღუპებიან ადამიანები ზუსტად იმის ბრალია, რომ მარიხუანას გამო სვამენ 11 წლით ციხეში, ეს არის კატასტროფა. კითხვა „გვეშველება რამე“? ხომ არის ასე აქტუალური, ჰოდა, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია გვიშველის ძალიან ბევრ რამეში. არ შეიძლება ამისთვის ადამიანი წაიყვანო და ჩააგდო კრიმინალებთან. არც ერთ ქვეყანაში ეგრე არ ხდება, დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებზე არ ვიძახი. 2 კვირის წინ მოწეულზე რომ ადამიანს აპატიმრებ, ეგეთი რამე, ალბათ, არც გაუგიათ არსად. ეს არის ერთგვარი ტერორი. ეს ახლა არ დაწყებულა, ეს დაიწყო შევარდნაძის დროს და ამ რეპრესიებისა და დაუნდობლობის ხარისხი ნელ-ნელა იმატებს. ეს ყველაფერი კი გადაიქცა იარაღად, რომ ვიღაცები დაიჭირონ, დაატერორონ, მართონ. ეს არც ჰუმანური და არც საკანონმდებლო თვალსაზრისით არაა სწორი. ამიტომ რაც უფრო სწრაფად მოხდება მარიხუანას დეკრიმინალიზაცია, მით უკეთესი იქნება.

- ხშირად სვამთ კითხვას რწმენაზე. თქვენ თავად გწამთ თუ არა ღმერთის?

- კი, ღმერთის მწამს.

- თქვენი აზრით, ზოგადად არსებობენ თუ არა ადამიანები, რომლებსაც მართლა არაფრის არ სწამთ?

- საერთოდ, ურწმუნო ადამიანი არ არსებობს, რაღაცის და ვიღაცის ყველას სწამს, ალბათ, ჭიანჭველებსაც.

- როგორ ფიქრობთ, ჰიტლერს ან სტალინს ღმერთის სწამდათ?

- სტალინი სასულიერო აკადემიაში სწავლობდა და ეტყობა ყველაფერი უკ-ულმა გაიგო. მასაც სწამდა რაღაცის და ჰიტლერსაც, თუმცა რისი, არავინ იცის. კარგის არაფრის. რწმენა ერთია და რწმენის ობიექტი ძალიან ბევრნაირი, დაახლოებით 7 მილიარდი ვარიანტი.

- მალე 17 მაისი მოდის, როგორ ფიქრობთ, რა სიტუაცია იქნება ახლა, ისევ გამოვლენ ე.წ. „ტაბურეტკიანი“ მამაოები?

- იმ დღეს წავიკითხე, რომ ვემზადებით ჩვენო, უფრო მეტიც ვიქნებით და უფრო მკაცრებიცო. რა ვიცი აბა, ყოველ 17 მაისს ხომ არ უნდა ვიხმალაოთ. ძალიან დიდი პრობლემაა ის, რომ ეკლესიის შიგნით არის უზარმაზარი პრობლემა. მე რასაც ვხედავ, ბევრი, ვისაც ანაფორა აცვია, ან ძველი ბიჭი იყო, ან კრიმინალი. კი, შეიძლება ადამიანი იყოს მორფინისტი, მოინანიოს და მართლა გახდეს მღვდელი, რომელსაც განათლებაც აქვს ზოგადიც და საეკლესიოც და შეუძლია ამ ყველაფრის დახმარებით ადამიანი სწორ გზაზე დააყენოს. ხომ ეგაა მღვდლის ფუნქცია, მეტი არაფერი. ტიპი რომ 200-ათასიან მანქანაში ზის, თვითონაც 200 კილოა, უჭირავს ოქროსფერი აიფონი და ვილაში ცხოვრობს და ჩვენ კიდევ გვეუბნება, რომ შესაწირი შევიტანოთო, შუქი არ გვაქვს და შიმშილით ვიხოცებითო, ასე არ გამოვა. მერე, ეს ტიპი რომ ვიღაცას ურტყამს (ჯერ მღვდელი, რომ ვიღაცას ურტყამს, ეს ხომ საერთოდ ნონსენსია), იმიტომ, რომ ის არის გეი და ეგეთი დაიბადა თუ ეგეთია, ან უნდა რომ ეგეთი იყოს, შენ ვინ გეკითხება, იმას ურტყამ იმიტომ, რომ ეგეთია, არ ვიცი, რა... ეს 17 მაისი რომ ვნახე, საერთოდ დავკარგე იმედი, რომ ამ ქვეყანაში შეიძლება რაღაც მოხდეს.

- ამ ბოლო დროს ქართველები ხშირად ვსაუბრობთ ღირსების აღდგენაზე, რა არის ეს, რა ფენომენია?

- რა ვიცი, რას გულისხმობენ ამ ღირსებაში? ღირსება თუ ეს არის, ახლა მე რაც მოვყევი, რომ მღვდელი ურტყამს ადამიანს, იმიტომ, რომ ის ასეთია, მაშინ აღდგენილი გვქონია.

- თქვენთვის რა არის ღირსება?

- ჩემთვის ღირსება არის ადამიანი თავის საქმეს რომ აკეთებს კარგად, ასეთი ადამიანი ღირსეულიც არის, პატრიოტიც არის, თავისუფალიც არის და სიყვარულიც შეუძლია. ასე გაკეთდება მარტო საქმე, მე რომ ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ, შენ რომ კარგად აკეთებ და ის რომ კარგად აკეთებს. ჯამში საერთო საქმე გამოდის კარგად და საერთო საქმე რომ გამოდის კარგად, ყველა კარგად ცხოვრობს და ეკონომიკაც ფეხზე დგება, ხელოვნება ვითარდება. ყველაფერი რომ კარგადაა, ყველა კარგ ხასიათზეა და ასე შემდეგ. ზოგადად, ჩვენ ყველა პრობლემას ვუყურებთ საჯდომიდან, რაღაც პრობლემა თუა, წრეს დავარტყამთ და უკნიდან ვუყურებთ, არადა, არ არის ეგრე, თვალებში ჩავხედოთ ყველაფერს და შევაფასოთ სწორი კუთხით.

- თქვენი კრიტერიუმით შეფასებული ყველაზე ღირსეული ქართველი ვინაა დღეს?

- (ფიქრობს) აი, რა მდგომარეობაში ვართ, რომ ვერ ვიხსენებ. იცი რა, ყველა სფეროში არის თითო-თითო გამორჩეული ადამიანი. თუმცა ღირსებაზე ახლა გამახსენდა მეეზოვეები. სულ რაღაცნაირი პატივისცემა მაქვს ამ ადამიანების მიმართ, რაღაცნაირი სტრანნი ტიპები არიან, სულ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ აი, დილით ადრე რომ დგებიან, არც მიაფინაჩებენ, არც მოიტყუებიან და თან უყვართ რა ეგ საქმე და ძალიან მომწონს მე ეს ამბავი. ჰოდა, ყველაზე ღირსეული ტიპები ეგენი არიან, გამთენიისას მუშაობენ და იქ ვინ გიყურებს ხო შენ, ფოთოლს გადააგდებ თუ აიღებ, მაგრამ არა, ესენი კარგად, პატიოსნად ასუფთავებენ და შრომებენ. მე მგონი ყველა ადამიანი ღირსეულია, ვინც ასე ეკიდება თავის საქმეს.

- როგორ გამოხატეთ თქვენი სოლიდარობა უკრაინის მიმართ?

- რა ვიცი, აქციებზე ვიყავი რამდენჯერმე. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, თუმცა აქციებზე ვიყავი ხოლმე, მეტი რა შემიძლია.

- ქართველებმა სულ ცოტა ხნის წინ ირინა შეიკის სოციალური გვერდი კომენტარებით ააჭრელეს, ზუსტად ანალოგიურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე რასმუსენის შემთხვევაშიც, როგორ ფიქრობთ, ეს რა ფენომენია?

- ხო, მერე მესისაც შევუვარდით ერთხელ. ეს არის პროვინციალიზმი. ვინც ირინა შეიკზე გაბრაზებული იყო და ლანძღავდა, ხომ ყველა ოცნებობს ირინა შეიკზე. ეს არის იცით რა, მიუწვდომელს, რომ ვერ წვდები, აი, ბალს რომ ვერ წყვეტ და რომ შეაგინებ და წახვალ, აი, ეგეთი რაღაც არის. ეს არის ფსევდოპატრიოტიზმი, რომლის ფრქვევაც ძალიან გვიყვარს, სადღეგრძელოც ხო ეგაა, ადგები და ერთი საათი ილაპარაკებ, მერე კიდევ ადგები და გაუჩეხავ თავს ვიღაც ქართველს, ან ომი რომ დაიწყება, გაიქცევი ნითელ ხიდზე. ეს ყველაფერი სწორედ ამ ფსევდო პატრიოტიზმისა და იმ კომპლექსების ბრალია რაზეც ვილაპარაკეთ.

- რას იტყოდა თქვენი ქართლის დედა იმ ქალებზე, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ არიან წასულები, მათი ქმრები კი უბანში დომინოს თამაშობენ და ცოლის გამოგზავნილი ფულებით ლუდს სვამენ.

- კაცებს ეტყოდა „ვაი თქვენს პატრონს“. მე ძალიან მეცოდებიან ეს ქალები და ძალიან უსიამოვნო შეგრძნება მაქვს, რომ მიდიან და ასე წვალობენ. თან ასეთ საქმეს აკეთებენ, ყველა საქმე პატივსაცემია, მაგრამ, აი ასე მასობრივად რომ ხდება, ეტყობა თვალში მოგვხვდა ყველას და ცოტა მთრგუნავს. ამ ყველაფერს კიდევ ის ემატება, რომ სამზოლიან შარვლებში ტიპები სხედან ტელევიზორთან მთელი დღე, ამ გაწვალებული ქალების ხარჯზე და ვაუკაცობაზე თავს დებენ, ნუ, აი ეს უკვე სირცხვილია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო

სანდრო ბარათელი

„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ უკვე აქტიურ ფაზაში შევიდა. ამ ეტაპზე, ქვეყნის მასშტაბით, უკვე 33 ათას ჰექტრამდე მიწის ნაკვეთია დამუშავებული. როგორ მიმდინარეობს აგრობარათების დარიგება და როდის დასრულდება ქვეყნის მასშტაბით, პროექტით გათვალისწინებული მიწის დამუშავება? „პრაიმტაიმი“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორს, გიორგი ჩხეიძეს ესაუბრა.

გიორგი ჩხეიძე: - მიმდინარე წელს, „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში“ დაახლოებით 800 ათასამდე ბენეფიციარია ჩართული. როგორც მოგეხსენებათ, პროექტში ჩართულ მეწარმეებს ურიგდებათ აგრობარათები, რომელზეც დარიცხული იქნება მიწის ფართობის მიხედვით შესაბამისი ეკვივალენტის ქულა. მათ სასუქისა და პესტიციდებისთვის გამოიყენებენ. რაც შეეხება ჰექტარზე 140 ლარის ღირებულების სარგებელს, ხვნა-თესვის სამუშაოს სახით მიიღებენ. მიწის მოსახნავი ბარათისა და „ლიბერთი“ ბანკის აგრობარათის უმეტესი ნაწილი ამ ეტაპზე უკვე დარიგებულია.

- ბატონო გიორგი, პლასტიკური აგრობარათი, წელს სიახლეა. კიდევ ერთხელ რომ განვმარტოთ, რა ტიპის ბარათია და სად შეეძლებათ მცირემიწიან ფერმერებს მათი აღება?

- მართალი ხართ, პლასტიკური აგრობარათი წელს პროექტის სიახლეა. ამ ბარათით, ბენეფიციარებს, საქართველოს მასშტაბით, 900-მდე წერტილში, ანუ პროექტში ჩართულ მაღაზიებში, შეეძლებათ მიიღონ მათთვის სასურველი მასალები. მართალია აგრობარათების გარკვეული რაოდენობა უკვე გაცემულია, მაგრამ ჯერ კიდევ არიან მცირემიწიანი მეწარმეები, რომლებსაც არ აუღიათ ბარათები. ვისარგებლებ შემთხვევით და მოვუწოდებ ყველა იმ ბენეფიციარს, რომელიც ჩართულია ამ პროექტში და ჯერ კიდევ არ აუღიათ აგრობარათები. მათ შეუძლიათ მივიდნენ „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, მთელი საქართველოს მასშტაბით და აიღონ აგრობარათი. მოსახერხებელია ის, რომ „ლიბერთი ბანკს“ ყველა რეგიონში და რაიონში აქვს თავისი ფილიალი. ისეთ სოფლებში, სადაც განსაკუთრებით რთულია სოფლის მოსახლეობისთვის გადაადგილება რაიონული ცენტრისკენ, იქ მობილბანკებით მოხდება მომსახურება. რა თქმა უნდა, ამის შესახებ ყველა ბენეფიციარი ინფორმიერებულია. ეს ინფორმაცია ხშირად შუქდებოდა მედიის საშუალებით, ასევე, რაიონულმა ხელმძღვანელობამაც გაავრცელა ინფორმაცია მოსახლეობაში. უკვე თვეზე მეტია, რაც ბარათების გაცემა დაიწყო და დღეისთვის, დაახლოებით 180 ათას ბენეფიციარს აქვს აღებული. რა თქმა უნდა, ბარათების გაცემის პროცესი გრძელდება. მინდა გითხრათ, რომ ბარათების გაცემის ტემპი მატულობს. ერთ დღეში დაახლოებით 10-დან 14 ათასამდე ბარათის გაცემას ახდენს „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები. ვფიქრობთ, რომ ეს ტემპი კიდევ უფრო გაიზრდება.

- შარშან, ბენეფიციარებს, ქაღალდის ბარათით, შეეძლოთ ერთჯერადად გამოეყენებინათ დარიცხული ქულები, იმ კონკრეტულ მაღაზიებში, სადაც შედიოდნენ. წელს, პლასტიკური ბარათების დარიგების შემდეგ, ეს პროცედურა უფრო გამარტივდა?

- რა თქმა უნდა. ამ სიახლეს თან ახლავს უამრავი უპირატესობა. ერთი, რომ თვითონ თანამედროვე ფორმა აქვს ბარათს და აღარ სჭირდება მოკეცვა და შესაბამისად, აღარ დაზიანდება და თან პლასტიკური ბარათი უფრო მისაღები ფორმაა. ნებისმიერ, ასე ვთქვათ, პროექტში ჩართულ მაღაზიაში, ნებისმიერ დროს, შეუძლიათ, ნაწილ-ნაწილ დახარჯონ ქულები, რომელიც ამ ბარათზეა დარიცხული. ეს, ერთი მხრივ, დიდი კომფორტია ბარათის მფლობელისთვის. ბენეფიციარს წელს აღარ მოუწევს ერთ მაღაზიაში მისთვის სასურველი მასალის შეძენა. მათ შეუძლიათ აგრობარათზე დარიცხული თავიანთი ქულები, სურვილისამებრ, დახარჯონ სხვადასხვა მაღაზიებში, სადაც შეეძლებათ პროექტით გათვალიწინებული პროდუქტის შეძენა; მაღაზიებში უკვე განთავსებულია ტერმინალები, რომელზეც მოხდება ბარათების გატარება. აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ჩართულია ტერმინალები, ხოლო ამ კვირაში დასავლეთ საქართველოშიც იქნება. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი სტაბილურად მიმდინარეობს. რაც ყველაზე მთავარია, ეს ბარათი არ არის მხოლოდ ამ პროექტისთვის გათვალისწინებული. ეს არის ჩვეულებრივი საბანკო ბარათი, რომელსაც 10 წელი აქვს ვადა და შეუძლიათ, თავიანთ ყოველდღიურ საფინანსო საქმიანობაში გამოიყენონ.

- რატომ მაინცდამაინც „ლიბერთი ბანკი“?

- რატომ „ლიბერთი ბანკი“? იმიტომ, რომ საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტი ფილიალი აქვს. ასეთი ფუფუნება, სამწუხაროდ, სხვა ბანკებს არ აქვთ. შესაბამისად, სამინისტრომ სწორედ ამ ბანკზე შეაჩერა არჩევანი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომის უუნარო ადამიანებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ, „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლები სახლში სტუმრობენ და იქ გადასცემენ ბარათს.

- ამ დროისთვის დასავლეთ საქართველოში უფრო მეტი ბარათია გაცემული თუ აღმოსავლეთ საქართველოში?

- შემიძლია გითხრათ, რომ აღმოსავლეთში უფრო მეტი ბარათია გაცემული, ვინაიდან აგროვადები აქ უფრო ადრე იწყება. შესაბამისად, ხვნის სამუშაოები პირველად აღმოსავლეთში დავიწყეთ, თუმცა დასავლეთ საქართველოშიც უკვე მიწის საკმაოდ დიდი ნაწილია დამუშავებული.

- ალბათ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტის ფარგლებში ისეთი ყამირი მიწები დამუშავდა, რომელიც ათეული წლებია არ დამუშავებულა...

- დიახ, ნამდვილად ასეა. შარშანდელისგან განსხვავებით, წელს ბენეფიციარების რაოდენობა გაცილებით გაზრდილია, შესაბამისად წელსაც და შარშანაც ბევრი ისეთი მიწის ნაკვეთი დამუშავდა, რომელიც ოცდაათი და ზოგ შემთხვევაში ორმოცდაათი წელიც არ იყო დამუშავებული. ამ პროექტით ფერმერებს საშუალება მიეცათ, დაემუშავებინათ ნაკვეთი-

„მაღაზიებში უკვე განთავსებულია ტერმინალები, სადაც მოხდება ბარათების გატარება“

„უკვე თვეზე მეტია, რაც ბარათების გაცემა დაიწყო და დღეისთვის, დაახლოებით 180 ათას ბენეფიციარს აქვს აღებული. რა თქმა უნდა, ბარათების გაცემის პროცესი გრძელდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

33 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი უკვე დამუშავებულია

EXCLUSIVE

„ხვნის სამუშაოები პირველად აღმოსავლეთში დავიწყეთ, თუმცა დასავლეთ საქართველოშიც უკვე მიწის საკმაოდ დიდი ნაწილია დამუშავებული“

ები, სადაც ტრაქტორს არასდროს ჩაუვლია. იყო ისეთი ადგილები, სადაც ჩვეულებრივი, სტანდარტული სატრაქტორო ტექნიკით ვერ ხერხდებოდა მიწის დამუშავება, მისი რთული რელიფიური მდებარეობიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, მცირემუხლუხოვანი ტექნიკა გამოვიყენეთ, რომელიც სპეციალურად ასეთი ადგილებისთვის გვაქვს გათვალისწინებული.

- რაც შეეხება კონფლიქტის ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებს, ახლა რა ეტაპზეა სამუშაოები?

- კონფლიქტის ზონებში მიწის დამუშავება უკვე დასრულდა. ასეთ ადგილებში მდებარე, მიწის დამუშავების პროცესს, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. ეს გახლავთ ჩვენთვის პრიორიტეტი, რომ მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ, იქ მცხოვრებ მოსახლეობას, იმისთვის, რომ თავიანთი საქმიანობა წარმატებით განახორციელონ. მინდა გითხრათ, რომ არანაირ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

- შარშან ამ დროს მიწის რა ფართობი იყო დამუშავებული?

- როგორც მოგახსენეთ, დღეისათვის 33 ათას ჰექტრამდე მიწის ნაკვეთია დამუშავებული, რაც საგრძნობლად აღემატება შარშან ამ დროისთვის დამუშავებული მიწის ნაკვეთის ფართობს. ახლა რომ 33 ათასი ჰექტარია დამუშავებული, შარშან, ზუსტად ამ დროს 15 ათასი ჰექტარი გვქონდა მოხნული. ამ შემთხვევაში ამინდის ფაქტორმაც დიდი როლი ითამაშა; თუმცა, წელს ჩვენ უფრო ადრე დავიწყეთ ხვნის სამუშაოები, რაც იმან განაპირობა, რომ უფრო მომზადებულები ვიყავით. ასევე, წელს, ჩვენი ტექნიკის პარკი უფრო გაზრდილია, ვირდე შარშან იყო. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, 300 ერთეული ევროპული ტრაქტორი შევიძენეთ, რომლებიც შარშანდელისგან განსხვავებით, თავიდანვე ჩაერთვნენ ამ პროცესში. შარშან საერთო რაოდენობის მიწის ფართობი უკვე დამუშავებული გვქონდა, ახალი ტექნიკა, რომ დაგვემატა.

> „პროექტში ჩართულ მაღაზიაში, ნებისმიერ დროს, შეუძლიათ, ნაწილ-ნაწილ დახარჯონ ქულები, რომელიც ამ ბარათზეა დარიცხული“

- ხვნის სამუშაოები პირველად აღმოსავლეთში დავიწყეთ, თუმცა დასავლეთ საქართველოშიც უკვე მიწის საკმაოდ დიდი ნაწილია დამუშავებული“

- დაახლოებით როდისთვის დასრულდება მიწის დამუშავების პროცესი?

- ხვნის პროცესი მაისის ბოლომდე დასრულდება. ჩვენ წელს ასეთი ცვლილებაც განვახორციელეთ პროექტში, რომ გადავავადეთ ხვნის სერვისის მიწოდების ვადები. ანუ ამ პროექტში ჩართულ ადამიანებს შეუძლიათ საგაზაფხულო კულტურა აიღონ, ანუ ახლა რასაც თესავენ და მათი აღების შემდეგ დამუშავდეს მათი მიწები. ეს შეიძლება მოხდებს მაშინ, როგორც კი მოსავალს აიღებენ.

შეგახსენებთ, რომ „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით“ ისარგებლებენ ბენეფიციარები, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაშია 1.25 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. პროექტში ასევე ჩართულები არიან, ფერმერები, რომელთაც აქვთ 0,25 ჰა-მდე ფართობის მიწის ნაკვეთი. მცირემიწიანი ფერმერები მიიღებენ აგრობარათს, სადაც შესაბამისი ეკვივალენტის ქულა იქნება დარიცხული, რომელსაც სასუქისა და პესტიციდებისთვის გამოიყენებენ. რაც შეეხება ჰექტარზე 140 ლარის ღირებულების სარგებელს, ხვნა-თესვის სამუშაოს სახით მიიღებენ.



> „ამ პროექტით ფერმერებს საშუალება მიეცათ, დაემუშავებინათ ნაკვეთები, სადაც ტრაქტორს არასდროს ჩაუვლია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გახდება თუ არა ჯავახეთი „ყირიმი 2“?

ვან ბაიბურთი: „ერევანში არის რამდენიმე ანალიტიკური ცენტრი, რომლებიც რუსეთიდან ფინანსდება, სრულ მხარდაჭერას იღებს რუსეთის მხრიდან და ძირითადად სწორედ ამ ცენტრებიდან მოდის მსგავსი პროვოკაციული ინფორმაციები“

აგას არაბიანი: „ახალი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოსგან დამოუკიდებლობა სურს, შესაძლოა, ჯავახეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, თანამედროვე საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე ჩამოყალიბდეს, რომელიც ეთნიკური სომხებითაა დასახლებული“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

გახდება თუ არა ჯავახეთი – „ყირიმი 2“? პოლიტიკურ წრეებში საფრთხეებს რეალურად განიხილავენ. სხვადასხვა პოლიტიკური ძალები მთავრობისგან რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტული სანქციების ამოქმედებას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში დარწმუნებულები არიან, რომ რუსეთი საკუთარ „მეხუთე კოლონას“ ადგილზევე აამუშავებს და ოკუპირებულ ტერიტორიებს კიდევ უფრო გაზრდის.

პირველი მინიშნებები ჯავახეთის თემაზე სომხეთის პარლამენტის წევრმა, შირაკ თოროსიანმა გააკეთა. მისი განცხადებით, ყირიმის კრიზისის ფონზე სექტემბრის სამიტზე საქართველომ შეიძლება ნატოში განევრიანების სამოქმედო გეგმა მიიღოს. ნატოს ეგიდით ჯავახეთში თურქული ჯარების ჩაყენება კი სომხურ სათვისტომოს თავდაცვის ინსტინქტს გაუღვიძებს. თოროსიანი ვარაუდობს, რომ სომხური ეთნოსი ვერ აიტანს თურქეთის ჯარების იქ ყოფნას, სადაც თავად ცხოვრობენ, ამ შემთხვევაში არ ექნება მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის საკუთრება იქნება ეს ტერიტორია. ჯავახეთში „აფეთქებას“ არ გამორიცხავს ექსპერტი სოსო ცინცაძეც. მისი განცხადებით, „ყირიმის შემდეგ, კრემლი აუცილებლად შეეცდება, ჩახალიანისა და სხვების გამოყენებით, საქართველოს ჯავახეთი „აუფეთქოს“. რუსეთი ასეთ გეგმაზე იმ შემთხვევაში წავა, თუ მას ყირიმი „შერჩება“. ექსპერტის განცხადებით, პუტინი საქართველოსთვის ამ შემთხვევაში ბევრად ადრე მოიცლის და იქ საკუთარ „მეხუთე კოლონას“ აამუშავებს.

ჩახალიანის „ჯავახკის“ რუსული ვერსია დამოუკიდებლად აგრძელებს აქტიურობას. „რუსეთის ჯავახეთის დიასპორის“ ლიდერი, აგას არაბიანი წინასწარვე აანონსებს, რომ საქართველო-თურქეთის საზღვარზე არსებული ჯავახეთი მალე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. მიზეზად საქართველოს ნატოში განევრიანების სურვილს ასახელებს.

„რუსეთის ჯავახეთის დიასპორის“ ლიდერი, აგას არაბიანი:

– ახალი სახელმწიფო, რომელსაც საქართველოსგან დამოუკიდებლობა სურს, შესაძლოა, ჯავახეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, თანამედროვე საქართველოსა და თურქეთის საზღვარზე ჩამოყალიბდეს, რომელიც ეთნიკური სომხებითაა დასახლებული. არსებობს ინფორმაცია, რომ ადგილობრივი დიასპორა კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ნატო-სთან მიერთებას, ამ საგარეო კურსის გაგრძელების შემთხვევაში, შეიძლება, სუვერენიტეტი გამოაცხადონ. ნატო-ს ნევრობით საქართველო ავტომატურად ხდება თურქეთის მოკავშირე, რაც სომხებისა და სომხეთის ინტერესებისთვის მიუღებელია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ქვეყანა რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, მოსკოვსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა კი ამჟამად, მსუბუქად რომ ვთქვათ, დაძაბულია. იმ შემთხვევაში, თუ ჯავახეთში სამხედრო ბაზები გაჩნდება, ისინი სომხეთში არსებული რუსული ბაზისკენ იქნება მიმართული. კერძოდ კი, გიუმრის 102-ე ბაზისკენ. სომხეთისა და რუსეთისადმი დამოკიდებულებაში კი ამის მეგობრულ ნაბიჯად განხილვა არ შეიძლება.

პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ რუსეთის სასარგებლოდ მოქმედი ადამიანები წარმატებას ვერასოდეს მიაღწევენ, თუმცა არიან დამოუკიდებელი ჯგუფები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ჯავახეთი ძალიან მალე „ყირიმი 2“-ის სტატუსს მიიღებს. „დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელს, მუხრან მაჭავარიანს მიაჩნია, რომ შირაკ თოროსიანის უკან კონკრეტული გეგმა და კონკრეტული ადამიანები დგანან და მათ წარმატებაზე პასუხისმგებლობა რუსეთს აქვს აღებული. ფაქტს, რომ რუსეთი აუცილებლად შეეცდება ნებისმიერი შანსის გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ, არავინ უარყოფს, თუმცა ყოფილი დეპუტატის, ვან ბაიბურთის განცხადებით, სომხეთმა თავის დროზე რუსეთისგან დიდ ზეწოლას ისე გაუძლო, რომ საქართველოს წინააღმდეგ არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს და არც ამჯერად აყვებიან პროვოკაციებს.



ვან ბაიბურთი, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მონვევის დეპუტატი:

– გეთანხმებით, რომ ეს ადამიანი, შეიძლება თამამად ითქვას, სტაჟიანი და ვიტყოდი, გარკვეული ძალების საშტატო პროვოკატორია. აღარც გვიკვირს, რადგან 15 წელია ის მსგავს განცხადებებს აკეთებს. ალბათ, ვიღაცას არ აწყობს საქართველოსა და სომხეთს შორის მშვიდი ურთიერთობები, უნდათ, რომ ჩვენ ერთმანეთს შუბლით შეგვაჯახოს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველო და სომხეთი დააპირისპიროს. სინამდვილეში კი ჩვენ 5 ათასი წელი ვცხოვრობთ ყოველგვარი ბრძოლებისა და ურთიერთდაპირისპირების გარეშე. თოროსიანი კი არის ჩვენი ქვეყნების დაპირისპირების მომხრე – ერთგვარი ბოროტი პრიმა სოლისტი.

– რომელიც იმართება რუსეთის მიერ?

– ამ სიმღერის მოტივი და სიტყვები უფრო რუსულია. ერევანში არის რამდენიმე ანალიტიკური ცენტრი, რომლებიც არ მალავენ საკუთარ ინტერესებს. ისინი რუსეთიდან ფინანსდებიან და სრულ მხარდაჭერას იღებენ იქიდან. ძირითადად სწორედ ამ ცენტრებიდან მოდის მსგავსი პროვოკაციული განცხადებები.

– ერთ-ერთი ასეთი ცნობილი ორგანიზაციაა „რუსეთის ჯავახეთის დიასპორა“...

– საერთოდ, მივესალმები ნებისმიერ არასამთავრობოს, რომელიც დაიცავს ადამიანების უფლებებს. თუ ნდაც ეს ორგანიზაცია, რომელიც საერთოდ არ ინტერესდება კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტებით, არ გამოხატავს რეაქციას, არ მიმართავს რუს სამართალდამცავებს დასახმარებლად, როდესაც ეროვნულ ნიადაგზე კლავენ, ან სცემენ ადამიანებს „სკინჰედები“, როდესაც რეკეტის ან ფულის გამოძალვის ფაქტები ფიქსირდება. ისინი მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და ისიც მხოლოდ საქართველოს შესახებ, გვაფრთხილებენ, რომ არ უნდა გავბედოთ ნატოში განევრიანებაზე ფიქრი, ევროსაბჭოში შესვლა... წარმოგიდგენიათ?

– ანუ ეს მიზანმიმართული კამპანიაა?

– რა თქმა უნდა. მე ვამბობ, რომ „რუსეთის ჯავახეთის დიასპორის“ ხელმძღვანელის, არაბიანის და სომხეთის დეპუტატის, თოროსიანის სიტყვებისა და სიმღერის ავტორი არის რუსეთი. რუსები წერენ და ესენი მღერიან, თანაც ფიქრობენ, რომ კარგ სიმღერას მღერიან.

– რა შემთხვევაში შეიძლება ჯავახეთში პრობლემები შეიქმნას?

– პრობლემა შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ დროს, როცა საქართველოს ხელისუფლება გულთან ახლოს არ მიიტანს ადგილობრივ პრობლემებს. რასაკვირველია, ფხიზლად უნდა ვიყოთ, რადგან, რას მოიმოქმედებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, არავინ იცის. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ერევანში ერთ-ერთმა სერიოზულმა გამოცემამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჯავახეთში რუსეთის მხრიდან პროვოკაცია იგეგმებოდა. ამის განხორციელებას მაშინ ქართულმა მხარემ შეუშალა ხელი. სტატიის ავტორი რუსულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ საფრთხე სერიოზული იყო. შესაბამისად, არც ახლაა არაფერი გამორიცხული. საქართველოს მთავრობა ყოველთვის, ყველა ეტაპზე ყველაფერს აკეთებდა, რომ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პრობლემები მოეგვარებინა. ახალი ხელისუფლების პირობებში, მით უმეტეს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ საკითხს. თუმცა ყველანაირი პრობლემის მოგვარება ძალიან მოკლე დროში, ბუნებრივია, შეუძლებელია. ასეც რომ მოხდეს, რუსეთი, ალბათ, მოძებნის საბაბს, იტყვის, რომ უსამართლობაა, როდესაც ჯავახეთში თითქმის 5-6 თვე მკაცრი ზამთარია და ჯავახეთის მოსახლეობა ცივ მბირული ზამთრისგან უნდა დავიცვაო. ამით იმის თქმა მინდა, რომ მიზეზსა და საბაბს ყოველთვის მოძებნიან, თუ ამის სურვილი ექნებათ. სომხეთზე რუსეთის მხრიდან 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ძალიან დიდი ზეწოლა განხორციელდა. მაშინ სომხეთმა კატეგორიული უარი განაცხადა რუსების მოთხოვნებზე – თავის ტერიტორიაზე განლაგებული რუსული ბაზის გამოყენებაზე. საბედნიეროდ, ადგილობრივ მოსახლეობაში, დამიჯერეთ, არ არის უარყოფითი განწყობები და ისინი ხედავენ, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. მხოლოდ არაკეთილმოსურნეებმა შეიძლება ვერ დაინახოს ის, რაც კეთდება. მე ასე ვიტყოდი: იყვიროს ბატონმა თოროსიანმა. მიმაჩნია, რომ ეს უფრო საინფორმაციო ომის ნაწილია. მათი მიზანი ვფიქრობ, უფრო საქართველოს მოსახლეობის დემორალიზაციაა. ბუნებრივია, ასეთ ადამიანებს პასუხი უნდა გაეცეთ, თუმცა ისე, რომ არ მოხდეს მსგავს პროვოკაციაზე წამოგება.

– იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდება, არც ეს დაძაბავს ურთიერთობას?

– იყო მცირედი გაუგებრობა, თუმცა ჩვენ ავუხსენით მოსახლეობას, რომ საქართველოს დასავლური არჩევანი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაზე უარყოფითად არ იმოქმედებდა, მაშინ როდესაც სომხეთმა აირჩია ევროაზიური საბაჟო კავშირი. ბუნებრივია, კარგი იქნებოდა, რომ ორივე ქვეყანა ერთ ნავში აღმოჩენილიყო. თოროსიანი და მისი მსგავსი ადამიანები მაშინ ყვიროდნენ, რომ აი, ნახავთ, როცა საქართველო ევროკავშირის ან ნატოს ნევრი გახდება, ჩვენს ქვეყნებს შორის საზღვარი ჩაიკეტება და საკუთარ ნათესავებთან ურთიერთობას ვეღარ მოვახერხებთ, ჩვენ კი ამას არ დავუშვებთო. ეს სიცრუეა და უკვე დაადასტურეს სომხეთშიც და საქართველოშიც. არანაირი პრობლემა არ შეიქმნება.

ვან ბაიბურთი: „თოროსიანი და მისი მსგავსი ადამიანები მაშინ ყვიროდნენ, რომ აი, ნახავთ, როცა საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, საზღვარი ჩაიკეტება და ჯავახეთში საკუთარ ნათესავებთან ურთიერთობას ვეღარ მოვახერხებთ, ჩვენ კი ამას არ დავუშვებთო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დღეიდან ბიონარკოტიკის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია იწყება

„ქრონიკულ მეცვალოთ დამოკიდებულება“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

დღეიდან ქვეყნის მასშტაბით ბიონარკოტიკებისა და ე.წ. სპაისების წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია იწყება. კამპანიის ინიციატორი შინაგან საქმეთა სამინისტროა. რა ღონისძიებებია დაგეგმილი ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში და რა საკანონმდებლო ცვლილებებს ამზადებს შსს? ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი თქვენს ყურადღებას შევაჩერებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე, რომელიც ნარკოტიკების საერთაშორისო კონტროლის სტრატეგიას მიმოიხილავს. როგორც წესი, ანგარიში სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აშშ-ს კონგრესს ყოველწლიურად წარედგინება და მასში თავმოყრილია ინფორმაცია საერთაშორისო მასშტაბით სახელმწიფოების, მთავრობების აქტივობებისა და ძალისხმევის შესახებ ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. წლევანდელ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსული საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა დიდ პრიორიტეტს ანიჭებს ნარკოტიკების კონტროლს, რაზეც მეტყველებს 2013 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა. შედარებისთვის, წინა წლის ანგარიშში ბევრად ნეგატიურად იყო შეფასებული 2012 წლის განმავლობაში ნარკოტიკული საშუალებების ამოღების მცირე ოდენობა და, აგრეთვე, ნარკოტიკებზე არსებული სტატისტიკის წარმოება.

ანგარიშის თანახმად, 2013 წელს საზღვრის უსაფრთხოების ზომების გაძლიერებამ და გამოძიებისა და ინსპექტირების მიმართ უფრო პროაქტიურმა მიდგომამ გამოიწვია ნარკოტიკული საშუალებების ამოღების მნიშვნელოვანი ზრდა. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზეც, რომ 2013 წელს საქართველოს პოლიციის მიერ ამოღებული 116 კილოგრამი ჰეროინის ფაქტი, წარმოადგენს პოსტსაბჭოთა საქართველოში პრაქტიკულად უპრეცედენტო შემთხვევას.

ანგარიშში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, ასევე, აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 2013 წლისთვის საქართველოს მთავრობამ გაზარდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული მკურნალობისა და პრევენციის ზომების დაფინანსება.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა წარმატებით აგრძელებს კურსს, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლას.

„საქართველოს მთავრობა აგრძელებს რეფორმების გატარებას სამოქალაქო, საგადასახადო და სამართალდაცვით სფეროებში კორუფციის გამოსავლენად და, მისი გამოვლენის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. დამკვიდრებული პოლიტიკის თანახმად, საქართველოს მთავრობა არ ახალისებს და არ უწყობს ხელს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო წარმოებასა და დისტრიბუციას, აგრეთვე, ის არ არის ჩართული უკანონო ნარკოტიკული საშუალებების გასაღების შედეგად მიღებული სახსრების ლეგალიზაციაში. ნარკოტიკებთან დაკავშირებით კორუფციის არც ერთი სერიოზული ფაქტი არ დაფიქსირებულა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდამცავ დანაყოფებში და საქართველოს მთავრობა არ ახალისებს და არ უწყობს ხელს ნარკოტიკების ტრაფიკს“, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშით კმაყოფილია. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას შსს-ს საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი სოფო კილაძე ამბობს, რომ ეს რეპორტი სამართალდამცველების წარმატებული მუშაობის შედეგია.

„მე გავეცანი ამ ანგარიშს. უნდა ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით გაცილებით დადებითი შეფასებაა. ეს არის ჩვენი ერთწლიანი თავდადებული შრომის შედეგი. გასულ წლებში ეს რეპორტი იმდენად სახარბიელო ვერ იყო, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო“, – ამბობს სოფო კილაძე.

ახლა კი, რაც შეეხება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან ბრძოლის წინააღმდეგ დაგეგმილ კამპანიას. სოფო კილაძე გახლავთ იმ საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი, რომელიც ბიონარკოტიკებისა და ე.წ. სპაისების მიმართ სანქციებს ამკაცრებს. უფრო დეტალურად, თუ რას გულისხმობს დაგეგმილი ცვლილებები, თავად კანონპროექტის ავტორს ვესაუბრეთ.

სოფო კილაძე, შსს-ს საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი:

– კამპანია ძირითადად მიბმულია ჩვენს ინიციატივაზე, რომელიც ეხება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ პროექტს. მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებში იგულისხმება ე.წ. ბიოები და სპაისები. ეს კამპანია გულისხმობს პოპულარიზაციას იმ თემის, რამდენად მავნე ზემოქმედება აქვს ამ ნივთიერებებს და კუსტარულ ნარკოტიკებს. მოსახლეობის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში მუსირებს აზრი, რომ ეს აყენებს კარგ ხასიათზე და განსაკუთრებულ მავნე გავლენა არ აქვს, რაც არის სრულიად არასწორი შეხედულება. კამპანიის ფარგლებში საუბარი იქნება იმაზეც, რა სამართლებრივი შედეგები დადგება, თუ გამოიწერენ, ან შეიძენენ ამ ნივთიერებებს.



– როგორც ვიცით, პირადად თქვენ ბრძანდებით საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი, ამიტომ იქნებ განმარტოთ, რა შეიცვლება სამართლებრივი კუთხით?

– ეს ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი. ზოგადად, მსოფლიოს ქვეყნები ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან, რადგან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელება ხდება ძალიან სწრაფად. ანუ ნარკომაფია აკეთებს ისე, რომ ახალი შენაერთების ჩანაცვლებით იღებს ქიმიური შემადგენლობის ახალ ნივთიერებას, რომელსაც პრაქტიკულად იგივე ეფექტი აქვს, თუმცა მისი კრიმინალიზაცია სახელმწიფოს ჯერ არ მოუხდენია. შესაბამისად, ყოველთვის ერთი ნაბიჯით უსწრებენ სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებებს, რადგან ვერ ხერხდებოდა ამაზე სწრაფი რეაგირება. ამიტომ ევროპის რამდენიმე ქვეყანამ გადაწყვიტა, მოახდინოს ქიმიურ ნაერთთა კლასიფიკაცია, ანუ ნებისმიერი სახის ჩანაცვლება ამ შემთხვევაში აზრს კარგავს. ამ ქვეყნების რიცხვს მივეკუთვნებით ჩვენც, როდესაც ძალაში შევა ეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ანუ ევროპულ ინიციატივასთან ხდება ჩვენი მიბმა, რა თქმა უნდა, ქართული ელემენტების მაქსიმალური გათვალისწინებით. ეს საჭიროა, რადგან მაქსიმალურად მოვახდინოთ ე.წ. ბიოებთან და სპაისებთან ბრძოლა.

– დასჯადობას რაც შეეხება, ამ მიმართულებით კონკრეტულად რა შეიცვლება?

– სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლს, რომელიც ეხება ნარკოტიკების შეძენა, შენახვა, გასაღება, გადაზიდვას, დაემატება ცალკე დათქმა, რომელიც შეეხება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს. ამ ნივთიერებებთან მიმართებაში ჩვენ განვსაზღვრეთ მაქსიმალური სასჯელის ზომა 5 წელი. ეს ფრაგმენტულად არ უნდა განვიხილოთ, ჩვენ ნარკოტიკების თემასთან დაკავშირებით უკვე კარგა ხანია, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ და თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად გვაქვს კონკრეტული შედეგები. პირველ ეტაპზე ჩვენ დავიწყეთ პრობლემების იდენტიფიცირება. გამოვყავით საკითხთა ნუსხა, რომლებიც ითხოვდნენ მოკლევადიან პერსპექტივაში სასწრაფოდ გადაჭრას და, ასევე, იყო საკითხები, რომლებიც ითხოვდნენ გრძელვადიან რეაგირებას. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ პირველ რიგში ძალიან დიდი პრობლემა იყო კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკები, კომბინირებული პრეპარატები, რომლისგანაც მზადდება „კრაკადილი“ და სხვა მისი მსგავსი ნივთიერებები. ეს ძალიან დიდი პრობლემა იყო ქვეყნის მასშტაბით. ალბათ, საქმის კურსში იქნებით, რომ შსს-მ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ამ მიმართულებით მოახდინა საკანონმდებლო ინიცირება და შესაბამისი კანონპროექტი უკვე შევიდა ძალაში. გვაქვს პირველადი ინფორმაციები, რომ ამ ცვლილებებმა თავისი დადებითი შედეგები უკვე გამოიღო. ანუ სააფთიაქო ნარკომანიის დაძლევისკენ ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით. ახლა დღის წესრიგშია ე.წ. ბიოებისა და სპაისების პრობლემის მოგვარება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ახალგაზრდობასა და გენოფონდს. ეს იყო სასწრაფოდ მოსაგვარებელი და ამიტომ გადავწყვიტეთ, რამდენიმე ევროპის ქვეყნის მაგალითი მიგვეღო და შესაბამისად, შევიმუშავეთ ზემოხსენებული კანონპროექტი. აღნიშნული კანონპროექტის განხილვა პარლამენტში მიმდინარეობს, უკვე დასრულდა და ორი მოსმენით მიღებულია. ჩვენი კამპანიის სლოგანი, რომელიც დღეიდან იწყება, არის – „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“, რადგან ამ პრობლემის მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობა აუცილებელია.

სოფო კილაძე: „გასულ წლებში ეს რეპორტი იმდენად სახარბიელო ვერ იყო, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენმა შრომამ შედეგი გამოიღო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ავიაკომპანია, რო

სიახლე „ატლასჯეტისგან“ ATLASJET HOLLYDAYS სერვისი ფასზე მაღალია

„2 მაისიდან ვიწყებთ ფრენებს სტამბულიდან - ლონდონში, ლუტონის აეროპორტში. მაისში დაგეგმილია კვირაში 4 ფრენის განხორციელება, ხოლო ივნისიდან ფრენები ყოველდღიურ ხასიათს მიიღებს და 200 ადგილიანი Airbus 321-200-ის მეშვეობით განხორციელდება“

სანდრო ბარათელი

1977 წელს, როდესაც გიორგი დანელია ლეგენდარულ „მიმინოს“ იღებდა, ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ოთხი ათეული წლის შემდეგ, ქართულ საჰაერო სივრცეში, იმდენი ავიაკომპანია განახორციელებდა საერთაშორისო ფრენებს, რომ მათ შორის კონკურენცია ადამიანის ფანტაზიას გაასწრებდა. „ვალიკო მიზანდარის“ „პეპელა“, დიდი ხანია ავიალაინერებმა და ბოინგებმა ჩაანაცვლეს და ეს სიახლე აღარაა, თუმცა ის, რასაც ახლა გიამბობთ, წაკითხვად ნამდვილად ღირს... წარმოიდგინეთ, რომ ყიდულობთ ავიაბილეთს და პარალალურად აკეთებთ სასურველი სასტუმროს ჯავშანს, ისეთ ხელმისაწვდომ ფასად, რომ თუ ამას თავად არ გამოცდით, ალბათ, ვერც დაიჯერებთ. თუმცა ეს სიმართლეა და ძალიან მალე ამ სერვისს ქართველ მომხმარებელს ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ შესთავაზებს. ეს იქნება „**ATLASJET HOLLYDAYS**“, რომელიც უახლოეს პერიოდში დაიწყებს ბაზარზე ოპერირებას და როგორც უკვე გითხარით, საშუალებას მოგცემთ ავიაბილეთებისა და სასტუმროების ჯავშანი ერთდროულად განახორციელოთ. განსხვავება საგრძნობია და თუკი **რომელიმე თქვენგანს ერთხელ მაინც გისარგებლიათ ამ ავიაკომპანიის მომსახურებით, მიხვდებით რაში მდგომარეობს ეს უპირატესობა.**

დღეისთვის საქართველოდან, რამდენიმე მსხვილი ავიაკომპანია ახორციელებს ფრენებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ კომფორტული მგზავრობით, მისაღები ფასებითა და მომსახურების მაღალი სერვისით, ყველა მათგანი ვერ დაიკვეხნის, ისე, როგორც „ატლასჯეტი“, რომელიც საქართველოში 2013 წლის ოქტომბერში შემოვიდა და მალევე, ინოვაციური და ხელმისაწვდომი პროდუქტებით, ქართველი მომხარებლის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ მსოფლიო ბაზარზე უკვე 13 წელია წარმატებით პოზიციონირებს. პირველი ფრენა კომპანიამ 2001 წლის 1 ივნისს განახორციელა და დღემდე მომხმარებელში სტაბილური, ხარისხიანი და კომფორტული ბრენდის იმიჯით სარგებლობს.

რამდენიმე დღის წინ „თბილისი ივენთ ჰოლში“ ავიაკომპანია „ატლასჯეტი“, „RED NIGHT“ საღამოზე, პარტნიორ სააგენტოებსა და ქართული მედიის წარმომადგენლებს მასპინძლობდა. დარბაზში შესვლამდე სტუმრებს, ავიაკომპანიის მომხიბვლელი ბორტგამცილებლები ეგებებოდნენ, რომლებიც ყველას სიმბოლური აქსესუარით ასაჩუქრებდნენ. საღამოს უძღვებოდა „კაცი, რომელიც სულ ლაპარაკობს“.

სპეციალურად ამ დღისთვის თურქეთიდან ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ პრეზიდენტი და კომპანიის დირექტორატი ჩამოვიდა. „RED NIGHT“ საღამოზე მისულ სტუმრებს მათ მიმდინარე წლის გეგმები, ახალი პროდუქტები და სერვისები გააცნეს. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, „RED NIGHT“ - ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ მხრიდან ტრადიციულ სახეს მიიღებს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც გამართავს.

„რატომ არის ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ ერთ-ერთი ლიდერი თურქულ ბაზარზე? იმიტომ, რომ „ატლასჯეტის“ მომსახურება უთანაბრდება ევროპული ავიახაზების სტანდარტებს“

მურატ ერსოი, ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ პრეზიდენტი: „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა სტუმარს, ვინც საღამოზე მობრძანდა. წითელი ფერი ჩვენი კორპორატიული ფერია და შესაბამისად, საღამოს დრესკოდიც წითელი იყო. საქართველო არის პირველი ქვეყანა, სადაც გაიმართა „RED NIGHT“ საღამო და ამის შემდეგ, ყველა იმ ქვეყანაში გავმართავთ, სადაც ჩვენი ავიაკომპანია ახორციელებს ფრენებს. ის ფაქტი, რომ საქართველოში ტარდება პირველი „RED NIGHT“ საღამო, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რასაც, ზოგადად, საქართველო წარმოადგენს ავიაკომპანია „ატლასჯეტისთვის“. როგორც იცით, ჩვენი ავიაკომპანია 2013 წლის ოქტომბრის თვიდან შემოვიდა ქართულ ბაზარზე და დავიწყეთ რეგულარული ფრენების განხორციელება თბილისი-სტამბულის მიმართულებით. მინდა აღვნიშნო. რომ „ატლასჯეტი“ არ არის მხოლოდ თურქული ავიაკომპანია, „ატლასჯეტი“ უკვე საერთაშორისო ავიაკომპანიაა. მინდა რამდენიმე ძირითად და მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. ჩვენ გვაქვს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე, ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ იწყებს ერაყში ახალი ავიახაზების ოპერირებას. აპრილის თვიდან უკვე უკრაინაშიც ვიწყებთ ფრენებს. მაისის თვიდან დაიწყება ყოველდღიური ფრენები კიევის მიმართულებით. აფრიკაში, ყაზახეთსა და ევროპაში, „ატლასჯეტის“ სახელით ახალი ავიაკომპანიები დაიწყებენ ფრენას. მართალია ჩვენ ახალი ავიაკომპანია ვართ ავიაბაზარზე, მაგრამ ყოველთვის ვცდილობთ, ვიყოთ ახალგაზრდა, ინოვატორი და შევთავაზოთ მგზავრებს ახალი პროდუქტები და ვიყოთ აქტიურები. მინდა გითხრათ, რომ 2 მაისიდან ვიწყებთ ფრენებს სტამბულიდან - ლონდონში, ლუტონის აეროპორტში. მაისში დაგეგმილია კვირაში 4 ფრენის განხორციელება, ხოლო ივნისიდან ფრენები ყოველდღიურ ხასიათს მიიღებს და 200 ადგილიანი ეარბას 321-200-ის მეშვეობით განხორციელდება. ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ 2001 წელს დაარსდა და ოპერირება მხოლოდ ორი ხომალდით დაიწყო, თუმცა დღეს ფრენებს უკვე 18 ავიალაინერით ვახორციელებთ. მიმდინარე წელს, ჩვენი ავიაკომპანია კიდევ 22 ავიახომალდს შეიძენს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ „ატლასჯეტის“ მფლობელობაში შედის ატლანტიკური ფრენის აკადემია, რომელიც Jar- Fcl-ის სტანდარტებით ახორციელებს მფრინავებისა და ეკიპაჟის პროფესიულ მომზადებას, რათა საავიაციო სექტორში პროფესიონალებზე სწრაფად მზარდი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ასევე ვფლობთ მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ ტექნიკოს-ინჟინერთა 300 კაციან ჯგუფს Ats Team და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობაში უმაღლესი ხარისხის ტექნიკურ მომსახურებას ფაქტობრივად 10-ზე მეტ ავიაკომპანიას ვუწევთ.

რატომ არის ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ ერთ-ერთი ლიდერი თურქულ ბაზარზე? იმიტომ, რომ „ატლასჯეტის“ მომსახურების სტანდარტი უთანაბრდება ევროპული ავიახაზების სტანდარტებს. ეს არის 100 %-ით კერძო ავიაკომპანია. არის პირველი იატას წევრი კერძო ავიაკომპანია. პირველია, რომელმაც თურქულ ბაზარზე გამოიყენა ელექტრონული ჯავშნების სისტემა და ერთადერთი ავიაგადამზიდია, რომელსაც 60-დე ავიაკომპანიასთან აქვს ინტერლაინ შეთანხმება“.

რატომ უნდა შევაჩეროთ არჩევანი ავიაკომპანია „ატლასჯეტზე“? როგორც ავიაკომპანიის ქართული წარმომადგენლობის ბიზნესის განვითარების მენეჯერმა თამუნა თანდაშვილმა „პრაიმტაიმთან“ საუბარში აღნიშნა, კომფორტული მგზავრობა და სერვისები, რომელსაც კომპანია ქართველ მომხმარებელს სთავაზობს, ყველასთავის ხელმისაწვდომი და მისაღებია.

თამუნა თანდაშვილი („ატლასჯეტის“ ქართული წარმომადგენლობის ბიზნესის განვითარების მენეჯერი): - დღეისთვის „ატლასჯეტი“ რეგულარულ ფრენებს ახორციელებს თურქეთის ტერიტორიაზე, სტამბულის, ადანას, ანტალიის, ბოდრუმის, გაზიანთეფისა და იზრიმის მიმართულებით. ასევე ახორციელებს საერთაშორისო ფრენებს ჩრდილოეთ კვიპროსის, ლონდონის, მიკონოსის, სულაიმანიას, თეირანის, თბილისისა და ნიჟნეკამსკის მიმართულებით. საქართველოში ოქტომბრიდან ვოპერირებთ, ვახორციელებთ ყოველდღიურ ფრენებს თბილისი - სტამბულის მიმართულებით. დასაფრენი აეროპორტი „ათა თურქია“. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მომხმარებელს ეძლევა საშუალება „ათა თურქის“ აეროპორტში ჩავიდეს. ის ადამიანები, რომლებიც დასასვენებლად, ან ბიზნეს შეხვედრებზე მიდიან სტამბულში, ხვდებიან „ათა თურქის“ აეროპორტში, რომლის ადგილმდებარეობაც ძალიან მოსახერხებელია. ყველა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მელსაც უყვარს მგზავრები“

„ის ფაქტი, რომ საქართველოში ტარდება პირველი „RED NIGHT“ საღამო, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელობას, რასაც, ზოგადად, საქართველო წარმოადგენს ავიაკომპანია „ატლასჯეტისთვის“

ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ „RED NIGHT“ საღამო, პირველად საქართველოში

ძირითადი ტურისტული და კულტურული ადგილი, სწორედ იმ მხარეს არის განლაგებული. ჩვენს მგზავრებს, არ უწევთ დილის და საღამოს საათებში 3 საათიანი ლოდინი ხიდზე არსებულ საცობებში. გარდა ამისა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ასევე, რომ შევთავაზოთ მომხმარებელს ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტები, როგორიც არის ეკონომპლუს კლასი, კარგო სერვისი, ბიზნეს კლასი და ა.შ.

- თქვენი სლოგანია „ავიკომპანია, რომელსაც უყვარს თავისი მომხმარებელი“, როგორ ფიქრობთ, ამართლებთ სლოგანს?

- ვფიქრობ, რომ ვამართლებთ, რადგან ჩვენ ვამუშავებთ ისეთ სტანდარტს, რომელიც უშუალოდ მომხმარებელზეა ორიენტირებული. რა არის ეკონომპლუსი? ეს არის კლასი, რომელიც თურქეთში, მხოლოდ ავიაკომპანია „ატლასჯეტს“ აქვს, რაც გულისხმობს უამრავ პრიორიტეტს. ეკონომპლუსის პრივილეგიით სარგებლობა ჩასხდომამდე იწყება, ვინაიდან სრულიად უსასყიდლოთ შეუძლია მომხმარებელს სასურველი ადგილი შეარჩიოს. ეკონომპლუსი საშუალებას აძლევს ადამიანს, 30 კილოგრამი ბარგი წაიღოს ნებისმიერი მიმართულებით და ამას დამატებული 8 კილოგრამი ხელბარგი. სავარძლებს შორის დაშორება 77 სანტიმეტრია, რაც კიდევ ერთხელ ხელს უწყობს კომფორტულ გადაადგილებას. სრულიად უფასოდ მიიღებს საკვებს, რომელიც ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვიყვარს და ასევე 14 სახეობის სასმელს. მინდა გავამახვილო ყურადღება ასევე უფასო ტრანსპორტის სერვისზე. ავიაკომპანია ახორციელებს უფასო მომსახურებას შათლ-ბას ავტობუსებით. მომხარებელს ასევე ვთავაზობთ ბიზნეს კლასის სერვის. კომფორტულ ტყავის სავარძლით აღჭურვილს, ნამდვილი ბიზნეს კლასი, გულისხმობს 40 კილოგრამი ბარგის უფასო ტრანსპორტირებას, VIP გასასვლელით სარგებლობის უფლებასა და მრავალფეროვან მენიუს. ასევე მინდა ვისაუბრო ჩვეს ერთ-ერთ პროდუქტზე, რომლითაც ჩვენი ავიაკომპანია ამაყობს, ეს არის კორპორატიული ბარათი, რომელიც 2005 წლიდან დაინერგა. ყოველი მეთორმეტე ფრენა უფასოა. ბავშვებისთვის გვაქვს განსაკუთრებული პროდუქტები, ასევე ოჯახებისთვის და კორპორატიული კომპანიებისთვის. ასევე გვაქვს CARGO და ჩვენ ვამაყობთ ამ პროდუქტით, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში დაინერგა საქართველოში. სისწრაფე და ხარისხი ჩვენი პრიორიტეტია. ასევე მინდა ერთ სიახლეზე გესაუბროთ, კონკრეტულად კი ATLASJET HOLLYDAYS-ზე. ეს პროდუქტი მალე დაიწყებს ოპერირებას, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს ავიაბილეთებისა და სასტუმროების ჯავშანი ერთდროულად განახორციელოს. 2 მაისიდან კი თბილისი-სტამბული-ლონდონის რეისი დაინიშნება“.

სამირ ხალილოვი

სამირ ხალილოვი, „ატლასჯეტ საქართველოს“ დირექტორი: „ჩვენ ვცდილობთ, რომ მგზავრებს შევთავაზოთ კომფორტი. გვაქვს კომფორტული სავარძლები, რომლებიც იტალიაში, ნატურალური ტყავისგან არის დამზადებული და სავარძლებს შორის არსებული სივრცე, მომხმარებელს საშუალებას აძლევს კომფორტულად იგრძნოს თავი. გარდა ამისა, თბილისი-სტამბული, სტამბული-თბილისის მგზავრებს ჩვენ ვთავაზობთ უფასო ტვირთს, რომლის წონა 30 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს. არც ერთ სხვა ავიაკომპანიას არ აქვს 30 კილოგრამიანი „ტვირთი“ უფასო. ასევე მგზავრებს ემსახურება უფასო ავტობუსი, რომელიც უზრუნველყოფს უფასო გადაადგილებას ქალაქიდან აეროპორტის მიმართულებით და პირიქით. ყველა ეს ნიუანსი უფრო მოქნილს ხდის ჩვენს კომპანიას. რაც შეეხება ფასებს, ჩვენი ფასები ხელმისაწვდომია და მგზავრებს შეუძლიათ იყიდონ ბილეთები თბილისი-სტამბული-თბილისის რეისზე მხოლოდ 99 ევროდ. ვფიქრობ, რომ კარგი და მისაღები ფასია. ჩვენ ყოველთვის ვეხმარებით ჩვენს მგზავრებს თუ კი მათ რაიმე სახის პრობლემა ექმნებათ, ამიტომაც ვდილობთ, რომ ყოველთვის შევიდეთ მათ მგომარეობაში და დავეხმაროთ მათ რითაც შეგვიძლია“.

როგორც საერთაშორისო გადაზიდვების კომპანია „ეის ფორვარდის“ წარმომადგენელი ამბობს, ავიაკომპანია „ატლასჯეტი“, სხვა ავიაკომპანიებთან შედარებით, დაბალი ფასებითა და მაღალი ხარისხის მომსახურებით გამოირჩევა.

საბრინ კენი: „ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად ვსარგებლობთ ამ ავიკომპანიით. ჩვენი კომპანია ემსახურება ავიატვირთების გადაზიდვებს. კმაყოფილი ვართ „ატლასჯეტის“ მომსახურებით. სხვა ავიაკომპანიებთან შედარებით, მათ დაბალი და მისაღები ფასები აქვთ“.

ნინო წიკლაური, ტურისტული კომპანია „გოუ ტურის“ წარმომადგენელი: „ძალიან კარგი სერვისი აქვთ. ფასები ძალიან დაბალია და ჩვენი მომხმარებლები ყოველთვის კმაყოფილები არიან მათი მომსახურებით. ჩვენი მომხმარებელი ხშირად ირჩევს ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ მომსახურებას“.

ავიაკომპანიამ მიწვეულ სტუმრებს სიურპრიზი მოუწყო. დოლურაში მოთავსებული ბარათებიდან, რომელზეც სტუმრების სახელი და გვარები ეწერა, წამყვანმა, სამი ყველაზე იღბლიანი ადამიანი გამოავლინა. მათ სტამბულის ორკაციანი საგზური გადაეცათ.

პაპუნა შუშანია, ერთ-ერთი გამარჯვებული: „ძალიან გახარებული ვარ. მოვიგე ორკაციანი საგზური სტამბულში, სადაც, ალბათ, ჩემს მეგობართან ერთად წავალ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ავიაკომპანია „ატლასჯეტს“, ასეთი საჩუქრისთვის. ჯერ არ მისარგებლია ამ ავიაკომპანიით და როგორც ვიცი საკმაოდ მაღალი დონის მომსახურება აქვთ“.

ის, რაც აუცილებლად უნდა იცოდეთ - „ჯეტმილი“ - 5 ბარათი „ატლასჯეტისგან“

2005 წლიდან მოქმედებს „ჯეტმილის“ ლოიალურობის პროგრამა, რომელიც 5 განსხვავებული ბარათით არის წარმოდგენილი.

სტანდარტული „ჯეტმილ“ ბარათი - გულისხმობს შემდეგ ძირითად უპირატესობებს: მილების დაგროვების პრინციპით ღებულობენ უფასო ბილეთებს, ასევე სარგებლობენ სხვა დამატებიტი უპირატესობებით, როგორიცაა მანქანის დაქირავების და სასტუმროს ჯავშნის სერვისი.

ელიტ ბარათი - მათთვის, ვინც ხშირად დაფრინავს, 10 კილოგრამი დამატებითი ბარგი, პრიორიტეტული ადგილი წინა რიგებში, მოლოდინის რეჟიმში უპირატესობით სარგებლობის უფლება.

„ჯეტიშ“ - ეს არის ბარათი კორპორატიული კომპანიებისთვის, რომლებიც ხშირად ყიდულობენ ბილეთებს თანამშრომლებისთვის; დაგროვების პრინციპის მიხედვით კომპანია იღებს უფასო ბილეთს.

„ჯეტმილ ჯუნიორი“ - ბავშვები იწყებენ მილების დაგროვებას მცირე ასაკიდან და ამასთანავე, იღებენ უამრავ სიურპრიზს „ატლასჯეტისგან“.

„ჯეტმილ ფემილი“ - ჯერჯერობით საქართველოში არ არის დანერგილი. საოჯახო ბარათი ოჯახს საშუალებას აძლევს, რომ ძალიან მცირე დროში ისარგებლონ უპირატესობებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალასანიას ჯარისკაცები ისევ მოწამლნენ

ქეთი ხატიაშვილი

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, ირაკლი ალასანიას უწყებაში ჯარისკაცები ისევ მოიწამლნენ. primetimenews-ის ინფორმაციით, ბოლო შემთხვევა მე-4 ბრიგადაში მოხდა. მოწამლულია 150-მდე ჯარისკაცი. როგორც Prime Time News-ს აცნობეს, მოწამლულია, ასევე, ალგეთის პოლიგონის 23-ე ბატალიონში 100-მდე ჯარისკაცი.

მოწამვლის მიზეზები არ ხმაურდება. თუმცა, თავდაცვის სამინისტრო თავად ამ ფაქტსაც ასაიდუმლოებს.

და ეს პირველი შემთხვევა არ არის. ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები ადრეც ფიქსირდებოდა, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო თავდაპირველად არ ადასტურებდა, შემდეგ კი იძულებული გახდა, ფაქტი დაედასტურებინა, თუმცა ციფრებში ყოველთვის აცდენა იყო. თავდაცვის უწყებამ ერთხელ ისიც თქვა, ჯარისკაცებს დიარეა კი არა, ფაღარათი ჰქონდათო. და მაშინ ექსპერტებმაც გულიანად იცინეს, ეგება აგვიხსნათ, რა განსხვავებაა მათ შორისო.

– სამხედრო პოლიციამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. საქმეზე დაწყებულია მოკვლევა. დადასტურებულია, რომ ეს იყო მსუბუქი დიარეა. ინტოქსიკაციას ან მოწამვლის რაიმე მძიმე ფორმას ადგილი არ ჰქონია, – ასე განმარტეს მაშინ იმ კომპანიაში, რომელიც პასუხისმგებელია ჯარისკაცების კვებაზე.

ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი, როგორც ჩანს, დღემდე რჩება სერიოზულ პრობლემად ჯარში. თავდაცვის ყოფილი მინისტრის განმარტებით:

– მოწამვლების მიზეზი არის ის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებს კვების პროდუქტებით ამარაგებს ორი კომპანია. ერთია კერძო, რომელიც კვებავს სპეცდანიშნულების რაზმებს, სადაც მოწამვლის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, ხოლო მეორე კომპანია არის სახელმწიფო, რომელიც ამარაგებს ჯარს, სადაც მუდმივად ფიქსირდება მოწამვლის ფაქტები. ეს კომპანია ეკუთვნის თავდაცვის სამინისტროს, თავად სამინისტრო არის დამფუძნებელი. რა რაოდენობით საქონელს შეიძენენ, ეს არის გასაიდუმლოებული. ამის მიზეზად ის მოჰყავთ, მტერი გაიგებს, რამდენი ჯარისკაცი გვყავსო.

მაშინაც და ახლაც არის ეჭვი, რომ თავდაცვის სამინისტროში სერიოზული კორუფციაა, რასაც პროკურატურა გამოავლენს. ექსპერტების მტკიცებით, სახელმწიფო კომპანია, ანუ ამ შემთხვევაში თავდაცვა პროდუქტებს გასაიდუმლოებული წესით ყიდულობს, რაც ტოვებს კორუფციის უდიდეს შესაძლებლობას. ცნობილია, რომ ამ საკითხზე პროკურატურა მუშაობს.

ჩანახატი

Check in - ფილოსოფიური თვალით

05.03.2013

ბაკურიანში ვარ. ახლა, ეს რომ დავწერე, მივხვდი, როგორ მინდა ყოველ ჯერზე ახალ ადგილას ვიყო და ამის აღნიშვნა იყოს პირველი წინადადება. „რიოში ვარ“, „ტოკიოში...“, „დელიში ჩამოვედი“ და ა.შ. რა მაგარი იქნებოდა. აი, მაშინ მექნებოდა ნამდვილად საინტერესო ცხოვრება და - და არაფერი, არ ვიცი მაშინ კიდევ რა მექნებოდა.

ხო, მოკლედ, ბაკურიანში ვართ და, რა თქმა უნდა, სასრიალოდ გავედით დიდველზე - ყველაზე ადამიანურ ტრასაზე. დიდველზე მანამდეც ვყოფილვარ, სულ მანდ დავდივარ პრინციპში, მაგრამ ფილოსოფიურ/ფსიქოლოგიური თვალით პირველად შევხედე. ზოგადად, ძალიან ნელა ვსრიალებ, ყოველი დაღმართის დასაწყისში ვჩერდები და შემდეგ ისევ ვაგრძელებ სრიალს. თავიდან ვიწყებ. დღეს დიდველზე რომ ავედით, გავიყავით ჯგუფებად. მე იმ ჯგუფში მოვხვდი სადაც შედარებით „ძლიერები“ იყვნენ. წვერიდან უნდა გვესრიალა, მაგრამ გასასურებლად ჯერ სპორტული გზიდან წამოვედით. (დიდველზე სამი ტრასაა: ტურისტული, სპორტული და წვერი. ნუ, კიდევ ერთი, რომელიც მართო ჯომ იცის სად არის (?)) და აი, სად გახდა დიდველი ალეგორია! ამდენი წლის შემდეგ სპორტულ გზაზე პირველად ჩამოვედი გაუჩერებლად. ერთი დაღმართიდან მეორეზე შეუჩერებლად გადავდიოდი. ვაბიჯებდი, ვლახავდი, ვმაღლდებოდი ამ ყველა დაღმართზე და აღმართზეც შეუპოვრად ავდიოდი. ჯერ მოხვევებით, მერე სულ პირდაპირ ვსრიალებდი. მოკლედ, ვენი, ვიდი, ვიცი. და აი, დედა აზრიც: ვისწავლე ადგომა. ეგ კი არა, აღარც ვეცემოდი, წამოდგომა რომ დამჭირვებოდა. ვისწავლე სირთულეების გადალახვა და აღარ მეშინოდა მათი. გავიზარდე. ამ მეტად ფილოსოფიურ ფიქრებში გართულს, რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთად გამახსენდა. მე ხომ გავიზარდე, გაზრდას კი მანამ ვერ ამჩნევ, სანამ არ გაიხსენებ რა იყავი იმ ეტაპამდე. მოკლედ, გავიხსენე ყველაფერი, რაც განვითარებას მაგრძნობინებდა და მორიგ სიბრძნემდე მივედი: მოგონებებზე მოდებულია ორი ძალა: დრო - რომელიც მას დავინყებისკენ მიაქანებს და მე - რომელიც დროის საპირისპირო მიმართულებით ვარ მოდებული და მათ ჩემი გულისა და მეხსიერებისკენ მივაქანებ. ხახუნის ძალის მსგავსად მე გამაჩნია მაქსიმალური მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა მოგონებაზეა დამოკიდებული, მისი თვისებაა. გადააჭარბებს რა, დრო ამ მაქსიმალურ მნიშვნელობას, მოგონებები უფსკრულისკენ დაიძვრება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დრო მაინცდამაინც ყოველთვის ღონეზე ვერ არის, რამდენი ჩემნაირი ექაჩება კიდევ ვინ იცის. ჰოდა, სხვებისგან დასუსტებულს ზოგჯერ ვამარცხებ და მოგონებებს საგულდაგულოდ ვიკერებ გულისა და მეხსიერების ფართო და მოძრავ კედელზე. უძრავი მოგონებები მხოლოდ მშრალი ფაქტებია. მოგონება ის მომხდარი ფაქტია, რომელიც მუდმივად ფეთქავს, მოძრაობს და თავს გახსენებს. სწორედ ასეთ მოგონებად მინდა გადაიქცეს დღევანდელი დღე ხვალისთვის, ხვალინდელი - ზეგისთვის და აქ გატარებული ერთი კვირა ჩემი დარჩენილი ცხოვრებისთვის.

P.S.

ახლა გადავიკითხე ნაწერი და ასე ფართოდ არც ერთ ჩემს დაწერილზე არ გამღიმებია.

ნინი ხვედელიანი

თამუნა მიქაძე - გავალნის მცირე ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლის 16 წლის ბინადარი

„როდესაც თბილისში მივდივარ, ყველგან მათხოვრები მხვდებიან. ერთხელ ერთი ბავშვი მოვიდა და გვთხოვა დამეხმარეთო. ჩვენ, რითიც შეგვეძლო დავეხმარეთ. შემდეგ გამოვკითხე, რატომ მათხოვრობ-მეთქი, მან კი მიპასუხა, რომ სახლში არ უშვებდნენ, რადგან დედის მხრივ სხვა იყო. ამ ბავშვს თურმე სულ სცემდნენ. ჩემი ტოლია ეს ბიჭი და ქუჩაში სხვის გადაგდებულ საჭმელს ჭამს, ტრასაზე სძინავს, თან ძალიან ცუდ პირობებში. ამ ბიჭს უნდა დაეხმარონ. ჩვენი მთავრობა კი არ ინტერესდება ასეთი ბავშვებით, ამერიკელი მომღერლების ჩამოყვანის მაგივრად ამ ბავშვებს უნდა დაეხმარონ. ამ ბავშვს არასდროს უგრძნია ოჯახის სითბო და წარმოიდგინეთ კიდევ რამდენი ასეთი უპატრონო ბავშვი ცხოვრობს ქუჩაში. იქ ძალიან ბევრი ცუდი რამ ხდება: მკვლელობა, მოტაცება, ქურდობა და ა.შ. თქვენი ვალია, დაეხმაროთ ასეთ ბავშვებს. მაგალითად, დიდი ბავშვთა სახლი გახსნათ და იქ შეაფაროთ. იქნებ ერთი კეთილი ადამიანი გამოჩნდეს და დაეხმაროს ამ ბავშვებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ავტოავარიას ემსხვერპლა



პოლიციამ თურქი ეჭვმიტანილი ხელნერილის საფუძველზე გაათავისუფლა

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

12 მარტს, ორხევში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. 22 წლის ანა სოლოლაშვილი ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა. შეჯახების შემდეგ, ავტომანქანის მძღოლმა ანა ქუჩაში მიატოვა და მიიმალა. ავარიის ფაქტს გოგონას მეზობელი შეესწრო, რომელმაც ოჯახს აცნობა მომხდარი. ავტომანქანას თურქი ეროვნების მამაკაცი მართავდა. როგორც „პრაიმტაიმისთვის" ცნობილი გახდა, პოლიციამ ეჭვმიტანილი ხელწერილის საფუძველზე გაუშვა. ოჯახი შიშობს, რომ მძღოლი მიიმალება.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ქვეითზე შეჯახების ფაქტზე, 276-ე მუხლის პირველი ნაწილით არის აღძრული, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

„ამ ეტაპზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. დანიშნულია ყველა შესაბამისი ექსპერტიზა. სამართალდამცველების მიერ დადგენილია მძღოლის ვინაობა, რომელიც დაიკითხა. ის გამოძიებასთან თანამშრომლობს. გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას ელოდება, რომლის დასკვნის საფუძველზე საქმე გადაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილებით", - განუცხადა „პრაიმტაიმს" შსს-ს პრეს-ცენტრის წარმომადგენელმა ტატო კუჭავამ.

ანა თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. წელს სადიპლომო ნამუშევარზე მუშაობდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა.

„პრაიმტაიმი" ანას ოჯახს ესტუმრა და მის მშობლებს, დას ესაუბრა. ტრაგედიის მიუხედავად, ოჯახმა ჩვენთან საუბარზე უარი არ თქვა და მომხდარის შესახებ გვიამბო.

ტრაგედიის დღეს გოგონა დილით სამსახურში წასასვლელად მოემზადა. შინიდან გასული იმ ქუჩაზე მივიდა, სადაც ავტობუსების გაჩერებაა. როგორც ოჯახმა გვითხრა, ხშირად ავტობუსები გაჩერების ნაცვლად ზედ ტრასაზე (კახეთის გზატკეცილი) აჩერებენ. სავარაუდოდ იმ დღესაც ასე მოხდა.

ანამ ჯერ მოკლე გზა გადაჭრა, სადაც მოძრაობა ცალმხრივია. გზა განაგრძო, თუმცა, მოულოდნელად გზის საპირისპირო მხრიდან სწრაფად მომავალი ავტომანქანა გამოვარდა, რომელიც ანას დაეჯახა. მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მომაკვდავი დახმარების გარეშე დატოვა.

აღსანიშნავია, რომ ანას მთავარი ტრასა არ გადაუკვეთავს. მან მოკლე გზით ისარგებლა, სადაც ავტომანქანების ცალმხრივი მოძრაობაა.

ანას ტრაგედიას მეზობელი შეესწრო, რომელმაც ანას ერთ-ერთ დას დაურეკა და მომხდარის შესახებ აცნობა. შემთხვევის ადგილზე ანას მშობლები მივიდნენ. საპატრულო პოლიცია უკვე ადგილზე იმყოფებოდა. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ბრიგადაც გამოიძახეს. ანა ჯერ კიდევ გონზე იყო, როცა საავადმყოფოში წაიყვანეს.

„ახლოს არ მიმიშვეს, გონზე იყო, ყვიროდა. საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოპერაციამდე ერთ-ერთი და შეეკითხა, როგორ ხარო? არ ვიციო, უპასუხა. მას მერე გონზე არ მოსულა, ისე დაილუპა", - გვითხრა ანას დედამ ქალბატონმა ლეილამ.

ლაღი, ენერგიით სავსე, კეთილშობილი - ეს იმ სიტყვების მცირე ჩამონათვალია, რომლითაც ანას მისი ოჯახი და მეგობრები ახასიათებენ.

როგორც ანას მამა, ბატონი ბესო იხსენებს, ანა, სწავლის პარალელურად, ერთ-ერთ ესპანურ მაღაზიაში კონსულტანტად მუშაობდა. 12 მარტს სწორედ სამსახურში მიდიოდა.

„ანა დიპლომზე მუშაობდა. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა. სადიპლომოს თბილისში არსებული განსაკუთრებული საცხოვრებელი სახლების ისტორიის შესახებ აკეთებდა, მათ არქიტექტურულ სტილზე. პარალელურად, მუშაობდა. შინ ხან ადრე ბრუნდებოდა, ხან გვიან, მეშინოდა. ქალაქიდან 37 ნომერი ავტობუსით მოდიოდა, შინამდე ფეხით უნდა მოსულიყო. სახლიდან ფეხით 10 წუთის სავალი გზაა. იმ დღეს, დილის 11 საათზე გავიდა, ვკითხე, დაგაგვიანდება თუ არა-მეთქი, კიო და წავიდა. ორი ტრასაა, ერთი კახეთის გზატკეცილი, მეორე პატარა გზაა, სადაც ავტობუსების გაჩერებაა. თუმცა, ავტობუსებს შემოსვლა ეზარებათ და ხშირად პირდაპირ გზატკეცილზე აჩერებენ. ეტყობა, დაინახა, რომ ავტობუსი მოდიოდა და ამ პატარა გზაზე გადაირბინა. ამ გზაზე მოძრაობა ცალმხრივია. მოულოდნელად საპირისპირო მიმართულებიდან სწრაფად მომავალი მანქანა გამოვარდა, რომელიც ანას დაეჯახა. დაარტყა და გზა გააგრძელა. როგორც მერე გავიგეთ, ვილაც თურქი ყოფილა. მიატოვა ბავშვი და გაიქცა. ეტყობა, უთხრეს, საზღვარზე ვერ გადახვალო და პოლიციას ჩაბარდა. თუმცა, პოლიციამ ხელწერილით გაუშვა. რა გარანტიაა, რომ საზღვარს არ გადაკვეთს? გამომძიებელი მეუბნება, არაო.

- როგორი იყო ანა?

- 151-ე სკოლა დაამთავა, ოჯახში მეხუთე შვილი იყო, ოთხი და ჰყავდა. ლაღად გაზრდილი იყო. სხვა შვილები უფრო მორცხვები არიან. ვერცხლისწყალივით მოძრავი იყო. სულ ვეჩხუბებოდი, ისწავლე-მეთქი. თურმე, სწავლობდა და მე არ მაჩვენებდა. ისეთ რამეებზე მპასუხობდა, გაოგნებული ვიყავი. უმაღლესში თავისით ჩააბარა, 70%-იანი დაფინანსება მოიპოვა, ისეთი გახარებული იყო. კარგად სწავლობდა. გასულ წელს ფლორენციაში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდა, სადაც მოხსენებით წარსდგა. თემა ჰქონდა ჯვრის მონასტერზე მომზადებული. აქედან უნივერსიტეტმა სტუდენტების ნამუშევრები გაგზავნა და მხოლოდ ორი სტუდენტის ნამუშევარი აარჩიეს, ერთ-ერთი ანასი იყო. 22 წელი იცხოვრა... ჯერ კიდევ გაუხარელი ბავშვი წავიდა და ნაღველი დაგვიტოვა... გაიზრდებოდა, დედა გახდებოდა...

ოჯახის თქმით, გოგონა საავადმყოფოში ძმიმე დაზიანებებით მიიყვანეს.

„სამი ოპერაცია გაუკეთეს. თავიდან გვითხრეს, რომ მხოლოდ ხელი აქვს მოტეხილი და ტვინის შერყევაო, მაგრამ თურმე... ყველა ორგანო დაზიანებული ჰქონდა. ისე გარდაიცვალა, რომ გონზე არ მოსულა. საკმაოდ მორწმუნე გოგო იყო, ეკლესიაში არ დადიოდა, მაგრამ ისეთი პიროვნება იყო, რომ შეიძლება ვინც ეკლესიაში დადის, ბევრი ვერც მიედრებოდა. კეთილშობილი, უბოროტო ადამიანი. მისი ჩანაწერები ვიპოვეთ, არც ერთ ადამიანზე ცუდს არ წერს. ყველას მიმართ კეთილად არის განწყობილი. მასში ბოღმის ნასახიც არ იყო, შური რა იყო არ იცოდა. ძლიერი პიროვნება იყო, ყველას იმედი", - ამბობს ანას დედა.

„საქმე აღძრულია, მაგრამ მძღოლი ხელწერილით გაუშვეს და გარეთ არის. მოსალაპარაკებლად მოვალთო, რაში მჭირდება მათი მოლაპარაკება, რა, ჩემი შვილი გავყიდო? ვინ გააკეთებს მაგას. გამომძიებელმა მითხრა, რამდენი ავტოსატრანსპორტო შემთხვევა ხდება, ყველა რომ ციხეში ჩავსვათ, ადგილი არ იქნებაო".

ანა იტალიაში ცხოვრებაზე ოცნებობდა. ფლორენციით აღტაცებული, ამბობდა, რომ ისევ უნდა დავბრუნდეო.

ანას პაპას, ჟურნალისტ გიორგი სოლოლაშვილს, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ლექსი „პეპელა მოკლა მანქანამ", დაუწერია. დღევანდელი გადასახედიდან, თითქოს პაპამ შვილიშვილის მომავალი იწინასწარმეტყველაო.

„გამოფრენილი თეოდან/ ქუჩას მისდევდა მოცლილი,/თურმე სიკვდილი ელოდა/არადა, სურდა ქორწილი./სული ერთ წამში აღმოხდა/შუბლი აჯახა მანქანამ,/ ამხელა საცოდაობამ/ შემძრა და შემაკანკალა./პეპელა დარჩა ასფალტზე/ როგორც ყვითელი ლაქა რამ,/ მარცხნივ, აღმართზე ასვლამდე/მუშტი ვუქნიე მანქანას.../ასე ვიგემე ქიმუნჯი-/სიმწრის და შხამის ნარევი,/და ვინც დავსაჯე იმ მუშტით/ეს იყო მხოლოდ...ჰაერი./

ანას ოჯახს დიდი იმედი აქვს, რომ დამნაშავე პასუხს აგებს და დაისჯება.

„მნიშვნელობა არ აქვს რამდენი წელი ივჯდება ციხეში, სასჯელი ხომ უნდა მოიხადოს, მოინანიოს საქციელი. იმედი მაქვს, რომ ეს ლექსი ბოლომდე არ აცხადდება და დამნაშავე დაისჯება", - გვითხრა ანას მამამ.

„პრაიმთტაიმი" დაინტერესდა, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო გამოძიებამ, როცა ეჭვმიტანილის ხელწერილით გაშვებაზე გადაწყვეტილება მიიღო.

დიმიტრი ხაჩიძე, იურისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი": „ზოგადად, ავარიის საქმეებზე, სანამ ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა არ იქნება, ძნელია ბრალის წაყენება თუ მოძრაობის წესების აშკარა დარღვევასთან არ გვაქვს საქმე. თუმცა, მინიმუმ დაუხმარებლობის მუხლი შეეძლოთ წაეყენებინათ. რაც შეეხება საზღვრის გადაკვეთის ალბათობას, არც ეგ არის გამორიცხული. ეს პროკურატურის რისკია და მათ უნდა შეაფასონ".

მომხდარის შემდეგ ძნელია იმის თქმა რა და როგორ შეიძლება ყოფილიყო. შესაძლოა, ტრაგედია არ მომხდარიყო, ავტობუსი გაჩერებაზე რომ გაჩერებულიყო.

„პრაიმტაიმი" შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას დაუკავშირდა. როგორც პრეს-ცენტრის უფროსმა თამაზ კოპლატაძემ გვითხრა, ხშირად ავტობუსების მძღოლები სცოდავენ და გაჩერებაზე არ აჩერებენ. ამის შესახებ მგზავრმა უნდა აცნობოს და მძღოლის მიმართ შესაბამისი ღონისძიება გატარდება.

„ძალიან სამწუხარო ფაქტი მითხარით. ზოგადად, ვაკონტროლებთ, მაგრამ მგზავრებმაც უნდა გვითხრან. ხანდახან მსუბუქ ავტომანქანებს გაჩერებაზე ისე აჩერებენ, რომ ავტობუსი იძულებულია სხვაგან გაჩერდეს. ამ ფაქტით აუცილებლად დავინტერესდებით და ყურადღებას მივაქცევთ, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევები თავიდან ავიცილოთ", - აღნიშნა კოპლატაძემ.

როგორც შსს-ს პრესცენტრში განგვიცხადეს, ეჭვმიტაინილი გამოძიებასთან თანამშრომლობს. მიმალვის საშიშროება არ არსებობს, რადგან საზღვარს ვერ გადაკვეთს, კონტროლზეა აყვანილიო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მესაზღვრის დღე

ახალი მესაზღვრეების პროფესიულ დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, რომელსაც საქართველოს შს მინისტრი, ადგილობრივი ხელისუფლების, აშშ-ს საელჩოს, ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის, გაეროს განვითარების ფონდის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, საფრანგეთის, თურქეთის, ლატვიისა და უკრაინის სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მაქართის სკოლის ერთადერთი მოსწავლე ბაჩო წიკლაური საპატიო სტუმრის

სტატუსით დაესწრო და შინაგან საქმეთა მინისტრ, ალექსანდრე ჭიკაიძისგან საჩუქარიც მიიღო.

ეს ის პატარა ბაჩო წიკლაურია, რომელმაც, ირაკლი ღარიბაშვილისგან წერილი და სამახსოვრო საჩუქარი, პერსონალური კომპიუტერი და ველოსიპედი მას შემდეგ მიიღო, რაც გაირკვა რომ ის გუდამაყრის მაქართის სკოლაში ერთადერთი მოსწავლეა.

“ბაჩო! ჩვენო პატარა ვაჟკაცო! მთელმა საქართველომ გაიგო, რომ გუდამაყარში, მაქართის სკოლას ერთადერთი ჰყავს – ბაჩო წიკლაური, საამაყო ბიჭი. კარგი სწავლით, დიდი ნებისყოფით და, რაც მთავარია, მშობელი მიწისა და მთების სიყვარულით, შენი ერთგულებით უკვე ემსახურები სამშობლოს!” - წერდა პატარა ბაჩოს ირაკლი ღარიბაშვილი.

დაცულია თუ არა ფეხმძიმე ქალის უფლებები ჩვენს ქვეყანაში?

სალომე გოგოხია

„გამოდის, ქალი მხოლოდ იმის გამო ისჯება, რომ ბავშვი გააჩინა“

34 წლის მარი ბექაურს 6 თვის კატო ჰყავს. მისი დეკრეტული შვებულების პერიოდი შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს დაემთხვა. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული 1 000 ლარი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ კანონით ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ვადა 4-დან 6 თვემდე გაიზარდა, ჩვენი რესპონდენტი სამუშაო რეჟიმს მშობიარობიდან ზუსტად ორ თვეში დაუბრუნდა.

„კერძო კომპანიაში ვმუშაობ. დამსაქმებელი ვალდებული არ არის, დეკრეტულში ყოფნისას ხელფასი, რასაც სხვა დროს გამოვიმუშავებ, ამინაზღაუროს. ამიტომ შვებულებაში მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე გავედი. სამსახურში კი ზუსტად ორ თვეში დავბრუნდი. ის ორი თვეც შინიდან ვმუშაობდი, რომ შემოსავალი მქონოდა. ჩემი ხელფასი 500 ლარს შეადგენს, პლუს ბონუსები. ამიტომ მხოლოდ 1 000 ლარის იმედად ვერ ვიქნებოდი. მეორე შვილიც მყავს, ქმარი კი უმუშევარია. უფროსი ბიჭი რვა წლის არის. მეორეს გაჩენას არც ვფიქრობდი. პრაქტიკულად, პირველი შვილი დედამ და დებმა გამიზარდეს. ვამბობდი, მეორეს გაზრდას ვერავის ვაიძულებ-მეთქი. ისე კი, მეორე შვილიც მინდოდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა ამის საშუალებას არ მაძლევდა. ყველაფერი უფლის ნებაა და ახლა მეორე შვილი მყავს. პირველ შვილზე ორსულობის დროსაც ბოლო დღემდე ვმუშაობდი. მაშინ დეკრეტული 4 თვე იყო და ანაზღაურება 600 ლარს შეადგენდა. კარგია, რომ თანხა გაიზარდა, მაგრამ ჩვენი სოციალური პირობების ფონზე, მაინც ცოტაა. მარტო „პამპერსებს“ რამდენი უნდა, აღარაფერს ვამბობ კვებაზე, ჩაცმაზე და ა.შ. სახელმწიფომ ამ პრობლემის მოგვარებას ხელი უნდა შეუწყოს, თუ გვინდა, რომ ქართველები გავმრავლდეთ. თუ ბოლო წლებში შობადობამ ოთხი პროცენტით მოიმატა, ეს ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა, მისმა მოწოდებამ, რომ მესამე შვილის ნათლია გახდებოდა, ბევრ წყვილს უბიძგა ამ ნაბიჯისკენ. ჩემს საახლობლოში ძალიან ბევრმა გააჩინა მესამე შვილი“. – **ამბობს მარი ბექაური.**

კერძო კომპანიებში დასაქმებული მანდილოსნებისგან განსხვავებით, შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებიან საჯარო სამსახურებში დასაქმებულები. მათ დეკრეტული 1 000 ლარის გარდა, 6 თვის მანძილზე კუთვნილი ხელფასიც ერიცხებათ.

27 წლის ნატო ერთ-ერთ რაიონში პოლიციის განყოფილებაში მუშაობს. ფეხმძიმედ არის და დღე-დღეზე დეკრეტულ შვებულებაში გასვლას აპირებს.

„ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ. 600 ლარს კი სჯობს 1 000 ლარი. თან 6 თვე ხელფასს ჩვეულებრივად ავიღებ. სამსახურშიც 6 თვის მერე დავბრუნდები. მუშაობას ისე ვარ შეჩვეული, რომ შინ ვერ დავჯდები, თანაც ხელფასი ჩემი ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მე და ჩემი მეუღლე ვმუშაობთ, მშობლები კი გვეხმარებიან, მაგრამ ხომ იცით, ოჯახს რამდენი სჭირდება. ამიტომ, სამსახურს ვეშურები“, – გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

ცვლილებები შრომის კოდექსში გასული წლის ზაფხულში შევიდა. ერთ-ერთი ცვლილება სწორედ დეკრეტული შვებულების პერიოდსა და ანაზღაურებას შეეხო.

თუ ცვლილებამდე უხელფასო შვებულება 477 კალენდარული დღეს შეადგენდა, ცვლილებების შედეგად ეს ვადა 730 დღემდე გაიზარდა.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში საია-ს იურისტი ლიკა წიკლაური ამბობს, რომ ცვლილების შედეგად 183 კალენდარული დღე ანაზღაუდებადი გახდა (მანამდე 126 დღე იყო). სახელმწიფო სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში იხდის 1 000 ლარს.

რაც შეეხება კერძო კომპანიებში დასაქმებულ ფეხმძიმე მანდილოსნების ანაზღაურებას, იურისტის თქმით, თუ ხელშეკრულებაში ეს პირობა ჩადებული

არ არის, მაშინ დამსაქმებელი ვალდებული არ არის, რომ დეკრეტულში ყოფნისას დასაქმებულს ხელფასი აუნაზღაუროს.

„ეს დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. კანონი მას არ ავალდებულებს, რომ განაცდური აუნაზღაუროს. თუმცა, საჯარო დაწესებულებებში საპირისპირო სურათი გვხვდება“, – **ამბობს წიკლაური.**

გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში იმ ხარვეზებზე საუბრობს, რაც კანონმდებლობით ჯერ კიდევ აღმოსაფხვრელია.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა – დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესება კვლავ უყურადღებოდ არის დარჩენილი.

„ბევრი რამ შეიძლებოდა სხვანაირად გაკეთებულიყო. თუ ვინმეს აქვს იმის განცდა, რომ რამე შეიცვალა, ცდება. ციფრებით შეიცვალა, მაგრამ რეალური პრობლემა რაც დემოგრაფიასთან გვქონდა, პრობლემად დარჩა. აქამდე ფეხმძიმე ქალბატონი დეკრეტულში გასვლისას 600 ლარს იღებდა, ახლა – 1 000 ლარს, მაგრამ თუ დავაჯამებთ, სხვაობა ძალიან მიზერული გამოდის, სულ რაღაც, 16 ლარი. ამ ყველაფერს რადიკალური ცვლილებები, დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებისა და ფეხმძიმე ქალების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, არ მოჰყოლია. თუ ციფრებში ეჯიბრება ვინმე ვინმეს, ახლანდელი მთავრობა – ძველს, არ ვიცი. ბუნებრივია, 1 000 სჯობს 600 ლარს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საკითხი გადაწყდა და პრობლემა მოგვარდა. რეალური ცვლილება იქნებოდა, თუ ხელფასის მინიმუმ ორი მესამედი ერთი წლის განმავლობაში შენარჩუნდებოდა“. – ამბობს პეტრიაშვილი.

მისივე თქმით, კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან კერძო კომპანიებში დასაქმებული მანდილოსნები.

„დამსაქმებლის კეთილი ნებაა, დეკრეტში მყოფ თანამშრომელს ხელფასს გადაუხდის თუ არა. მე ვარ კერძო კომპანიის წარმომადგენელი. კანონი არ მავალდებულებს, მაგრამ კეთილ ნებას ვიჩენ და ჩემს თანამშრომლებს დეკრეტული შვებულების პერიოდში ხელფასს ვუნაზღაურებ. მთავარია, კანონი აიძულებდეს. წარმოიდგინეთ, 1 000 ლარი 6 თვეზე, რომ გავყოთ, თვეში ორასი ლარიც არ გამოდის. რაც ნიშნავს, რომ, თუ ქალის ყოველთვიური ხელფასი 400 ლარს შეადგენს, ამ შემთხვევაში ეს ხელფასი აკლდება და მხოლოდ იმის გამო ისჯება, რომ ბავშვი გააჩინა. ამიტომ ქალი იძულებულია, დეკრეტულ შვებულებაში რაც შეიძლება გვიან გავიდეს და შვებულებიდან მალე დაბრუნდეს. ამას უფროსი კი არ აიძულებს, არამედ ცხოვრება. დღეს ერთი დასაქმებული მანდილოსანი მინიმუმ ოჯახის სამ წევრს ინახავს. ბუნებრივია, ბავშვის გაჩენა წმინდათაწმიდაა და ეს ღვთისგან მინიჭებული წყალობაა, მაგრამ მეორეა ის სოციალური პირობები, რაშიც მანდილოსანი და მისი უმუშევარი ოჯახის წევრები იმყოფებიან. ამიტომ ვართ უბედურ მდგომარეობაში. დემოგრაფია არ ვითარდება და ბავშვთა სიკვდილიანობა მაღალია. ეს იმიტომ, რომ უამრავი შემთხვევაა, როცა ქალები სამშობიაროში პირდაპირ სამსახურიდან მიდიან. მაშინ როცა კლასიკური, სამედიცინო თვალსაზრისით, მელოგინე მინიმუმ ორი-სამი თვე სახლის პირობებში, მშვიდ გარემოში უნდა იყოს და არა სამსახურის დაძაბულ რეჟიმში მუშაობდეს“. – **ამბობს პეტრიაშვილი.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეს მარგველაშვილისთვის მძიმე ტვირთია“

გია ხუხაშვილი: „ადამიანები ცდილობენ, რომ კულისური ინტრიგები გამოიწვიონ, ადამიანებს შორის გაუგებრობები შექმნან“

EXCLUSIVE

„გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების რგოლი არის სუსტი. ძალიან ნელა, ზანტად მუშაობს და ეფექტურობა არის დაბალი“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნებისმიერ ხელისუფლებაში კულისური ბრძოლები მიმდინარეობს და როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს ძალიან ნორმალური პროცესია. პოლიტიკაში დროებით მოსული გია ხუხაშვილი არ გამორიცხავს, რომ კონკრეტული ჯგუფი მარგველაშვილის წინააღმდეგ მუშაობდეს და კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ივანიშვილ-მარგველაშვილს შორის დაძაბულობის შექმნას ცდილობდეს. ასეთი ადამიანების გეგმა პრეზიდენტზე არ გაჩერდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ყოფილი პრემიერის მინიშნებებმა მინისტრების მისამართით მორიგი თემის გახსნის საფუძველი შექმნა.

თავად გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ მარგველაშვილის პლუს-მინუსები საბოლოოდ საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, თუმცა მას მიაჩნია, რომ ქართველი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ შეეგუა პოლიტიკაში ძალთა ბალანსის ცვლილებას და, სავარაუდოდ, პრობლემასაც სწორედ ეს ქმნის.

გია ხუხაშვილი:

– მარგველაშვილს არანაირი ვალდებულება არ აქვს, რომ დაემორჩილოს ივანიშვილს. თავად ივანიშვილიც არ აყენებს ასე საკითხს, ის, უბრალოდ, გულწრფელი ადამიანია და საკუთარ აზრს აფიქსირებს. მისი კრიტიკა იმის დადასტურებაა, რომ დღეს ის ხელისუფლების მართვაში არც ერევა. მე ამ ყველაფერში პოზიტიური უფრო დავინახე, ვიდრე ნეგატიური. რა თქმა უნდა, გიორგი მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილის წინაშე მორალური ვალდებულება აქვს. და არა მარტო მას, არამედ ყველა ჩვენგანს აქვს მორალური ვალდებულება, რადგან მთლიანად ამ ადამიანის დამსახურებაა თითოეული ფიგურანტის არსებობა დღევანდელ ხელისუფლებაში. ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, არც ერთი ადამიანი, ვინც დღეს არის ხელისუფლებაში, არ იქნებოდა. ეს მორალური ვალდებულება არსებობს და ეს მარგველაშვილისთვის მძიმე ტვირთია, ბუნებრივია. თუმცა არსებობს სახელმწიფოებრივი ვალდებულება. ის არის არჩეული პრეზიდენტი და მას არ აქვს უფლება, ემოციური გადაწყვეტილებები მიიღოს. მისი მხრიდან ნებისმიერი რადიკალური ქმედება იქნებოდა არასწორი. ჯერ კიდევ გუშინ მარგველაშვილის მიმართ იყო პრეტენზია, რომ ის იყო ივანიშვილის მარიონეტი. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. ეს დისკუსია დიდხანს გაგრძელდება და ამაში ბევრი ადამიანი ჩაერთვება. ადამიანები ცდილობენ, რომ კულისური ინტრიგები გამოიწვიონ, ადამიანებს შორის გაუგებრობები შექმნან. მე ამას არ გამოვრიცხავ. ქართული სახელმწიფო ძალთა ბალანსს ჯერ არ არის შეგუებული. საზოგადოებასაც პრეზიდენტი იგივე სიძლიერის წარმოუდგენია, როგორიც იყო სააკაშვილი. დღევანდელი პრეზიდენტის უფლებამოსილებები კი ბევრად შეზღუდულია. საბოლოო ჯამში, საზოგადოების შესაფასებელია, როგორი პრეზიდენტი ჰყავს, როგორ პოლიტიკას ატარებს, როგორ ასრულებს საკუთარ კომპეტენციას. ჩემი აზრით, ჯანსაღი პროცესი მიდის და მისი დრამატიზება საჭირო არ არის. მართალია, ივანიშვილმა მარგველაშვილი გააკრიტიკა, მაგრამ მე ველოდები, რომ მალე მარგველაშვილი ივანიშვილისგან შექებას დაიმსახურებს. ამ ყველაფერს დინამიკაში უნდა შევხედოთ და არა ცალკეული შეფასებების მიხედვით.

„გიორგი მარგველაშვილს არანაირი ვალდებულება არ აქვს, რომ დაემორჩილოს ივანიშვილს“

– თქვენ თქვით, რომ შეიძლება კონკრეტული ადამიანები ცდილობენ შიდა ინტრიგების გამოწვევას, ვის გულისხმობდით?

– მე ამას არ გამოვრიცხავ, რადგან ნებისმიერ ხელისუფლებაში ასეთი კულისური, ჯგუფური ბრძოლები მიმდინარეობს და ეს მიღებულია. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ჯგუფები მუშაობდნენ არა მარგველაშვილის წინააღმდეგ, არამედ ბიძინა ივანიშვილის ინფორმაციულ ვაკუუმში მოსაქცევად. ასეთი ადამიანები ცდილობენ, რომ ივანიშვილს უსუფაშვილის, მარგველაშვილის, ღარიბაშვილის შესახებ უარყოფითი დამოკიდებულება შეუქმნან. საქართველოში სამი კაცი რომ იკრიბება და შემდეგ იშლება, ერთმანეთს აგინებს. ეს ქართული ხასიათია. არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, უბრალოდ, ჩემს ვარაუდს გამოვთქვამ.

– რაც შეეხება ძალიან კარგ და კარგ მინისტრებს, ფიქრობთ, რომ ცვლილებები ასეთი შეფასებების შემდეგ იქნება?

– მინისტრთა კაბინეტზე მე მაქვს ჩემი შეხედულება, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩემი მეგობარია და ძალიან ვგულშემატკივრობ ყველას. მიმაჩნია, რომ დღევანდელ მინისტრთა კაბინეტს აკლია დინამიკა, გადაწყვეტილების მიღების უნარი აქვს სუსტი, მე ვგულისხმობ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს და არა გლობალურ საკითხებს.

– ანუ მუშაობის შედეგები იგივიანებს?

– დიახ, შედეგი უნდა იყოს ყოველდღიური და განვითარების დინამიკა უნდა აკრიფოს ქვეყანამ. ვფიქრობ, რომ ეს კავშირები არის ძალიან სუსტი, ხელისუფლებას უჭირს გადაწყვეტილების მიღება და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე. წინა ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ საშინელებას აკეთებდა, ეფექტურობა მეტი ჰქონდა. მათ შეეძლოთ, მოკლე დროში მიეღოთ გადაწყვეტილება და გაეტარებინათ ცხოვრებაში. ეს სისტემა მუშაობდა ძალიან კარგად. სხვა საკითხია, რა გადაწყვეტილებებს იღებდნენ და რას უშვრებოდნენ საკუთარი გადაწყვეტილებებით ქვეყანას, მაგრამ ფაქტია, რომ ტექნიკურად ეს პროცესი დალაგებული ჰქონდათ. დღეს ეს პროცესი ძალიან მოსუსტებულია. გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების რგოლი არის სუსტი. ძალიან ნელა, ზანტად მუშაობს და ეფექტურობა არის დაბალი. ეს ჩემი პირადი აზრია. რაც შეეხება ცალკეულ სისტემებს, ნებისმიერ უწყებაში ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ საკმაოდ ოდიოზური ფიგურები, რომლებიც ნაციონალების დროს, ასევე, მაღალ თანამდებობებზე იყვნენ. ჩემი ლეგენდაც გახსოვთ, ალბათ, არც მე არ ვარ მაღალი აზრის საკადრო პოლიტიკის შესახებ, თუმცა ვანო მაჭავარიანი არ არის უარესი შემთხვევა, ამაზე უარესებიც არსებობს. ვანო მაჭავარიანს ისეთი არც არაფერი გაუფუჭებია და დღეს თანამდებობებზე ისეთი ადამიანები არიან, ვინც ნაციონალების დროს სერიოზული გამფუჭებლები იყვნენ. ისეთი ადამიანები არიან დღეს ხელისუფლებაში, რომლებსაც სერიოზული დანაშაულები აქვთ ჩადენილი საზოგადოების წინაშე. ამას ვერსად გავექცევით, ეს არის დღევანდელი მოცემულობა. ვანო მაჭავარიანს შეიძლება მეც არ ვთვლი იდეალურ ადამიანად, მაგრამ ის არ არის ყველაზე დიდი უბედურება.

„ვანო მაჭავარიანს ისეთი არც არაფერი გაუფუჭებია და დღეს თანამდებობებზე ისეთი ადამიანები არიან, ვინც ნაციონალების დროს სერიოზული გამფუჭებლები იყვნენ“

– როგორ ფიქრობთ, რომელი ჩინოვნიკი შეიძლება გახდეს მორიგი კრიტიკის ობიექტი ყოფილი პრემიერის მხრიდან? ან რა მიზეზით?

– ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ბიძინა ივანიშვილს აღარ აქვს ვალდებულება, სტაბილური განწყობა ჰქონდეს. შეიძლება მან საკუთარი კრიტიკული აზრი დავით უსუფაშვილზეც გამოთქვას. თუმცა უსუფაშვილი, ჩემი აზრით, ძალიან იშვიათი მოვლენაა საქართველოში, რომელიც სახელმწიფოებრივად მასშტაბურად აზროვნებს და მას საქართველოს ისტორიაში ძალიან დიდი როლი აქვს შესრულებული და შესასრულებელიც. უსუფაშვილის მიმართ ბიძინა ივანიშვილის განწყობა აბსოლუტურად ობიექტურია, თუმცა ქვეყანა იმდენი გამოწვევის წინაშეა, რომ ვერ გამორიცხავ, რომ მის მიმართაც გაჩნდეს კრიტიკა. რაც შეეხება საკითხებს, მე ვარ ერთი მოქალაქე, რომელსაც არ მაქვს თმენის ვალდებულება და გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, მე არ მომწონს იგივე მოსმენების თემა, მიმაჩნია, რომ უნდა მოხდეს ამ საკითხის ინსტიტუციონალური დალაგება. ის ცუდი ბიჭი იყო და უსმენდა, მე კარგი ბიჭი ვარ და არ ვიკადრებ – ეს არგუმენტი ჩემთვის მიუღებელია. ასევე, მოწმის დაკითხვის შესახებაც არ ვიზიარებ ამ საკითხის გადავადების იდეას. ამ შემთხვევაში მე მარგველაშვილის მხარეს ვარ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოფო ტოროშელიძე „X Fa

my View
თამარ გონგაძე

14 აპრილს „X Factor“-ის მაყურებელს შეუძლია ტელეეკრანს მიეჯაჭვოს. გრანდიოზული მეგაშოუ იწყება. დიდი ხანია ემზადებიან. „ჯეოსტარის“, „საქართველოს ვარსკვლავის“, „ვარსკვლავების აკადემიის“ და „ნიჭიერის“ შემქმნელებისგან „რუსთავი 2“-ის მაყურებელი დაუვიწყარ შოუს ელოდება. ინტრიგას ისიც ამძაფრებს, რომ შოუს პროდიუსერები ნაწილ-ნაწილ ამხელენ ჟიურის წევრებისა და წამყვანების ვინაობას. გასულ კვირას „პრაიმტაიმის“ მეშვეობით ცნობილი გახდა, რომ „X Factor“-ის ერთ-ერთი წამყვანი გეგა ფალავანდიშვილია. ვიქნები ბუნებრივი, შორტებით არ ვირბენ და თამაშს ვერ დავიწყებო, გვითხრა. ჟიურის წევრების ვინაობის გამხელას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. „X Factor“-ის ოთხეული ასე გამოიყურება: გიორგი გაბუნია, სტეფანე მღებრიშვილი, სოფო ტოროშელიძე და თამთა გოდუაძე. ამჯერად სოფოს გაგაცნობთ. უკვე ერთი წელია ტოროშელიძე „რუსთავი 2“-ის დიდი ოჯახის წევრია. გუნდს „საქართველოს ვარსკვლავის“ პირველი სეზონის ნახევარფინალში პედაგოგად შეუერთდა. მეორე სეზონზე უკვე მუსიკალური ხელმძღვანელობა ანდეს.

„ბოლოს იმიტომაც დაუვარდა „ვოისს“ რეიტინგი, რომ ჟიურის წევრებს შორის გაურკვევლობა იყო. არ არის სწორი და ეთიკური ერთმანეთის ლანძღვა. აზრთა სხვადასხვაობა იქნება და ეს ბუნებრივია, ვიკამათებთ“

სოფო ტოროშელიძე: „არც მეგონა და არც ველოდი, რომ 23 წლის ასაკში „რუსთავი 2“-ის მუსიკალური ხელმძღვანელი გავხდებოდი. ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებდი და ეს დამიფასდა. როცა იმ საქმეს მთელი გულით აკეთებ, რაც გიყვარს, ეს უკვე წარმატების ფორმულაა. „რუსთავი 2“-ის გუნდის წევრობა დიდი პასუხისმგებლობაა. აქ მაღალი დონე და პროფესიონალიზმი ყველაზე მაღლა დგას. ძალიან დიდი მადლობა გიორგი ხაბურზანიასა და დემნა ჯაფარიძეს, იმისთვის, რომ მე არხის მუსიკალური ხელმძღვანელობა მანდეს. მათ შრომის ფასი კარგად იციან. მკაცრები და მომთხოვნებიც არიან. რა ხარისხშიც თვითონ ქმნიან, იმის შესაბამისი სტანდარტის უნდა იყოს შენი გაკეთებული საქმეც. პროექტში მუსიკალურ ჟანრზე გვიკამათია, რომელი ჯობს და ეს ბუნებრივია. ბევრი ადამიანი ზის და განიხილავს - რა სჯობს. ეს ისევ პროექტისთვის კეთდება“.

„დიდი ხანია „X Factor“-ის დაწყებას ველოდებოდი“

კარიერული ბიძგი სოფოს, როგორც ამბობს, „რუსთავი 2“-მა მისცა. პროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“კონკურსანტი იყო. 2011 წელს „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევ კონკურსზე ჯგუფი „ელდრაინი“ აირჩიეს. ჯგუფის მაშინდელ სოლისტს პროდიუსერებთან და წევრებთან კონფლიქტი მოუვიდა და „ელდრაინი“ დატოვა. „სრულიად მოულოდნელად შემომთავაზეს ჯგუფის წევრობა და „ევროვიზიაზე“ გავემგზავრეთ. 2011 წლის ევროვიზიაზე მეცხრე ადგილი დავიკავეთ“.

სოფოს ამ კონკურსზე გამოსვლის გამოცდილება მანამდეც ჰქონდა. ის სოფო ნიჟარაძის ბექვოკალში მღეროდა. კიდევ უფრო მანამდე, 2009 წელს კი საბავშვო „ევროვიზიაზე“ ჯგუფ „პრინცესების“ პედაგოგი იყო. გამოვიდა, რომ ზედიზედ სამი წელი „ევროვიზიის“ სცენაზე იდგა.

„ძალიან დიდი ხანია „X Factor“-ის დაწყებას ველოდებოდი. მსოფლიოს მუსიკალური შოუების ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული შოუა. როგორც არხის მუსიკალურ ხელმძღვანელს, ერთი სული მქონდა მალე დაწყებულიყო. მოულოდნელი იყო ჟიურის წევრობის შემოთავაზება და ძალიან გამიხარდა. ვნერვიულობ, დიდი პასუხისმგებლობაა. ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია, რასაც ჟიური იტყვის. მაყურებელი შენ გისმენს, მართავ და მისთვის მნიშვნელოვანია, შენ, ჟიური, რა შეფასებას გააკეთებ. კონკურსანტების ბედს წყვეტ. მაინც ის მომენტი გადამძლევს, რომ შოუზე მთლიანობაში ვფიქრობ. მინდა კარგი გამოვიდეს. პრეკასტინგს დავსწრებივარ და დაახლოებით ვიცი, რა კონტინგენტია მოსული. სულ ამ პროექტზე ვფიქრობ. წარმოვიდგენ, რომ დაიწყო და როგორ მიდის. ვფიქრობ, რა არის „X Factor“-ისთვის მნიშვნელოვანი, რა უნდა გამოიკვეთოს, სცენისთვის რა არის აუცილებელი. მიმაჩია, რომ მომღერალი მხოლოდ ხმა არ არის, მომღერალი ქარიზმა, პლასტიკა, არტისტიზმია.

- ოთხი კატეგორიის ჯგუფიდან რომელს ისურვებდით თქვენი გუნდის წევრებად - გოგონების, ბიჭების, ჯგუფების თუ 25 წლის ზევით მომღერლების?

- ჩემთვის ეს აბსოლუტურად სულ ერთია. იმდენად მიყვარს ეს პროექტი და ვიცი, რომ ძალიან მაგარი იქნება, რომ სულ ერთია რომელი კატეგორიის ჯგუფი შემხვდება. გულს და სულს ჩავდებ.

- თქვენს გუნდს რა ხიბლი ექნება?

- პერფორმანსსა და შოუს წინ წამოვწევ და ამას მივაქცევ ყურადღებას. მინდა ჩემი გამოცდილება გავუზიარო კონკურსანტებს. ვეცდები, ჩემი გუნდი გამორჩეული იყოს.

- ჟიურის წევრებს შორის ყველაზე უმცროსი ხართ.

- დიახ, იანვარში 24 წლის გავხდი. თამთა გოდუაძეს არ ვიცნობ მხოლოდ. მიხარია მასზე რომ შეჩერდა არჩევანი. მიხარია, რომ სტეფანე და გიორგი გაბუ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

actor“-ის ჟიურის წევრის ნევრია

„ძალიან დიდი ხანია „X Factor“-ის დაწყებას ველოდებოდი. პრეკასტინგს დავსწრებივარ და დაახლოებით ვიცი რა კონტინგენტია მოსული. ვფიქრობ, რა არის „X Factor“-ისთვის, სცენისთვის რა არის აუცილებელი. მიმაჩია, რომ მომღერალი მხოლოდ ხმა არ არის, მომღერალი ქარიზმა, პლასტიკა, არტისტიზმია“

EXCLUSIVE

ნია არიან ჟიურის წევრები. კარგ ადამიანებთან ერთად მომიწია ჟიურიში ჯდომა. მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არ მეპარება.

- ჟიურის წევრები შოუსთვის ერთმანეთში ხელოვნურ დაძაბულობას შექმნით?

- კონფლიქტზე ვერასდროს წავალ. არაფრად მიღირს.

- „ვოისში“ თვალშისაცემი გახდა დაძაბული ურთიერთობები.

- ბოლოს იმიტომაც დაუვარდა „ვოისს“ რეიტინგი, რომ ჟიურის წევრებს შორის ძალიან გაურკვევლობა იყო. არ არის სწორი და ეთიკური ერთმანეთის ლანძღვა. აზრთა სხვადასხვაობა იქნება და ეს ბუნებრივია, ვიკამათებთ.

- გამარჯვებაზე მოტივირებული ხართ?

- მოტივირებული ვარ იმაზე, რომ „X Factor“-ი ძალიან მაგარი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, „რუსთავი 2“ ამას შეძლებს. დაძაბულ ფაზაში რომ შევა შოუ, გამარჯვებაზე ფიქრი ავტომატურად მოვა, ალბათ.

- მეუღლე როგორ შეხვდა თქვენს ახალ ამპლუას?

- ვაა, რა მაგარიაო, დიტომ. გაუხარდა და ცდილობს გვერდში დამიდგეს. არ ინერვიულო, გამოგივაო, მამხნევებს. როცა მოიცლის, ივლის კონცერტებზე.

სამი წელია დიტო კვინტრაძემ და სოფომ ოჯახი შექმნეს.

- აქამდე შვილზე არ გვიფიქრია. ჩემი მეუღლეც ახლა გახდა 24 წლის. მამაკაცი რაც უფრო დაღვინებულ ასაკში გახდება მამა და ამ პასუხისმგებლობას თავზე გვიან აიღებს, მით უკეთესი. ოჯახში მესამე და უმნიშვნელოვანესი ადამიანი რომ ჩნდება, იმას არაფერი უნდა აკლდეს. უკვე ნელ-ნელა ვფიქრობთ ამაზე.

პედაგოგი, ავტორ-შემსრულებელი

ამბობს, რომ პედაგოგობის გამოცდილება 19 წლის ასაკიდან აქვს.

„მინდოდა საკუთარი შემოსავალი მქონოდა და მშობლები არ შემეწუხებინა. ვასწავლიდი გიტარას, მოსწავლეები სახლში მოდიოდნენ. მივხვდი, რომ ეს თავის რეალიზებისთვის და შემოსავლისთვის არაჩვეულებრივი საშუალება იყო. როგორც მუსიკალურმა ხელმძღვანელმა პირველი ნაბიჯები „ბასტი ბუბუში“ გადავდგი“.

„იმდენად მიყვარს ეს პროექტი და ვიცი, რომ ძალიან მაგარი იქნება, რომ სულ ერთია რომელი კატეგორიის ჯგუფი შემხვდება. გულს და სულს ჩავდებ“

სოფოს შესახებ, მე პირადად, წლების წინ ნეკა სებისკვერაძისგან გავიგე. პატარა გოგონაა და სიმღერა დამიწერაო, მითხრა. „12 წლის ვიყავი ნეკასთვის სიმღერა „ზღაპარი“ რომ დავწერე. კლიპიც გადაიღო. მას შემდეგ ხან რა სიმღერა დავწერე, ხან ვის დავუწერე. თავიდანვე თანამედროვე სტილი დაკრავდა ჩემს სიმღერებს. კონსერვატორიაში ნიჭიერთა ათწლედი მაქვს დამთავრებული, მაგრამ ჩემი „დრაივიანი“ მუსიკაა, პოპროკს ვუსმენდი თინეიჯერობაში. მიყვარს როკი და ალტერნატივა. „ელდრაინის“ სტილი მძიმეა უფრო. თავიდან გამიჭირდა, რადგან ამ ჟანრის მუსიკის სიმღერის გამოცდილება არ მქონია. „ვარსკვლავების აკადემიაში“ ბალადურ სიმღერებს ვმღეროდი. „ევროვიზიისთვის“ სიმღერა „One More Day“ შეირჩა, ტექნიკურად რთულად შესასრულებელი სიმღერაა. თავიდან ბოლომდე წარმოუდგენელია ისე იმღერო, რომ სიმღერის ბოლოს შვებით არ ამოისუნთქო. კლიპისთვის სამ დღეში ნასწავლი სიმღერა ვიმღერე და ეს ეტყობა კიდეც ნამღერს, კონკურსზე კი უკვე აბსოლუტურად სულ სხვა ნამღერია. მორგებული მქონდა სიმღერა, თან ცოცხლად ნამღერი სულ სხვა იყო.

- სიმღერებს აღარ წერთ?

- მე ვარ ავტორ-შემსრულებელი, თუმცა ახლა გაჩერებული ვარ. შემოქმედებისთვის დრო უნდა გქონდეს. ხანდახან გული მწყდება, რომ სიმღერის დასაწერად ვერ ვიცლი. ყველაფერი ერთად არ გამოდის. „ელდრაინთან“ მუშაობით ვივსები და შემოქმედებითად ვიხარჯები...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოპერისა და ბალეტის თეატრის „აქილევსის ქუსლი“

სალომე გოგოხია

„არც გვასახლებენ და არც გვანგრევენ, ამასობაში შეიძლება საბედისწერო შემთხვევა მოხდეს“

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. თუმცა, ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობის დაწყება ჭიანურდება. როგორც „პრაიმტაიმს“ ოპერის ტექნიკურმა დირექტორმა ზურაბ ლომიძემ განუცხადა, თაბუკაშვილის 42-ში მდებარე ავარიული შენობა პროცესის დაწყებას ხელს უშლის.

თავის მხრივ, უკმაყოფილებას გამოთქვამენ მობინადრეებიც. მათი თქმით, შენობა ავარიულია და უსაფრთხოების თვალსაზრისით დაცულები არ არიან. მერიამ გამაგრებითი სამუშაოების ან ალტერნატიული ფართის გამოყოფის ნაცვლად სახლი კულტურულ ძეგლთა ნუსხაში შეიყვანა. რამაც დამატებით პრობლემა შექმნა. შენობას არც ანგრევენ და არც ამაგრებენ.

მერია კი ამ საკითხზე დუმს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ხანძრის შემდეგ აღდგენილი თეატრის შემდგომი განვითარების პროგრამა იმთავითვე ითვალისწინებდა მათ გადაწყვეტას, რისთვისაც იმდროინდელი მთავრობის დადგენილებით, თეატრს გადაეცა მის ირგვლივ მიმდებარე განაშენიანებული ტერიტორია. დამუშავდა სათანადო პროექტი. ამ სახლების მცხოვრებთათვის აშენდა კორპუსიც. თუმცა, თეატრის ადმინისტრაციის და ამ სახლში მცხოვრებთა ინფორმაციით, მათ შესთავაზეს ბინები თემქის, გლდანისა და ვარკეთილის მასივებში, სადაც, ცხადია, ცენტრიდან არავინ გადავიდა.

1998 წლიდან საქართველოს მთავრობამ ორჯერ დაადასტურა ზემოაღნიშნული ტერიტორიების თეატრისათვის გადაცემის საჭიროება, არსებობს შესაბამისი დადგენილებებიც, თუმცა, უსახსრობის მომიზეზებით, მისი განხორციელება თავის დროზეც არ მოხერხდა.

ოპერის თეატრის დღევანდელ რეკონსტრუქციას სირთულეებს უქმნის შენობის ირგვლივ ავარიულ მგომარეობაში მყოფი ნაგებობების არსებობა.

თეატრის ადმინისტრაციის განცხადებით, უაღრესად სახიფათოა პროექტით გათვალისწინებული თეატრის საწარმოო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობის დაწყება (მის გარეშე შეუძლებელია თეატრის ექსპლოატაციაში გაშვება), რადგან თეატრის ეზოში მდგარი თაბუკაშვილის # 42 სახლის კედელი ორივე მხრიდან გახსნილია, გაბზარულია და როგორც ყველა მიმდებარე სახლი (თაბუკაშვილის # 40, 38, თაბუკაშვილის ჩიხი), მწვავე ავარიულ შენობას წარმოადგენს. შესაძლოა, იგი მოულოდნელად ჩამოინგრეს და

მოიყოლოს ქვედა დონეზე მდგარი ავარიული ნაგებობები. ამიტომ მშენებლები თავს იკავებენ თეატრის საწარმოო-ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობისაგან.

აღნიშნული ტერიტორიის ოპერისთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მთავრობის სამი ბრძანებულება არსებობს. თუმცა, 1973 წლიდან, რაც ოპერაში ხანძარი გაჩნდა, ეს საკითხი არ მოგვარებულა.

აღსანიშნავია, რომ ფონდ „ქართუს“ დაკვეთით, აღნიშნული კორპუსის პროექტზე მუშაობდა დანიელი არქიტექტორი ლარსენი, რომელმაც, თავის დროზე, წარმოადგინა მომავალი შენობის მაკეტი. სამწუხაროდ, იგი რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა და პროექტი დაუმთავრებელი დარჩა.

სარემონტო სამუშაოების გეგმით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა გაიხსნას განახლებული საოპერო თეატრი, მაგრამ იმისთვის, რომ თეატრმა დაიწყოს სრულყოფილი ფუნქციონირება, სასიცოცხლოდ აუცილებელია ზემოხსენებული საწარმოო-ადმინისტრაციული კორპუსის აშენება, სადაც უნდა განლაგდეს: თეატრის ადმინისტრაცია, დეკორაციების დამამზადებელი სხვადასხვა სახელოსნო, რბილი დეკორაციების სახატავი დარბაზები, სამკერვალო სახელოსნოები, დეკორაციის სამონტაჟო დარბაზი, სამღებრო და სამრეცხაო საამქროები, 6 000 საკიდზე გაანგარიშებული ქალთა და მამაკაცთა თეატრალური კოსტუმების გარდერობი, დეკორაციის შესანახი საცავები, თანამშრომელთა სასადილო, სტუმრების მისაღები რამდენიმე აპარტამენტი, თეატრის ტექნიკური სამსახურის საამქროები, სპექტაკლზე მოსულ მაყურებელთა ავტომანქანების სადგომი და სხვა.

„როდესაც ოპერაში დიდი სარემონტო სამუშაოების ჩატარება გადაწყდა, ორი მიმართულება შევიმუშავეთ - გარემონტებოდა შემოქმედებითი კორპუსი და უნდა აშენებულიყო ადმინისტრაციულ-საწარმო კორპუსი, სადაც. „ქართუმ“ გაგვიკეთა დიდი საჩუქარი და შენობის სარემონტო სამუშაო სრულად დააფინანსა. ასევე, თაბუკაშვილის 44-ში მდებარე შენობაც შეიძინა. ვინაიდან ამ ქუჩაზე შენობები მიჯრით დგას, სამშენებლო სამუშაოს წამოწყების შემთხვევაში შესაძლოა, 42 ნომერში მდებარე სამსართულიანი შენობა ჩამოინგრეს, რადგან ავარიულია. მთავრობის სამი გადაწყვეტილება არსებობს (დოკუმენტაციას თავად გავეცანი), სადაც წერია, რომ ეს ადგილი, შენობები, ოპერას უნდა გადასცენ. თუმცა, დღემდე ეს არ მომხდარა. ამჟამად, თაბუკაშვილის 42-ში 33 ოჯახი ცხოვრობს. ამას დაემატა ახალი პრობლემაც, რომ ეს სახლი კულტურულ ძეგლთა ნუსხაში შეიყვანეს. ამან ზედმეტი პრობლემები წარმოშვა“. - ამბობს ლომიძე.

„ეს შენობა (44-ში მდებარე) და ჩვენი კომბინატი, რომელიც ასევე ავარიული იყო, ორივე დაინგრა. ცნობილ დანიელ არქიტექტორს ლარსენს პროექტი დავუკვეთეთ. საქართველოში ჩამოვიდა, ნახა, მაკეტი, მონახაზი, სად რა უნდა ყოფილიყო, გააკეთა, შემდეგ გაემგზავრა და პროექტზე მუშაობა დაიწყო. სამწუხაროდ, გარდაიცვალა. მშენებლობას ვერ ვიწყებთ, რადგან ეს კორპუსი შეიძლება დაინგრეს. ამან პროცესი შეაჩერა. „ქართუს“ მხრიდან მცდელობა იყო, რომ მერიას კორპუსის გამაგრებითი სამუშაო დაეწყო. თუმცა, იმ პერიოდში, საპარლამენტო არჩევნების წინ, სიტუაცია დაიძაბა; მერიამ ასეთი წინადადება შემოგვთავაზა - ჩვენ მობინადრეებს გავიყვანთ, ქირას გადავუხდით, მანამდე თქვენ სახლი აღადგინეთ, უკანა ნაწილს თუ დაშლით ფასადი დატოვეთ, პროექტს გააკეთებთ, ახალ სახლს ააშენებთ და ამ ხალხს ისევ შემოვიყვანთ. ადმინისტრაციული კორპუსი მერე ააშენეთო. ცოტა არ იყოს არასერიოზულია. დავრჩით ჰაერში გამოკიდებულები. ოპერაში რემონტი დასასრულს უახლოვდება. შეიძლება მსოფლიოს ძალიან ბევრ თეატრში მსახიობებს არ ჰქონდეთ ისეთი კომფორტი, როგორიც აქ, მაგრამ თუ არ იქნება თეატრის მეორე ნაწილი, სადაც უნდა დამზადდეს დეკორაციები, როგორ იქნება? ზოგი ამბობს, რა მოხდა მერეო. ვთქვათ, ბალერინას სჭირდება „პაჭკის“ შეკერვა, ამისთვის ავლაბარში ხომ არ უდნა წავიდეს ან ქალაქის რომელიმე უბანში? ვნახოთ რა იქნება. ქვეყნის ყოველი ხელისუფლება თვალნათლივ ხედავდა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას, ჰქონდათ კიდეც ამის სურვილი, მაგრამ როგორც ჩანს, არ არსებობდა სათანადო პოლიტიკური ნება. ვიმედოვნებთ, რომ ამჯერად აღნიშნული პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება“. - ამბობს ლომიძე.

შექმნილ საფრთხეზე საუბრობს თაბუკაშვილის 42-ში მდებარე სახლის ამხანაგობის თავმჯდომარე როინ სადრაძეც.

„ეს სახლი 110 წლისაა. კულტურულ მემკვიდრეობათა ძეგლთა ნუსხაშია შესული. ყურადღებას არ აქცევენ. დროთა განმავლობაში შენობა ავარიული გახდა. 2010 წელს გვერდზე მიშენებული კორპუსის დანგრევა გადაწყვიტეს. ქალაქის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დადგენილების თანახმად, შენობები იმდენად მიჯრითაა აშენებული, რომ ეს სახლის დაზიანებას გამოიწვევდა. მერიის არქიტექტურული სამსახურის განკარგულებით, ჩვენი კორპუსის გამაგრებითი სამუშაო 2010 წლის 5 აპრილამდე უნდა ჩაეტარებინათ. თუმცა, სამუშაო არ შეასრულეს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს სახლი ავარიულ მდგომარეობამდე მიზანმიმართულად მიჰყავთ, რომ შემდეგ ყოველგვარი შეთავაზების გარეშე თავი გვიკრან ფონიჭალაში ან რომელიმე გარეუბანში, ან ქირით გაგვიყვანონ. უამრავი წერილი მივწერე მერიას, ერთხელ მივიღეთ პასუხი, რომ ფინანსური საშუალება არ აქვთ, ახლა გამგეობიდან ნიკა მელიას (გამგებელი) პასუხი მივიღეთ, გვთავაზობენ თანადაფინანსებით გამაგრებითი სამუშაოს ჩატარებას. თუ კულტურული ძეგლია, მაშინ სახელმწიფომ უნდა გაამაგროს. არც გვასახლებენ და არც გვანგრევენ. ამასობაში შეიძლება საბედისწერო შემთხვევა მოხდეს. აბაშიძის ქუჩაზე სახლის ჩამონგრევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა, აქ შეიძლება უფრო მეტი მსხვერპლი იყოს“. - ამბობს სადრაძე.

„პრაიმტაიმი“ კომენტარისთვის დაუკავშირდა კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. როგორც მინისტრის მოადგილემ ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ განაცხადა, ამ პრობლემის გადაწყვეტა სამინისტროს კომპეტენციას სცდება.

„შემოქმედებითი პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის აუცილებელია აღმოიფხვრას გარკვეული ხელის შემშლელი ფაქტორები ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც განთავსდება ადმინისტრაციული და ტექნიკური შენობები, რომელთა გარეშეც ოპერის თეატრის გამართულად მუშაობა წარმოუდგენელია“,- განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

„პრაიმტაიმი“ კომენტარისთვის მერიის პრეს-ცენტრს დაუკავშირდა. როგორც ამ უწყების წარმომადგენელმა თეა შათირიშვილმა განაცხადა, გამგეობა მზად არის თანადაფინანსებით გამაგრებითი სამუშაოები ჩაატაროს. ამასთან, სამუშაოს პერიოდში მოსახლეობა ქირით უზრუნველყოს.

„მოსახლეობას შეუძლია სასურველი კომპანია აირჩიოს, რომელიც ამ სამუშაოს ჩაატარებს, შემდეგ ხარჯთაღრიცხვა გამგეობაში წარადგინონ და თანადაფინანსებით, რომელიც რიგ შემთხვევაში 80%-ს შეადგენს, გამაგრებითი სამუშაო ჩაატარონ. მოსახლეობას 10-15%-ის გაღება მოუწევს,“ - აღნიშნა შათირიშვილმა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პოლიტიკა და ეკლესია ერთმანეთის ცხოვრებაში ყოველთვის ერეოდა, ერევა და გზები შემდეგშიც გადაიკვეთება...“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„არ უნდა მოხდეს უმრავლესობით ან უპირატესობით გადაწყვეტილების მიღება, ძალიან მნიშვნელოვანია შეთანხმების მიღწევა“

რიგით მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ დაინიშნა. უმაღლესი სასულიერო პირების განცხადებით, ბოლო ორმოცდაათი წელია, აღნიშნული კრების ჩასატარებლად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიზეზების გამო კონკრეტული თარიღის დანიშვნა ფერხდებოდა. მათივე განცხადებით, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება, რიგით მერვე საყოველთაო მართლმადიდებლური კრება მერვე საუკუნის შემდეგ ოცდამეერთე საუკუნეში, 2016 წელს სტამბულში ჩატარდება.

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წარმოდგენილ თითოეულ ეკლესიას 20-კაციანი წარმომადგენლობა ეყოლება. თითოეულს ერთი ხმა ექნება და ყველა გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება. აქამდე ჩატარებულ ყველა საეკლესიო კრებაზე წყდებოდა უმნიშვნელოვანესი საეკლესიო საკითხები, ხდებოდა სარწმუნოებისა და კულტის ნორმების დაწესება, სწორდებოდა ან დგებოდა ახალი საეკლესიო წესები, ფასდებოდა, ან ხდებოდა ახალი კონცეფციების უარყოფა, მტკიცდებოდა საეკლესიო დოგმები... შესაბამისად, ასეთ კრებას ყოველთვის დიდი დატვირთვა ჰქონდა. იგივე მოლოდინი არსებობს ამჯერადაც. თუმცა კონკრეტული ძალების მიერ უკვე ხდება მომავალი კრების დისკრედიტაციის მცდელობა. უკვე გავრცელდა ინფორმაციები, თითქოს 2016 წელს ჩასატარებელ კრებაზე მოხდება ისეთი წარმოუდგენელი საკითხების განხილვა, როგორიც არის მარხვის გაუქმება. ასეთი ძალების განცხადებით, აღნიშნულ კრებაზე მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიები გაერთიანების შესახებ განცხადებას გააკეთებენ. ბუნებრივია, მსგავსი არაფერი იგეგმება და ამას ბევრი ქვეყნის ეკლესია უკვე გამოეხმაურა. მათი განცხადებით, მიზანმიმართულად ხდება ცრუ ინფორმაციის გავრცელება.

მთავარი კრების მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური კომისიაც, რომელიც მოამზადებს დიდი და წმიდა კრების ჩატარების პროგრამას. კომისია 2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის აღდგომამდე იმუშავებს და კრების მოსამზადებელ ყველა დეტალს განიხილავს.

საქართველოს პატრიარქი უკვე გამოეხმაურა 2016 წელს ჩასატარებელ კრებას. უწმინდესის განცხადებით, მსოფლიო კრებები ერესებისგან დაცვისა და ჭეშმარიტი რწმენის გამყარების მიზნით იმართებოდა, მოსალოდნელი საყოველთაო მართლმადიდებლური კრების მიზნად კი მან შემდეგი დაასახელა – აჩვენოს თანამედროვე მსოფლიოს მართლმადიდებელ ერთა ერთიანობა. პატრიარქმა მსოფლიო კრებაზე განსახილველი ორი საკითხიც დაასახელა, რომელიც საქართველოსთვის იქნება მნიშვნელოვანი: საქართველოს კუთვნილი ადგილის დაბრუნება ეკლესიების იერარქიაში და ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის გავრცელება. საქართველოს პატრიარქი: „ჩვენ ვთვლით, რომ სანამ ეს კრება მოიწვევა, აუცილებელია დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი განიხილოს და კონსენსუსის მიხედვით შეთანხმდეს, გათვალისწინებულ იქნას ყველა ეკლესიის ინტერესები, ასევე მომავალი დიდი კრების ჩატარების ფორმატიც შეთანხმდეს კონსენსუსით. ამას გარდა, აუცილებელია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს ის საკითხები, რომლებზეც ჩვენ უკვე ვიმუშავეთ, რათა თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, გავამყაროთ ჩვენი პოზიციები“.

რაც შეეხება მართლმადიდებელ ერთა ერთობას, ამ მხრივ პრობლემა დიდი კრების მოსამზადებელ შეხვედრაზე უკვე შეიქმნა. ორიოდე კვირის წინ გამართულ მოსამზადებელ შეხვედრას, სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან ერთად, ანტიოქიის პატრიარქიც ესწრებოდა. მან შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვა. მოგვიანებით ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვერ მოხერხდა ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენლებსა და იერუსალიმის პატრიარქს შორის კონსენსუსის მიღწევა.

საქართველოში აღნიშნული კრების მიმართ დიდი მოლოდინია. დეტალურ ინფორმაციებს ეკლესიები არ ფლობენ და ამის გამო წუხან. თუმცა, ბუნებრივია, საკითხი აქტიურად განიხილება და ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს.

მამა ბასილი ახვლედიანი:

– ეს არის ჩემი სულიერი მოსაზრება და მე ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სულიერ ინტუიციას ვეყრდნობი. მსოფლიო მერვე საეკლესიო კრება, რომელიც ახლა ჩატარდება, განიხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც არსობრივად იქნება წინააღმდეგობაში ქრისტიანულ საფუძვლებთან და ამიტომ მას ღვთის სულიერი მამები არ ცნობენ, შემდეგ ჩატარდება მეორე მსოფლიო კრება და სწორედ ის დაარეგულირებს არსებულ სულიერ პრობლემებს მსოფლიოში.

– თქვენ ამბობთ, რომ პირველი ჩაიშლება?

– წინასწარი ინფორმაციებით, არის მოსაზრებები, რომ იქ მიუღებელი საკითხები დადგება, რომელიც მარხვას, საეკლესიო კალენდარს შეეხება...

– თუმცა ითქვა, რომ მიზანმიმართულად ვრცელდება არასწორი ინფორმაციები, რათა მოხდეს კრების დისკრედიტაცია...

– შესაძლებელია, ამიტომაც ვრცელდებოდეს. სწორედ ამიტომ ვიმეორებ, რომ ეს, რასაც ვამბობ, არის ჩემი სულიერი ინტუიცია და სუბიექტური მოსაზრება. მერვე მსოფლიო კრება ჩატარდება და მიიღებს ისეთ დადგენილებას, რომელიც სულიერი და ღვთიური მამების მიერ იქნება უარყოფილი, მხილებული და შემდეგ ჩატარდება სულ სხვა ხასიათის კრება. ჩვენი წარმომადგენლები იქნებიან პირველ კრებაზე წარმოდგენილები. უკვე ვიცით, რომ მოსამზადებელ შეხვედრაზე საქართველოდან პატრიარქი და ორი მეუფე გაემგზავრა. შეხვედრაზე ისეთი საკითხები იყო განხილული, რომლებზეც უწმინდესმა ძალიან საინტერესო პოზიცია შესთავაზა, რომ ყოფილიყო მიღწეული კომპრომისული გადაწყვეტილებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ვნახოთ, გაითვალისწინებენ თუ არა.

– ეს შეეხებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებს და ასევე, ქართულ ეკლესიას...

– მსოფლიოში ძალიან ბევრი საკითხია, სადაც რელიგიის ხაზი კვეთს პოლიტიკურს და ასეთ შემთხვევებში აუცილებელია კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება. არ უნდა მოხდეს უმრავლესობით ან უპირატესობით გადაწყვეტილების მიღება, ძალიან მნიშვნელოვანია შეთანხმების მიღწევა. პოლიტიკა და ეკლესია ერთმანეთის ცხოვრებაში ყოველთვის ერეოდა, ერევა და გზები შემდეგშიც გადაიკვეთება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს იმდენად მტკივნეული საკითხია, რომ პოლიტიკური ჩარჩოებითა და თეზისებით არ უნდა იყოს განხილული საკითხები, საჭიროა ინდივიდუალური შესწავლა და აუცილებელია კომპრომისული შეთანხმება. სწორედ ასე დააფიქსირა უწმინდესმა საკუთარი აზრი, თუმცა მეეჭვება, მისი გათვალისწინება მოხდეს საბოლოოდ.

მამა ბასილი:

„მერვე მსოფლიო კრება ჩატარდება და მიიღებს ისეთ დადგენილებას, რომელიც სულიერი და ღვთიური მამების მიერ იქნება უარყოფილი, მხილებული და შემდეგ ჩატარდება სულ სხვა ხასიათის კრება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი „ნაცმოძრაობას“ ქონების წართმევაში ადანაშაულებს

„სპეცრაზმი“ ჩემს ოჯახში შემოიჭრა, ბავშვს „რიკოშეტით“ 2 ტყვია მოხვდა, მამაჩემმა ინსულტი მიიღო, გარდაიცვალა“



EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

ფაზილ ალიევი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების საერთაშორისო ორგანიზაციის და პოლიტიკური პარტიის „შენთვის საქართველო“ თავმჯდომარეა. ასლან აბაშიძის ფრაქცია „აღორძინების“ სიით დეპუტატიც იყო. თუმცა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ადგილიც დაკარგა და ქონებაც. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. ამბობს, რომ ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, მოგვიანებით კანდიდატურა მოხსნა.

ჩვენი რესპონდენტი, ყოფილი ხელისუფლების მხრიდან, მის მიმართ განხორციელებულ უკანონობაზე საუბრობს და იმ ჩინოვნიკების ვინაობასაც ასახელებს, რომლებმაც ქონება წაართვეს. მოქმედების მთავარ „გმირად“ კუდ-ის მაშინდელი უფროსის დათა ახალაიას მოადგილეს ვაჟა ლელუაშვილს ასახელებს.

ფაზილ ალიევი: - „ვარდების რევოლუციის“ დროს, როცა პარლამენტში სააკაშვილი და მისი მომხრეები შემოიჭრნენ, პარლამენტში ვიჯექი. მანამდე გარდაბნის მერი ვიყავი. ჯერ კიდევ 2001 წელს, რეგიონის მაშინდელი გუბერნატორი ლევან მამალაძე დაინტერესდა ჩემი ქონებით. მე და მამაჩემს ორი ფირმა - შპს „ნური“ და „ალი“ გვქონდა. ფონიჭალაში ვმუშაობდით. მოსახლეობისთვის და სახელმწიფო ობიექტებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას უზრუნველვყოფდით. როდესაც ფირმა კარგ მოგებაზე წავიდა, ლევან მამალაძემ, შემდეგ კი ვაჟა ლელუაშვილმა (კუდ-ის ხელმძღვანელის დათა ახალაიას მოადგილე, პარლამენტარი) ჩემთვის ქონების წართმევა მოინდომეს. პირდაპირ მეუბნებოდნენ, გადმოგვაბარეო. სერიოზული პრობლემები შემიქმნეს. ფირმების შესამოწმებლად სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები შემომიგზავნეს. როცა ნახეს, რომ ყველაფერი კანონიერად მქონდა, ჩემზე ზეწოლა დაიწყეს. ჯერ სიტყვიერად მემუქრებოდნენ, შემდეგ ფიზიკურ ზეწოლაზე გადავიდნენ. შვილების გატაცებით მემუქრებოდნენ, მერე ჩემი გატაცებაც სცადეს. ჩემი შვილები ქართულ-ნოვან სკოლაში სწავლობდნენ. ბავშვების გატაცება სცადეს, მაგრამ მასწავლებელმა გადამალა. ამის შემდეგ, ფონიჭალაში, აზერბაიჯანულ სკოლაში გადმოვიყვანე. ამის თაობაზე „რუსთავი 2“-ის მაშინდელ გადაცემაში - „60 წუთი“, სიუჟეტიც გავიდა. 2001 წლის 7 დეკემბერს ფონიჭალაში, ჩემს ოფისში ასზე მეტი ავტომატიანი, ნიღბიანები შემოცვივდნენ. გამიტაცეს, უნდოდათ ბანკში წავეყვანეთ, რომ ქონება გადამეფორმებინა, მაგრამ მოსახლეობამ გზა გადაკეტა, წინააღმდეგობა გაუწია. წამიყვანეს შსს-ში, მაშინ მინისტრი კახა თარგამაძე იყო. მისი მოადგილე ბაკურაძე შემხვდა. მითხრა, შენზე ინფორმაცია გვაქვს, რომ საშიში პიროვნება ხარო. იმ დროს ფონიჭალის დეპუტატი ვიყავი. ეროვნული მოძრაობიდან მოვდივარ. შსს-ში ასე მითხრეს, რომ ვინმე ვასილ ფაშეევმა, რომელიც სამინისტროში ერთ-ერთ თანამდებობაზე მუშაობდა, სპეცოპერაცია თითქოს თვითნებურად ჩაატარა. მაშინვე პროკურატურას მივმართე. თუმცა, შედეგი არაფერი. ჩვენს ოფისში მე და მამაჩემს მაგრად გვცემეს. ცემის შედეგად მამამ მხედველობა დაკარგა. ფაქტი დღესაც გამოძიებული არ არის. ამის მერე „ქურდები“ მომიგზავნეს. ვიღაც „შავი ჯონი“, ეროვნებით ქურთი. ფული გადაიხადეო, მომთხოვა. უარი ვუთხარი. მერე მოვიდა მე-6 განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი, უკრაინული წარმოშობის, გვარს ვერ ვიხსენებ, „ნამიოკით“ მითხრა, ჯონი ჩვენი კაციაო. ეტყობა, რასაც პოლიცია ვერ აკეთებდა, მერე იმას შავების ხელით აკეთებდნენ. „შავი ჯონის“ მეშვეობით ერთხელ 1000 დოლარი, მეორედ 2 000, შემდეგ კიდევ 1 000 დოლარი წამართვეს. ბავშვების გამო ვღელავდი, რომ მათთვის არ ევნოთ, ამიტომ, იძულებული ვიყავი გადამეხადა. იარაღით მოდიოდნენ და ფულს მთხოვდნენ. მაშინ ჩემი ოჯახის მიმართ დაწყებული ტერორი სააკაშვილის რეჟიმის ბოლო დღემდე გაგრძელდა.



- რა პრობლემები შეგექმნათ ახალ ხელისუფლებასთან?

- ჩემი დიდი უბედურება მათი მოსვლის მერე დაიწყო. ყველაფერი წამართვეს. ჩემთან მოვიდა სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსი გოგი თავთუხაშვილი და მითხრა, ჩვენთან გადმოდიო, რაზეც უარი ვუთხარი. ძალიან სერიოზული პრობლემები შეგექმნებაო. მე ვუთხარი, რომ არ მინდა პოლიტიკაში. „ნაციონალური მოძრაობა“ არ მომწონდა, რადგან სათავეში არაეროვნული ძალები მოვიდნენ. ისინი უცხო სახელმწიფოს აგენტები იყვნენ, რომელთა მიზანი საქართველოს დაშლა იყო. რაც გააკეთეს. პრაქტიკულად, აფხაზეთი და ოსეთი დავკარგეთ. ხალხი ტერორის ქვეშ იყო. ბიზნესმენებს ათიათასობით ქონება წაართვეს. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამუშაოს საშოვნელად არის წასული. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, რაც „ნაცმოძრაობამ“ გააკეთა. ვაჟა ლელუაშვილმა წამართვა ჩემი გაზსადენის მილები. გაზით იყო დაინტერესებული. გაზეთში განცხადება გამოაქვეყნეს, თითქოს ჩემი ქონება უპატრონო იყო. დღეს ჩემი ქონება „ყაზტრანსგაზის“ დაქვემდებარებაშია. სასამართლოში ვიჩივლე. პირველი პროცესი მოვიგე. შემდეგ საოლქოში გაასაჩივრეს, სადაც საქმე ნაწილობრივ მოვიგე. მერე ისევ უკან დააბრუნეს და საბოლოოდ ყველაფერი წამართვეს.

- შემდეგ რა მოხდა, რაც „ნაცმოძრაობაში“ გადასავლაზე უარი თქვით?

- დაიწყეს ზეწოლები. ჩემთვის ქონების წართმევაში დილარ ხაბულიანიც მონაწილეობდა. მაშინ ის კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატი იყო. ეროვნული მოძრაობიდან ერთად მოვდიოდით. 2005 წლის 3 ივნისს, ღამის სამ საათზე, ჩემს სახლში დაახლოებით 80-მდე ნიღბიანი და ავტომატიანი პირი შემოიჭრა. დაიწყეს სროლა. ჩემს 12 წლის შვილს „რიკოშეტით“ 2 ტყვია მოხვდა. მეც მქონდა იარაღი და ვისროდი, ჩემს ოჯახს ვიცავდი. მამაჩემმა იმღამინდელი თავდასხმის შედეგად ინსულტი მიიღო, გარდაიცვალა. პოლიციამ ბანდიტები იყვნენო, მაგრამ ბანდიტებს დოკუმენტები არ მიაქვთ. ხელი არაფერს ახლეს, მხოლოდ ჩემი საბუთები და ბაბუაჩემის ნაქონი ძვირფასი ხანჯალი წაიღეს. ჩემი ოჯახი დღესაც სტრესის ქვეშ იმყოფება. ფონიჭალაში მქონდა ძველი სკოლის შენობა, რომელიც აუქციონის გზით მოვიგე, რომელიც ხაბულიანმა წამართვა. ვთვლი, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური საფუძველი აქვს. მე ვაკრიტიკებდი „ნაცებს“, ვიყავი ოპოზიციაში და ასე გამისწორდნენ. ისინი ამბობდნენ, შენნაირი აზერბაჯანელი არ გვინდა, „დურაკები“ გვინდაო.

- თქვენი აზრით, ამ სპეცოპერაციის უკან ვინ იდგა?

- ეს იყო სახელმწიფო დონეზე ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი, ხოლო კოდუამ და კეზერაშვილმა შეასრულეს. ეს რამდენჯერმე დავამტკიცე, მაგრამ პროკურატურამ რეაგირება არ მოახდინა. მასალების გახმაურება ჯერ არ მინდა.

- ახლა რას აპირებთ?

- ადვოკატი ავიყვანე. თუ ქონებას არ დააბრუნებენ, ესე იგი, იგივე პოლიტიკა გრძელდება. სასამართლოში ჩივილს აზრი არ აქვს, რადგან იგივე მოსამართლეებია, ვინც თავის დროზე ჩემს საქმეზე უკანონო განაჩენი გამოიტანეს. თუ არ დამიბრუნებენ, მაშინ ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებაში „ნაციონალები“ იქნებიან თუ „ოცნება“? ჩემი ქონების უკან დაბრუნებას ვაპირებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემს მომხრეებთან ერთად, ფეხზე დავდგებით და მსოფლიოს დავანახვებ რა ხდება საქართველოში. მე ვარ ამ ქვეყნის პატრიოტი. 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავზე რუსთაველის გამზირი ვარდებით სავსე იყო. მაშინ ბაქოდან 2 მილიონი ცალი ვარდი ჩამოვიტანე, ამით ქართველების მიმართ აზეირბაიჯანელი მოსახლეობის თანადგომა გამოვხატე. საქართველოს ხელისუფლებამ გვერდში ჩემნაირი მეგობრები უნდა დაიყენოს, რომ კარგი საქმეები გააკეთოს. მე შემიძლია ინვესტორები ჩამოვიყვანო, ხალხი დავასაქმო, მაგრამ რომელი ინვესტორი გამომყვება, როცა გაიგებს, რომ ჩემი ქონება ვერ დამიბრუნებია. ხომ დამცინებენ? კითხვა მაქვს ხელისუფლების მიმართ, რატომ არ უნდათ ჩემნაირები, ვინც დღეს უმუშევარია?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„იძებნება მოხალისეობა“ - ვინ არიან მოხალისეები?



სალი კიპაროიძე

ერთმანეთის დახმარების და გატანის ტრადიცია საქართველოში უძველესი დროიდან იღებს სათავეს და ამ ტრადიციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიაც აქვს. ქართველი ადამიანის ცნობიერებაში მყარად აქვს ფესვები გადგმული სხვების დახმარებას, მაგალითად მაშინ, როცა ადგილი აქვს ქორწილს, ქელეხსა თუ ქართულ სუფრას. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ მოხალისეობის ქართული გაგება „დაეხმარე სხვას“ და მისი განვითარების პირველი ნაბიჯები ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ფორმების სახით არსებობდა და ფართო გავრცელებას ჰპოვებდა. ასე რომ, საერთო საკეთილდღეო მიზნებისთვის, ადამიანის მიერ ნებაყოფლობით, ანაზღაურების გარეშე, საკუთარი ცოდნის, უნარჩვევებისა და ენერგიის გამოყენება - სწორედ ესაა ის, რასაც ჩვენ მოხალისეობას ვეძახით, ესაა უანგაროდ შესრულებული სახალისო საქმიანობა, რომელიც ემსახურება თქვენი თავისუფალი დროისა და ნიჭის საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენებას, საერთო ინტერესების მქონე თანატოლებთან ერთად. სწორედ ეს საქმიანობა ითვლება ისეთ ფენომენად, რომელიც აუმჯობესებს საზოგადოების მოქალაქეობრივ თვითშეგნებას, რომლის დროსაც ჩვენ, ჩვენი საკუთარი ცხოვრების, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების დახმარებით, გარშემო მყოფ ადამიანებს სიამოვნებას ვანიჭებთ. ხშირ შემთხვევაში, მოხალისეობრივი საქმიანობის შესრულებას თან სდევს ბევრი მიზეზი, მიზანი თუ საბაბი. მაგალითად: ზოგს სურს დახვეწოს საკუთარი უნარ-ჩვევები, შეხვდეს ბევრ ადამიანს, იხალისოს, გაუუმჯობესოს სხვას ცხოვრება და ასე შემდეგ. ეს არის კეთილგონივრულად დახარჯული დრო, ფინანსური ანაზღაურების გარეშე. მოხალისეები მოღვაწეობენ და უანგაროდ ასრულებენ საზოგადოებრივ საქმიანობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, მაგალითად, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვა, ჰუმანიტარული დახმარება, ჯანდაცვა, სიღარიბის აღმოფხვრა, სტიქიური უბედურებების დროს ადამიანების დახმარება და ა.შ.

ერთი სიტყვით, მოხალისეობა მრავალმხრივი ფენომენი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია. ამ ფენომენის არსებობა ხელს უწყობს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებას. თუმცა ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ განვითარების სანყის ეტაპზეა და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოხალისეობრივი საქმიანობების ხელშეწყობის კუთხით დემოკრატიულ ქვეყნებს. კავკასიის ბარომეტრის 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 81% არ ყოფილა მოხალისე ბოლო 6 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, მოხალისეობა საქართველოში არც თუ ისე პოპულარულია, სიტყვა „მოხალისეს“ კი საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულების მატარებელი დატვირთვა ჯერ კიდევ არ აქვს, უფრო მეტიც, არ არსებობს „მოხალისეობის“ და „მოხალისის“ სამართლებრივი განმარტებები. შესაბამისად, ჩვენთან ჯერჯერობით მათი უფლება-მოვალეობები კანონით განსაზღვრული არ არის. თუმცა მათი იურიდიული არსებობის დაკანონება უახლოეს მომავალში იგეგმება.



უფრო დეტალურად ამ თემაზე სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის იურისტი, არჩილ ცერცვაძე გვესაუბრა.

- ვინ შეიძლება ჩაითვალოს მოხალისედ და რა როლი აქვთ მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

არჩილ ცერცვაძე:

- მოხალისედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მოხალისეების არსებობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, რადგან სწორედ მათი საქმიანობა ინვევს სერიოზულ ფინანსურ შეღავათებს. დათვლილია, რომ მსოფლიო მასშტაბით მათ მიერ გაწეული უანგარო შრომა რამდენიმე ათეულ მილიარდს აღემატება. რაც შეეხება ამ ადამიანების საქმიანობას, ისინი ახორციელებენ ნებისმიერი სახის საქმიანობას, დახმარებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ანაზღაურებასთან, მოგებასთან ან პირად სარგებელთან. ერთი სიტყვით, მოხალისეობის ძირითადი არსი არის ის, რომ ადამიანი სხვებს ეხმარება მხოლოდ და მხოლოდ პირადი სიამოვნების გამო, სანაცვლოდ კი არაფერს ელოდება.

- დღეს მოხალისეები საქართველოში იურიდიულად არ არსებობენ, მათზე კანონმდებლობაშიც არაფერი წერია, თუმცა, რეალურად, ასეთი ადამიანები ჩვენს ქვეყანაში, მცირე რაოდენობის მიუხედავად, მაინც არსებობენ.

- კი, ნამდვილად, საქართველოში მოხალისეები არსებობენ, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, ასევე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც. თუმცა მათი საქმიანობა ამჯერად კანონმდებლობით რეგულირებული არ არის. რაც პრობლემებს ქმნის. სწორედ ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომლის განხილვაც უკვე მიმდინარეობს.

- კონკრეტულად რა პრობლემებზეა საუბარი?

- კონკრეტულად ეს პრობლემები ეხება, მოხალისესა და მასპინძელ ორგანიზაციას შორის ურთიერთობას, ამ ორგანიზაციის მიერ პასუხისმგებლობას მოხალისეების მიმართ და პირიქით, ასევე ზოგადად ტერმინის განმარტებასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხს. ნებისმიერი ორგანიზაცია ვალდებულია, მოხალისეს აუნაზღაუროს მოხალისეობის განხორციელებისას გაწეული ხარჯები.

- ახლა რა ეტაპზეა ამ კანონპროექტის განხილვის საკითხი?

- ამ ეტაპზე პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივად წარდგენის შესახებ, მომავალი თვიდან კი პარლამენტი პირველი მოსმენით კენჭისყრას ჩაატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეობა საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების სანყის ეტაპზეა და მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოხალისეობრივი საქმიანობების ხელშეწყობის კუთხით დემოკრატიულ ქვეყნებს, ჩვენთან გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციები და კლუბები მაინც აქტიურად ცდილობენ, დანერგონ „მოხალისეობის“ პრაქტიკა. ყველა ადამიანს, იმისთვის, რომ გახდეს მოხალისე, აქვს მოტივაციის განსხვავებული ფორმები. ეს შეიძლება იყოს: კარიერის შექმნა და განვითარება, სხვების დახმარებისა და სოციალური სარგებლიანობის შეგრძნების სურვილი, ცოდნის გაღრმავებისა და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარების სურვილი, საკუთარი CV-ს განვრცობის სურვილი, გამოცდილების გაზიარების სურვილი, ახალი ინტერესების სფეროს გაჩენისა და გართობის მოთხოვნილება, საკუთარი ინიციატივების განხორციელების სურვილი, ასევე ახალი ადამიანების გაცნობისა და თავისუფალი დროის სასარგებლოდ გამოყენების სურვილი და სხვა მრავალი. ეს ყველაფერი კი, ხშირად, გაცილებით უფრო მაღალი ღირებულების მატარებელია, ვიდრე მატერიალური სარგებლის მიღება.

ასე რომ, გახდე მოხალისე ნიშნავს, იძულებისა და ფინანსური გამორჩენის გარეშე აკეთო საქმე, რომელიც მიმართულია საზოგადოების სასიკეთოდ. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მოხალისე არ იღებს მატერიალური სახის სარგებელს, მას არა აქვს „ალტრუისტის“ იმიჯი და მისი მოტივაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სხვებზე ზრუნვისგან მიღებული სიამოვნებით. მოხალისეობა შესაძლებლობას აძლევს პიროვნებას, ერთი მხრივ, საკუთარი წვლილი შეიტანოს აქტუალური სოციალური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, მოახდინოს საკუთარი თვითრეალიზაცია და შეიძინოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც დაეხმარება მას კარიერულ წინსვლასა და პიროვნულ განვითარებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პაატა ზარდიაშვილზე - ადამიანი, რომელიც ყველას უყვარდა

მაგდა კლდიაშვილი

EXCLUSIVE



„პაატა ზნეობრივი, დახვეწილი ბიჭი იყო. რთულ სიტუაციებში ისეთ გადაწყვეტილებას იღებდა, რომელიც ყველაზე უფრო გამართლებული იქნებოდა“

„დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“

უანგარო, პატიოსანი, კეთილი, საქმის პროფესიონალი და უბრალოდ, კარგი ადამიანი - ასე ახასიათებენ სოციოლოგ პაატა ზარდიაშვილს, მისი მეგობრები და კოლეგები. „პრაიმტაიმთან“ პაატა ზარდიაშვილის მეგობრობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ჩვენმა კომპანიამ მედიამონიტორინგის და სოციოლოგიური კვლევების სამსახური ჩამოაყალიბა. ჩვენ მისი კოლეგები ვიყავით, ის კი ყველაზე ყურადღებიანი, თბილი და პროფესიონალი თანამშრომელი, რომელიც განურჩევლად ასაკისა, ყველას ძალიან უყვარდა. ის არაერთი მნიშვნელოვანი კვლევის და წამოწყების ავტორი იყო, რომელიც ყოველთვის პირნათლად ასრულებდა იმ სამუშაოს, რომელიც საფუძვლად დასდებია არა ერთ მნიშვნელოვან პროექტს. სამწუხაროდ დღეს მასზე საუბარი წარსულ დროში გვიწევს... შობის დილას, პაატა ზარდიაშვილი, საკუთარ კომპიუტერთან გარდაცვლილი ნახეს, გულმა უმტყუნა. როგორი პედაგოგი, კოლეგა და როგორი შვილი იყო ის - პაატა ზარდიაშვილს „პრაიმტაიმში“ მისი უახლოესი მეგობრები იხსენებენ.

სოციოლოგი

საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია „გორბის“ ხელმძღვანელი, მერაბ ფაჩულია, როგორც თავად ამბობს, პაატა ზარდიაშვილთან უხსოვარი დროიდან მეგობრობდა. ფაჩულია იხსენებს, რომ ის არაჩვეულებრივი ადამიანი და პროფესიონალი იყო.

„არც კი მახსოვს, პაატა როდის გავიცანი, 1989 თუ 1990 წელს. წესიერი ადამიანი, კარგი მეგობარი და პროფესიონალი იყო. ასე როგორ დავახასიათო, არც კი ვიცი. ათი წელი ვიმუშავეთ ერთად, კარგ პროფესიას ყველა იღებს, მაგრამ პაატა ზარდიაშვილი გადასარევი ადამიანი იყო“, - უჭირს პაატა ზარდიაშვილზე საუბარი მის ყოფილ კოლეგას.

ის, რომ პაატა ზარდიაშვილი შესანიშნავი სოციოლოგი იყო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელმა პერიოდმაც დაამტკიცა. მისი ბავშვობის მეგობარი, ზურა ქარუმიძე ამბობს, რომ ზარდიაშვილს არა მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციების შესასწავლად იწვევდნენ, არამედ კომერციულ საქმეშიც აქტიურად იყო ჩართული.

„პაატა განწონასწორებული იყო და შესანიშნავი სპეციალისტი გახდა თავისი საქმის; მას იწვევდნენ, არა მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციის შესასწავლად, არამედ კომერციულ საქმეშიც. მან, 2012 წლის არჩევნების წინ, მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა. მუშაობდა უანგაროდ და ყველაფერს აკეთებდა თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ“, - ამბობს ზურა ქარუმიძე.

მეგობარი

ზაზა შათირიშვილმა პაატა ზარდიაშვილი, მისი ყოფილი მეუღლისგან, ნანა ზარდიაშვილისგან გაიცნო. შათირიშვილი იხსენებს, რომ პაატას გარდაცვალების შემდეგ, ბევრ ადამიანს, ვისაც მასთან შეხება ჰქონდა, დანაშაულის გრძნობა გაუჩნდა.

„პაატა ნანასგან გავიცანი, მისი ყოფილი მეუღლისგან. სოციოლოგია, პოლიტიკა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. არჩევნების დროს იყო დაპირისპირება და მას წონასწორობა არ დაუკარგავს. ის არაადამიანური, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. პაატას გარდაცვალების შემდეგ ყველას დანაშაულის განცდა ჰქონდა. ის ისეთი ადამიანი იყო, რომელიც არ არის წამგლეჯი და ამ ცხოვრებაში არავისთვის არაფერი წაურთმევია, ზუსტად ამიტომ ჰქონდა ბევრს ეს გრძნობა. როდესაც ადამიანი ხვდება, რომ არსებობს ის ქვეყანა, სინდისის, მეტი ჭეშმარიტების მომენტი უდგება, ფიქრობს, საიქიოში რა ყოფა ექნება. როდესაც ასეთი ადამიანი მიდის, ხედავ განსხვავებას დარჩენილებსა და წასულს შორის, წასულის უპირატესობით. ვიღაცას, შეიძლება მეტი შემოსავალი აქვს, ვიღაც უფრო ცნობილია, მაგრამ პაატა იყო საუკეთესო. დანაშაულის განცდა ჰქონდა ბევრს, რადგან ისინი რომ მოკვდებიან, მათზე არავის ექნება ასეთი გრძნობა“, - ამბობს ზაზა შათირიშვილი.

პაატა ზარდიაშვილი რომ კარგი მეგობარი იყო, ამის მტკიცებულებად მისი კლასელი და ბავშვობის მეგობარი, ზურა ქარუმიძე სკოლის ამბავს იხსენებს. ქარუმიძე ხუმრობს კიდევაც, რომ კლასის დაგეგმილი „შატალოს“ გამო, პაატამ დედა მეგობრებში „გაცვალა“.

„პაატა გასაოცარი ადამიანი იყო. ათი წელი ერთ კლასში ვსწავლობდით, 47-ე სკოლაში. დედამისი, ქალბატონი ზაირა, ჩვენი რუსულის მასწავლებელი იყო, რომელმაც შეგვაყვარა რუსული ლიტერატურა და საერთოდ კითხვა. პაატა ზნეობრივი, დახვეწილი ბიჭი იყო. რთულ სიტუაციებში ისეთ გადაწყვეტილებას იღებდა, რომელიც ყველაზე უფრო გამართლებული იქნებოდა. სკოლებში ხდებოდა-ხოლმე, ალბათ, ახლაც ხდება, მთელმა კლასმა გადავწყვიტეთ სკოლის გაცდენა, მათ შორის რუსული ენის გაკვეთილის. პაატა დილემის წინაშე იყო, ან დედისთვის უნდა ეღალატა, ან მეგობრებისთვის. პაატა მეგობრებთან ერთად წამოვიდა და სხვათა შორის, დედამ მოუწონა საქციელი, რომ მეგობრებს არ უღალატა და მათთან ერთად წავიდა“, - იხსენებს ზურა ქარუმიძე.

პედაგოგი

პაატა ზარდიაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციოლოგიის კათედრაზე ლექციებს კითხულობდა. ზურა ქარუმიძე ამბობს, რომ პაატასნაირი ადამიანი, ვერაფრით იქნებოდა მკაცრი პედაგოგი.

„პაატა ზარდიაშვილი ვერაფრით იქნებოდა მკაცრი პედაგოგი, რადგან თავად ძალიან თბილი და მოქნილი ადამიანი იყო, ძალიან დახვეწილი. მისგან სიმკაცრე წარმოუდგენელია“.

შვილი

ზურა ქარუმიძე იხსენებს, რომ პაატა კარგი შვილი იყო და არასდროს აბრაზებდა დედას, გულმოდგინედ მეცადინეობდა და ბევრს კითხულობდა.

„არასდროს აბრაზებდა დედას, არაფერი ამდაგვარი. ისეთი გულმოდგინე იყო, გაგიკვირდებათ, თუმცა სიზარმაცის მომენტებიც ჰქონდა. ბევრს კითხულობდა და ზუსტად ამიტომ ძალიან განათლებული ადამიანი იყო“, - ამბობს ქარუმიძე.



პაატა ზარდიაშვილი გულით გარდაიცვალა. როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ყველას ბევრი სანერვიულო აქვს, მაგრამ პაატას ყველაფერი გულთან ძალიან ახლოს მიჰქონდა და მის გარდაცვალებასაც სწორედ ნერვიულობას უკავშირებენ. სამწუხაროა, რომ ხშირად, საზოგადოება ფოიერვერკს უფრო დიდ ტაშს უკრავს, ვიდრე მზის ამოსვლას და სწორედ ამიტომ არის, რომ „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

„როდესაც ასეთი ადამიანი მიდის, ხედავ განსხვავებას დარჩენილებსა და წასულს შორის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლადო გურგენიძე: ხუდონჰესი უალტერნატივოა!

„ბანალურია, მაგრამ ცხადია, რომ ჰიდრორესურსების ათვისებით ქვეყანას ახალი საექსპორტო სექტორი გაუჩნდება“, – აცხადებს „ლიბერთი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე. მან აღნიშნა, რომ ჰიდროპოტენციალის ათვისება, ასევე უალტერნატივოა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის და მიაჩნია, რომ პროექტის სტრატეგიულად დადებითი მხარეები ბევრად გადაწონის იმ პრობლემებს, რომელიც მშენებლობის დაწყებამდე გამოიკვეთა.

ბანკირს მიაჩნია, რომ ამ მიმართულებით ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მედიამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. ის ფიქრობს, რომ ამ პროექტის განხორციელებისთვის მთავრობა ენერგიას არ იშურებს.

ენერგოსექტორშია ჩართული საქართველოს წამყვანი ბანკი „საქართველოს ბანკიც“, რომელიც სვანეთში 27 მგ/ვტიან ჰესის მშენებლობას იწყებს.

ბანკის გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის განცხადებით ქვეყნის კონკურენტუნარიანობისთვის ენერგოპროექტები მნიშვნელოვანია: „ბუნებრივია, რაც უფრო მეტი ენერგია ექნება ქვეყანას, მით უფრო კონკურენტუნარიანი იქნება. ამის შემდეგ პოტენციური ინვესტორებისთვის ენერგოსთან ერთად სხვა სექტორებიც მიმზიდველი გახდება, რადგან ელექტროენერგიის კომპონენტი ყველა ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია“.

აზერბაიჯანული „რაბიტა-ბანკის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ შურღაია ფიქრობს, რომ ქვეყნის ჰიდროპოტენციალის გამოყენება და დიდი ჰესების მშენებლობა აუცილებელია: „ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ქართული კომერციული ბანკების მონაწილეობაც სასურველია, თუმცა ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროექტების მომგებიანობა და რისკიანობა ბანკების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და პირიქით, ბანკების საკრედიტო რესურსების ფასი პროექტებისთვის მისაღები იქნება. ჯერჯერობით ეს კომბინაცია უმრავლეს შემთხვევაში ძნელად მუშაობს. გამიხარდება თუ სურათი შეიცვლება, თუ პროექტი ეკონომიკურად გამართლებული, მომგებიანი, საკმაოდ მსხვილია და ჰყავს კაპიტალის მომწოდებელი სპონსორი (ანუ მხარე ვინც არის, მფლობელი, იღებს ყველაზე დიდ რისკს დაფინანსების სტრუქტურაში - equity contribution-ის სახით) და პროექტი არის სათანადოდ სტრუქტურირებული (კონტრაქტი გაყიდვაზე/ტარიფზე, გადაცემაზე, მშენებლობაზე...)“.

ქართულ ბანკებს ხუდონჰესის მასშტაბის მსხვილი პროექტების დაფინანსების გამოცდილება ჯერ არ გააჩნიათ, თუმცა „საქართველოს ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი არჩილ გაჩეჩილაძე იმედოვნებს, რომ ამის დროც მოვა. არჩილ გაჩეჩილაძე ენერგოსექტორში ბანკების მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორი ძირითადი მიზეზის გამო - საკრედიტო რესურსზე ხელმისაწვდომობა და ინვესტორების მოძიება. ამასთან, არჩილ გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ „საქართველოს ბანკი“ სისტემატურად აკვირდება სექტორს და შესაბამის კვლევებს აქვეყნებს, მათ შორისაა „საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების პოტენციალი“, რომლის განახლებულ ვერსიას ბანკი უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს.

განახლებული სპორტის აკადემია აბიტურიენტების მოლოდინშია

სალომე გოგოხია

„სპორტსმენ აბიტურიენტებს მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ“

გახსოვთ, ალბათ, 2007 წელს წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებას სპორტის აკადემიის გაუქმების შესახებ, როგორი მძაფრი რეაქცია მოჰყვა. პროტესტის ნიშნად აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა კარვები გაშალეს და შიმშილობა დაიწყეს. 6 წლის შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ აკადემიის აღდგენა გადაწყვიტა.

თუმცა, აკადემია ოდნავი სახეცვლილებით ბრუნდება საგანმანათლებლო სივრცეში - სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი.

ამ დროისთვის აკადემიის შენობის ორი სართულია გარემონტებული. მისი რემონტი სახელმწიფოს 115 ათასი ლარი დაუჯდა. უმაღლესმა სასწავლებელმა აბიტურიენტების მისაღებად ავტორიზაცია უნდა გაიაროს.

როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში უნივერსიტეტის რექტორმა გურამ ძაგანიამ განაცხადა, ავტორიზაციას უნივერსიტეტი 20 მაისამდე გაივლის. როცა უნივერსიტეტს სპეციალური ნომერი მიენიჭება, აბიტურიენტებს „პერერეგისტრაციის“ საშუალება მიეცემათ, რაც სპეციალურ გრაფაში სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის მითითებას გულისხმობს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილებით, აბიტურიენტები სასურველი უმაღლესი სასწავლებლისა და ფაკულტეტების არჩევაში შეზღუდულები არ არიან.

რა გზა გამოიარა სპორტის აკადემიამ დღემდე, რა სიახლეებით შეხვდება სასწავლებელი აბიტურიენტებს, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ რექტორს ესაუბრა.

გურამ ძაგანია: - ახალი მთავრობის მოსვლის მერე, 2013 წლის 28 მარტს, აკადემია სპორტის უნივერსიტეტის სახელით დაფუძნდა. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. სასწავლოსა და უნივერსიტეტს შორის განსხვავება ისაა, რომ უნივერსიტეტში სწავლების სამი საფეხურია - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, ხოლო სასწავლოში მხოლოდ ორი - ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. აბიტურიენტების მისაღებად მზადება დავიწყეთ. რემონტისთვის თანხები სპორტის სამინისტრომ გამოყო. ოღონდ ოთხივე სართულს ვერ გავარემონტებთ. მხოლოდ ორ სართულს. ეკონომიკის სამინისტრომ ინფრასტრუქტურა მთლიანად დაგვიბრუნა. ჩვენს ბალანსზე გადმოვიდა 40 ათასი კვადრატული მეტრი თავის შენობა-ნაგებობით და სტადიონებით. ახლა ავტორიზაცია უნდა გავიაროთ, როცა მოგვანიჭებენ სპეციალურ ნომრებს, აბიტურიენტებს, რომლებსაც სპორტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა სურთ, გრაფაში ჩვენი უნივერსიტეტის ნომერი უნდა მიუთითონ. ყველას აინტერესებს, გვირეკავენ, გვეკითხებიან. პერმანენტულად ამის შესახებ პრესაში დაიბეჭდება, რადიოშიც, ასევე, ჩვენს საიტზე www.sportuni.ge საჭირო ინფორმაციას გაეცნობიან. სპორტის აკადემია 2007 წლის 11 ივლისს გააუქმეს, მანამდე, 2006 წელს ჩვენ ვიყავით პირველები, რომლებმაც აკრედიტაცია გავიარეთ. გადაწყვეტილება ძალაში 2007 წლის 1 სექტემბერს უნდა შესულიყო, მაგრამ იქამდე გაგვაუქმეს.

- რამდენი ფაკულტეტი გექნებათ?

- წელს მხოლოდ ორი - მწვრთნელთა ფაკულტეტი და სპორტული მედიცინა და რეაბილიტაცია. მომავალ წელს დაემატება მასწავლებლების მომზადების ფაკულტეტი. ასევე, ვაპირებთ მენეჯმენტის ფაკულტეტის დამატებას.

- მისაღები კონტიგენტი რამდენია?

- წელს 300-400 აბიტურიენტის მიღება შეგვიძლია. ასევე, თუ სურვილი ექნებათ მაღალკურსელებს, მობილობით გადმოსულებს უარს არ ვეტყვთ.

- რა ეტაპის გავლა მოუწევთ აბიტურიენტებს?

- განსხვავება იმაშია, რომ ეროვნული გამოცდების დაწყებამდე ჩვენთან ჩაბარების მსურველებმა უნივერსიტეტის შიდა კონკურსი უნდა გაიარონ. მათ სპორტის ნორმატივები უნდა ჩააბარონ. მინიმალური კომპეტენციის გადალახვა მოუწევთ - 25 ქულა. ვინც გადალახავს შემდეგ ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს, სადაც ასევე, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა გადალახოს. სპორტსმენ აბიტურიენტებს მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ. თანაც, დანარჩენი აბიტურიენტებისგან განსხვავებით, ეროვნულზე მხოლოდ სამი გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.

- როდესაც სპორტის აკადემია გააუქმეს, ილიაუნს სპორტის ფაკულტეტის სახით შეუერთეს, ახლაც არსებობს ეს ფაკულტეტი?

- უკვე ორი წელია, რაც ილიაუნმა ეს ფაკულტეტი გააუქმა, მილევად რეჟიმში არიან. მხოლოდ მესამე და მეოთხე კურსელები დარჩნენ. წინა ხელისუფლებას ამ შენობის გასხვისება უნდოდა, მაგრამ სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ და არც ერთმა ინვესტორმა არ გარისკა. ამ ექვსი წლის განმავლობაში არ შეგვიწყვეტია ბრძოლა. ერთადერთნი ვართ საქართველოში, რომლებმაც აკადემიის ინფრასტრუქტურა შევინარჩუნეთ, თორემ, უცხო ენების ინსტიტუტი, ზოოვეტი, სულხან-საბას უნივერსიტეტი, ყველა გაქრა.

- ერთი სიტყვით, ყველანაირი პირობები გაქვთ აბიტურიენტების მისაღებად.

- აბსოლუტურად. სამომავლოდ, სახელწმიფო თბილისის ზღვაზე გადაყვანას გვპირდება. როგორც იცით, იქ ოლიმპიური სოფელი შენდება, ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, მთელი ინფრასტრუქტურის სპორტის უნივერსიტეტისთვის გადაცემას გვპირდებიან. სასწავლო კორპუსიც იქ გადავა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართული ვიდეოხელოვნებ

my View

თამარ გონგაძე

ფოტო: ბესო მამალაძე

„ვფიქრობ, ყველამ ერთიანად საინტერესო და სასიკეთო საქმე გავაკეთეთ“

ქართული ვიდეოხელოვნებას 23-წლიანი ისტორია ჰქონია. 90-იან წლებში დაიწყო და დღემდე ვითარდება. ვიდეოარტით ძირითადად მხატვრები ინტერესდებიან და მუშაობენ. მათი ნამუშევრების ერთად ნახვა აქამდე შეუძლებელი იყო, უბრალოდ, არ არსებობდა სივრცე, სადაც ქართული ვიდეოარტით დაინტერესებულ ადამიანს შეეძლო ამ ხელოვნებაზე რაიმე ინფორმაცია მიეღო და მისი განვითარებისთვის თვალი ედევნებინა. უკვე რამდენიმე კვირაა გაჩნდა ვებ პლატფორმა - videoimage.ge რომელიც წარმოადგენს ქართული ვიდეოხელოვნების პირველ ონლაინ არქივს. არქივში თავმოყრილია ბოლო პერიოდის (1990 წლიდან დღემდე) საგამოფენო კონტექსტისთვის ქართველი არტისტების მიერ შექმნილი ვიდეოხელოვნებისა და მოძრავი გამოსახულების ნამუშევრები. ამ ეტაპზე არქივი აერთიანებს 80-მდე არტისტის 400-მდე ვიდეონამუშევარს შესაბამისი კატეგორიზაციითა და დათარიღებით. თანმიმდევრობას თუ მივყვებით, ლოგიკურად დავინტერესდებით იდეის ორგანიზატორების ვინაობით. ეს კი კურატორებისა და არტისტების ოთხკაციანი ჯგუფის - დამოუკიდებელი პლატფორმა „აქტივი კულტურისთვის“ ინიციატივით გაკეთდა. ალექსი სოსელიამ, გალაქტიონ ერისთავმა, გიორგი სპანდერაშვილმა და თათა მუსხელიშვილმა მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის შენობაში 21 ქართველი არტისტის ვიდეო ხელოვნების ორკვირიანი გამოფენა მოაწყვეს. გამოფენას წინ კვლევა უძღოდა. „შევხვდით 30 ადამიანს, ვინც გამოფენებს აკეთებს, თეორეტიკოსებს, კურატორებს, მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს. მათგან ვიწერდით ინტერვიუებს. ფოკუს ჯგუფების შეხვედრა გვქონდა. მაქსიმალურად ვიღებდით ინფორმაციებს - ვინ აკეთებდა ვიდეოარტებს. ორ თვეში სია გაიზარდა და არქივში 80 ადამიანის ნამუშევარი შევიდა“, - აცხადებს ერთ-ერთი კურატორი და ორგანიზატორი გიორგი სპანდერაშვილი.

გამოფენა 1 მარტს გაიხსნა და 14 მარტს დაიხურა. პროექციები და ინსტალაციები გადანაწილებული იყო ევრონული მუსიკალური ცენტრის სივრცეში, სულ ათვისებული იყო ოთხი დარბაზი. საგამოფენო სივრცე გემოვნებით იყო შერჩეული. მუსიკალურ ცენტრში მისულ დამთვალიერებელს საინფორმაციო ბროშურა ხვდებოდა, მეორე მხარეს დაბეჭდილი რუქით, რომ სივრცეში ორიენტირება ადვილად შეძლებოდა. შენობაში მოგზაურობა და ისე ინსტალაციების დათვალიერება უწევდა. გამოფენა განსხვავებული, საინტერესო და ორიგინალური გამოვიდა. ვიდეოარტის ნახვა ხშირად და ბევრ ადგილას არ გვიწევს. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ საგამოფენო სივრცე, ორი კვირის განმავლობაში, დამთვალიერებლის სიმწირეს არც ერთ დღეს არ განიცდიდა. 400 ნამუშევრიდან საგამოფენოდ 21 ვიდეოარტი კურატორებმა შეარჩიეს. ყველა მათგანი სხვადასხვა კონცეფციის, ესთეტიკისა და სტილის მატარებელი გახლდათ. მაყურებელი დიდი ინტერესით ათვალიერებდა ყველა ნამუშევარს.

აპრილში დაიბეჭდება პუბლიკაცია, რომელშიც წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგად დამუშავებული ტექსტური მასალა. ხუთი სხვადასხვა ავტორის ხედვა ქართულ ვიდეოხელოვნებასთან მიმართებაში. ორგანიზატორებს არქივისთვის ნამუშევრები გადასცეს „არტისტერიუმის“, „ჯეოარტის“, „თანამედროვე ხელოვნების ცენტრი - თბილისის“ კურატორებმა. პროექტი ვერ განხორციელდებოდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს - SDC-ს, კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიისა და გოეთეს ინსტიტუტის გვერდში დგომისა და დაფინანსების გარეშე.

„აქამდე ვიდეოარტი არ იყო ხელმისაწვდომი“

პროექტის თანადამფინანსებელი თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი გახლდათ.

ნეკა სებისკვერაძე: - პროექტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ 21 ქართველი მხატვრისთვის, გამოფენაზე ვისი ვიდეონამუშევარიც იყო წარმოდგენილი, არამედ მათთვის, ვისაც უყვარს თანამედროვე ხელოვნება. ქართული კულტურისთვის ამ პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი არის ის, რომ ქართული ვიდეოხელოვნების კვლევა ჩატარდა და ვიდეონამუშევრების ელექტრონული არქივი შეიქმნა. აქამდე ვიდეოარტი არ იყო ხელმისაწვდომი, დღეს კი ინტერნეტსივრცეშია განთავსებული. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს ეს ვებგვერდი. ვფიქრობ, საინტერესო არქივი შევქმენით და ხელი შევუწყეთ მის განვითარებას. საინტერესოა ის, რომ ელექტრონული არქივი 400-მდე ნამუშევარს მოიცავს. ვფიქრობ, ხელოვნების მოყვარულთათვის ეს საინტერესო სფეროა. ორგანიზატორები ჯანსაღი, განათლებული ახალგაზრდები არიან და სამომავლოდაც ქართული კულტურისთვის ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებენ. რაც შეეხება საგამოფენო სივრცეს, პროექტმა და მისმა კონცეფციამ ძალიან მოიხიდნა. კურატორებმა საინტერესოდ წარმოადგინეს ინსტალაციები. მადლობა ყველას, ვინც თანადაფინანსებაში მიიღო მონაწილეობა. ასეთი მასშტაბის პროექტის დაფინანსება მარტო ძალიან ძნელია. ვფიქრობ, ყველამ ერთიანად საინტერესო და სასიკეთო საქმე გავაკეთეთ.

„გამოფენა წარმატებული გამოვიდა“

გიორგი სპანდერაშვილი: - შვეიცარიის განვითარების სააგენტომ გამოაცხადა მცირე საგრანტო კონკურსი. ჩვენ ახალი დაფუძნებულები ვიყავით და პროექტის გაკეთება გვინდოდა. გადავწყვიტეთ მაქსიმალურად პრობლემურ საკითხს შევხებოდით. დღეს თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში პრობლემატური საკითხი არის ის, რომ ვიდეოხელოვნებაზე ვერ მოიძიებ ინფორმაციას. ბევრი ნამუშევარი კეთდება, მაგრამ არ არის შესაბამისი არქივები, პუბლიკაციები. ჩვენ გავაკეთეთ ვიდეო არქივი, სადაც ნამუშევრების შესახებ ინფორმაციაა თავმყორილი, კატეგორიზირებული, ერთ სისტემაში მოქცეული. ქართველ კურატორს ან ქართული ხელოვნებით დაინტერესებულ უცხოელს ქართული ვიდეოს შესახებ ინფორმაცია არ შეეძლო ერთიან სისტემაში მოეძებნა. ამ ონლაინ არქივისა და გამოფენის შემდეგ ჩვენ პუბლიკაციის გამოცემას ვგეგმავთ.

გამოფენაში და არქივში იმ ადამიანების ანუ იმ მხატვრების ნამუშევრები შევიდა, რომლებიც თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში მუშაობენ და საგამოფენო სივრცისთვის ვიდეონამუშევრები აქვთ გაკეთებული. ზოგი მათგანი საქართველოში არც არის გამოფენილი და იფინებოდა საზღვარგარეთ. გვინდოდა ობიექტურად წარმოგვეჩინა ამ სფეროს განვითარება. ასაკის და თაობების მიხედვით შევარჩიეთ ნამუშევრები, რომ მნახველს ქართული ვიდეოხელოვნების შესახებ შექმნოდა შთაბეჭდილება. გარდა ამისა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს უწევთ შეხება ვიდეოხელოვნებასთან. მათ ავალებენ ვიდეოარტის გაკეთებას. ძალიან გამოადგებათ ჩვენი გაკეთებული არქივი.

- გამოფენით კმაყოფილი დარჩით?

- ოთხი წელია გამოფენების ორგანიზებასა და გახსნაზე ვმუშაობ. თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ვმუშაობდი და კარგად ვიცი, რომ ძირითადად ადამიანები გამოფენების გახსნებზე დადიან, მერე აღარ. ამ პროექტის შემთხვევაში კი მთელი ორი კვირის განმავლობაში დადიოდნენ დამთვალიერებლები. ორჯერ-სამჯერ მოვიდნენ და ნახულობდნენ ნამუშევრებს. თუ ამას გავითვალისწინებთ, გამოფენა წარმატებული გამოვიდა.

- რა იქნება იმ პუბლიკაციაში, რის გამოცემასაც აპირებთ?

- პუბლიკაცია იქნება ქართულ ვიდეოხელოვნებაზე, კვლევის ტექსტით. ქართული ვიდეოს შესახებ ხუთი მოწვეული ავტორი დაწერს. ჩვენ ვწერდით ინტერვიუებს ავტორებთან. ნამუშევრების შეგროვებასთან ერთად თეორიულ მასალას ვაკეთებდით, რომ არქივში განგვეთავსებინა.

მარჯანიშვილის ვიდეოარტი

ხელოვნებათმცოდნე ქეთი შავგულ-

გიორგი სპანდერაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის გამოფენა - „ალნერები“

ნეკა სებისკვერაძე: „პროექტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმ 21 ქართველი მხატვრისთვის, გამოფენაზე ვისი ვიდეონამუშევარიც იყო წარმოდგენილი, არამედ მათთვის, ვისაც უყვარს თანამედროვე ხელოვნება. ქართული კულტურისთვის ამ პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი არის ის, რომ ქართული ვიდეოხელოვნების კვლევა ჩატარდა და ვიდეონამუშევრების ელექტრონული არქივი შეიქმნა“

ქართულ ვიდეოხელოვნებას კოტე მარჯანიშვილამდე მივყავართ EXCLUSIVE

იძემ პროექტის ორგანიზატორებს არქივში შესატანად საინტერესო მასალა გადასცა. კოტე მარჯანიშვილის მიერ გაკეთებული ვიდეოხელოვნება, როგორც მოძრავი გამოსახულების ნიმუში.

გიორგი სპანდერაშვილი: „კოტე მარჯანიშვილი თეატრებისთვის ამ ექსპერიმენტულ მიდგომას იყენებდა. თვითონ ამზადებდა, სავარაუდოდ ვიღაცები ეხმარებოდნენ. ითვლება, რომ მისი ავტორობით არის გაკეთებული. არქივისთვის მარჯანიშვილის სულ სამი ნამუშევარი გვაქვს“.

ყველაზე ახლობელი - ვიდეოარტი

თაკო მაღლაფერიძე, მხატვარი, გამოფენის მონაწილე: - გამოფენამდე ვიდეოარტის არქივი მზადდებოდა. მე ვხატავ და ვიდეოარტში ვმუშაობ. დიდი გამოცდილება არ მაქვს. რამდენიმე წელია დავინტერესდი ვიდეოარტით. აკადემიის მაგისტრატურაში სწავლისას დაგვავალეს ვიდეოარტის გაკეთება. მასალაში არ ვიყავით შეზღუდული. არის თემები, რასაც ფერწერაში ვერ წარმოაჩენ. ვიდეოარტი ყველაზე ახლობელი აღმოჩნდა ჩემი ემოციებისა და დამოკიდებულების გამოსახატად. ის ზუსტად აჩვენებს მაყურებელს შენს სათქმელს. გამიხარდა არქივის გაკეთების იდეა. ჩემს ნამუშევარს ჰქვია „სივრცე“. ის ვიზუალური ემოციური კუთხით გავაკეთე.

ფოტო: ვატო ურუშაძე

„ხელოვნება ვიდეოარტის მიმართულებით განვითარდა“

მამუკა ჯაფარიძე ერთ-ერთი ყველაზე სტაჟიანი ვიდეოარტისტია. 90-იან წლებში დაიწყო ამ კუთხით მუშაობა. და საინტერესო გამოცდილებას გვიზიარებს.

მამუკა ჯაფარიძე: - ვიდეოარტის მთელი არსი არის მის სპეციფიკურ კონტექსტში, ჩვენებაშია. ამიტომ მომეწონა მუსიკალური ცენტრის საგამოფენო სივრცეში გაკეთებული ჩვენება. საიტებზე კი მხოლოდ გასაცნობად შეიძლება ნახოს ადამიანმა.

როგორ დავიწყე: ვაკის პარკში ვერხვის ხეებზე ვიპოვე კოჟრები, თვალის ფორმის. 1995 წელი იქნებოდა. გადავუღე ფოტო, მერე სარკის ეფექტით დუბლიკატი გავაკეთე. ერთმანეთს რომ მივანებე, ანუ ორი თვალით სახე გამოვიდა. მერე ხეებზე დავიწყე თვალის ფორმის კოჟრების ძებნა. ხეზე რომ დამეხატა, დამაჯერებლობა არ ექნებოდა. გამოვიყენე ფოტოკამერა, რომ რეალობა მეჩვენებინა და არა ჩემი დახატული

ფოტო: თინა ბეფერლინგი

გადამეღო. მერე სლაიდშოუს ფორმატში ვაჩვენე. ბოტანიკურ ბაღში ხეებს ვათვალიერებდი, შევაგროვე თვალის ფორმები და „გავასარკევე“. ბოტანიკურის გვირაბში ხეების სახეებსა და თვალებს ვიდეო პროექციით ვაჩვენებდი. ხალხი ათვალიერებდა, აკვირდებოდა ვიდეოარტს და მერე ბოტანიკურ ბაღში ხეებზე ადვილად ამჩნევდნენ კოჟრებს. ამ შემთხვევაშიც ზუსტ კონტექსტში იყო პროექცია, იქვე იყო ბაღი და ნამუშევრის ნახვის მერე შექმნილი შთაბეჭდილებით ათვალიერებდა ხეებს. მეც ეს მინდოდა. მაყურებელს სხვანაირად შევახედო, შევუცვალო კონცეფცია - ეს არის მიზანი. მე ფერწერიდან მოვდივარ, ხელოვნება ვიდეოარტის მიმართულებით განვითარდა, ტრანსფორმაცია გაიარა და ამ ფორმამდე მოვიდა. ვიდეოარტს მზამზარეულად ვერ ისწავლი. ცალკე ფერწერა და ვიდეო გადაღება, დამონტაჟება შეიძლება ისწავლო, მაგრამ ამბიცია თუ გაქვს, ეს ხელოვნება თავისით უნდა მოვიდეს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ნინიძე: „15 წლის რომ ვიყავი, დედას შევპ

my View

თამარ გონგაძე

ნინო ია ნინიძის უმცროსი ქალიშვილია. ის მსახიობს მხატვარ მიშა ნემსაძისგან ჰყავს. თბილისში დედასთან ერთად ჩამოვიდა, მაგრამ ექვს დღეში უკან, მოსკოვში მოუხდა დაბრუნება. ფილმების გადაღებები აქვს. 22 წლისაა და კარიერა უკვე წარმატებით აეწყო. ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში მურად იბრაგიმბეკოვმა მთავარი როლი ათამაშა ფილმში „И не было лучше брата“, რისთვისაც ნინო ნინიძემ ორი პრიზი აიღო - „საუკეთესო დებიუტისთვის“ და „ქალის საუკეთესო როლის“ შესრულებისთვის. პირველ წარმატებულ როლს მოჰყვა ფილმები მთავარი როლებით: „Метель“, „Тихая застава“, „Дуэль“, სერიალი „Человек и закон“. დამოუკიდებელი ჩანს. დედის სახელს არ იყენებს. სურს თავად მიაღწიოს წარმატებას. ია ნინიძის ხათრით ამდენ მთავარ როლს არავინ მისცემდა. ნინოს აგენტიც ჰყავს და უკვე ფილმებსაც მათი ხარისხის მიხედვით არჩევს. თბილისი უყვარს, ბავშვობასთან ასოცირდება და ჩამოსასვლელად, ყველა ჯერზე, მიზეზებს ეძებს. ამბობს, რომ რუსეთში ქართულ პრინციპულობას ავლენს, რის გამოც გარშემო პატივს სცემენ. ნინო „პრაიმტაიმს“ გულახდილ ინტერვიუს აძლევს.

„ეს მე ვარ - ნინო ნინიძე“

„თბილისში ჩამოსვლისას ყველა ჯერზე იგივე ემოცია მაქვს, რაც ხუთი წლის ასაკში მქონდა, როდესაც აქედან საცხოვრებლად მოსკოვში გადავედით. ჩემი თბილისი სულ მენატრება. ომის პერიოდის ქალაქი მკვეთრად მახსოვს. დედიკო რუსთაველის თეატრში მუშაობდა. უშუქობა იყო, წყალი არ მოდიოდა, არაფერი გვქონდა. სანთლით მე და ჩემს ძმას ბევრჯერ დაგვიწვია ხალიჩა. მერე მოსკოვში რომ გადავედით საცხოვრებლად და დედამ ცხელი წყალი ჩართო, მაშინვე გამოვრთე ონკანი. რა მოხდა, ნინოო, დედამ მკითხა. არ გათავდეს-მეთქი... ცხელი ბატარეა მაკვირვებდა, ვერ ვხვდებოდი ცხელი რატომ იყო. დედა გვიფრთხილდებოდა, ცდილობდა, ყველაფერი საუკეთესო გაეკეთებინა ჩვენთვის. თუმცა ომის ძნელი პერიოდის მოგონებები ჩარჩენილი მაქვს თავში. სამაგიეროდ, კარგის და ცუდის გარჩევა ვისწავლე, გაჭირვება ვიცი რა არის, მესმის... არაფერი აღარ გამიკვირდება. მერე, მოსკოვში, დედა თეატრში მიიწვიეს, მაგრამ უცხო ქალაქში ჭირდა თავის დამკვიდრება. რთული იყო სხვა ენის ათვისება. ყველა რუს ბავშვში ჩემ ქართველს ვეძებდი. ვიღაც რომ მეტყოდა - „მე ქართველი ვარო“, მიხაროდა და ვეხუტებოდი. მეორე კლასში ვიყავი, როდესაც შემოვიდა ტერმინი „ახალი რუსები“. ნორმალურად მეცვა, სუფთა ტანსაცმელი, დაწნული თმა და ერთხელაც გვერდით მჯომმა ბიჭმა მომმართა - „თქვენ ახალი რუსებიო...“. მე ქართველი ვარ-მეთქი. რა ქართველი, კეხიც არ გაქვს ცხვირზეო. ეს ყველაფერი გამოვიარე. მხოლოდ მოსკოვში არა, ყველა დიდ მეგაპოლისში ჭირს თავის დამკვიდრება. როცა შენი საქმე გაინტერესებს და მიზანს აღწევ, ყველაფერი გამოდის. უნდა იცოდე, რა გინდა. მონდომებაა ყველაფერი. ბევრს ჰგონია, რომ რადგან დედა ია ნინიძეა, ბევრად იოლია ჩემთვის ცხოვრებაც და მსახიობობაც. ასე არ არის. დედის სახელით არასდროს მისარგებლია. ეს უფრო რთულია. როდესაც იგებენ, რომ იას შვილი ვარ, იწყებენ „დედიკოს არ ჰგავხარ“, „დედიკო“, „დედიკო“ და... 20 წუთის მერე ხვდებიან, რომ სხვა ვარ და ეს მე ვარ - ნინო ნინიძე. სამყაროს აღქმაში მე და დედა ერთნაირად გახსნილები ვართ. დედა ემოციურია, მე მშვიდი ვარ და მოთმინების უნარი მაქვს, რაც, ვთვლი, რუსეთმა მასწავლა. ჯერ უნდა მივხვდე, ადამიანი როგორია და მერე ნელნელა ვიყვარებ. ქართველებს მოთმინება არ აქვთ. ამიტომაც ვართ ძალიან გახსნილები, ემოციურები და ამიტომ მოგვდის მერე - „იქნებ ასე არ არის“, „იქნებ სულ სხვანაირია“... მე მაინც ვთვლი, რომ ძალიან ქართველი ვარ. რუსეთში შენი პრინციპების დაჭერა ძნელია. გიწევს მათი წესებით თამაში, თუმცა მე ჩემი პოზიცია დავაფიქსირე და ამიტომ პატივს მცემენ“.

„მათი შემხედვარე ვხვდები, რატომ არ უნდა მქონდეს ამბიცია“

„მსახიობობა ბავშვობიდან მინდოდა. დედა არაფერს მიშლიდა. კედლებზე ხატვა გინდა? დახატეო, მეუბნებოდა. სიღერა გინდა - იმღერეო. ხელოვნებაში დიდ თავისუფლებას მაძლევდა. მახსოვს, დედას დიდი კონცერტი მიჰყავდა. მე კულისებში ვიყავი. მღეროდა ვალერი მელაძე - „ციგანკა სერას“. კულისებში ჩემთვის ვცეკვავდი. დედამ რომ დამინახა, სცენაზე გამწია. ცეკვა-ცეკვაში ვერ დავინახე სცენაზე როგორ აღმოვჩნდი. სიმღერა მორჩა, ვალერიმ თავი დაუკრა პუბლიკას და უკან რომ მოიხედა, შევრჩი მე, შეშინებული თვალებით:) 4 წლის ასაკში სცენაზე ასეთი გამოსვლა მქონდა.

ჯერ მრცხვენია, მაგრამ როცა დავრწმუნდები, რომ სწორ რამეს ვაკეთებ, მერე ვიხსნები და თავის რწმენა მემატება. პროფესიაში თავის რწმენა თუ არ გაქვს, ძნელია.

ბავშვობიდან დიდი მსახიობების გარემოცვაში ვარ გაზრდილი. ვაიმე, ზურა, დავიყვირებდი, ვინ ზურა, მკითხავდნენ, ყიფშიძე-მეთქი. ამით კი არ ვმარიაჟობდი, პირიქით, რადგან ამ ხალხს ვიცნობ, თბილად ვუყურებ. ეს ურთიერთობები ჩემთვის ბუნებრივია. მათი შემხედვარე ვხვდები, რატომ არ უნდა მქონდეს ამბიცია. დედას თაობის მსახიობებს არ აქვთ ამბიცია, არ იციან ცხვირის აწევა. სხვანაირად თბილები არიან. ამბიცია ადამიანს მაშინ აქვს, თავში დაჯერებული როცა არ არის, ამით მალავ კომპლექსს. მე გახსნილი ვარ, არ მრცხვენია ნაკლის აღიარების და მისი რაიმეთი დაფარვა არ მჭირდება“.

წარმატებული როლი

მურად იბრაგიმბეკოვმა, მამამისის სცენარზე გადაღებულ ფილმში, ნინოს მთავარი როლი მისცა. დიდი კასტინგი ჩაატარა, მთელ კავკასიაში ეძებდა გოგონას, რომელსაც რახშანდასა და დილბერის როლს ანდობდა. რადგანაც გმირი აზერბაიჯანელია, შავგვრემან გოგონას ეძებდა.

„მე ვგიკში ვსწავლობდი. მურადს უთხრეს, ჩემზე. დამირეკეს და მივედი, ბრეკეტებით, თეთრი თმით. რაღაცნაირად შემომხედა... მერე ამბობდნენ, ია ნინიძის გამო დაგამტკიცაო, მაგრამ მურადი იმ კატეგორიის რეჟისორი არ არის, რომ ვინმეს გამო როლზე აიყვანოს მსახიობი. ფილმში ორი ცბობილი მსახიობი თამაშობს ჩემთან ერთად, ევგენი ციგანოვი და სერგეი პუსკეპალისი“.

ფილმში არის რამდენიმე კადრი, სადაც ნინო დედიშობილაა გადაღებული. აბანოს სცენებია, პატარა ბიჭუნას აბანავებს.

„როცა გავიგე, რომ ფილმში შიშველი უნდა გამოვჩენილიყავი, დავურეკე ძმას, შევეკითხე, გადავიღო თუ არა-მეთქი. დედა მაშინვე დამთანხმდა. ის ხომ მსახიობია. ეს „ფლეიბოი“ არ არის, მხატვრული კინოა. ეს სცენები ძალიან პოეტურად არის გადაღებული. 5 წლის ბიჭთან ერთად ვარ გადაღებული. რეჟისორმა შემამზადა ამ სცენებისთვის. ოპერატორს არ გადაუღია. კრანზე იყო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირდი, შენნაირად ადრე არ გავთხოვდები-მეთქი“



EXCLUSIVE

„ბევრს ჰგონია, რომ რადგან დედა ია ნინიძეა, ბევრად იოლია ჩემთვის ცხოვრებაც და მსახიობობაც. დედის სახელით არასდროს მისარგებლია. როდესაც იგებენ, რომ იას შვილი ვარ, იწყებენ „დედიკოს არ ჰგავხარ“, „დედიკო“, „დედიკო“ და... 20 წუთის მერე ხვდებიან, რომ სხვა ვარ და ეს მე ვარ - ნინო ნინიძე“

„თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ დედას ყველა ქმარი მართლა ძალიან მიყვარს, შესაძლოა, ყველა მათგანისგან გავჩენილიყავი და იმიტომ“

კამერა მიმაგრებული და ისე მიღებდნენ. მხოლოდ მე და ეს ბავშვი ვიყავით ოთახში. რუსული გადამღები ჯგუფი დამჯერია, მაშინვე ასრულებს რეჟისორის დავალებას.

ამ გადმოსახედიდან ვაფასებ, როგორც ძალიან ლამაზ კადრებს. არასდროს ვინანებ მის გადაღებას. ქართველი მაყურებელი ასეთი გახსნილობისთვის მზად არ არის. რისი უნდა შემრცხვენოდა? რა გავაკეთე ისეთი? მე - ნინო ნინიძე, მორცხვი ვარ, არასდროს ზედმეტ კოსმეტიკას არ ვხმარობ. კინო სულ სხვა რამეა. მე გავაკეთე ის, რაც კინოსთვის მნიშვნელოვანია. ფილმების ყურებისას, ჩემს თავს გმირის კუთხით ვუყურებ და არა როგორც ნინო ნინიძეს“.

დასამახსოვრებელი სახე

ალეკო ცაბაძემ, შარშან, რუსეთის „პირველი არხისთვის“ გადაიღო სერიალი „თქვენ გეყოლებათ ბავშვი“. ნიკა თავაძე და ნატო მურვანიძე ნინოს მშობლების როლში არიან. გადაღებები მინსკსა და კახეთში მიმდინარეობდა.

„ერთხელ რეჟისორმა ალექსანდრ გორდონმა მითხრა, შენ ისეთი ადვილად დასამახსოვრებელი სახე გაქვს, ან წონიანი ეპიზოდური როლი უნდა ითამაშო, ან მთავარი როლიო. ამიტომაც ყველაფერში არ ითამაშო, შიმშილისგან არ კვდებიო. რადგან ასეთი სტარტით დავიწყე, არ შემიძლია ჩემი პირველი რეჟისორები დავამცირო. როდესაც სცენარი არ მომწონს, ან უაზრო სიუჟეტებს იგონებენ, არ ვთანხმდები. მდარე ხარისხის იუმორისტულ სერიალში მთავარ როლზე უარი ვთქვი. რამდენიმე წელია მყავს აგენტი და ის აწარმოებს მოლაპარაკებებს. მითქვამს, ოლია, მეგობარია და ეპიზოდური როლი შემომთავაზა-მეთქი. მაფრთხილებს, ნუ თანხმდები მეგობრობის ხარჯზე. თუ მეგობარია, მთავარი შემოგთავაზოსო. ღმერთს დიდი მადლობა, რომ ასე დაიწყო ჩემი კარიერა“.

დედა

იას ღიმილით ჰგავს, სახასიათო, თვალებში ეშმაკუნებით და სხივებით. უყვარს, როდესაც დედა თან დაჰყვება, მეგობრად აღიქვამს და იმიტომ.

„მაკონტროლებს, წელში გასწორდი, გცნობენ, გაიცინეო. დამყვება გადაღებებზე. ჩემი მეგობარია. პირველი ორი ფილმის გადაღებაზე სულ თან მყავდა, მორალურად მეხმარებოდა. ბაქოში ორი თვით ვიყავით. 14 წლისას მარიგებდა ხოლმე - ჭკვიანად იყავი და თავს გაუფრთხილდიო. დარწმუნებულია, რომ წესიერად მოვიქცევი და არაფერი მომივა, ჩემი სჯერა. ყველაფერს ვუყვები, ვისზე რას ვფიქრობ, ყველაფერი იცის. დედამ ჩადო ჩემში ის, რომ მე აზროვნებით დიდი ვარ. თვითონ უფრო ბავშვია შიგნით. ძალიან ემოციური და გამოცდილი ბავშვია. ახლა ზოგჯერ იქით მე ვეუბნები, როგორ მოიქცეს. მიმართულებას ვაძლევ და მომყვება. ჩემი სჯერა. ხედავს, რომ დებილი არ ვარ და მიჯერებს. ხანდახან მეუბნება, შენ ხარ ჩემი დედაო...“

- რას იტყვი შოუზე, სადაც ია ჟიურის წევრია?

- მე ერთს ვიტყოდი, ყველამ - პროდიუსერი იქნება, კონკურსანტი თუ წამყვანი, პირველ რიგში მაყურებელზე უნდა იფიქროს და მერე საკუთარ თავზე. მაყურებელი, დარბაზში მჯდომი იქნება თუ ტელევიზორთან, ყველაფერს ამჩნევს. ამიტომ მაყურებელზე მეტი უნდა იმუშაონ.

„დედას თუ შეუყვარდა, მეც მიყვარს“

- შეყვარებული ხარ?

- შეიძლება კი, შეიძლება... ადრე უფრო ადვილად მიყვარდებოდა. და ასეთ თემაზე უფრო გახსნილადაც ვსაუბრობდი. პირადი პირადია. ეს თეთრეულის გამომზეურებაა. მარტო შენ იცი, როგორი თეთრეული გაცვია. ზედმეტად გახსნილად არ უნდა ისაუბრო. უკვე რთულია ჩემთვის შეყვარება. მალე გავიზარდე და მალე მივხვდი, რა არის ცხოვრება, ქალი, მამაკაცი. ქალი დედაა და თავს უნდა გაუფრთხილდეს. რადგან ძმასთან ერთად გავიზარდე, ბიჭებს ხსვანაირად ვუყურებ. ერთი ორი მეგობარი გოგო მყავს, დანარჩენი სულ ბიჭები.

- შენი რჩეული შენი პროფესიის არის?

- არა, თუმცა მე ვთვლი, რომ ყველა ადამიანი ხელოვანია, სანტექნიკოსი იქნება თუ სხვა.

- შენ „ხელოვანს“ იცნობს დედა?

- იცნობს. არ ვიცი, რა ვთქვა სიყვარულზე. ეს არ არის ჩვენი ურთიერთობის დასანყისი, მაგრამ არ მსურს ამ თემის გახსნა და აფიშირება.

- გათხოვება ჯერ არ შედის შენს გეგმებში?

- ჯერ არა. 15 წლის რომ ვიყავი, დედას შევპირდი, შენნაირად ადრე არ გავთხოვდები-მეთქი. წყნარად რომ იყოს, ასეთი პირობა მივეცი. არ ვამბობ, რომ 30 წლის ასაკს დაველოდები, მაგრამ არ უნდა იჩქარო.

- თვლი, რომ დედამ შეცდომა დაუშვა?

- არა, არასდროს... თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ დედას ყველა ქმარი მართლა ძალიან მიყვარს, შესაძლოა ყველა მათგანისგან გავჩენილიყავი და იმიტომ. რამდენჯერ უთქვამს დედას, შენ მამას რომ არ შევხვედროდი, შენ არ მეყოლებოდიო. მე ვეხუმრები, მე მაინც დავიბადებოდი და გნახავდი-მეთქი. დედას თუ შეუყვარდა, მეც მიყვარს. ჩვენ ოჯახში ასეა. როცა ჩემს ძმას უყვარს, მეც მიყვარს და ვთვლი, რომ ეს არის ოჯახის სიყვარული. არასდროს არ უნდა თქვა, მე ამას არასდროს არ გავაკეთებ. ცხოვრება დაუგეგმავია. როგორც მოდის, ისე მიდის. შეიძლება გაჭირვებულიც იყო და გამდიდრდე. ამის გამო არავინ უნდა ჩამოიშორო. ყველასთან გახსნილი უნდა იყო, ისე როგორც ახლობელთან. მე ჩემი ღმერთის მჯერა და მიყვარს... როდესაც ადამიანი რწმენას გულთან ახლოს მიიტანს, ბევრ რამეს მიხვდება. შეცდომას თუ დაუშვებს, იმასაც სხვანაირად შეხედავს. როდესაც მეკითხებიან, რა არის სიყვარულიო, ესაც იგივეა, რაც რწმენა. ვერც ერთს ვერ ახსნი, ორივეს ერთი წონა აქვს და ორივე უნდა შეიგრძნო. რატომ გვიყვარს ღმერთი, როცა ნანახი არ გვყავს? მისი გვწამს და მას ვგრძნობთ.

- მამასთან გაქვს ურთიერთობა?

- რა თმა უნდა. მამა ყველაფრით ხელოვანია, მხატვარია, ვიზუალურადაც, ხასიათითაც. მიშაც მოსკოვში ცხოვრობს. როცა მინდა, ვნახულობ. ძალიან პატარა ვიყავი რომ დაშორდნენ. მე მათი ერთად ყოფნა არ მინახავს. ამიტომ განშორების ტკივილი არ გადამიტანია. ტკივილი მაშინ გადავიტანე, როდესაც ჩემი ძმა მამამისმა მოსკოვში წაიყვანა და მე და დედა თბილისში დავრჩით. ეს იყო სიგიჟე. ჩემი ძმა ექვსი წლით არის უფროსი და ისე ვართ ერთმანეთთან გეგონებათ, ტყუპები ვართ.

თბილისი - სახლი

„ვაკეში ხაბეიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობთ. მოსკოვში რომ გადავედით საცხოვრებლად, პირველ ხანებში მატერიალურად გვიჭირდა და დედას მეგობრებმა იდეა მიაწოდეს, იქნებ ან გააქირავო ან გაყიდო. მე და ჩემი ძმა გაყიდვის წინააღმდეგი ვიყავით. ძალიან გვიყვარს აქაურობა. ადრე ორი დღით ვიყავი ჩამოსული, სახლის გასაღები არ მქონდა, „რედისონში“ ვცხოვრობდი, მაგრამ გავწვალდი. სტუმრად ყოფნა არ მინდა თბილისში. ჩემი თბილისი, ჩემი სახლი, ჩემი ლოგინი, ჩემი უბანი და ბავშვობაში გავლილი ქუჩაა. ეს ჩემი ქალაქია და ყოველთვის მეყვარება“.

- გიხარია, რომ უკვე შენი ფული გაქვს?

- მე ჯერ არ ვარ გათხოვილი და მე და დედას ერთი კაპიტალი გვაქვს. მსახიობს სამსახური ხან გაქვს, ხან - არა. ამიტომაც ერთმანეთს ვეხმარებით. მან ყოველთვის იცის, სად რას ვხარჯავ, რამდენი მაქვს ჰონორარი. შეიძლება ერთი თვე წიწიბურაზე იყო, მეორე თვე რაც გინდა ის იყიდო. ამიტომ არაფრის მეშინია, მერე რა მოხდა. მინდა შემდგარი ადამიანი ვიყო, როგორც მსახიობი, ისე პირად ცხოვრებაში.

- ძლიერი ხარ?

- გავძლებ. ძლიერი დედა მყავს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინო ანანიაშვილმა საკუთარ დაბადების დღეზე ორი სპექტაკლი იცეკვა

exclusive

ნინო ანანიაშვილი: „სპექტაკლის ჩემს დაბადების დღეზე ცეკვის იდეა მომეწონა. საერთოდაც საკუთარ დაბადების დღეს არაერთხელ შევხვედრივარ სცენაზე. დარბაზის აურას ყოველთვის ვგრძნობ. მაყურებელმა მაღალი ოვაციით დამაჯილდოვა“

ვახტანგ ანანიაშვილი: „ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს და კიდევ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოეტანოს წარმატება თბილისელი მაყურებლისთვის. ნინო რომ ცეკვავს, ყველაზე მეტად მე ვნერვიულობ. მან მიმაჩვია, ვიყო ამაყი“

my View
თამარ გონგაძე

ზუსტად ვიცი, 19 მარტს რუსთაველის თეატრის სცენაზე ნანახი სამი ერთმოქმედებიანი სპექტაკლი მე და ჩემს მეგობარს კარგა ხანს არ დაგვავიწყდება. იუბილარმა ნინო ანანიაშვილმა ორ სპექტაკლში იცეკვა - „შოპენიანასა“ (ნინოს დადგმა) და „მარგარიტა და არმანში“ (ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია). მესამე იყო ირჟი კილიანის „Petite Mort“, რომელშიც ქართულმა საბალეტო დასმა ნინოს გარეშე იცეკვა. ქართველების საამაყო პრიმა საოცარ ფორმაშია, შეუდარებელი ტექნიკით, გარდასახვით, ბრწყინავს... ცეკვისას დასში ისე მკვეთრად გამოარჩევდით, როგორც თეთრ მარგალიტებს შორის შავ მარგალიტს. „შოპენიანას“ ჰაეროვანი მოცეკვავე „მარგარიტა და არმანში“ რომანტიკულ პერსონაჟად იქცა. დარბაზი პრიმა ბალერინამ აღტაცებაში მოიყვანა. საოცრად თავმდაბალი იყო „პაკლონზე“ გამოსვლისას, ბელორუს მეწყვილე, იგორ არტამონოვთან ერთად მქუხარე აპლოდისმენტებისთვის დიდი ხანი უხდიდა მადლობას დარბაზს. ნინომ „პრაიმტაიმს“ ემოციები გაუზიარა.

ნინო ანანიაშვილი: - სპექტაკლის ჩემს დაბადების დღეზე ცეკვის იდეა მომეწონა. საერთოდაც საკუთარ დაბადების დღეს არაერთხელ შევხვედრივარ სცენაზე. 18 მარტს ალბუსტანის ფესტივალიდან ჩამოვფრინდით და როგორც იტყვიან, პირდაპირ „ხომალდიდან ბალზე“ ისე ვიცეკვეთ. მიხარია, რომ მაყურებელმა, რომელსაც აქამდე არ ენახა ჩვენი ბოლო პრემიერა „Petite Mort“-ი ჩემს დაბადების დღეზე ნახა, რომანტიკული „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“ ნახა, რომელის შესრულების ნებართვა მაქვს. სასიამოვნო შეგრძნება მქონდა, მაყურებელმა წარმატებით მიიღო სპექტაკლები. დარბაზის აურას ყოველთვის ვგრძნობ. მაყურებელმა მაღალი ოვაციით დამაჯილდოვა.

- პარტნიორ იგორ არტამონოვზე რას იტყვით?

- იგორი დიდი პროფესიონალია. მასთან თბილისშიც და უცხოეთშიც არაერთხელ მიცეკვია. ბელორუსიის სახალხო არტისტი და ვარსკვლავია. როგორც ადამიანი და პარტნიორი არაჩვეულებრივია, მასთან ასპროცენტიანი გაგება მაქვს, ეს კიდევ მნიშვნელოვანია ცეკვისას.

- „მარგარიტა და არმანის“ ცეკვის ბედნიერება ძალიან ცოტას აქვს...

- ასეა. კოვენტგარდენის გარდა სხვა თეატრებს ამ სპექტაკლის თამაშის უფლება არ ჰქონდათ. მეორე თუ მესამე თეატრი ვართ მსოფლიოში, ვინც ამ სპექტაკლის ჩვენების და თამაშის უფლება მივიღეთ.

- კილიანის ქორეოგრაფია „Petite Mort“-ში საოცარია, როგორ აფასებთ?

- ეს სპექტაკლი ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდასავით“ არის - ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას - არა. კილიანის ბალეტი იმდენად არაჩვეულებრივია და შედევრია, რომ სხვა შეფასება შეუძლებელია. გენიოსია და ვოცნებობდი, რომ მეცეკვა მისი ბალეტი, მაგრამ არასდროს მომეცა ეს შანსი. მიხარია, რომ ჩემი დასის წევრებს ამის შესაძლებლობა აქვთ. მინდა გითხრათ, რომ ივლისის ბოლოს ბელორუსიაში ბალეტის ფორუმი იმართება, სადაც მსახიობები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩადიან. ჩვენ სამი სპექტაკლი გვექნება. ერთი საღამო მთლიანად დაეთმობა ქართულ სახელმწიფო ბალეტს. მაისში ბალანჩინის საიუბილეო საღამოზე თბილისში ჩამოვლენ როგორც ბელორუსიის ნამყვანი სოლისტები, ასევე უცხოური ბალეტის ვარსკვლავები.

ნინოს მამას მის მემატიანედ მიიჩნევენ. ის თითქმის ყოველთვის მის გვერდით არის.

ვახტანგ ანანიაშვილი: - ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს და კიდევ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოეტანოს წარმატება თბილისელი მაყურებლისთვის. „შოპენიანა“ უკვდავი კლასიკაა. კილიანის ქორეოგრაფია წარმოუდგენელი ფანტაზიის ნაყოფია, მისი ყურებისას ვფიქრობ, რომ ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. წარმოუდგენელი მოძრაობებია, როგორ შეიძლება მოუვიდეს თავში ქორეოგრაფს და მოცარტის მუსიკაზე განახორციელოს. „მარგარიტა და არმანი“ ნინომ რომ პირველად იცეკვა, მესამე ბალერინა იყო. კოვენტ გარდენი მკაცრად არეგულირებს, რომელი თეატრის რომელმა ბალერინამ შეიძლება იცეკვოს „მარგარიტა და არმანი“. ნინო რომ ცეკვავს, ყველაზე მეტად მე ვნერვიულობ. მან მიმაჩვია ვიყო ამაყი.

ელდარ შენგელაია: - არაჩვეულებრივია ნინო. საამაყო პრიმა გვყავს. 51 წლისაა და როგორ ცეკვავს?! აბსოლუტურად ვერ შეატყობთ ასაკს. ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს და დიდხნას იცეკვოს.

ეკა მამალაძე: - გასაგიჟებელი შთაბეჭდილებებით მივდივარ. ყველაზე კარგი მაინც ნინოა ამ სპექტაკლებში. გასაგიჟებელია „Petite Mort“, ძალიან კარგი დადგმაა. ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ამ სპექტაკლებს.

მაია ბარათაშვილი: - ნინოს ბაბუა ჩემი ნათლიაა და ამით ვამაყობ. ნინოს მიმართ ქედს ვიხრი. გარდა ასეთი ტალანტისა, საოცარი ორგანიზატორული ნიჭი აქვს. ქართველებს კილიანის დადგმის წესრიგი მოარგო და სინქრონში დისციპლინირებულად ამოძრაო, მარტო ნინოს შეეძლო. მინდა მივულოცო და ვუსურვო მრავალი წელი სცენაზე დგომა, მინდა მრავალი ღირსეული საბალეტო თაობის აღზრდა ვუსურვო. რამდენად დიდია პროფესიაში, იმდენად თავმდაბალია პირად ცხოვრებაში. უდიდესი ხელოვანია. უნდა გავუფრთხილდეთ. დიდი ტალანტის და შრომის შედეგია ის, რომ ასეთ ბრწყინვალე ფორმაშია.

ელდარ შენგელაია: „არაჩვეულებრივია ნინო. საამაყო პრიმა გვყავს. 51 წლისაა და როგორ ცეკვავს?!“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

The Best Of king - ირაკლი ჩარკვიანის ახალი ალბომი

my View
თამარ გონგაძე

„ბრავო რექორდსი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინიტროსთან ერთად ირაკლი ჩარკვიანის მსმენელს დიდ საჩუქარს უმზადებს. ალბომი მეფის საუკეთესო სიმღერების ნაკრები იქნება, მასში 12 ჰიტი შევა. ალბომს დართული ექნება მინი კატალოგი ირაკლის ლექსებითა და იშვიათი ფოტოებით.

პროექტის სპონსორია „პეესპე“ და „კავკასუს ონლაინი“

ზაზა შენგელია: - ირაკლი ჩემი მეგობარი იყო და ამ პიროვნებასთან ბევრი რამ მაკავშირებს. ძალიან არაორდინარული და განსხვავებული ხელოვანია, რომელიც საერთო მასიდან იმთავითვე იყო ამოვარდნილი. ბედნიერი ვარ, რომ ამ პროექტზე დავიწყეთ მუშაობა.

ბადრი გრუზინსკი-ბაგრატიონი: - ირაკლი ის ფენომენია, რომელიც კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იქნება აქტუალური. ამ დისკით ყველა ვიამაყებთ.

მარინა ბერიძე: - რატომ ირაკლი? ძალიან ქართველი და ძალიან თანამედროვეა და იმიტომ. ის საუკუნეებს გაუძლებს. ყველა ის უცხოელი სტუმარი, ვინც საქართველოში ჩამოვა და კულტურის სამინისტროში მოვა, ასეთი დონის დისკებს მიიღებს საჩუქრად. მადლობა „ბრავო რექორდსს“ ამისთვის.

ნათია ხაბეიშვილი („პეესპეს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი): - „პეესპესა“ და „ბრავო რექორდს“ შორის დადებითი ტრადიცია ყალიბდება. ჩვენი წინა თანამშრომლობა ნანი ბრეგვაძის ალბომზე შედგა. ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედების პოპულარობა უფრო და უფრო იზრდება. იმედი მაქვს, ეს პროექტი ახალი თაობისთვის დიდი საჩუქარი იქნება.

ქეთათო პოპიაშვილი: -ამდენი წლის მანძილზე ირაკლის დისკის შეძენა არც ერთ მაღაზიაში არ იყო შესაძლებელი. ფანები ინტერნეტის საშუალებით არალეგალურად იწერენ სიმღერებს. უცხოელებთან არაერთხელ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ, რადგან ირაკლის ალბომს ეძებდნენ და მაღაზიებში არ იყო. ახლა ასეთი სიურპრიზი გავუკეთეთ ყველას. ამ ალბომში ისეთი სიმღერები შედის, უნდა გედოს. მადლობა ყველას, ვინც ალბომზე მუშაობს.

გელა ჩარკვიანი: - ჩემთვის, მშობლისთვის ამ დროს ირაკლი ცოცხლდება. ამისთვის ყველას ვუხდი მადლობას, მთელ საზოგადოებას. მოთხოვნა რომ არ იყოს, ალბომიც არ გამოვიდოდა. 90-იანებში ირაკლის ნათქვამის დღეს კარგად ესმის საზოგადოებას. „იუთუბზე“ ვუსმენ, არ მაქვს მისი ალბომი. სიმღერები ნაწყვეტებად მაქვს. მადლობა ყველას და, რა თქმა უნდა, ბატონ ზაზა შენგელიას, ვიცი, „ბრავოს“ ხარისხი. მადლობა ქეთათოს, რომელიც ყოველთვის ისე წარმოაჩენს ირაკლის სახელს, როგორც მას ეკადრება.

ამღერებული წყალბურთელის სიყვარულის ისტორია

my View
თამარ გონგაძე

მიშა ბაღათურია „ორ ვარსკვლავში“ გამოჩნდა თუ არა, გოგონების ყურადღება მაშინვე მიიპყრო. თბილი ღიმილის მქონე სპორტსმენი შოუში სოფო გელოვანის მეწყვილეა. ჟიურის ექსცენტრიკულმა წევრმა, თეონა კონტრიძემ წყალბურთელი კონკურსანტის თანაგუნდელების „ცოცხალ კედელზე“ ემოცია ვერ დამალა - წინ ისეთი ზურგები დგას, დავიბენიო. მერე მიშას მიადგა, შენი იმედი მქონდა, მოტკეცილი მაისურით იქნებოდიო. „მოტკეცილი მაისური“ ხუმრობად აიტაცეს წყალბურთელებმა. როგორც წესი, ტელეპროექტში სიმპათიური ბიჭი გამოჩნდება თუ არა, სუსტი სქესი ეკრანთან (ან დარბაზში - აქტიურობისამებრ) მობილიზდება, უმესიჯჯებს, გულშემატკივრობს და, რაც მთავარია, იწყებს გამოძიებას, თავისუფალია თუ არა მისი გული. ამ კატეგორიის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ მიშა ამ ეტაპზე თავისუფალია, ამდენად გააქტიურდით.

მიშა ბაღათურია: „მე და კატია 4 წელია ვმეგობრობდით, ბოლო ერთი წელია, რაც მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ის პეტერბურგელია. თბილისში ორ-ორი თვით სამჯერ იყო ჩამოსული. ექვსი თვე ვიცხოვრეთ ერთად“

ამბობს, რომ 8 ნომერი მისთვის იღბლიანია. 8 ნომრით თამაშობს, ქუდზე ორი რვა აწერია. კონტრიძემ 8 ქულა დაუწერა. ასე რომ, ელოდება შოუში ყველაფერი კარგად წავა. სცენაზე ავედი და მეტი რაღა უნდა გადამხდეს, ექსტრემია ჩემთვისო, ამბობს.

ადვილად არ დათანხმებია. „მეგობარმა მითხრა, სოფო გელოვანს შევხვედროდი და უარი მეთქვა პარტნიორობაზე. სოფომ წაიძღერა და იქ იმდენად კარგი სიტუაცია დამხვდა, რომ მოვიხიბლე. მგონი პედაგოგებიც კმაყოფილები არიან. ნელ-ნელა დაუფლება ძალიან საინტერესო პროცესია. თან მე მიყვარს საქმისადმი სერიოზული მიდგომა. დამმესიჯებელთა არმიაც მყავს, რომელიც ივლის შოუს ჩაწერაზე. ბიჭები გვერდში მიდგანან. მათ გარეშე როგორ იქნება? თუ ამასობაში შეკრებები არ დაგვეწყო.

- თუ დაგეწყოთ?

- არ ვიცი, როგორ შევათავსებთ. მარტის ბოლომდე დასვენება გვაქვს. მერე ვნახოთ. ამ დილემის წინაშე ჯერ არ დავმდგარვარ.

გულშემატკივარი თანაგუნდელები

5 წლის ასაკში შეიყვანეს ცურვაზე. 12 წლის ასაკში ოთხი წლით უფროსთა ახალგაზრდულ ნაკრებში აიყვანეს. ეროვნულ ნაკრებში ექვსი წელია თამაშობს. რვა ნომრით მარჯვენა ნახევარმცველია.

მიშა ბაღათურია: „ჩემი კარიერის ყველაზე დიდი წარმატება ახლა მოვიდა. 2 მარტს 20 თამაშიდან არც ერთი მატჩი არ წაგვიგია. დავამარცხეთ თურქეთი. პირველად, საქართველოს წყალბურთის ისტორიაში, 12 საუკეთესო ევროპის გუნდში მოვხვდით. ბიჭებს ჯერ კიდევ არ გაგვსვლია ეს ემოცია.

ჩვენ, წყალბურთელები, სხვა სპორტსმენებიდან ცოტა განსხვავებულები ვართ. წყალი მაინც სხვაა. ნაკრების რვა წევრი ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. უკვე ოჯახის წევრებივით ვართ, სულ ერთად, წყლის გარეთაც - 24 საათი. ოჯახის წევრებს უფრო ნაკლებად ვხედავ, ვიდრე თანაგუნდელებს. წყალში ყოველდღიურად 4 საათნახევარს ვატარებ. ჯერ დარბაზში ვვარჯიშობთ, მერე წყალში გადავინაცვლებთ. არ მეგონა, გუნდელები ასე თუ დამიდგებოდნენ გვერდით. მეგონა იღადავებდნენ. თავიდან დამიწყეს ღადაობა, კვერცხის გული გადაყლაპე, წყალი გაათბე, არ გაცივდეო. სცენიდან მათკენ გახედვა არ მინდოდა. ვერ ვბედავდი, მაგრამ ვერ მოვითმინე და გავიხედე. აღმოვაჩინე, რომ დაბნეულები და დაძაბულები მიყურებდნენ, დიდი მუხტი მოდიოდა მათგან. ძალიან ჩართულები არიან. როსტო ჩვენი მეგობარია. მას ცეკვებში ვგულშემატკივრობდი. ახლა თვითონ მგულშემატკივრობს“.

„სიმღერა საინტერესო აღმოჩნდა. გულით მივუდექი. არ მეგონა, აზარტში ასე თუ შევიდოდი. პარალელს ვავლებ სპორტთან. ეს ინტერესი კონკურსმა მოიტანა - რატომ დაწერა ეს ქულა, აბა, შემდეგზე რას დაწერენ? თავიდან ცეკვის ნომერზე უარი ვთქვი და ახლა უკვე მოვითხოვე პედაგოგი. სცენაზე უბრალოდ იდგე და იმღერო, თურმე, არ შეიძლება. მივხვდი, რომ მოძრაობის გარეშე უხერხულად ვიდექი. ცეკვაში სიმღერაზე უარესად ვარ. მუსიკასთან სულ მაქვს კავშირი. მანქანაშიც სულ ვუსმენ.

სცენაზე დგომა ძალიან რთული აღმოჩნდა. პირველ თამაშს შევადარებდი, რომ გადიხარ და ნერვიულობ. არ იცი და თან გინდა, რომ თავი გამოიჩინო. რაც მეტად ნერვიულობ, მეტი შეცდომა მოგდის.

სოფოს დამსახურებაა, რომ სცენაზე გამოვედი და საერთოდ, პროექტში დავრჩი. ისე კარგად დამხვდა, წაიძღერა, ძალიან უშუალოა. თავისი საქმის პროფესიონალია. საქმეს მიადვილებს. იმდენად ერთვება პროცესში, რომ შენ მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. ძალიან ემოციურია. ამიტომ მეც ვიხსნები. თან იუმორთან ორივე კარგად ვართ. ეს ყველას ეხმარება“.

- რა ხიბლი აქვს თქვენს წყვილს?

- ძალიან გულწრფელები ვართ. სოფო იმდენად იხსნება, რომ მეც მივყვები. დავმეგობრდით. საერთო სამეგობროც გვყავს. მისი მეუღლე ჩემი გუნდელების ძალიან ახლო მეგობარია.

პირადი

სიყვარულში ტაიმაუტი ავიღეო, - ამბობს. სერიოზული ურთიერთობა მხოლოდ ერთხელ ჰქონდა. კატიას ორი თვის წინ დაშორდა.

მიშა ბაღათურია: იურიდიული აკადემია მოსკოვში დავამთავრე. იქ ვცხოვრობდი და ვთამაშობდი ექვსი წელი. მე და კატია 4 წელია ვმეგობრობდით, ბოლო ერთი წელია, რაც მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. კატია პეტერბურგელია. თბილისში ორ-ორი თვით სამჯერ იყო ჩამოსული. ექვსი თვე ვიცხოვრეთ ერთად. მაგრამ დავძორდით...

- არ ყოფილა. სიყვარული.

- იყო, როგორ არა, მაგრამ რაღაც ეტაპზე მორჩა. მეგობრობას ისევ ვაგრძელებთ.

- რა დაგიტოვა?

- ბევრი პოზიტიური ემოცია.

- იცის, რომ მღერი?

- ალბათ, იცის... ასეთი ხშირი კონტაქტი აღარ მაქვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N11 (261) ორშაბათი, 24 მარტი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ექსკლუზიური ინტერვიუ „მძიმე კაცთან“

ამღერებული წყალბურთელის სიყვარულის ისტორია

EXCLUSIVE

ქართული ვიდეოხელოვნების გამოფენა - „აღწერები“

EXCLUSIVE

ნინო ანანიაშვილმა საკუთარ დაბადების დღეზე ორი სპექტაკლი იცეკვა

ISSN 1987-7404

9 771987 740005

ნინო ნინიძე: „15 წლის რომ ვიყავი, დედას შევპირდი, შენნაირად აღრე არ გავთხოვდები-მეთქი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება